

114
981/3

ISSN 0182-690 X



ՉԵՆՈՒՄԻՆՈ

8

1981

735
837



ენათობი



საქართველოს მწიგნობართა კავშირის საკრებულოს
და საზოგადოებრივი-კულტურული მუშაკთა
ფედერაციის

ფელიწადი 58-0

№ 8

აბვიტო 1981 წ.

საქართველოს საბავშვო მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

მთარ ჩხვიძე — ვენეციური მალი, რომანი გაგრძელება	3
მინილ ძვლივიძე — ლექსები	36 +
ვახტანგ ხარბილაძე — ლექსები	42 +
ვაჟა ფოქვია — ლექსები	48
სერგო კლდიაშვილი — საკარაული ბანდები, მოთხრობა	52
კოლაუ ნაფიჩაძე — ჟიური მემორიას, ლექსი	67
სილოვან ნარიშვიძე — ლექსები	70
გრიგოლ ჯუღუხიძე — ლექსები	73
შაბუკა აბაშვილი — ლექსები	78
ამირან ჯალაღ — ლექსები	82
ლევან ბაბუხაძე — ლექსები	84
ვალერიან ზრუბი — ჯეშალ კავშირი, მოთხრობა	86
ალექსანდრე გლუბი — ლექსები, თარგმანა ვაჟა ალბაზუღაძე	110
ირვან ვოლფგანგ გოთე — ფაუსტი, გერმანულიდან თარგმანა გ. ქორჭაქელი	110

ნაკვეთები ხუთწლიანი დღეებზე

იზა ჯაბაძე — თუშეთს სიცოცხლე უბრუნდება	125
თინა ფავლენიშვილი — შირაკში და ალაზანზე	134

კრიტიკა და კუბლიცისტია

კონსტანტინე კაპანელი — მინილ ჯაბაშვილი	138
გურამ გვარდუთელი — ტადიმიშოვსკაც, სინალეს, გაგრძელება	142
ლალი ავალიანი — მათი ლიტერატურული ტრენსე გავი	152
სულხან მთულავი — უსაფრთხო ზრუნვათა ტვირთები	159
მეთა ლეკვიშვილი — ლევ ტოლსტოი და მისი პატრული მემორიები	165

მეხიარება

ილია ანთელაძე — დაღიანთა საგვარეულოს წარმოშობის საკითხისათვის	169
ვიკინია ტიხონიკიძე, ლევა კალაშნიკი — საქთარი სახელების ტრანსკრიპციისათვის	171

შეკვები, მოგონებანი

ირაკლი აბაშიძე — ალვრად კრავალს ბახსენება	174
---	-----

შიგნეობის მიმონილვა

ალექსანდრე სიბა — პატალი წიგნი	189
სოლომონ ხათაშვილი — ვინაუბრი კოეზიის მცირე ანთოლოგია	191

მთავარი რედაქტორი ბიორგი ნატროშვილი

ხარედაქციო კოლეგია:

ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ზ. ბერუ-
ლაშვილი, თ. ბიბინაიშვილი, ა. გომიაშვილი, კ. კალაშვილი, მ. ლეზანიძე,
წ. მრავალშვილი, ა. სულაბაძე, ა. ქუთათელი, ნ. წულუკიანი, ი.
წულუკიანი, თ. ზინაიძე, ბ. ხარაძე, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რუსულან ჩაპჩაძე

რედაქციის მასშტაბი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

გადაეკა ასაწობად 14/VII-81 წ. ზელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 23/VIII-81 წ. ასაწობის ზომა
71/8 X 12, ქაღალდის ფორმატი 70X108/16,
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი
თაბახი 16,58.

№ 14171. ტირაჟი 22.000. შეკვ. 1943.

ბალშონები: რედაქტორის — 93-55-11. ნაბეჭდი ფურცელი 13. სააღრ-საგამომცემლო
მთ. რედ. მოადგილის — 93-55-13, განყოფი- სიკ. კვ ც-ის გამომცემლობის სტაჟია,
ლებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

პენსიური ჭალი

რომანი

17130

დავითს უკვირდა, ჩემს მეტი ვინ უსმენს, რა გულმოდგინედ ილოცებაო. აუხსნიდნენ მერედამერე, ანთუ მიიხვდებოდა თავისთავადაცა, პურიჭამაც რო რიტუალი გახლდა, მართო კაცი რო პურიჭამაშიც ბრალიაო, იმიტომა, რო რიტუალი ვერ შედგებოდა, — აქ შედგებოდა, ვერცთუ მხურვალედ აყუევბოდა დავითი ოღონდა, ჰო მიაჩერდებოდა გულსუფურითა, კიჟას ჰო მაინც წაატანდა ხელსა, კმაროდა ესეცა, სხვა მოაყუევბოდა თავისთავადა, განმეორდებოდა იგივე ქელები, პატარა ქელები ზეზემდგომელისა, ვალს მოიხდიდა იგი თავისასა, ასე ცალკე ვალს მოიხდიდა, დააწვევებდა დავის წილ ღვინოსა, მოიღენდა თავის წილ ცრემლსა, თავის წილ შილაფლავს მიიღვამდა და რო მიიღვამდა, იხილავდა თავის წილ სულსა, ორთქლად ასულსა, განსახებულსა ახლა ორთქლში, მარადისობაში რო გადღაღიდა, ანთუ ნივთდებოდა მარადისობაში; აინთებდა თავის წილ სანთელსა, გაატანდა იმ დიდ გზაზედა, უკუნეთად რო წარმოესახათ, დიდ სინათლემდე, ლეთაებრივამდე, ვისაც იქამდის მისვლა ეწერა; გარინდებოდა თავის წილადა, წუთისოფელს გაეცლებოდა, გააცილებდა თავის წილადა, გადადგებოდა უღელტეხილზე, გადადგებოდა და გაამობრუნდებოდა: სადაც თუ იყო.

უხერხულობას არც იქ იგრძნობდა, იმ გარინდებასა და ზრუნვას შორის ზღვარს არ დაუღებდა, ანთუ ისე გადალახავდა, ვერც შენიშნავდა თუ ვერც იგრძნობდა, არ მოუწონებდა შარვალსა დავითსა, ახლა მოდაში ჭინსები არისო, ჩემზე იყოსო.

— არა... რა უჭირს!.. — შეიშმუშნებოდა დავითი, დაიხედავდა ნაცრისფერ შარვალზედა, გასწევდა, გამოსწევდა.

როგორ არ უჭირსო, დიდს არაფერს არცა ვპირდები, ხშირად ვმოგზაურობ, ზოგან გროშია მაგისი ფასი, ზოგან თუ ბერიობს, სადაც იაფობს, მეც იქიდან ჩამოვიტანო.

— ბევრს მოგზაურობთ?.. — მაშინ ამასლა იკითხავდა დავითი.

ბევრსაო.

— გეოგრაფოსი ჰო არა ბრძანდები? — ამასაც იკითხავდა.

სპორტსმენი გახლავარო, თუმცა შემძლო დამერქმია გეოგრაფოსიცა, ვითარც რო ახლა ფილოლოგიცა მქვიანო.

— ფილოლოგიური რო დავამთავრე, მერე განვაგრძე იურიდიულზე, მოვათავებ რო ამასაცა, ალბათ სპორტსაც გამოვეთხოვები, მომითავედება მოგზაურობაცა. შენ მაინც ნუ შეგეშინდება ჭინსებს მანამდის ჩამოვიტანო.

— არა... არა... მე ჰო არა ვთხოვთ? — შეწუხდებოდა დავითი.

მე ვპირდები, შეადვილება და იტიტიმაცა ვპირდებითო.

ს. ჭარბის სახ. საბ. წსტ

დები და მადლობაც არ მინდა, რახან მე გპირდები, ალბათ მე მსურს და მე ჩემს სურვილს ვეთამაშები, შენ ეს არ გეხება, შენ მიილე, დამშვენდი და მოიწონე თავიო; შენ რაო, — ერთხელ გავიძრე და პროფესორს ჩავაცვი, თვალი არ დაუხამხამებია; ისე მივედი, საპროტექციოდა, თავმჯდომარე გახლდა საგამოცდო კომისიისა... სამედიცინოში რა ამხავია, მოგეხსენება. ებზინავდი ჭინვებში, ზევით, ქვევითა, ის იყო ჩავიცვი. ამხედა, დამხედა, გავიძერი და ჩავაცვი, მომენება და გავიძერი, მე მისურვებით შევეძვერი მანქანაში და მიხაროდა, ისე მიხაროდა, მთელი ქვეყანა ჩემი მეგონა. ასეა, ასე, ზოგი ვასცემს და უხარია, ზოგი მიიღებს და უხარია.

— ისეთი რაა?.. — იტყოდა დავითი, იტყოდა უფრო გაუბედავად.

მოდაა ყმაწვილო, ჩემგან არ უნდა გესწავლებოდეს, თუ გესწავლება და აჰა, აი მისწავლებიო; — ესეც მოდაა თუ რალაც იმგვარია. ეს ჩემი მეორე ფაკულტეტი, დიდხანს ტრიალი ინსტიტუტის დერეფნებში, თორემ და რაო, გამოძიებლად ჩადგებოდი ფილოლოგის დიპლომითაცა, ცოტა კურსები, ცოტა რალაცა, ცოტა ნაცნობები და ეგ არის და ეგა. ემანდ ტრაბახად არ ჩამითვალო, მენდე, ალაღად გეუბნები. იმასაც გეტყვი, ისევე ალაღადა, არც რო ბიბლიოთეკები გადმოიბრუნებია, არც რო სკამები მიხეხია ჯდომითა, ფილოლოგის დიპლომი რო მივილე, ჩადუნელი და სიმონენი თუ წამეკითხა მატარებელში მხარეთმოზე წამოწოლილსა, ამითი შევედი და ამითი გამოვედი, იურიდიულიც ამიტომვე მინდოდა; მაშინ თუ ავციდი, მერე თვითონვე დამახიეს კალთები, ა ბიჭო დარჩი, უ ბიჭო გვაცალე, კიდევ ვიტრაბახოთ ჩემპიონითაო. მეც დავრჩი, იტრაბახონ; და მივემატე კონან დოილიცა ჩადუნელსა და სიმონენსა, აგატა კრისტიცა, ედგარ პოც მირჩიეს და პო არა გგონია, ვინმე იქნება იქ კიდევ ჩემზე განათლებული? ნუ გეგონება! შურიტ მიცქერენ პროფესორე-

ბიცა: ედგარ პო იმათ ჩემგან უფროსებსა გგონია ვიტრაბახო.

— არა, რასა ბრძანებთ! — შეიშმუნებოდა დავითი.

მე ვიცი თუ რასაცა ებრძანებ, გეოგრაფოსობა რო მიხსენე, ჭერ ისიც არ დამეიწყებიაო; — მოგზაურობას თუ გაუტანინხარ, ეიულ ვერნი არას გარგია, დანიბეგაშვილიც არას გარგია, არც ამუნდსენი გარგია რამესა, წაკითხვით წაიკითხე თუ გენებება, ოღონდ ივარგე როგორმე სპორტსმენადა, მეტი არ გინდა, არაფერი გინდა მომეტებული, იმდენს მოივლი, ისე მოედები მთელს ქვეყანასა, პირს რო დაალებს მარკო პოლოცა, თუცი სადმე შემოგვეყარაო.

— მე მხოლოდ აქ ჩამოსვლას ვფიქრობდი.

ქვეყანა კიდევაა ამას იქითაო.

— არის. მაინც აქამდე მყოფიდა ფიქრი. — მოილუშებოდა და დააწვეთებდა პურზე ლეინოსა.

— ეს ვილასთვისა? — იკითხავდა უშანგი.

— მამაჩემისთვისა.

— შეიწყალოს! — დასძენდა უშანგი დაუყოვნებლად, დასძენდა და ჭიქას წაუქცევდა.

ჭიქას წაუქცევდა და ისმენდა მერე გრძელი, გრძელი, გრძელი ლამების ოცნებებსა, გაიგებდა ამ გადაკარგული და გადმოვარდნილი ბიჭის განზრახვასა და გაუიოლებდა, წააქეზებდა, აღუთქვამდა დახმარებასა: იმედი გქონდეს, შენთან ვიქნებითო, დაგვიძახე და გამოგყვებითო, ლხინში ეგება განერიდოკაცსა, ჭირში განრიდება არ იქნებო. და დავითს გული აუჩუყდებოდა, აუჩუყდებოდა და შეიოკებდა, ეს ვაჟაკური პირობაა და არ იცრემლებიან ვაჟაკები, მამდ როცათუ გაიფიცებიანო, — მამა ასწავლიდა, აუხსნიდა ფიც-ვერცხლის წესსაცა, სიტყვის ღირსებასა, ღირსებას პირობისა: იქ ასწავლიდა და აქ წამდგარიყო ვაჟაკური ფიცის წინაშე, გლოვის სუფრასთანა, პატარა სუფრასთანა, ორნი რო უხსდნენ, მხოლოდღა ორნი, წესს რო მისდევდნენ მაინც დი-



დისასა, დიდი სუფრისა, დიდი ადათისა, ეპაავინ უწყის როდიმდელისა, — არგონავეტბსაც რო დაჰხვედროდათ, რომ მაშინაც რო აღარ იცოდნენ, დასაბამი თუ როდის დაედოთ: იქ მოუყვებოდა მამაი დავითსა და იქვე უკვირდა, ეს ერთგულემა მწუხარებაში, ეს სიმტკიცე და თავდადება, იქვე უკვირდა, იქვე რო ესმოდა: მხოლოდ მოთქმა ჩვენი ისტორია, ჯაჭვია მხოლოდ უბედურებისა, თავისუფლება რო გვიპოვნია, მაშინვე რო დაგვიკარგავსო, და ვერც გავძლებდით, ერთგულემა რო გვკლებოდაო, სიმტკიცეც ცოტა რო გვკლებოდაო, — ამან გვიჩხნა და გადაგვარჩინა, გაგვამხნევა და აღგვამალა, — ჩადი და ნახავ, შემომფიცე, რო უთუოდ ჩახვალო. და ჩამოვიდა, ჩამოვიდა მწუხარებაში, მწუხარე მზადაა, გაჰყვეს სადაც უნდა, ჯერ რო არც იცნობს, კარიც გაუღია და გულიც გაუღია: უცხო მოგზაურებს სიბრძნევედ მიაჩნდათო, ეტყოდა მამაი, რო წაიკითხო, არ დაიჯერო, არ რო უარყო, შენც თუ გამოგყვა ეგ თვისებო, სიბრძნევე არაა ეგრე გამძლეო, დიდსულოვნებაა მარადიული, სიმტკიცე და დიდსულოვნება, ჩადი და ნახავ, შემომფიცე რო უთუოდ ჩახვალო. და შეჰფიცებდა ფიცითა ყმაწვილისა, ბუნდოვანისა, გაუგებარისა, ეგება ვინ უწყის აღუსრულებლისა და მოუნანიებელისა, რო ვერც შეიგნებდა თუ რას დაჰკარგავდა, რას მოსწყდებოდა, სადიდან თუ სად გადაიკარგებოდა, ვერც შეიგნებდა და არც ინანებდა, — ეს მაშინაო, ახლა შეიგნებდა და შესძრავდა შიში, შიში საშინელი ყოველგვარ შიშზე, შიში ხრწნილებისა, გადაგვარებისა, შესძრავდა და ვერც გაუძლებდა, რო წარმოედგინა თავით ბოლომდისა, — ვერ წარმოიდგენდა... ეს ჯერ მხოლოდ გრძნობისა გახლდა, — დავითზე ვამბობ, სიკეთის გრძნობისა, რო გაელევიებინა თქმულელებს მამისა, დედას მხოლოდლა ოცნება რო ეგონა, ნაყოფი უმოწყე გონებისა, გახურებული. ანთებული გონებისა; და შეჰფიცებდა, და ჩამოვიდოდა, და აღარ დაითმენდა და ღვინოს

გადაჰკარავდა. ერთს გადაჰკარგავდა, ისევე ისე აუჩქროლდებოდა გულს, აუჩუყდებოდა, მოედინებოდა ცრემლი ღვარადა. იტვრენდა უშანგი, არ დაამშვიდებდა, — გამოეტერა, მოეეოხებინა, თავშეყავება წამება არისო.

და მოიოხებდა.

შეგნითაც თითქოს მოიოხებდნენო, ანთუ მოთავდებოდა, ანთუ გადაიდებოდა ქადაგებანი დეიდა სალომესი, აიშლებოდნენ, გამოვიდოდნენ ერთადა. ერთბაშადა, ფანთხალითა და ხანხალითა, ანთუ რწვევითა, ანთუ რხვევითა, რო მიეხლებოდნენ თუ მიეყუდებოდნენ ერთმანეთსაცა, გამოვიდოდნენ ეგრე გუნდადა, ეგრე შავადა, ყორანთამებრა. და შეცბებოდნენ იქვე კართანა, შეცბებოდნენ და შეყოვნდებოდნენ, მიეძებოდნენ უფრო ციციოსა, ის შეცბუნდებოდა პირველყოლისა, განცვიფრდებოდა, გადაუწყენდა განცვიფრება მწუხარ სახესა, გადაუწყენდა. გაუნათებდა, ჩაამუქებდა იმა სიშავეში.

— დავითს, რო შეიცნობდა, თუ დავიწყებოდა და გაახსენდებოდა, ანთუ ლანდად მოევიწინებოდა, ანთუ იქვე ეგონებოდა თავი, იმგვარი სისწრაფით გადმოვარდნილიყო, ისე ებრუნა ღრუბლებში თუ სხივებში მზისა, ებრუნა, ეტრიალა გაოგნებულსა: და განუერთებოდა განცვიფრება იგი წამიერი, შექვი წამიერი განუერთებოდა, ჩაიფერფლებოდა მერე ისევე, ჩაინაღვლებოდა, დეიდა სალომეც მიაჩერდებოდა დავითსა ბეჭითადა, და უშანგის გაჰკარავდა გულში, რალაცა ჩაითქვა და მე არ ამცდებო. არც ასცდებოდა რალა თქმა უნდა, ბილეთს აუღებდა და მატარებელში ჩასვამდა, ისე, თავისი ვარაუდითა, დაარიგებდა თუ სად ჩამომხდარიყო, როგორ ევლო, სადთუ ეკითხა, როგორ მიეგნო თავისიანები, — მეტი არ დაევალებოდა უშანგის არაფერი. არც ციციონს დაევალებოდა, აეროდრომზე თუ დაჰხვედებოდნენ, — უნდა დაჰხვედროდნენ, — იქვე ჩააბარებდა, აღარ ექნებოდა მერე საფიქრალი. მაგრამ სხვაგვარადა დაბრუნდებოდა ბორბალი დავი-

თისა. — რო გადააფიქრდებოდათ დე-
იდებსაცა და უშანგისაცა, ციკინოსაც
რო გადააფიქრდებოდა, იქვე ააბოტებ-
და, იმავე აივანზე, დარცხვენილი თუ
დამღურებული. გულგატეხილი თუ
გულმოსული. სხვაგვარად წავიდოდა და
მიბრუნდებოდა ასე ამგვარად. — სა-
დით თუ მოვსულვარ, სადთუ მამის
ძელები მეგულურის, ისევე იქით მომიწევს
წასვლაო, ჩიფჩიფებდა გულდამწვეტო-
ლი. უშანგი მხრებს აჩეჩავდა, ციკინო
დაუშვებდა წამწამთა, თუ რა ელონა,
ველარ მიხვდებოდა, ყარს მიაყენა თა-
ვისიანთა, სხვა რაღა ელონა? მაგრამ იქ
თურმე არ დაეღვამებოდა: პაპა გარ-
დასცვლოდა, დიდედაიცა, მამიდა მისი
გათხოვილიყო, ბიძას ოჯახი მიეტოვე-
ბინა, ძალო დაჰხვედროდა ორი გოგო-
ნათი, ბიძაშვილებითა ამისითა რაღა
თქმა უნდა, დაჰხვედროდა წვევლა-
კრულითა თავისი ქმრისა, ბიძისა ამი-
სი, — ი გასაწყვეტი სინსილა რო
ზღვაზე მიუბრბოდა დღენიდაგა, იქ ქვი-
შაზე გაშოტილ გოგოებში რო დაალა-
ჩებდა, ხან გულაღმა რო ეგდო და ხან
რო პირქვე იმათთან ერთადა, უიმათო-
ბა რო არ შეეძლო: ერთს მანც ისე გა-
დაჰკიდებია თუ ახვევია თვალები ისე,
აუკრეფია გულანაბადი და თან გაჰყო-
ლია ჭანდაბაში თუ დოზანაშიო: ეს ერ-
თხელ არ უქნია და ორჯერ არ უქნია,
მერე ისევე შემომძვრალა შინა, — მორ-
ჩა ის აქ ფეხს ველარ დააკარებსო: აქაო
ანუ ცხადია იქა, იმ ოლასახლში, მამა
რო უხატავდა მანდარინის ხეებში ჩაფ-
ლულსა, შემორტყმულსა დაფნის ბუჩქე-
ბითა, თვითონ რო აეგო, თვითონ რო
მოეწყო, — ჩემი იმა ცურა ცულღებო-
ბდაო, ეტყოდა ხოლმე, აქამდე ჭკუაში
ჩავარდებოდაო: სჯეროდა იმასა, რო
იცვლება ქვეყნად ყველაფერი, აღამიანი
რო იცვლება, რო შვიცვლება, რო სი-
კეთისკენ მიდის ყველაფერი, სჯეროდა
და დაარწმუნებდა, რო მიიღებდნენ სი-
ხარულითა, რო ჩაიკრავდნენ, ჩაიხუტე-
ბდნენ; არც მოვიკარებ და არც არას ვა-
რგუნებო. — ბრდღენიანდა ძალოი. —
ეს სახლი რაღა გასაყოფია, ეს რაღა გა-

საყოფიაო, ვინ ლეთისპირაში მგზავნებდა
ნებული ჩადგება ჩემი ბავშვების ცო-
ლოშიო, — ბღღენიანდა ქმრისადმი,
გააგონებდა ოლონდ მავლისწულსა: ერ-
თი მობედონო, იმუქრებოდა, ქმარს
ემუქრებოდა, ი ფილაც გოგოს ემუქრე-
ბოდა, ქვიშაში ამოვლებულ გოგოსა,
და გულისხმაში დავითს ჩააგდებდა;
შენი ადგილი არ არის აქაო. მიხვდე-
ბოდა დავითი ამასა, ოლონდ იმას ვერ
მიხვდებოდა, ელონა რაი თუ რა წყალს
მისცემოდა, იფიქრებდა და იფიქრებდა,
ბუერს იფიქრებდა თუ ცოტას იფიქრებ-
და, მიღვებოდა ისევე ამათა. უშანგის
მანც ეტყოდა გული, ვერ გადარჩები
ასე ადვილათა, ერთი ბილეთითა, ერთი
გაცილებითაო, ეტყოდა და აუცხადებო-
და, არც შეწუხდებოდა, არც ეამებო-
და, არც ტვინს იღრობდა თუ რა ვი-
ლონოო, დეიდები ბჭობად დასხდებო-
დნენ, გადასწყვეტდნენ და დაავალებ-
დნენ, უბრძანებდნენ, სთხოვდნენ ალე-
რსითა, როგორც ენებათ თუ როგორც
მიიჩნევდნენ: დეიდებიო, — თორემ
ირინეს ვინ ეკითხებოდა, ანთუ ზეინაბს
ვინ დაეკითხებოდა, გაბრუნდებოდნენ
კიდევაცა, მერე დღეს რო გავიდოდ-
ნენ საფლავზედა, შეიღვდაც რო გავი-
დოდნენ, გაბრუნდებოდნენ ორმო-
ცამდისა, თავიანთ სახლებში გაბ-
რუნდებოდნენ, დასხდებოდნენ ორ-
თალა ორნი, სალომე დეიდა და მე-
რი დეიდაი, იტყოდნენ და დაიმოწმე-
ბდნენ ზეინაბსაცა, ირინესაცა, თამარ-
საცა, — რა ვუყოთ თუ განსვენებული-
ყო თამარი, — ანთუ უფრო სწორად
რო ითქვას, სალომე იტყოდა და იკმა-
რებდა დასტურსა მერისა, იტყოდა თუ
იქადაგებდა ბედისწერის მთავრეხილი-
დანა ტრავერსითა მწვერვალებისა: კე-
თილშობილების, სათნოების, კაცთმოყ-
ვარეობის, გონიერების, მოვალეობის,
ზნეობისა და მშვენიერებისა, იქადაგებ-
და და დაასკენიდა, საშუალო სკოლა და-
უმთავრებია, უნდა შევიდეს ინსტიტუ-
ტშიო:

— აუცილებლად! — მერი კერს
დაჰკრავდა.

რომელს იხებებს? სალომე იკითხავდა, ამოისუნთქებდა ცოტა ღრმად.

— რა მოგახსენოთ... — დაიბნეოდა დავითი, ცოტა არ იყოს დაიბნეოდა, წამოწითლდებოდა ცოტა არ იყოს.

— უნდა იკოდეს, უნდა იკოდეს! — გაიბუხებოდა დეიდა სალომეი.

— ეკოდინება, — გაიცისკრებდა დეიდა მერი, — თუ ეკრძალება.

— თქვას, აღარ ეგვიანება. — სადღაც შორს გაიხედებოდა დეიდა სალომეი.

— სულერთია, — წაიზმუჯუნებდა დავითი, — ოღონდ მაინც...

— სამედიცინო?... — დასწრებდა დეიდა მერი, — თქვი, თქვი, სულერთია.

— ეეე... — ამოსცდებოდა უშანგისა.

— რაო, — მოიღუშებოდა დეიდა სალომეი, წამოსციკოდა ნაპერწკალი თვალთაგანა, გაოცებდა.

— არაფერი, — უშანგი თითქოს დაიბნეოდა თუ ითაკილებდა.

— უნდა და იყოს. — დეიდა სალომე დადასტურებდა.

— ცხადია! — დააყოლებდა უმაღვე მერი, უმაღვე ხელსაც გაუწვდიდა დავითსა, — მომილოცინია!..

— გზადლობთ, ოღონდ... — წაიზმუჯუნებდა ისევე დავითი, მერი მაინც რო არ დააცილდა:

— არაფერს, არაფერსა!..

— მაინც რო დაგეცდით, — გაჰბედავდა უშანგი, — ეგებ ისეთი რამ აერჩია, სამები ჰყოფნიდეს.

— სულერთი არ არის?! — დეიდა სალომე თითქოს დასცინებდა.

— ჰო... სულერთია. — მეტი რა ჯანი ჰქონდა უშანგისა.

და გადაწყდებოდა ბედი დავითისა, ასე ამგვარად გადაწყდებოდა, დავითსაც აღარ ეკითხებოდა, — ვაი უშანგისა, ეს იყო მხოლოდა, მეტი არაფერი, შებარბაცდებოდა ვარსკვლავი უშანგისა, შებარბაცდებოდა და გასწორდებოდა.

ვარსკვლავი იგი შებარბაცდებოდა კიდევ და კიდევ, ისე რიგორც რო არ ებარბაცა მანამდისა, აქეთ უშანგი დაბარბაცდებოდა. — უკვირდა, რადაო, უკვირდა და მოაწყდებოდა უფრო ძალუმადა, უფრო მძაფრად, კლდეს გაიტანსო, გვეგონებოდა, კიდევაც გაიტანდა, თავს რო არ დასტებოდა ასე ერთბაშად ორმოცი, წლისთავი და დავითიცა, — დავითის ინსტიტუტი, სამედიცინო ინსტიტუტი. ბჭობდა სალომეი, ანუ ქადაგებდა. მერი კერს დასცემდა, მეტი არაფერი არ ეხარჯებოდათ, — სიტყვა და კვერი, სიტყვის კვერი, მეტი არაფერი. და ბარბაცებდა ვარსკვლავი უშანგისა, აქეთ უშანგი შექანდებოდა. მოადგებოდა იმასაც სიტყვაი, მოადგებოდა და გაიბრუნებდა. ვერას გააწყობდა კორიანტელში, იმა სიტყვათა კორიანტელში. დეიდა სალომესი: ერთხელ მაინც წამოსცდებოდა, პოლიტიკური მიჩივისო, იმდენი დარგია იქ მიკარგულ-მოკარგული, ბევრი კერც ერკვევა, სადღაც მიჭედენო, წამოსცდებოდა და გადაფითრდებოდა დეიდა სალომეი, ნუთუ ასე უმწეოც გახვდი, ვერაფერი რო ვერ შევასმინეო: გადაფითრდებოდა და აენთებოდა, ფერად-ფერად აენთებოდა, ფორაჯბად აენთებოდა კანი სახეზედა, გადაჭიმული თუ გადატეტკოლი, ხანი ნაოჭებად რო არ ამოსხმოდა: შეჭარავდა ეინმე უცხო-სა, უშანგის არა, გავარდებოდა უთუოდ მაინცა. თან დავითსაც გაიყოლიებდა, ირბენდა და არბენინებდა, იქროლებდა და აქროლებდა, აღმა თუ დაღმაო. ოღონდ რატომღაც უშედევგოდა, ბედი შეჰკეროდა დაფითსა თუ რა იყო, — გადაწყვეტილი ბედი შეჰკეროდა. უნივერსიტეტსაც ურჩევდნენ აგრეთვე, ეკონომიკის ფაკულტეტს რა სჯობსო, მაგრამ ეს უშანგის არ წამოსცდებოდა დეიდებთანა, აღარა ცხადია, მით უფრო სალომემ ბოლოს განუცხადა, აღარაფერი შენი არ მინდა. მე თვითონ მივხედავ, გრცხვენოლდესო. სხვას ეგება კიდევაც გახა-

რებოდა, უშანგი დიდად ითაკლებდა, ვერ შეურიგდებოდა ესოდენ მარცხსა, უფრო იღონებდა, უფრო მიაწყდ-მოაწყდებოდა, ნემსის ყუნწშიც გაფერებოდა, ანთუ იქამდეც დატკებოდა, გველს რო ხერვლით ამოიყვანსო, ანთუ ბულას რო კუდით დაიჭერსო. თევზი რო თევზია, იმასაც რო კუდით დაიჭერსო, მაგრამ საშველი არ იქნებოდა. — ჭვარს ეცეი თუნდაცო.

მზრებს აიჩეჩავდა ვარსკვლავი უშანგისა, რა ჭქნა აქედან მე რა გიშველოო. არ მიატოვებდა მაინცა ცხადია, ხან თუ ერთ ბილიკს აუცილებდა, ხანთუ მეორესა, ხანაც ბევრსა ერთადა. უამრავსა და უდანდარსა, თვითონვე აერჩია, განეჭვრიტათუ მიშხვდარიყო, — არა, არა, უფრო რო ეგრძნო, მიზანთან რომელი რო მიიყვანდა: ანთუ ვერა გრძნობდა, ანთუ ისე დაჰგვიანებოდა. აყვანა ყველას ასაყვანი, მეტაც აყვანა, რო არ მოშვებოდნენ, ველარ იკადრებდნენ მომეტებულსა, ვერც გასწვდებოდნენ და ველარც იკადრებდნენ, — „სპორტის ხაზითაო“, ურჩევდნენ უშანგისა, იქიდან ბევრად ხელსაყრელია. „ინდივიდუალური გრაფიკაო“: ბედის ვარსკვლავიც მეტს ვერ ურჩევდა. დასცილებდა იმა ბილიკსა, იმა ხერვლსა თუ ბეწვის ხიდსა, უნდა გამძვარაყო, გამრომა თუ ძალუქდა, ვადაერბინა, ვადარბენა თუ ძალუქდა, მაგრამ და რაო, — გაძვრებოდა და ეს ვერ მისდევდა. ვადაირბენდა და ეს უვარდებოდა, ბეწვის ხიდიდან უვარდებოდა, ითრევდა და ვერ აეთრია: სპორტული არაფერი თურმე არ გაჩნდა, არაფერი ეხერხებოდა, უბრალოდაც არა, შინაურულადაც არა, არც ერთი ციკქანდა, ერთხელ რო მაინც გამოეჩინა სადმე წუთითა, ცნობა რო ეშოვნა ამ გამოჩენითა: ვერ წააქეზებდა ვერც საჭიდაოდა: ეგ ვითომ რაღაა, ვადი როგორმე, შენ მხოლოდ ვადი, მეტი რა უნდაო, წაგაქცევენ და წაგაქციონო, კრივი ჰო არაა, ცხვირპირი რო ჩაგიღწონო, ვადაგორდები ხალიჩაზედა, მე ხმის ამოღება შემეძლებაო: მიდი, მიდიო. აქ ყველა ჭიდაობს, აკვნი-

დახ გადმოეცა და ჭიდაობითა დასიქიოსაც რო მიადგება, მაშინვე დაობითაო, შედის შიგაც ჭიდაობითაო, ისე არ იქნება, ძმარ ზემო, უნდა იქიდაო, სხვა გზა არ არისო, მიდი, მიდიო: ვერ შეასმენდა და უკვირდა, რა არის ასეთი, ციგურაც არ იცის, თხილამურიც არა, არცთუ მარბილი ძაღლისათუ ირემისათუ: ეგზოტიკური სურათები ეხილა ვერანებზე და ისლა ეგონა მხარენი თოვლეთისა, აშწენიც ეხილა, ვეებერთელანი, შალასხმული ლიანდაგებითა, გადაჭიმული ქალაქებიცა იმა თოვლეთისა, მაინც ის უფრო ეგონა იქაური, ის მარბილები, ის ირმები, ძაღლები, მარბილებზე დაყრილი ქურჭები, ის მართალი ნიშანი სიცოცხლისა, — თვალნი ბეწვებში გამოხლართულნი, მოციალენი თუ უფრო მბეუტავნი, ალბათ მალე რო ჩანელდებოდნენ უსაზღვრობაში თოვლყინულისა: ეს თვალნი ეგონა, სწორედ ეს თვალნი, დავითისანი, გაჩერდებოდა რო მარბილი, აზივდებოდა ქურჭები რო, და თვალებიც გადმოცივოდა, — ჩაჭრილი სიგრძლივითიქოს სიმრგვალე არც გააჩნიაო, ალალი თითქოსა, თითქოს უნდობელი, ანთუ თითქოს გაუგებარიო. უშანგის რო მიენდობოდა, ოღონდ უარობდა ყველაფერსა, ჭიდაობასაცა, ჭირითსაცა, კრიესაცა, თხილამურსაცა, თვით თხილამურსაცა. — ე რაღააო. უკვირდა უშანგისა, ეს მაინც როგორ ვერ ჩამოეყოლა ი ოხერი თოვლეთიდანაო:

ვერც ჩამოიყოლებდა ყმაწვილი ოცნებისა, — ეს იქნებოდა სპორტი იმისი, ოცნება იქნებოდა, გასართობიც ეს იქნებოდა: გამოძვრებოდა შინიდან შეფუთული, წაცანცარდებოდა სკოლამდისა, თუნდ წაბრთანდებოდა, ეს იქნებოდა მაინცა მანძილი მისი, ასპარეზი მისი, ასე ერთგვარად შემოსაზღვრული სამზრეთიდან ჩრდილოეთამდისა: ეგვა ზამთრით განსხვავდებოდა, დიდი ზამთრითა, თქმულებანი რო შემოშვებოდა, ლამაზი თქმულებანი: წინ ედო ზამთარი, გრძელი ზამთარი, და ასდევნებოდა ფიქრსა, ოცნებასა, სპორტსა სულსა, სპორტსა



უარესსა, რაც თუ ვინ უწყის თუ გამოდგებოდა, ანთუ როდის გამოადგებოდა: აღმრთულყო ინსტიტუტი შეუვალი ციხესავითა, სათვალთვალოდან მრისხანება იმზირებოდა, რისხვიანი მეციხოვნენი გადმოდგებოდნენ ქონგურებზედაცა და შიში შესძრავდათ. შიში გასკრიდათ ისედაც დამფრთხალ მოალყეებსა, — გასკრიდათ დამფრთხალთა თუ უპატრონოთა, ვითარც შერქმეოდან, თორემ რიგრიგად შევიდოდნენ სხვანი და სხვანი საიდუმლო გვირაბებითა, არა თუ ერთითა, არათუ ორითა, უამრავითა, შევიდოდნენ და გავიდოდნენ. შეიტანდნენ და გამოიტანდნენ, რაცთუ ენებათ თუ ვითარც რა ენებათ, საიდუმლო გვირაბებითა, უხილავი გვირაბებითა; იფრიალებდა დროშა ისევე შეუვალად, გადმოდგებოდნენ მეციხოვნენი, დაბრიალებდნენ მრისხანე თვალებსა, საკრისოდენა, ამირანის თვალებსა. უშანგიც შეაღწევდა იმ გვირაბებითა, ამო დაპირებებსა გამოიტანდა. ვერ გამოცხადდებოდა თვით მერისთანაც ამ დაპირებითა, სალომეჟო სალომე გახლდა.. მერი მინც დაეჭვდებოდა, გაკვირდებოდა კიდევაც, ისე რა ვაძნელდა, უშანგისაც რა გაუკვირდესო; მოეხვეჭა ასეთი სახელი, ძირს ვერც დაუშვებდა, ველარც დაუშვებდა, და გამოვიდოდა თუ ერთი გვირაბითა, იქვე მეორეში ამოჰყოფდა თავსა. იფრიალებდა აბჯარი ისევე ქონგურებზედა, ილაპლაკებდა ჩაფხუტები თვალის მომპრელადა და მოეკრებოდათ თვალნი მოალყეთა, ანთუ ხატოვანი ქართულით რო ითქმის, აეხვეოდან თვალნი მოალყეთა. დავითს აღარც გაიყოლებდა, — უშანგი ცხადია, — დავითი თავისთვის განმარტოვდებოდა ვახტანგის ოთახში, ციციხოს ძმისა, სადღაც ომში რო დაღუპულიყო, რო დარჩენოდა წიგნი მაგიდაზე, ვადაშლილი ზედ „მერანზედა“, თითქოს ყვილი ბედისწყერისა: „ნუ დავიძარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის“-ო; ყვილი იგი რო აუხდებოდა, ველარ იხილავდა თავის მაგიდასა, ვერც

იეკვებდა თუ ვინ განაგრძობდა და, იქნა რე ასე გაკვირებითა, როდის-როდის რო გაიკეთავდა, როდის-როდის რო რას მიჰხედებოდა, როდის-როდის რო რას ვადასწყევტდა, ეპა როდისა, ასე შმაგად რო შეესეოდა სულსა ძალი დამშლელი, დამანგრეველი: როდის-როდისაო, ენაზე ჭალი რო მოედებოდა, ვერ გამოეთქვა „...მომჩხავისო...“, ენას მოიმტერევა, ენას მოიკენეტა, გამოიკევაავდა დაბლაგვებულ ენასა და გამოსთქვამდა როგორც იქნებოდა: „მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი, უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი“... როგორც იქნებოდა, ვიგებდა ვასაგებსაცა, რაც რო თქმულიყო, ის არაფერი, რაც არა თქმულიყო, იმას ვაიგებდა, რაც არ ითქმებოდა, მიჰხედებოდა იმასა; ვაიმეორებდა და ვაიმეორებდა, უფრო ხმამალა, მოურიდებლად, არ შეაწუხებდა რა არავისა, — გამოიყოფოდა ვახტანგის ოთახი, აწით ამისა, — კარი ვავიდოდა ფართო ავიანზე, ძველებურზედა, ჩუქურთმისა და მოხარატებულზედა, კბეც იქითვე ჩაეკიდებოდა, იქითვე ივლიდა, თვალში არავის წაეჩხირებოდა, არც ვაებლანდებოდა ვინმეს ფეხებშია. ისადილებდა უშანგისთანა, და მინც აქაც ითუხთუხებდა ქეთლი სამზარეულოში დილა-სალამოსა, იქვე იქნებოდა ყველიცა, კარაქიცა, დროდადრო მაწონიცა, წაეხემსა როცათუ ენება, არც არავის შეაწუხებდა, არც არავინ შეაწუხებდა: ხანთუ მერი დაეხმაურებოდა, მოიკითხავდა, ვაამხნევებდა, წაქეზებდა, გამოიკითხავდა, ვაებზარებოდა იმედი თვითონა, ამას მინც დაამედებდა, სალომესაც დაამედებდა, უშანგი მინც უშანგიაო; დაიმედდებოდა დავითიცა თუ არც ეკითხებოდა, — სპორტისა კეთხეს და ჩამოეხსნენ, მხოლოდ ეს „...ჩხავილი...“ შეაწუხებდა, ბაგეს მიამსხვრევდა, ღრანსს მიამსხვრევდა, ვაიძახებდა: „...მომჩხავის...“ „...მომჩხავის...“ „...მჩხ...“ — ზე გული ამოვარდებოდა, ვაიძახებდა მინცა, მომჩ-

ხავისო, გაიძახებდა და გაიძახებდა, არა-
დაარ მოეშვებოდა, რამეთუ თვით ის არ
მოეშვებოდა, ყორანი იგი ბედისწერი-
სა: და გაიმეორებდა, და გაიკვეთდა,
არავის რო არ შეაწუხებდამეთქი, —

ციციხოს სულ არა, —

გადავიწყებოდა კიდევაცა დავითი,
მწუხარება რო დასჩაგრადა, რო შეი-
ფერებდა იმდენ ზრუნვას დიდებისა,
ალარც არავის მოიკითხავდა. ალარც
გარეთ რო გავიდოდა, აივანი რო აივან-
ნია, აივანხედაც რო არ გავიდოდა, არ
გადაიხედებოდა ფანჯრიდანაცა, რასაც
თუ ეტყოდნენ, იმასლა თუ გაიგონებდა,
ანთუ არც ისე გაიგონებდა, რასაც
მიართმევდნენ, იმასლა თუ მოინებე-
ბდა, საზრდოზე ვამბობ, ან არცთუ
ისე მოინებებდა, დააძალბდნენ ბავშვი-
ვითა, მერელა თუ მოინებებდა, ასე იგ-
ლოვებდა, ჩაიფლობოდა მწუხარებაში,
ანთუ შეშში სიმარტოვისა. და არც ეტ-
ყუებოდა დეიდა სალომეი, მარტოობი-
სათვის რო ვერ გაიმეტებდა, რო მიუ-
ჩენდა დეიდა მერისა, რო დაჰხედავდა
თვითონაც ხშირად, დაუცაცხანებდა
დისწულეზსაცა, ვინმე თუ მისელას და-
აგვიანებდა, ოღონდ ეს მაინც ვერ უშ-
ველიდა განცდასა შიშისა, სიმარტოვის
შიშისა, რო ეცემოდა ძლევამოსილად,
ეძგერებოდა და ქვეშ ამოიდებდა; შორ-
საც იქნებოდა და მარტოც იქნებოდა,
ოღონდ მშობლები რო ეგულებოდა,
თუნდ ცხრა მთას იქით გადაეარგულნი.
თუმცა თვითონ გახლდა გადაეარგული.
გულს მიუფონებდა იმედი იმითი, გაუნე-
ლებდა შეჭირვებასა, სიძნელეთა გაუნე-
ლებდა; გაუნელებდა და ვერ ჩააქრობ-
და, ღამე იქვე შეაშფოთებდა, ღამეი
გრძელი, უჩვეულოდ გრძელი სამზრე-
თელისთვისა, ანთუ ალარ დაძინებდა,
ან გულისხეთქით გამოალიძებდა, მოა-
ჩვენებდა რალაც უცნაურსა, ცათა ნგრე-
ვასა თითქოსაო, ბრიალსა, ბრჭყვიალსა,
ფერთა აღრევასა, სვეტთა საოცართა,
ფერადოვანთა, გრგვინვასა მიწისაო, აგ-
რეთვე თითქოსა, ანთუ ზანზარსა საყა-
როისა, ცასა და მიწას რო გამოფშე-

ნეტდა; პირველად არცთუ გულმოდგინე-
ბოდა ეს პოლარული ნათებაი, ეკოლი-
ნებოდა ლიტერატურითა, გადმოცმი-
თაც ეკოლინებოდა, ეგებ წაფლობდა
ამისთვისაცა რომანტიკული აფოფინე-
ბითა, არ გაუკვირდებოდა და მოიხიბლე-
ბოდა, მშვენიერება მოიხიბლავს ვითარ-
ცა ადამიანსა, მოიხიბლებოდა და მოი-
სურვებდა, გადაეარდნილიყო იმა ელ-
ვაში, ფერთა გრიალში გახლართულიყო,
გარს შემოერტყა ფერი ყველაი, შენივ-
თებოდა, გაქარწყლებულიყო სადღაც
სულ შორსა, პლანეტათა მიღმა, ამ გა-
ლაქტიკის მიღმა, მიღმა სხვათა გალაქ-
ტიკათაცა, ებზრიალა და ებზრიალა, და-
ლუქულიყო, დაპატარავებულიყო, დაწ-
ერტილებულიყო, ქმნილიყო მცირედა,
თვალისათვის უხილავადა, მიკროსკოპი-
თაც უხილავადა, გულში ჩაეხვია უამ-
რავი სხვა ნაწილაკი, კვლავ ებზრიალა
და აფეთქებულიყო. მოულოდნელადა,
ფერებთან ერთად აფეთქებულიყო, და-
მსხვრეულიყო, დაღწილიყო, დაფრქ-
ვეულიყო მთელს სამყაროზედა, მოეკ-
რიბა კვლავაცა ფერები და კვლავაც
ისევე გადმოფშვენილიყო; მოიხიბლე-
ბოდა და უმზერდა თავდავიწყებითა,
დიდხანს უმზერდა, ტებებოდა დიდხან-
სა ელვარებითა ფერებისა, იღუმალეზი-
თა შექისა, უცნაური შექისა, ბევრანი-
რდაც რო ახსნიდნენ მეცნიერნი, რო
ვერ ახსნიდნენ მაინც დაბეჭთებითა,
მაინც რო ირწმუნებოდა ყველა თავი-
სასა, რო უარპყოფდნენ სხვანი და სხვა-
ნი სულ ადვილად, რო უარპყოფდნენ
იმასაცა მალე, დღეს თუ რაიმე დაუჩე-
რებითა: ეს არ მიჰყვებოდა იმა ახსნა-
თა, მოიხიბლებოდა სიღამაშითა, მშვე-
ნიერებით მოიხიბლებოდა, არ ისურვე-
ბდა სხვა არაფერსა, არცა თუ დავასა
მეცნიერთა თუ ფილოსოფოსთა, არცთუ
ხალხურ ვარაუდებსა. ანთუ ნაწყვეტებ-
სა უმეველესი ვარაუდებისა, რამეთუ ის
ხალხი გაქარწყლებულიყო, ველარ მოე-
ტანა სრულყოფილებითა: მოიხიბლებო-
და და ჩაითუტებოდა, განკრთებოდა
რო იგი მშვენიერი, იგივე ღამეი ჩა-
მოწვებოდნენ, იგივე დღეი, ერთფე-



როვანნი, მოსაწყენნი, გაუსაძლისნი, ჩაითუთქებოდა და აღავსებდა იმედი ისევე, მშვენიერების კვლავ მოვლენისა, თუმცა იტყოდნენ, მშვენიერება არა მეორდებაო, ციალი იგი მეორდებაო, ხიბლი იგი მეორდებაო, ხიბლი ამისა, ციკინოსი რალა თქმა უნდა; დაელოდებოდა ცილის ღამეთა, დაელოდებოდა და გააკვირდებოდა, სხვანი სულაც რო არ ელოდებოდნენ. შესჩვეოდნენ და არ ელოდებოდნენ, არც განეცადათ ამისგვარადა, ისე შესჩვეოდნენ, ისე უბრალოდა, თავისთავადა: ეს განიცდიდა, ასდევდა, თავბრუ ეხვეოდა, გაითანგებოდა და ჩაიძირებოდა უსაზღვრობაში, განეფინებოდა სადღაც სულ შორსა, რო ვერ მისწვდებოდა უმძლავრესი ტელესკოპებიცა, აღამიანის გონებაც რო ვერ მისწვდებოდა, სუმთლად ნათელი გონებაცა, არათუ ჩამცხრალი, ჩაბნელებული; ეს იქნებოდა განცდაი იგი უმალესი და უღიადესი, უუმცირესი, გამოუთქმელი დროის ოდენა, მყისვე სამყარო რო შეიძროდა, რო იმსხვრეოდა, რო იფშვხვებოდა, ესეც აგრეთვე რო იფშვხვებოდა, იფშვხვებოდა და არც იფშვხვებოდა, იწეწებოდა, იგლიჩებოდა, იფხრიწებოდა, იფლითებოდა, იჭიჭვნებოდა, იღალებოდა, გამუღმები-თა და გაუნელებლადა: გაეღვიძებოდა ასეთ ყოფაში, სიბნელე შესძრავდა, და შუქს ანთებდა თავის საწოლში ამიტომაცა, ააბრიალებდა ვეება ნათურებსა, ეგრე დაწვებოდა, დაიძინებდა თუ ვერც დაიძინებდა, გაიკიდებოდა სადღაც შეუ-აში ძილ-ღვიძილისა;

ერთიც ვნახოთ და სხვაგვარად იფიქრებდა მერი, ეგონებოდა, დარჩა შუქი ჩაუქრობელიო, შევიდოდა ფეხაკრფითა, მიეპარებოდა ამომრთველსა, და კიდევ კარგი ვერ მოასწრებდა:

— არა!... — შეიძრებოდა ციკინოი, მოაფათურებდა ორივე ხელსა, წიგნი რა მექანო, გულზევე ედო თუ დასცურებოდა, მიაგნებდა, მოიძარჩვებდა, ვითომდა რაო, წიგნსა კითხულობო, ან-თუ უნდოდა, ეკითხა ბევრი, მოქანცვა-მდისა, თუნდაც ჩამდნარიყო ღამეი თე-

ორადა, თუნდაც ძილი დაუფლუნებოდა. მერის სხვაგვარად ეგონებოდა, მერისა კითხულობსო, მერვეკლასელი გოგოსავითაო, რომანებსაო, სხვა არაფერი აღარ ახსოვსო, ეგონებოდა და შესჩივლებდა სალომესა, ანთუ დაასმენდა, — უფრო დაასმენდა, ოღონდ სალომე არ აპყვებოდა ამ შემთხვევაში, წიგნი ჩვენც არ გვაწყენს, ესაა, რო აღარ გვიტაცებსო, თუ აპყვებოდა, ასე აპყვებოდა: მაინც რო თავისას ეცდებოდა მერი, მეტი ზრუნვით მოუვიდოდა თუ სიბრიყვით მოუვიდოდა, ნუ განესჯით ასე, შეიპარებოდა, მიეპარებოდა, „ნუ!.. არა!.. იყოს!.. მე თვითონ!.. დამაცა!“ მოესმოდა უფრო მშფოთვარედა, უფროდაუფრო მომძაფრებითა, ვინ უწყის თუ უგონოდაცა, მოესმოდა და გაიძურწებოდა ცოტა დამფრთხალი თუ დამუჭრებულისა, მე ქალი არ ვიყვე, დრო თუ არ გიხელთოო. და დაუფრთხებოდა ძილი დეიდა მერისა, და უმძიმდებოდა თუ გაუბრუვდებოდა თავი, ჩაუწითლდებოდა თვალებიცა, ზოგჯერ დღიურ ზეზეულადაც ჩასთვლემდა, დაჯდომას ჰო ვერც მოასწრებდა, ბარძაყი სკამს რო შეეხებოდა, ამოუშვებდა ფშვინვასა მაშინვე, შუა სიზმრებში რო იქნებოდა გაბმული, არ მოიშლიდა მაინცა თავისასა, ჯიბრად ექცეოდა ზრუნვაი იგი, ეჩნად ექცეოდა, გაახელებდა წყურვილი გამარჩვებისა და გაიწვედა გამარჩვებისკენა ასე წინასწარ თავბრუდახვეული; გაიწვედა და გაიტანდა, ნათქვამიც ჰოა: დედაცაქმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ზარკამეჩიცი ვერ დააკავებსო. ჰოდა გაიწვედა, ჰოდა გაიტანდა, — მიიპარებოდა გამომრთველთანა კიდევ ერთხელა, აიტუზებოდა, გატვრინდებოდა, სულსაც გაიკმენდდა, გაისუნთქებოდა, გაიღიმებდა, გაიბადრებოდა, მიჯობნიო, გულში იტყოდა საზეიმოდა, ატყდებოდა დაფდაფებიცა იქავე, გულში, დროშებიც იქვე აფრი-ალდებოდა, და ასწევდა ხელსა, შემართავდა ზეიმურადა და გამორთავდა შუქსა. ციკინო შეაკვივლებდა. გული შეუღონდებოდა დეიდა მერისა. და მოსაბ-

რუნებელი გახდებოდა დეიდა მერი. და ისევ ციციწო თუ იმარჯებდა, იღონებდა საღონებელსა ცხადია და რაღა თქმა უნდა. გონს მოეგებოდა დეიდა მერი, ცოტას იცინებდა, ცოტას იცრემლუბდა. იცრემლუბდა და იცინებდა კიდევ, ნემსი დამარტყიო, ასე მოითხოვდა. დამარტყიო. კიდევ დამარტყი, გული ავად მიფანქვალბესო. ეს მერე იქნებოდა, ეს მერმეთქი. —

გავიდოდა დავითი მანამდისა:

წამოაგდებდა კვილი იგი, იქაც მისწვდებოდა იმსიშორესა, წამოაგდებდა და შეაგდებდა ციციწოს ოთახში, ციციწო რო უკვე გამოერყევოდა, რო მისწვდებოდა დავარდნილ დეიდასა, მშველელს რო ინატრებდა და მიეშველებოდა ესეცა დროზედა. ერთად რო ასწევდნენ, დასვენებდნენ რო ერთადა საწოლზედა: მერე ეს აღარც ენდომებოდა, ან არც შეამჩნევდა, ვინთუ შესულიყო, ვინთუ მიჰშველებოდა, გამოცდილიყო ასეთ ამბებში, მარტოდმარტო გამოცდილიყო, ბევრი რამ ენახა, ბევრს გადაპყროდა, ბევრად უარესსა, გულშემოყრილი არ დააბნევედა, — ეს მაინც იღვა, დავითზე ვამბობ, და შეკუურებდა თუ ვითა ჰკრთოდა ლამაზი სხეული თხელ ღამის პერანგში, თხელში, თხელში, სიფრიფანაში, თეთრში, თეთრში, ქათქათა თეთრში, თუ ვითა ჰკრთოდა, ვით ირხეოდა, ვით აიქნეოდა ლამაზი ხელები, ვით დასკურავდა, დასრიალებდა, ვით დასრიალებდა ქოშებიც ლამაზი, წელი ლამაზი ვით მოიქნეოდა, მოიქნეოდა და დაირხეოდა, დაირხებოდა და აიშართებოდა. გაიხლაკნებოდა და გასწორდებოდა, დალაღალელებდა, დამრიალებდა, მერე თუ ვით გაირინდებოდა, ქანდაკაქმნილი გაირინდებოდა, მერე თუ ვით შეთრთოლდებოდა, აქანდებოდა, დაეშვებოდა, გაიხნიქებოდა, გაიწელებოდა, ვითარ თუ როგორა, ამას შეკუურებდა თუ რას იქმოდა, ამდენი არც გავებოდა, შეკუურებდა გამოშტერებული, უარესი რო აღარ ითქმოდა, იმის ახსნაც რო გაკვირდებოდა, ვით მოიკრებდა მაინცა გონებასა, ვით მიხ-

ედებოდა, რო უნდა გასცდებოდა, წესილიყო, გაპარულიყო; გაიპარებოდა ბოლოსდაბოლოსა, ანთუ არცთუ გაიპარებოდა, იტყოდა, კიდევ თუ გკირდებითო და რაღაც ასეთსა, მაინც არავინ გაუგონებდა, არ შეაველებდა არავინ თვალსა. ჰოდა ასე რო გავიდოდა დავითი. ციციწო აუხსნიდა თავის გასაჭირს დეიდა მერისა, დაამიდებდა, მევე დაეძლევეო, სთხოვდა, არა ჰღირს სალაპარაკოდაო, არა ჰღირს არავის შეწუხებდაო: დეიდა მერიც დაეთანხმებოდა უყოყმანოდა, ვერ შეიკავებდა თავსა მაინცა, ვერ შეიკავებდა და იმართლებდა, რო დავეთანხმე, არ დავებრებოვიარ, თანხმობა სხვაა, დაპირება სულ სხვა რამ არისო, — ასევე დაირღვეოდა თვით სახელმწიფოებრივი შეთანხმებანიცა, თვითეული განმარტავდა თავისებურადა, თვითეული გაიშართლებდა თავსა თავისებურადა, მთლად ჰქეყანაც რო დაიქცეოდა. უკვლა დაიჩემებდა უცოდველობასა მამა აბრამის ბატკანივითა, მით უფრო ადვილად გადაუხვევდა შეთანხმებასა დეიდა მერი, ან არცთუ ისე გადაუხვევდა: მოჰყვებოდა თუ როგორ შეუწუხებდა გული, თუ რატომო, შეეკითხებოდნენ, და მოჰყვებოდა მერე ამასაცა გაშლითა და გაზვიადებითა, შიშის ბურკებითა, რაც რო მთავარია, და სიფრთხილესაც ასწავლიდა შიში იგი, დიდთვალემა შიში: შანდლებს გამოსძებნიდა, გაპარიალებდა, დაიდგამდა თავის საწოლში, ციციწოს საწოლშიცა ცხადია და რაღა თქმა უნდა, აანთებდა და ეგრე დაწვებოდა, — ციციწო ელმუქსაც ჰო არ გამორთავდა, დეიდა მერიც ჰო აღარ მიეპარებოდა, უფროდაუფროდაც გაუკრთებოდა ძილი, უფროდაუფროც შესრივლებდა სალომესა, ეთათბირებოდა და ეთათბირებოდა: გადავიღალეო, ახლა სხვამ შემცვალოს, ანთუ დღე ისევ მე ვიტრიალებ აქა, ღამიან სხვამ დაიძინოსო, ანთუ ვიქნები. დაე, ჯანდაბასაო, დღეც აქვე ვიქნები და ღამეცაო, ოღონდ სხვაც ვინმე მომეშველოსო:

დავითი? — იკითხავდა სალომეი.

და აქ მერი აჩურჩულდებოდა, ორნი იქნებოდნენ, მერე რაო, აჩურჩულდებოდა.

მოითმინე ორმოცამდეო, — სალომე მაინც არ დათანხმდებოდა.

და მერიც მოითმენდა ორმოცამდისა, ჯერ ორმოცამდისა.

დავითი ველარა, ველარას მოითმენდა, იქაც რო აღარ ენდომებოდა, ვერც-თუ ვერსაით გადასდგამდა ნაბიჯსა, ბართაშვილს რო ვერას გაუგებდა, ეგ თუ არაფერი, ველარას გაუგებდა რაფიელ ერისთავსაცა, — თუმცა ურჩევდნენ, ჯერ ეს წაიკითხე, ბევრად უფრო ადვილიაო, — ვერას გაუგებდა და იბორიალებდა დაქვჩილი, დაბნეული, შეწუხებული, ანთუ ტახტზე მიეგდებოდა, თვალებს მიაბჯენდა ჭერსა თუ კედლებსა, ალაგ ჩამოშლილ. ალაგ ჩაყვირებულ, ალაგ ჩამავებულ ჭერსა, გამოფუყულსა თუ გამოფხრეწილ კედლებსა, შპალერგამოფხრეწილსა, ვინ უწყის თუ როდემდელისა, სახებიც რო აღარ დაეტყობოდა, ფერიც აღარა, თავისი ფერი, თორემ ისე თუ მართლა ფერია ყველა ფერი, რალაც ფერი მოედებოდა, ფერი დრო-ჟამისა, გულსატრეებისა, უყურადღებობისა თუ სიდუხჭირისა, გამოახლებას რო არ ეცდებოდნენ დიდხანია, ყოველშემთხვევაში რევოლუციის შემდგომ მაინცა, — მიაბჯენდა და დაატარებდა თვალებსა დავითი, დაფეთებულსა თუ დაბნეულ თვალებსა: ხან დაფეთებულსა, ხან დაბნეულსა, ხან გასაქცევსა, ხან დაბნეულსა, თითქოს ნაბეგვსა და ისე დაბმულსა.

VII

სალომეს ყველაფერი ეუწყებოდა:

სალომე უმაღ ზაქრევიოდა, რა თუ მომხდარიყო;

რა თუ მოჰყვებოდა ყოველივე ამასა, ვერ განსაზღვრავდა ისე ადვილად, სალომე რო სალომე ვახლდა, სალომეც ვერა;

ამიტომ ნებაზე ვერ მიუშვებდა, უნდა წარემართა ვინმეს უთუოდა და ამას

უკვე მერის ვერ ანდობდა. თვითმხრეებსაც რმართავდა დეიდა სალომე:

პირველყოელისა, უშანგის იხმობდა, იხმობდა აგრეთვე ფრიდონ გუნდიშვილსა და სოსოსაცა, მამასა უშანგისა, ეს-ზეც რო იმედს ამყარებდნენ ქართული წყალბურთისა, ნიჭიერი ახალგაზრდობა მოდისო, რო წერდნენ, დავიბყრობთ „სამყარო სიმადლეებსაო“, რო აცხადებდნენ, რადიოში თუ ტელევიზორში თუ სადმე გაზეთში, „ლელოში“ თუ „ლელომდე“, თუ „ლელოს“ იქითა, რო აცხადებდნენ თუ რო ჩამოთვლიდნენ, ამისი სახელით დაიწყებდნენ ხოლმე, და რო მოიხმობდა სოსოსაცამეთქი, არ იფიქრებდა. სპარტაკიადისა თუ ოლიმპიადის სამზადისისთვის მიბარებდნო, ანთუ როსთვისაო, არც ამის ფიქრით შეიწუხებდა თავსა, უბრძანებდნენ და შეასრულებდა, ხოლო თუ არ ეკმაშნიკებოდა, დაიფშხალებოდა, დაიშანტებოდა, აბაზღუნდებოდა დაიმასაც უშანგი იცებდა თავში, იმიტომ წინაც არ დაერქობოდა, არც სადარბაზოს შიადგებოდა, ზარს არ დარეკავდა, არ შეაწუხებდა ძვრიფას დეიდებსა, შემოუვლიდა ეზოდანა, აალაყებდა აივანზედა, იმა ძველებურ, იმა განიერ აივანზედა, პიჯაკს გაიძრობდა და გაისრიდა შორიდანვე, გადააფენდა მოაჯირზედა ეგრე გასროლითა, ორბელს გამოსწევდა, გამართავდა და დაპროწილდებოდა: ეს-ლა თუ გამოაცოცხლებდა იმა ორბელსა, იქვე ჩამობმულ რგოლებსაცა, ეახტანგის მერე: თამარი იტანდა, თამარი უძლებდა, ცრემლს მოიწმენდა მორიდებითა: ახლა არავის შეაწუხებდა, ან-და თუნდაც თუ შეაწუხებდა, ვერ მიხვდებოდა სოსოი ამასა, თამარის წუხილსაც რო ვერ მიმხვდარიყო. პროწილდებდა და იკონწილდებდა, დაერქობოდა ყირაზედაცა, ფრიდონსაც ეგრე მიუგდებდა, — აბა რა ეყოლო, ეგრე ყირაზე დათანხმდებოდა დეიდა მერი-საცა, დაველოდებო დეიდა სალომესაო, დაველოდებოდა რალა თქმა უხდა, დაველოდებოდნენ, უშანგიც აქ რო არ გამოსდებოდა, მალიმალ დარეკავდა, მიუღია თუ

არაო, მე მაინც მანდა ვარო; მაინც ერთად მობრძანდებოდნენ, ანთუ უშანგივე მოაბრძანებდა დეიდა სალომესა. მერი ყავას დაახვედრებდა, შავსა, შავსა, ყურუსა, მდულარესა, სერვისსაც ისეთს ვადმოიღებდა, თამარიც რო იხმარდა იშვიათადა, ნასახსოვრესა დიდდა გურანდუბისგანა, ჩინურ ფაიფურსა, მიშხიდველი მიწიატურებითა, შიგნით რო ქათქათებდა, სითეთრეს გამოსცემდა გასაოცარსა, გამკრთალ სითეთრესა, ფერდაკარგულ სითეთრესა; დიატოტებოდა ნალექი ყავისა იმ სითეთრეზედა. დიატოტებოდა, დაიწელებოდა, დიზოლოებოდა, დააბირქვევებდა რო დეიდა სალომეი, ამოაბრუნებდა მეტრე ისევე, ჩააჩერდებოდა იმა ზოლებსა თუ ბწყალებსა, კვანძებსა თუ შენადედებსა. ჩაყურებდა და უბნობდა ისე, დუღუნებდა ისე, ლუღუნებდა ისე, თითქოს წლებს არ დაეზიდოსო;

სოსო გააყვება დავითსა ზღვაზეო, — აღლუნდებოდა ამნაირადა, — ბიჭვინთას გააყვება, ანთუ სოქასაო, მაინც სოქი ვირჩიოთ აქედანვე, ჩვენვე ვირჩიოთ, ნუ შევავადებთ მაგათ სარჩევადო;

სოსო ერჭობოდა ისევ ორძელზედა; შემოდო, უშანგი გასძახებდა;

მესმისო, მიაწვდენდა ხენეშითა სოსოი.

— ე ბიჭო შემოდი! — შეუწყრებოდა უშანგი თითქოსა, ანთუ სოსოსა, ანთუ დავითზე გაგულისდებოდა: ადგეს და წავიდეს, რა ყველგან ძიძები და გადიები უნდაო.

მიუხვდებოდა სალომეი, ანთუ იქვე ამოვიდოდა, იმავე ზოლებში, ბწყალებში იმავეში.

გაისეირნოს სოსომაცაო, მიადვენებდა დეიდა სალომეი, ცურვაც ასწავლოსო, ხელის გაქნევა მაინც ასწავლოსო. ზღვაში თუ არ ჩავა, ისე სოქი აბა რად უნდა, დელფინებს თუ გარს არ მოიხვევს, ისე ზღვაი აბა რად უნდაო. მოადვენებდა და ახბრიდა წარბსა, უშანგი ვითომ რას მეურჩებო.

— ხოსო!.. — გასძახებდა უშანგი

ისევე, აიცილებდა აკიმულუნი ^{სარქვენი} ^{წიქრისწიქრის}
— გა... ვი... გე... — ალბათ ისევე ყირაზე რო იღგა, მიაწვდენდა ხმასა იმგვარადა.

ე ბიჭი მართლაც გვასახელებსო, ჩაიბუზღუნებდა სალომეი, წყრომისადა რაღა თქმა უნდა, იქვე რო არ უჭდა, რო არ შესცქნაოდა, — თავშეკავებითაცა აგრეთვე, ვითომდა იმას არც არად ვაგდებო, მთავარი მაინც ეს ორნი არიან, ის გინდა იყოს, გინდა არაო; და გააქანებდა ფინჯანსა, გააქანებდა და გამთაქანებდა უფრო ფიცხადა, დააბირქვევებდა და ჩააშტრდებოდა, ამოაბრუნებდა და ჩააჩერდებოდა.

— მართლა!.. — შესძახებდა უშანგი.

— რა მართლა?! — მოიღუშებოდა დეიდა სალომეი.

— გვასახელებსო... ეგეც გიწერია?!

— გაიღიმებდა ახლა უშანგი, ისე, ვითომ რო წყრომა მიეუნელოო, მაგრამ ვერაო, ხელს გაიქნევადა დეიდა სალომეი, ფინჯნიან ხელსა, ისე, იმგვარადა, მერი თვალებს დააფეთებდა, აცა თუ საით მიემსხვრევაო.

არ მიწერიოო, არ მიამსხვრევედა ფინჯანს არსაითა დეიდა სალომეი, ამდენს რო ვარჯიშობს, იმაზე ეტყობა, უზრდელობაზეც ეტყობა აგრეთვეო.

რაღაც გაეხირობოდა ყელში უშანგისა, ვერც ამოიღებდა და ვერც ჩაიღებდა, ისღა უშველიდა, რახრახი რო შემოიჭრებოდა. რახრახი კიბისა, ალბათ სოსო რო დაეშვებოდა კისრისტეხითა, ისევე იქითა, ეზოს მხარესა, დაეშვებოდა ისე, იმგვარადა, მეზობლებიც რო გადმოდგებოდნენ, რა ამბავია, რა ლეთის რისხვიაო.

აქ ამას აინუნშიც აღარ ჩააგდებდნენ, ეს ერთი საკითხი ამოიწურებოდა, როგორც რო ითქმოდა ოქმის ენითა, ოქმის სტილითა, გავრცელებულითა, სათავითათი თუ საყოველთაოთი, პოეზიასაც რო შეჰპარებოდა, პროზასაცა უფრო მკვიდრად, და უფროც რო მოუწონებდნენ, ვითარცა იოლსა, გასაგებსა, მისაწვდომსა ყველასათვისა, რო დაფიქრება რო არც უნდოდა, რო გე-



მოვლება რომ არც უნდოდა, რომ განათლება რომ არც უნდოდა, ლამის რომ ჰკუთხა რომ არ უნდოდა. მოუწონებდნენ და დააძალებდნენ, მოერეოდნენ და თავს გამოიღებდნენ. ვითარცა დიდი რეფორმატორები, — ამოიწურებოდა ეს საკითხი ერთი სიტყვითა, გადაწყდებოდა მაღალ დონეზედა, უმაღლესიც რომ თუ ეთქმოდა, რომ წარმართავდა თვით სალომეი რაღა თქმა უნდა, თუმცა ციცილო რომ არ გამოცხადდებოდა, არ შეაწყებდნენ, ოღონდ აქ რომ რაც რომ ითქმოდა, შეუტყუებულვდა დეიდა მერი: გადავიდოდნენ შემდეგ საკითხზე ასე, ამგვარადა, ანთუ განაგრძობდნენ მუშაობასა, ანთუ ეგება აქვე გავასწორო: მუშაობას განაგრძობდნენ: განიხილებოდა სამზადისი მისაღები გამოცდებისათვის. ინსტიტუტებში რომ განიხილებოდა, ანთუ სად აღარ რომ განიხილებოდა, განიხილებოდა აგრეთვე აქაცა, უშანგი რომ მოახსენებდა, სალომე რომ გააფრთხილებდა, მხოლოდ მთავარი გადმოგვეციო, და მთავარიც ეს იქნებოდა: მოეწყობათ, წყალი არ გაუა, ეს ისე ვიცი, როგორც ისაო, ჩვენ რომ აქა ვართ და მზე რომ ცაშიაო: თავმჯდომარეებიც ვიცი, მოადგილეებიც ვიცი, კომისიებიც ზეპირად ვიციო; ოღონდ ესაა, თავმჯდომარედ, ერთ საგანში, რამდენიმეს ასახელებნო, დასადგენია თუ განგებ აზნევენ, ამაზე ვერაფერს მოგახსენებთო, რაც უნდა იყოს ალბათ ის გავა, ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირი ინსტიტუტისა, ადგილობრივიო, დაუეინიათ, ერთი მინც ადგილობრივიო, დაუეინიათ და გაიტანენო: სახელიც დაუგდია ობიექტური გამოცდელისა, პატიოსანი კაცის სახელი დაუგდია, თუმცა ხუთი არ დაუწერია არასოდესა. წინასწარ მშობლებს თუ არ შეპხედრია, — ასეც გვიგობსო; პირველი წერაა და ის არის, რაც არის, ზეპირი იმდენად არაფერიო, იქ ვერასჯით ვერ გადავრჩებით თუ არ შევცვალეთ ერთი მოადგილე. ჩვენი კაცი თუ არ ჩავსვითო:

ნებდა დეიდა სალომეი, ანთუ უნებდა, დაამთავრაო.

- მე ვერ გავწვდები.
- ვინ გიღვას მხარში?
- დეიდა სალომეი.
- უჩემოდ არ იქნება?!
- არა... არ იქნება.
- ღმერთო ჩემო!
- რა კქნა. ვერ გავწვდები.
- რომ აღარ ვიქნები, რა გეშველებათ?!
- წყალი წავგიღებს.
- მე შენი ისეთი იმედი მქონდა!..
- მიეღულებოდა თვალნი სალომესა. მიეღულებოდა და აუთრთოლდებოდა თუ ეთხოვებოდა იმა იმედსა.
- იცი, ღონეს არ დავიშურებდი.
- უნდა გეყოს.
- თავს ზევით ძალა აღარ არისო.
- უნდა აიწიო, უნდა თავი აიტანო ჭერა.
- ჭერ რაც ავიტანე...
- ჰა, ჰა, ჰა... ვინ უნდა ჩაქდეს?
- არის ერთი.
- კომისიაშია?
- არა.
- ჭერ კომისიაში. მერე მოადგილედა.
- პირდაპირ მოადგილედა. — გაუადვილებდა უშანგი ვითომცა, გაიღიმებდა, გაიღიმებდა დეიდა სალომეცა:
- მინც ვინ არის?
- გაგაცნობ.
- არ მინდა.
- მე მინდა.

აიხირებდა უშანგი მინცა, მინც წარუდგენდა, გამოუტყდებოდა თუ რადაც უნდოდა, ოღონდ ეს მერე. ფილარმონიის დიდ დარბაზშია, ელისო ვირსალაძის კონცერტზედა. სალომე რომ მადლობას ეტყუოდა ვენეციური ჰალისათვისა, რომ შეუქებდა გემოვნებასა. გულშიც რომ რაღაც გაპკრავდა ეჭვადა. გამოუტყდებოდა სწორედ მაშინა, დაიხრებოდა და ჩასჩურჩულებდა, როგორი იქნება ციცილოსათვისაო; მერე დღის წესრიგში ეს იქნებოდა უფრო ცხოვლად, ეს იქნებოდა აქტუალური,

— მერე რას უცდი?! — შეაწყვეტი-

ოღონდ ჯერ იდგა მიღების საკითხი. ეზედმეტებოდა სხვა დანარჩენი დეიდა სალომესა, იმასთან შეხედრდაც ეზედმეტებოდა, არა და ამას მოითხოვდა უშანგი, ოქმში ასედაც უნდა შესულიყო, თუ შეადგენდა დეიდა მერი, ძველი ოსტატი საოქმო საქმისა, ერთხანს სკოლაში რო მოჰბეზრებოდა, დაამალუბდნენ და მოჰბეზრებოდა: აქ გასაქცევი არც ექნებოდა. სალომე რო ითავიძლომარებდა, უშანგი რო მომხსენებლობდა, ხოლო ფრიდონი არც ჩაერეოდა, არც მოუსმენდა, არც გაეგებოდა, რასა დაობდნენ თუ განარიგებდნენ რასა, იქვე, სავარძელზე „ჩანგი“ დაჰხვედროდა, ძველი კრებულო, ოციანი წლებისა. აელო და იმას ჩაჰყურებდა, ფურცლავდა იმასა, ამოიკითხავდა გაუგონარ პოეტთა სახელებსა, აწ გაუგონართა, მაშინ ვინ უწყის, ვარსკვლავებს რო ეთამაშებოდნენ, ანთუ ვერცთუ ეთამაშებოდნენ, ასე რო მოსთქვამდა პოეტი — ქალი: ვიცო, მზითვეში არ გამატანთ ვეფხისტყაოსანსო, — ეთამაშებოდნენ თუ არც თუ ისეო, გარდავიდოდა ის სახელები, გაიცრიცებოდა და გარდავიდოდა, დარჩებოდა ამპარტავენება, პატივმოყვარეობა. ქედმალლობა. ასე ამგვარი რამ დარჩებოდა: წამოისხამდნენ სხვანი და სხვანი ჯერ უხმარი ნაბდებივითა, სხვანი 'და სხვანი, ისევე ისე თუ დასაეიწყარნი, ჯერ კვარცხლბეკებს რო მიეტანებოდნენ, ძირს ჩამოჰყრიდნენ ი ძველ ძეგლებსა, თვით შედგებოდნენ ძველ კვარცხლბეკებზე, მიაგტერდებოდნენ მარადისობასა, ვიდრე მოსთხრიდნენ ძირფესვიანადა, კვარცხლბეკებიდან ვიდრე მოსთხრიდნენ; ოღონდ ეს მერე, ჩააჩერდებოდა ფრიდონი ჯერ „ჩანგსა“, ხოლო თუ ოქმის შედგენა იყო, ისევე მერი თუ შეადგენდა. დადგენილებაში მაინც არაფერი ჩაიწერებოდა, სალომე რო არას იტყოდა, გარინდებოდა, დაფიქრდებოდა, სახეზე ფერი აერეოდა, ფერი დასცემდა უამურობისა, რო ვერაფერი მოგვარებულყო უამისოდა, რო უშანგისაც მარცხი ეგარძნო, თვით უშანგისა, თვი-

თონ რო უნდა ჩარეულიყო, ვინც ვინც და, თვითონ ემოქმედა, განკარგულუნებანი რო აღარა ეპაროდა ამისი; ჰოდა ასე გარინდებოდა, ამაზე კრინტსაც აღარ დასძრავდა. ვიდრე ის კაცი, უშანგის რო დაეინებინა, არ გავიდოდა მოადგილედა: ჰოდა ასე გარინდებოდა, გაგრილდებოდა რინდი იგი რინდი სალომესი; უშანგი იტყოდა, ეს არ მოუსმენდა თუ რას იტყოდა. შრიალებდა ფურცლები ფრიდონისა, „ჩანგის“ ფურცლები, სისინებდა სიო დავიწყებისა, ეს არ მოუსმენდა არც იმა სიოსა, მიეცემოდა ფიქრსა ორმაგსა: ერთი, თუ როგორ გავიდოდა იგი კაცი მოადგილედა, რა გზითა, ვისითა, ვისთვის მიემართა, და მეორე, თუ როგორ „დაეუენებინა მეორე საკითხი“, რო ისიც ამას არ დასწოლოდა, რო აჰყოლოდნენ ეს დამფრთხალი ახალგაზრდები უყოყმანოდა, უდრტვიწველადა, უშფოთველადა; წინასწარ აშინებდა ფრიდონი უფრო, აყოლებდაც აშინებდა მისი და ურჩობაცა, ანთუ ურჩობა უფრო ერჩივნა, ჩამოიცილებდა და ის იქნებოდა, დიდი ამბავიო, სხვაც ბეგრე მიგდია მაგნაირი მოქანდაკეო, — გაივლებდა ასეცა გულშია. აღარც იხმობდა, არც გაიკარებდა შორიახლოსა, თავს გაართმევდა უამისოდაცა, ოღონდ ისაა, რო გააწამებდა, ის უნდელი აყოლებდა, ფრიდონს რო სჩვეოდა თუ არ უნდოდა და უარიც ვერ ეთქვა, ანთუ ხათრითაო, ანთუ სხვა გზა რო არ არისო, ანთუ ვინ უწყის რა მიზეზითა, რო არც იტყოდა არამც და არამცა; გაეწელებოდა თუ ფიქრი ამგვარადა, გადაეხლართებოდა და გაეწელებოდა, გაგრძელდებოდა მდუმარებაი რალა თქმა უნდა და თუ მერი დლიურსაც შეადგენდა ოქმთან ერთადა, ალბათ შენიშნავდა, — პირველად ეიხილე ასეთიარად ჩაფიქრებულთათმირხედაო, მეხამეშა და ადგილს ველარა ეპოულობდიო, ავდგებოდა, დაეჭდებოდი, ყავის შემოტანა მინდოდა, დაეჭდებოდი, ციციოსთან გასვლაც მინდოდა და მავიწყდებოდაო, ჭორის რაიმეს მოგონება მინდოდა და მავიწყდებო-

დაო: უშანგი საათს დაკუთრებდა მალი-
მალა, მერე სულაც მიაცოცა თვალები.
თითქოს და რაო, ზედ შეეყინაო, —
შენიშნავდა ამასაცა მერი. ფრიდონის
ფურცელამაც ჰო გული გააწყალა. ნე-
ტავი რაიმე წაეკითხა მაინცა, ფურც-
ლავდა და ფურცლავდა, გააპარებდა
თვალსა სალომეი და გააპარებდა, მეგო-
ნა აი შეუყვირებდომეთქი, — ჩაინიშ-
ნავდა ამასაცა მერი, ოლონდ დლიურსაც
თუ შეადგენდამეთქი; მერე ამასაც მო-
დევნებდა, — უცებ თვალები მომაყ-
რო სოლომემა. უცებვე დაწყნარებული
თვალები, თვალებითა მკითხა და ისეც
მიუხვდი, სიტყუაც აღარ დაუხანებიაო:
— ციციო?! რა იქნა?!

მერიც უმაღლვე წამოიჭრებოდა, შვე-
ბამოგვირილი, გარდასახული, გადახალი-
სებული, წამოიჭრებოდა და მოჰკვირიდა
ციციონსა. ამას უფრო მგრანობიარე-
დაც ჩასწერდა მერი, თავის შიშსა,
მღელვარებასა თავისასა. ეგება ვიტო-
რეო, ისიც ჩაეწერა, ცრემლებს ვეღარ
ვიკავებდითო, ცხვირსახოციც დამეწვე-
ბოდა, თითებითვე ვიმშრალედი ცრე-
მლსაო, — ვინ უწყის ასეც ჩაეწერამე-
თქი. ან ბევრად მეტად მგრანობიარედა-
ცა, დლიურებს თუ შეადგენდამეთქი.
მეც აქ საქმე გამიადვილდებოდა. ამ ად-
გილს ისევე გამმოვიღებდი და აწყვე-
ბოდა მგრანობიარე მკითხველიცა. ამო-
იმშრალედა ცრემლსა ისევე. ისევე თი-
თებით ამოიმშრალედა: რაც იქნებოდა
თუ როგორ იქნებოდა, გამოჰკვირიდა
ციციონსამეთქი, თვალები რო დაპლ-
ლოდა. ძლივიძლივობისას რო ახამხამე-
ბდა თვალებსა:

— რა დაგმართნია? — იკითხავდა სა-
ლომეი.

— ო, როგორა ქარგავს!.. — აღაყ-
რობდა ხელებსა მერი.

— არც გამოიკვირდება დიდება გუ-
რადუნებტის შვილიშვილის შვილისაგა-
ნა.

— მაშიდაცა ქარგავდა... — ჩაურთავ-
და ციციონი, რაღაც რო ეთქვა, ისე ჩა-
ურთავდა.

— დიდება გურანდებტი სხვა ხე-
2. „მედიცინა“, №8.

ლოვნებაა, — არ დაეთანხმებოდა
და სალომეი. — მაშიდაშენისა აბა რა
გითხრა. ის რა ქარგავა იყო, შინაბერას
დარდს თუ ქარგავდა!..

— მე...
— შენ უნდა გათხოვდე!

და იმწუთს უშანგიმ ისე აიხვდა. თი-
თქოს გასცესო. — მოიგონებდა მერე
სალომეი, მე თითქოს მივხვდი, ოლონდ
იმდენს მაინც ვერ მივხვდი. ის კაც
რო იქნებოდა ჩვენი სიძეი, მოადგილედ
ვინც გავიდოდაო. — ამას მერეღა მოი-
გონებდამეთქი, ხოლო იმეამად მიჩერ-
დებოდა ციციონსა. აცა თუ რას იტყუი-
სო: არაფერს იტყოდა, არას მიუგებდა,
არ იქნებოდა არცა ახალი, რასაცა მიუ-
გებდა, რაცთუ მოჰყვებოდა. არ იქნე-
ბოდა არც ისა ახალი, არც ციციონსთ-
ვისა, არცთუ სხვათათვისა. მაინც რო
ასე იმეორებენ დაეინებულადა, ხალი-
სიანადა. მოუწყინრადა, მოუბუხრებლა-
და: გაილიმებდა მხოლოდღა ციციონი
და მიჩერდებოდა იმა თვალითა. სხვა
რამეც თუ იკითო, მიჩერდებოდა სა-
თითაოდა, დეიდა სალომესა. დეიდა მე-
რისა, უშანგისა, ფრიდონსა, ანთუ ამათ
თვალს გადაავლებდა. მიჩერდებოდა
უფრო ფრიდონსა, მიჩერდებოდა, მო-
ცივდებოდა. რას ჩაჰკირკიტებს თუ
ჩაჰკირკიტებს, თუ ჩაჰკირკიტებს და
რადა ფურცლავს ჰიჩარადო: იგრანო-
ბდა თითქოს ფრიდონიცა ამასა, დახუ-
რავდა წიგნსა, გულხელს დაიკრებდა,
„ჩანგი“ გულზე დაედებოდა და თუ
უნდოდა მოადევნებდა: „მაქეს გულს
მიღებული ჩანგი, როგორც შინა“,
ოლონდ ის ჩანგი სხვა იქნებოდა, ასე
მაღე რო არ დაწყდებოდა. ის იქნებო-
და, ოლონდ ეს მაინც არა და არაო,
არაფერსაც არ მოადევნებდა, არცა
ხმამალა, არცა გულშიო, გაუსწორებ-
და თვალსა ციციონსა, აბა თუ რას მე-
ტყვი, გადაეკუთუღარ ყურადღება-
დაო: ციციონი მხოლოდ გაუღიმებდა,
მერე ჰო „ჩანგსაც“ გადაავლებდა თვა-
ლსა, მერე უშანგისა, მერისა თუ სალო-
მესა ისევე და ისევე იმავე ღიმილითა,
ხოლო მერეღა ამოსცდებოდა ოხერაი

მკირედი, ღიმილი იგი წაეშლებოდა, გაიკრიცებოდა, გაფერმკრთალდებოდა. და აი ასე, არაფერიც არ იცვლებოდა, სალომესათვის რო დავევლოთ ყურადღებას. — ასე ოხრავდა თამარისკაცი, დედამისი რაღა თქმა უნდა, ასე რაღაცას აოხრებდა მამამისიცა, აიხირებდა და თან გადაჰყვებოდა, რაოდენ უაზროც უნდა ყოფილიყო, ოღონდ და რაო, — ის მაინც იცოდნენ, რასაც თან უნდა გადაჰყოლოდა. ამისი არა, არც არავის გაეგებოდა, რატომ თუ რაისთვის გაიწამებდა თავსა; და აი ასეთ, არაფერიც არ იცვლებოდა. გამოშტერდებოდა მამამისიცა ასე, აქ უკვე ფრიდონს გადაჰხედავდა დედა სალომეც. გამოშტერდებოდა და დაიკარგებოდა. წუთისოფლისა აღარ იყო. ოღონდ თუ მაინც რისი თუ იყო, ნეტავი თვითონვე თუ იცოდნენ: და აი ასე, არაფერიც არ იცვლებოდა. აი უშანგიო, ამ ქვეყნისა ფეხის ფრჩხილებიდან საქორებდისაო, ამ ქვეყნისა და ამ ქვეყნისაც იქნება. მოეკიდება ფრჩხილებითა დედამისასა, სიკვდილსაც იოლად არ დანებდება, მოეკიდება სამარის კედესა. არა და არ ჩავა სამარეში, თითებშიაც რო ჩანგალს უყრიდეს მთავარანგელოზი გაბრიელით: არაფერიც არ იცვლებოდა. მამამისია, ალბათ ჰაპის ალიკვალისაა. ჰაპისჰაპისაა. რაც უნდა იყოს, ეს მაინც რა არის ამდაგვარი, თავისთვისაც რო ღმერთს არ უქნიაო, — ფრიდონზე იტყვოდა. განეწყობოდა ფრიდონის წინააღმდეგა, ვიდრე „დააყენებდა მესამე საკითხსა“.

ღროს მაინც თუ იხელთებდა მერი. შეახსენებდა შორიდებითა, დადგენილებდა არ მოვილიაო. — მეორე საკითხზე რაღა თქმა უნდა. — ოქმს თუ ადგენდა რაღა თქმა უნდა.

და მიუგდებდა სალომეცა: „ძილებულ იქნას ცნობად“. მიუგდებდა და ამოიჩემებდა ისევ ფრიდონსა, ვნახოთ ერთი და ეგება გამომტყუო, რასაცთუ ვფიქრობ ახლა შენზედაო;

აი და ასე გადაიკლოდა მესამე საკითხზედა:

და თუ დღიურიც ეკნებებდა მამამისსა ალბათ იქ ასე ჩაიწერებოდა: „თავიდან ისე დაიწყო სალომემა, ეგონა უცბადვე აიყოლიებს უშანგისკაცი, ფრიდონსკაცი, მაგრამ არ აპყვენენ და მერე გაანჩხლდა... ძლივს დავემშვიდეთ...“

VIII

ნეტავი და მართლაც შეედგინა დღიური მერისა. გადავიღებოდა ყველაფერი ცხადია; ახლა და რაო, — საკითხავია და კაი გვარიანი საკითხავია თუ როგორ დაიწყებდა ქალბატონი სალომე, როგორ დატყებოდა, რა სიტყვებს შეარჩევდა, თუ რა სინაზით წარმოსთქვამდა თვითიულსა. თუ რა თრთოლავითა, საკითხავია და მწელი მისახვედრი; რა ვუყოთ თუ რაც არის, ბედმა ეს მარგუნა. ეს უნდა ვაღმოვცუ და მივყვები შეცა ვარაუდებსა, მოვიშველიო სხვათა მონათხრობსა, თუმცა მონათხრობსა სხვადასხვაგვარადა, ოღონდ გავერკვევი როგორმე სწორსა თუ ბრუნდში, ერთად გავერკვევით:

რაც უნდა იყოს, ალბათ თუ ასე დაიწყებდა დედა სალომე:

— თქვენ ჩემი შესხენებაც არ გინდათ ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო. — ასე დაიწყებდა. — არც შეგახსენებთ რაღა თქმა უნდა. მე მხოლოდ ცნობის-მოუვარეობა თუ წამძლევს, მხოლოდ თუ გკითხავთ, ხელს ჰო არ გვიშლის არაფერი, მზად თუ ვიქნებით ორმოცი-სათვისა, ლაზათიანად თუ გადავიხდით, თავს ჰო არ შევირცხვენთ, ლაფს ჰო არ დავასხამთ წინაპრებსა, თავს ჰო არ მოვიკრიბო ჩვენა? ამას თუ გკითხავთ. ასე თუ გკითხავთ, არ გამოიწყობით რაღა თქმა უნდა. ეს მხოლოდ შიშია, სისუსტეა ქალური, მხოლოდ სისუსტე მალაპარაკებს, მალაპარაკებს ის იმედიცა, ვაეკაცურად რო გამაშხნევენთ... — ასე დაიწყებდა ალბათამეთქი, ანთუ ვინ უწყის სხვაგვარად დაიწყებდა. ცოტა სხვაგვარადა, მაინც იტყოდა ისე, იმგვარადა, რო ენიშნებინა, თქვენა ხართ რაცა ხართ. თქვენზე ჰკიდია იმედი ჩემი.



რასაც ბრძანებთ, მოგისმენთ დიდი გულსყურითა, მოგისმენთ და აღვივებთ უაღრესი მოწიწებითაო: წააქეზებდა ასე ამგვარადა, ასე ქალურადა და მოხერხებულადა. უფრო ფრიდონს თუ წააქეზებდა, თვალს არ მოსწყვეტდა, არც ღიმილს მოსწყვეტდა, ღიმილსა დეიდისა დისწულითაც რო ეამაყება. იმისი ნიჭით რო ეამაყებაო. ფრიდონი მაინც არ აკყვებოდა, ესაა თუ, — თითს გაუჩრიდა „ჩანგში“, მუხლზე თუ დაიდებდა „ჩანგსა“, მალიმალაც თუ დააჩერებოდა, ემანდ თითი არ გამომიძვრესო, ემანდ თუ არ დამეკარგოს მონიშნული ადგილიო. უშანგი მხოლოდ თავს დაუქნევდა. უბრალოდა, აუკვირალადა, ფრიდონს დააცდიდა, თავისზე უფროსსა როგორცაო, სახელოვანსა როგორცაო, ანთუ თუნდაც იმიტომაცა. იმას რო უფრო შეკლიმოდა სალომეი, დეიდა სალომეი. შეკლიმოდა და განაგრძობდა:

— ეს ქალური სისუსტეცაა და იცით. ეს ჩემი საკუთარი სისუსტეცაა, ჩვევია ჩემი, აპოლონი ყველაფერს მაკოდინებდა, ბეწვისოდენსაც არ გამოსტოვებდა, მეც მომისმენდა ყურადღებითა, ყურადღებდა ჩემს ნათქვამსაცა. ყოველ ნათქვამსა, აღასრულებდა უსათუოდ, რაცთუ მიაჩნდა მიზანშეწონილად და ყველაფერიც მიაჩნდა მიზანშეწონილად, ჩემი ნათქვამი ყველაფერი ასე მიაჩნდა: თქვენ სხვანი ხართ, ჩემო ძვირფასო დისწულებო რაღა თქმა უნდა, ახალგაზრდანი ბრძანდებით, სანუკვარხო, ბევრი რამ შეიცვალა, ხასიათებიც შეიცვალა ეგებისაო, დამოციდებულბაცა, ანთუ თქვენი გყავთ საფერაო, მესაიდუმლე თქვენი გაგაჩნიათ. ანთუ რაც არის თუ როგორც არისო, ერთი რამ მაინც უცვლელია, ქალი რო მალე გამოამელავნებს სისუსტესა, კაცი რო გვიანა, აი ეს მაინც უცვლელია, რო არ დაბადებულა ქალი ამ ქვეყნადა, ერთხელ რო მაინც არ ენანოს, ღმერთო თუ კაცად რად არ დამბადეო, ხოლო კაცი რო არ გაჩენილა, არცერთი კაცი, რო წამოსცდენოდეს, ქალად რად არ გამა-

ჩინე ღმერთოო. ეს მაინც ვერცხვდება და ესაა სწორედ შეგნება სისუსტისა. სიძლიერის შეგნებაც ეს არის. მოვალეობის შეგნებაცა: უნდა მაკოდინოთ, უსათუოდ უნდა მაკოდინოთ. დროულადა, ზედმიწევნითა თუ რა იღონეთ, თუ რა გელობებათ, თუ როგორ გადასწყვეტთ თუ როდის გადასწყვეტთ. უნდა მაკოდინოთ, უნდა გვაცოდინოთ: ციციხო ამდენს ვერც შემოგბედებთ. მით უფრო ცოდოა...

— დეიდა! — მისძახებდა ციციური კრთობითა.

— მომიტმენ გეთყუა, მე უკეთ ვიცი შენდენიც ვიცი და ჩემდენიცაო, იტყოდა ხოლმე დიდება გურანდუხტი. უფროსი იყო, მეტი ენახა. მეტი განეცადა, გამოცდილყო უფრო მეტადა, სითამამეც მოგვარა მეტი. პოდა რო ვიცი, ჩემდენიც რო ვიცი. ეს ისაა, მღელვარება რო ვიცი შენი და ამა შენმა ძვირფასმა დეიდაშვილებმა დროზე რო უნდა გაცოდინონ ყველაფერი: შვილი შვილია, მწუხარე შვილი მწუხარე შვილია. შენი წუხილი მაინც სხვა არის. ახსნა არ უნდათ და ამდენი ლაპარაკიც არ უნდა უნდოდეთ. სიტყვამ მოიტანა და იმიტომ ვამბობ, თვითონ არა თქვენს და იმიტომ ვამბობ, რო არ გაუკვირდეთ, იმიტომ განემარტავ. მოვიშველოებ ქალურ სისუსტესა: ქალი არც გასცემს თავის სისუსტესა, მე ამისიც არ შეშინიან ჩემო ჭკვიანი დისწულებო. არც ისე შეშინიან, და მომიტევებთ თქვენცა, მომიტევებთ დიდულოვნადა: ერთხელ თუ იყო, სულ ერთხელ თუ იყო, აპოლონს თქმა რო დააკვირნდა და მთელს იმ წელიწადს ნაწყენობამ არ გამოარა; და იცოდეთ, მე რო არა ვარ მხოლოდ ასეთი, და არ დაუშალოთ არაფერი ქალსა, და აკოდინეთ დროულადა ყველაფერი ქალსა თუ გნებავთ შეგრჩეთ კეთილგანწყობილება მისი, დაე იცოდეთ თუ არა გცოდნიათ თუ გცოდნიათ და არ დაივიწყოთ. ახლა ბრძანეთ! — მოკვეთდა ასე და მიჩერდებოდა ისევ ფრიდონსა.

და თითი თუ გამოუძერებოდა ფრი-
ფონსა წიგნიდანა, ძებნას დაიწყებდა
იმა ფურცელისა, თითქოს იალონაც
დასჭირებია, თითქოს ამისი პასუხი
არის.

არც უშანგი არაფერს იტყოდა.

— რამ დაგადუმათ?! — გაოცდებო-
და დეიდა სალომეი, გაოცდებოდა და
გაწყრებოდა. კოპებს შეიკრავდა, გამ-
ლიდა და შეიკრავდა, მოიღრუბლებო-
და და მოიკრიალებდა დამცინავადა თუ
შემბრალოდა. სულერთია, მოიკრიალე-
ბდა ისევე ავად.

— აბა რა გითხრა... — დაიბნეოდა
თითქოს უშანგიცა, თვით უშანგიც და-
იბნეოდა, რო მიხედებოდა, უპასუხობა
აღარ იქნებოდა. ხოლო ფრიდონი არ
დასძრავდა კინცსა მანცა.

— როგორთუ რაი?! — აწრიალდე-
ბოდა დეიდა სალომეი, ადგებოდა, დაჯ-
ლებოდა, თითქოს რალაც დაეკარგებო-
და, მიაგნებდა ფინჯანსა, მიაგნებდა და
დააჩერდებოდა, ვითომ ეს რალაა, ვი-
თომ რად მინდაო.

— კიდევ ჰო არ გინდა?.. — მიატან-
და მერი, მიაშურებდა, დაანებებდა
ფინჯანსა სალომეი, თითქოს არც იყო-
და რას დაანებებდა, ვის დაანებებდა,
სად მიაშურებდა.

— როგორ თუ რაი?! — იკითხავდა
ისევ სალომეი და შეეფოთლებოდა შუ-
ბლი, ყვითლად შეეფოთლებოდა.

— შე რა გითხრა-მეთქი, — აწრიალ-
დებოდა უშანგიცა, ადგებოდა, იმე-
წუთს აღარ ჩაქდებოდა ოღონდა, თით-
ქოს და რაო. სიტყვა აიღოო, წამოძა-
ხილს დაასაბუთებსო, თითქოსაო და
ასეც იქნებოდა. — სულერისას თუ ამ-
ბობ. რა სათქმელია. შენ კვირა ბრძანე,
შაბათს შხად იქნება, ქელეხს აუეცდით,
ორმოცი რალაა... შენ კვირა თქვი, შა-
ბათს შხად იქნება ყველაფერი!.. — მო-
სჭრიდა ასე საქმიანი კაცის კილოთი,
გამოცდილი კაცის კილოთი. ცოტა არ
იყოს და შეურაცხყოფილი კაცის კი-
ლოთიცა, აგერ არ იყო. ქელეხი რამ
დავაიწყათო, რა აკლდა რა, ახთუ რა
ნარბი შეიძალაო. ასეც მოსჭრიდა ცოტა

მოდუმული, ცოტა მიმიხედებოდა
ელა რა არის, ემანდ ევანძები არ დაი-
ლართოს დეიდა სალომეს შებლზედაო.
ასეც მოსჭრიდა და ასეც დაქდებოდა,
დაეჭაჯურებოდა სკამსაცა, ვასწევდა,
გამოსწევდა, დაიხობიალებდა და აკრი-
ალებდა.

დეიდა მერი შემოიღრანდა ყავასა.

— სულერაც ვერ გავშალოთ. ცოცხ-
ლობრივ დემარხულვართ და ისაა, —
იტყოდა სალომეი, გაიწოდებდა ხელ-
სა. ფინჯანს ჩამოართმევდა, გადაეყრე-
ბოდა ფოთოლიცა შებლოდანა, მოუ-
რევდა, მოურევდა ყავასა, მოსყამდა
ოდნავა. დასველებდა მხოლოდღა ტუ-
ჩებსა, გამშრალ ტუჩებსა, ვაგრაგნილ
ტუჩებსა, ავად ვაგრაგნილსა.

— ჰოდა... — წამოიჭრებოდა აქა
უშანგი.

— ეგ ვიციო!.. — სალომე მოუჭრი-
და, თითქოს მოსხებდა კიდეცაო, ისე
მოუჭრიდა, მოსხებდა და ჩაეცავდა
ისევ სკამზედა, — საქმე საფლავია... —
თითქოს და რაო, ჩაიდუდუნებდა, ჩაი-
ჩურჩულებდა ისე, აღმათ თუ მიუხედე-
ბოდნენ, ისინი თუ მიუხედებოდნენ,
უცხო ვერაო რალა თქმა უნდა. ვერცა
სოსოი, იმდენ ხანსაც რო დარჩენილი-
ყო.

— საფლავი... — ფრიდონი ამოღერ-
ლავდა, მოეშვებოდა „ჩანგსა“ ბოლოს-
დაბოლოსა, — მოეწყობა...

— ვის უნდა მაგათი მოწყობილი სა-
ფლავი?! — ჩაიჭირკილებდა სალომეი.

— ეისა ჰკითხავენ...

— არც ჩვენა ვკითხავთ!.. — აილე-
წებოდა სალომეი.

— ჩვენ რაი ძალგვიძს?!

— როგორთუ რაი?! — წარბს აქა-
ჩავდა სალომეი.

— აბა თუ რაი?! დამტკიცებულა
სტანდარტები...

— მობეზრდებით, — ხელს ჩაიქნე-
და სალომეი.

— არ მოგვებურდებო... ყოველ-
შემთხვევაში, ვერ მინც...

— და სწორედ ვერვე სტანდარტს
უნდა გადაეუაროთ, მოცულობები იგი-

ვე იყოს, ფორმაც იგივე და არცა იგივე, მაინც ორიგინალური უნდა იყოს!.. — გაიცინებდა სალომეი შეთქმულობითა, ბოლოსდაბოლოს რა გამოტყდაო.

— უინ დავერთავს ნებასა?!

— ვისა ვთხოვთ რო?! — გაოცდება დეიდა სალომეი.

— ხელს შეგვიშლიან...

— არ უნდა შეგვიშალონ, ვერ უნდა შეგვიშალონ, — გაამხნევებდა დეიდა სალომეი.

— ეს სურვილია...

— სურვილიცაა და შესაძლებელიცა.

— წააქეზებდა დეიდა სალომეი, — უნდა იყოს თავისებური, თითქოს არც თუ თავისებური... თავისებური და განსაკუთრებული, ოღონდ თითქოს იგივეაო.

— სიძნელეც მანდაა...

— მჭერა, — აპყვებოდა დეიდა სალომეი, — დაუძლეველი მაინც არ არის.

— დაუძლეველი... როგორ ვითხრა... ისეთი რაღაცაა, ისეთი სტანდარტია, ლამის ვერაფერს რო ვერ მოუხერხებ.

— სტანდარტიც ეგაა. უბედურებაც ეგაა, — კიდევ და კიდევ აპყვებოდა სალომეი, — ვერაფერს რო ვერ მოუხერხებ, რო არ ვინდა და ვერ გადაიგდებ, მაგრამ რო უნდა გადაიგდო?!

— ეეე...

— უნდა გადაიგდო!.. — მოითხოვდა დეიდა სალომეი.

— ვთქვაჲ...

— პო!.. — აჩქარებდა დეიდა სალომეი.

— ვთქვათ მომიხერხდა... ვთქვათ მე გავაკეთე...

— უშანგი? — შესძახებდა დეიდა სალომეი.

— მე ჩავდგამ!.. — წამოიჭრებოდა უშანგიცა მყისვე, ჭარისკაცით წამოიჭრებოდა და მოახსენებდა ხელუბრაშევებული თუ დაქიმული, მოახსენებდა და თითქოს რაო, შესასრულებლადაც უნდა გაიქცესო, ოღონდ დაჭეკიო, დეიდა ანიშნებდა, ისიც დაჭდებოდა აღჭურვილი მოთმინებითა. და ისევ ყავას მოინებებდა დეიდა სალომეი. ანთუ შესვე-

ნებას მოინებებდა, ყავას ვერცხვებდა ამიტომაცა, მოსვამდა თუ არცთუ მოსვამდა, ისევ ტუჩს თუ მოისველებდა. უშანგი ისევ „ჩანგს“ დაეძებდა, დავარდნოდ და დაეძებდა, იქვე დავარდნოდა და იქვეცა ჰპოვებდა, გამოჰპარებოდა, როდისთუ დავარდნოდა, მალეცა ჰპოვებდა, გადაშლიდა გამალებითაცა. ჩაფურცლავდა თავით ბოლომდისა, თვალს მოატარებდა მერე უსასოდა, თითქოს ვერ გავგო, „ჩანგი“ თუ როგორ მოეშორებინა, მერი თულა ჩამოართმევდა, სულაც გაიტანდა იმ ოთახიდანა. მანამდე სალომე ფინჯანს გამოსცლიდა, დააპირქვავებდა. როგორღაც ისე, იღუმალი რხევითა ისეთითა, მაჯის რხევითა, თითქოს ჩაუთქვა, თითქოს გამოიხზო, თითქოს აჩრდილიც მოეშარებო, ცნობა მოაქვს თითქოს მრავალი. ამისი პირით რო გამოაცხადებდო, მხოლოდ ამისი და სხვა არავისიო. ეს მერე ფინჯანი რო ამოპირქვავედებოდა, ანთუ ეგების მანამდისაცა, განცხადებულყო დაფარული მანამდისაცა. თითქოს ამისთვის განცხადებულყო. მხოლოდ ამისთვისა, სხვა არავისთვისა. ამიტომაც თუ შეაჩერებდა ციკნოსა, კრინტს თუ დასძრავდა შეაჩერებდა. — და დასძრავდა კრინტსა:

— მე თუ მკითხავ. დეიდაჩემო...

— აქამდე თუ დასძრავდა კრინტსა.

— სწორედაც შენ არასა გკითხავ, — აქვე მოუჭრიდა დეიდა სალომეი. — ჭერ არა, ახლა არა!..

— მართალი ბრძანებაა!.. — დაუდასტურებდა დეიდა მერი. თითქოს მიაბჯენდა მყისვე ნაქარგსაცა, კარგი რამ გამოდის, ვასაოკარიო.

— ამაზე არც უნდა მელაპარაკა. — განაგრძობდა დეიდა სალომეი, — მხოლოდღა უნდა მომესმინა, უნდაღა მეთქვა. ბარაქალა ბიჭებომეთქი, კარგი ისლა თუ იქნებოდა, თუ ეთქმის კარგი სასაფლაოზე ლაპარაკსა; რაც ეთქმის ესაა, ოღონდ მთავარი მაინც ეს არ არის, ეს თუ რაც არის. ორმოცისათვის თუ გამოდგება, ბოდის თუ მოგვბდის, მერე არ ივარგებს, არა, აღარა, საბო-

დომოდაც აღარ გამოდგება. შენ როგორ გგონი ჩემო კეთილო?! — შეუძახებდა უცება ფრიდონსა, თითქოს ჩაუარდნილსა ფიქრის ორმოში: ამოიყვანდა, ამოიტაცებდა, ჩეხნჯღრუვდა ღუ გამოათხიზლებდა, — საბოდიშოდაც აღარ გამოდგება, და სასაცილოდაც ვავიხდით საქმესა თუ ღირსეულ ძეგლს არ დაეუდგით. დაეუდგამო! ცხადია, ოღონდ მე მინდა... აი ეს უცევე ჩემი სურვილია, ეს ჩემთვის უნდა გააკეთო ფრიდონ, გეთაყვა, საკუთრად ჩემთვისა, დეიდა სალომესათვისა, უნდა გააკეთო ესა ჩემთვისა და გააზარო სხვადაც ცხადია... თუ სასაფლაოც იწვევს სიზარულსა, — აქ დადუმდებოდა დეიდა სალომეი, ამოაბრუნებდა დამხობილ ფინჯანსა, ამოაბრუნებდა და ჩააცეცებდა თვალსა, ჩააცეცებდა და ამოიკითხავდა. თითქოს იქ თუ ამოიკითხავდა, — ჰო მე მინდა და მე გემუდარები, ესეკიზებიც ეგებ იქონიო ორმოცისათვისა, ესეკიზები იმა ძეგლისა, მიმიხვდები რაღა თქმა უნდა, წლისთავისათვის რო გახანორციელებ.

— ესეკიზები... — ამოიტახებდა ფრიდონი ასე. უნებურადა თუ ბუნდოვნადა.

— ჰო... ესეკიზები... — გაურკვევედა თუ დაუბეჭითებდა, დეიდა სალომეი რაღა თქმა უნდა, ეგება მერი. ანთუ ორივენი ერთდროულადა, ოღონდ სულერთია, ფრიდონი ჰო გამოთხიზლდებოდა.

— რა საჭიროა?! — აი ასე თუ გამოთხიზლდებოდა, ვაი ასეთ გამოთხიზლებასა.

— შენგან არც მიკვირს!... — აღშფოთდებოდა დეიდა სალომეი.

— სალომე, გენაცვალე!.. — შეშფოთდებოდა მერი.

— არ მიკვირს!.. — ჩაიღუღუნებდა სალომეი, თითქოს და რაო, ბედს შეურიგდამო, ასე უცბოს თუ მოეჩვენებოდა.

— ნუ!.. გენაცვალე... — ისევ მერი მიადევნებდა, ანთუ უფრო, ამაგმაგდებოდა.

— არ მიკვირსა... — აქ თბრქმის წყლის ლოდ სისინი გაისმოდა და მიიწყებოდა და სიტყვები ფრიდონისა, დინჯი სიტყვები, დინჯი ნათქვამი:

— განხორციელება ჰო უნდა ეწეროს?..

— განხორციელდება!.. — თითქოს ფინჯანში ამოიკითხავდა, ასე ბეჭითად ამოიკითხავდა, გაიმეორებდა ასე ბეჭითადა. გადგამდა ფინჯანსა, მოატარებდა თვალსა გოროზადა, ფრიდონსაც ასევე დააჩერდებოდა, ვითომდა ახლარალას იტყვიო.

— ფრიდონ, გენაცვალე... — შეაცქნავლდებოდა დეიდა მერი, — ფრიდონ!.. ვითომდა რაო, არ ეუაროო.

— ოდესმე, ვინ უწყის... — ანთუ თავისას არ დაიშლიდა, ანთუ თმობდა თითქოსა ფრიდონი.

— წლისთავზედა!.. — დაბეჭდავდა დეიდა სალომეი.

— ეს ბორიაცი არ დასცხრება წლისთავამდისა...

— დასცხრება!.. — თითსლა მიუწვდენდა ფინჯანსა, არცთუ მიიხვდებოდა იქითა.

ველარც მოითმენდა შეპასუხებასა დეიდა სალომეი.

— ფრიდონ... გენაცვალე... — წაესწრაფოდა დეიდა მერი, შემოეცვლებოდა, მხრებზე დააწყობდა ხელსა, ბიბილოებზე თითებს მოუცაცუნებდა.

— თქვას, თქვას, — ნებას დართავდა დეიდა სალომეი, ნებას დართავდა აღარ დააცდიდა. — თქვას თუ რაც უნდა, ოღონდ მე მაინც ეს დამჩინია სანატრელადა, ნეტავი აქამდის მოვკვდარიყავი, ესლა დამჩინია. ნატვრაა განა?! ღმერთო დამიფარე, ღმერთო დაგვიფარე!.. ადამიანობა გახსენებაა, ადამიანობა ისტორიაა, სიამაყეა ისტორიითა, და ისტორია სასაფლაოა, ისტორია სიცოცხლე გახლავთ, ზოლო სიცოცხლე მხოლოდ ისაა, როგორც ამ ქვეყნად რო დაგიტრებენ, როგორც ამ ქვეყნად რო ვაგოხსენებენ. და იცოდე, რო არ დაგიტრებენ, და იცოდე, რომ არ დასდებენ ნიშანსა შენსა, მაშ რა გიყო-

ცხლია, მაშ რამღა გაცოცხლოს, მაშ რალად მოსულხარ ამა ქვეყნადა, გეშრომა მხოლოდღა?! — მოატარებდა თვალებსა დეიდა სალომეი ამა კითხვებითა, ლამის რო ცეცხლი გამოეყარა, ისეთ თვალებსა, და პასუხს გოითხოვდა. ვინ მიუგებდა? ფრიდონი არა, უშანგიც არა. — უშანგის კრებებზეც ვერ გააჩერებდნენ, სულ გაპარვაზე ეჭირა თვალი და გაიპარებოდა კიდევაცა, კრებიდანა ცხადია, აქედან ვერა, ვერ გაიპარებოდა, მიინც გაპარვაზე ეჭირა თვალი, ამდენი ჩიჩინი გულს გაუწვრილებდა. ციციხო საქარეს მიატოვებდა, დაელოდებოდა, ვინ მიუგებსო, დეიდა მერი მაინც მიუგებსო, ოღონდ მიგებისა რა მოგახსენო, დაძვრით მაინც დასძარავდა კრინტსა:

— ფრიდონ... გენაცვალე... — ასე დასძარავდა, მოეხვეოდა მხრებზედა ფრიდონსა, თითებს ტუჩებზე აფარებდა. მოიცილებდა ფრიდონი ფრთხილად, გაულიმებდა ფრიდონი ალაღადა, მერისაცა, სალომესაცა, სალომეს უფრო გაულიმებდა, ეგრეც ეტყოდა, ღიმილითა ალალითა, სანდომიანიითა, შორჩილითა:

- იცი თუ რა ხდება...
- მიტდან ერთნი და მოდიან მეორენი.
- ჰოდა...
- ჰოდა: დაიკავეთ ბატონო ადგილი, შეათანხმეთ საზოგადოება, სხვა რაღა ვნებაუთ?! — გაიკვირებდა დეიდა სალომეი.
- სხვა რაღაო. — გაიკვირებდა ფრიდონიცა აგრეთვე — ეგაა სწორედა შეთანხმება რო ვამხელბულა.
- სასაფლაოა, რო შოარიგებს?!.
- გალიზიანებს უარესადა: ზოგი მშვენიერ ძეგლს რო დაუდგამს, ზოგი ნიშანსაც რო ვერ დაადებს.
- და თუ იქ გასწორდა, გასწორდება აქაც უველაფერი, — ჩაიცინებდა დეიდა სალომეი, — იქ გასწორებულა როდის აქეთთა... — ჩაიცინებდა დეიდა სალომეი. კიდევ და კიდევ ჩაიცინებდა. ისევ მიიღგამდა ფინჯანსა, ისევ ჩააჩე-

რდებოდა ფინჯანსა, ჩააჩერდებოდა აერეოდა თვალი, აერეოდა სახეცა, ჩამოეზიდებოდა ლაბაბი, ჩამოეზიდებოდა და აეგრაგნებოდა, აერეოდა ფერებიცა ლოყებზედა, შუბლზედა, ცხვირზეცა ცხადია, და გასტანდა ასე, ასე უთქმელადა, თავაულებლადა ასე, მერე ნელნელა გადაკრთებოდა ფერები ამღვრული, ჩაიწმინდებოდა სახეი ისევე, დაიძროდა სიტყვი ისევე, დაიძროდა დუნედ დაიძროდა, ოღონდა გამკვთავადა თუ გამჩხავადა გულისა, გაანხნდა თუ ვისთუ გული როგორი ჰქონდა, ეგებ ზედაც არ გაქარებოდა, უოველშემთხვევაში ასე დაიძროდა, — ვისაც ეშინიან, არც უნდა მიმართო, შიშს არაფერი გაუყეთებია არასოდესა, არც გააკეთებს, ვერც გააკეთებს, შიში შიშში უნდა ჩატოვო, უნდა ჩამოეხსნა, ვიცი და მაინც შავიწყლება ხოლმე. სხვა გზა რო არა მქონდეს, კიდევ ჰო... რამდენს ვიციანო, ვინ დამხარდება!.. შემორიალებში ბევრი ვაწაფულა... ადვილდაც შემისრულებენ... მე მოვეულო ერთი სიტყვითა!.. მობრძანდით წლისთაზე არხეინადა.

- აწრიალებოდა უშანგი, თითქოს და ნემსებს უყრიან სკამქვეშაო.
- ფრიდონი არა, არ აწრიალებოდა, მიაჩერდებოდა ჭერსა, ჩუქურთმები რო გამოეყვანა ნაწვიმარსა, იმა ჩუქურთმებს მიაჩერდებოდა.
- შეაქტვრდებოდა ციციხო სალომესა, ხანთუ მერისა, ეეკაცებსა ხანა, ერთსა — ისე აწრიალებულსა, მეორეს — ისე გაქვავებულსა, და მერე ისევ გაქვავებული ამოიტყოდა:
- პროექტს მოგართმევთ...
- არ მინდამეთქი.
- სალომე, გენაცვალე...
- არ მინდა მეთქი.
- როგორც გეხებოს, მე მაინც შევადგენ, არც მოთქვამს, რო არ შევადგენმეთქი, განხორციელებას რაც შეეხება...
- მე ეთქვი!
- შიშიც არ არის...
- მე ეთქვი!

— სალომე გენაცვალე, ეგებ რა უნდა...

— მე ვთქვი!..

— ჰო, მაგრამ მაინც...

— მე ვთქვი!..

და ადგებოდა სალომეი. ადგებოდა უშანგიცა, უკეთუ წამოიჭრებოდა უშანგი და ველარც მოჰკრავდნენ თვალსა. არ გაჰკიდებდა არაფრისა სალომეი, აღარ ენდომებოდა აღარაფრისა, აღარცა ფრიდონი, აღარც მერი, ციციოც აღარა, განმარტობას თუ მოინდომებდა, ცოტა ძილსაც მოინდომებდა, ცოტა ფიქრსაც შემოიკრებდა, დაიხელთებდა მერე აპოლონსა, მარტოღმარტო დაიხელთებდა, დაიხელთებდა და მიაყრიდა, მიაყრიდა და მიაფრქვევდა, როგორი თუ რა უხეირონი ყოფილან ახალგაზრდები, თუ რა უხეირონი ყოფილან თვითონაცა, უხეიროსაგან უხეირო თუ ვით წარმოსდგება, სარეველა თუ ვითაა რო მომძლავრებულა, ვითარ ამყნობენ მათალსა თურაშაულზე, ვითარ თუ როგორა, მიაყრიდა და მიაფრქვევდა, დაუშენდა ვითარცა სეტყვასა. კაკლისოდენასა, კვერცხისოდენასა. ვერც აიცილებდა აპოლონი ამას ვერაფრითა, ვერცა თუ თავის მოკატუნებითა, ვერცა აღერსითა, ვერცა თუ გინდა განრისხებითა, ისე როგორცა, სეტყვა როგორც ვერ აუცილებიათ ყუმბარებითა, ნამდვილი სეტყვაი, — რო უშენენ და ვერაფერი ვერ დაუკლიათ, რო ირეგვება ვენახები კახეთისაი, მაინც ირეგვება, ისევ ირეგვება. და ქუხს ქვემეხები, გვგონება მეორედ მოსვლაი, მეორე მსოფლიო ომი გვგონება: იქ ცა მოილხენს, გადმოიხედება ცალი თვალითა მზეი, აქ ზვრები მოსთქვამს, გასხებილი ზვრები. რაც უნდა იყოს, ვერ აიცილებდა აპოლონი სალომეს რისხვასა, ვერ აიცილებდა და ნუ აიცილებდა, ჰო მისჩვეოდა, — გაუძლებდა იმა ჩვეულებითა, გაუძლებდა და ანუგეშებდა კიდევაცა, მე მოვაგვარებ ყველაფერსაო, ლივლივებენ ჩვენებიცა თუმცა აქა-იქა, ამისთვის მაინც საემარისაო, გავლენაც შეგვრჩა ცოტცოტაობითა, ჩვენი დაზრდილები

არიან მაინცაო, ნუ გეფიქრებდა, არა დარდება, ნუ გენაღვლებდა ჩემო კეთილო, ჩემზე იყოს და მე ვიყოდეო.

„და არცა ნაღვლობდა სალომე ამაზე“, — ჩაიწერდა მერი, დღიური რო ჰქონოდა ცხადია, ხოლო ოქმში დადგინდებოდა, — „დაევალოს აპოლონს...“ და სხვა, და სხვა, და სხვა...

XIX

დაივალებდა აპოლონიცა: საქმეს ფრიდონი გააკეთებდა, მიეწერებოდა აპოლონსაცა, ანთუ აპოლონს მიეწერებოდა საკუთრადა. განუყოფლად, ჩაურეველად, შეუცილებლად: ეს არ იცვლებოდა, აპოლონი არ იცვლებოდა, შევილო სახელი რო მოეხვეჭა, თითი თითზეც რო არ დაეკარებინა, რო არც გაექანებინა თითი, რო არც გაენძრია, სულაც არა. შევილო და რას დააკლებდი, ანთუ რისთვის აუხირდებოდი, როცა თქმულიყო და თქმულიყო ამაყადაცა, — სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსაო, — როცა თქმულიყო და ალბათ ამაზე, აპოლონზე თქმულიყომეთქი, შენ აბა რატომღა აუხირდებოდიმეთქი. ეცოდინებოდა აპოლონს თავისი. ალბათ კარგადაც ეცოდინებოდა, სალომესაც ეცოდინებოდა, აპოლონს თუ რაც ეცოდინებოდა, გულსაც ალბათ დაიმშვიდებდა ამ მხრივ მაინცა და მერე მალე მოველინებოდა მეტი სიმშვიდეცა, სიამოვნებაც მოველინებოდა. ცოტა არ იყოს გაუკვირდებოდა, რამეთუ დაეცადა, სხვებსაც დაეცადათ, თითქოს ასედაც დამღვარიყო წუთისოფელი, დიდი წყენა რო მოჰყოლოდა მცირე სიამესა, მოუსვენრობა ზო მოსდევნებოდა მცირე მოსვენებასა. ალიაქოთი რო წამოსწოვდა მცირე სიმშვიდესა, გაუკვირდებოდა, მაგრამ და რაო, ცხადს ჰო ვერსაით წაუვიდოდა, ცხადსა ცხადზედა: მალე სოსო რო დაბრუნდებოდა, მარტოღმარტო დაბრუნდებოდა და მოახსენებდა დეიდა სალომესა, დავითი თბილისში აღარ ჩამოვა, მოსკოვს თუ ლენინგრადს



მიემგზავრება, სადღაც იქით მიემგზავრება, გემწვიდობებით და მადლობას გიძღვნიითო; გაუკვირდებოდა თუ რაც იქნებოდა, მოეხსნებოდა ეს საზრუნავი, დიდი საზრუნავი მოეხსნებოდა, თავს-მოხვეული მოულოდნელადა, თავსატეხი და კისერსატეხი: ცოტა სინანულს თუ გამოსთქვამდა, სალომეი რაღა თქმა უნდა, ცოტასაც ალბათ თუ დასძრახავდა. დავითსამეთქი რაღა თქმა უნდა, ეს იმიტომ, რომ სოსო ჰყვებოდა, ვილაც გოგოს გადაეკიდა, გადაეკიდა და ისე, იმგვარადა, ისე გამოშტერდა, გამოჩურჩუტდა ისე, იმგვარადა, თუ არ წაუთაქე, ვერაფერს შეასმენ, თვითონ თუ ვინაა, იმასაც ვერ შეასმენ, მხოლოდ იმისილა გაეგება, იმა გოგოსიო, იმისი ჩურჩული, ზრახვანი იმისი, ყურდაჩურთულსაცა, თვალდაბუქულსაცა მხოლოდ იმისილა გაეგებო: გაეგება და ასეც გადასწყვეტსო, მოსკოვს წავალ და იქ ვისწავლიო, თუ ლენინგრადსაო. სადღაც იქითაო ერთი სიტყვითა, — ეს ველარ გაერკვია ისე სწორადა, ეს ამასა, სოსოს ვერ გაერკვია — ვერც მოახსენებდა სალომესა სწორადა: დავითს თუ მაინც სწორად გაერკვია. კიდევ ჰო კარგო, — ამას სალომე დაუმატებდა, ხელს ჩიქნევდა და აღარც ასხენებდა. აღარც არაღის არას მოუხსენდა, რაც უნდა ეთქვათ იმის შესახება, არც მოუხსენდა, არცთუ გულთან გაიკარებდა:

ვერც დაინახავდა, თუნდაც დაენახა: ვერც დაინახავდა თუ ვერც იცნობდა თუ ვინ იქნებოდა, ვინმე ახმახი, თუნდაც თვალწინ რომ ჩაუტარებდა ილიაში ამოჩრილ გოგოსა, ლიფსიტა გოგოსა, გაშავებულსა, გაშხანტლულსა, ბიჭებ-გაშვლუპილსა, გაშიშვლებულსა სანახევროდა თუ მთლად შიშველსა, რომ შემოტმასნოდა ყვითელი ნაჭერი, ვითომ და რაო. კაბა არისო, ყვითელი თმაც რომ გააფართფართდებოდა, რომ უსხიოდა ლურჯი თვალები, — ვერც დაინახავდა თუ ვერც იცნობდა, ანთუ თვალსაც არ მიადევნებდა, ვინც უნდა ყოფილიყო, ვინც უნდა ყოფილიყვნენ, თუნდაც სულაც გამოშვლებულიყვნენ და

ეტანტალოთ, ვინც უნდა ყოფილიყვნენ ეტანტალოთ და ეტანტალოთ: ეს ერთხანსაო რაღა თქმა უნდა, დაელოდებოდა მეტყვიანო, დაელოდებოდა თვალს ამიხელენო, მაგრამ ვერაო, ვერ გაბედავდა ამას ვერავინა. თუ ეცდებოდნენ, სხვას ეცდებოდნენ, დაეფარათ და ვერაფერი გაეგო სალომესა, ანთუ ვითომც მართლაც ვერ გაეგო, როგორც ენება, როგორც ისურვებდა, ოღონდაც ხმაური არ ატეხილიყო, ჩაეგლო ყრუთა, უშფოთველადა, გაეელვა და გადამქრალიყო: ოღონდ უცებ რომ ვერ ჩაივლიდა, რომ დაელოდა მოთმინებაცა დეიდა სალომესა, კიდევაც დაინახავდა და კიდევაც იკითხავდა, დაიბარებდა სოსოსაცა ცხადია, მკაცრადაც დაჰკითხავდა:

დაიბარებდა და აუხსნიდა ისიცა, სოსო რაღა თქმა უნდა, ის რომ დავითი იქნებოდა. ახმახი იგი, ისიც რომ სწორედ ის იქნებოდა. ილიაში რომ ამოეჩრა, ის გოგო იქნებოდა, მოსკოვს რომ ეწეოდა თუ ლენინგრადს რომ ეწეოდა, თუ სადღაც იქითავენ რომ ეწეოდა, აუხსნიდა და ვერც აუხსნიდა, თუ სადღაც იქით თუ ეწეოდა, აქ თუ რატომღა ამოჰყვეს თავიო, ამას ველარა, ველარ აუხსნიდა: მიეშველებოდა თვითონვე სალომეი, თბილისში თუ არა ყოფილა აქამდისა, თბილისის ნახვა თუ მოსურვებია გოგოსაო: დიახაცაო, გაიხარებდა სოსოი პასუხითა, დიახაცაო, ნახავს თბილისსა და გაეშურებო: მერე აქ რატომ მოაბრძინაო, — აუჭრელდებოდა სახეი სალომესა. ეს ჰო ოჯახის შეურაცკყოფაა, როგორ გაგვიბედა, რატომ დაგვწიხლაო: და ისეც ჩაუწყდებოდა ხმაი სოსოსა, თითქოს ენაც დაეკარგებოდა, ეძებდა და ველარა ჰპოვებდა, გამოსცლოდა პირის უბეი: «ეგება ირთავს, ანთუ შეირთო?...» ჩაეძიებოდა დეიდა სალომეი და შესძახებდა ისიცა ისე, როგორღა ისე უცნაურადა, ვითომღა რაო, ენა ჭერაო ვერ უპოვინაო, დიახ და დიახო, ირთავს თუ შეირთო, ამას შესძახებდა: მერე ჩვენ რაო, რაღა მოვალე ვართ?... — იკითხავდა კვლავაც სალომეი, ამას იკითხავდა და განმარტავდა კიდევაცა. —

„ჩვენ ხელი გავუწოდეთ უპატრონო ბიჭსა, ცოლი თუ შეურთავს, უპატრონო როდილა ეთქმის...“ განმარტავდა ასე, ამგვარადა და იმგვარადაც იგულისხმებოდა, ჩვენ ხელი აგვილია, თვითონ ეწიონ თავიანთ გზასაო; მიუხედედბოდა სოსოი ამდენსა, უფრო მეტსაც მიუხედედბოდა, ეს შენა გმართებს, გაუთავაზო გზაი მაგათაო. — აი ამასაც მიუხედედბოდა და კიდევ კარგი რო დაქარგოდა თუ გადაჰყლაპოდა ენაი. თორემ დაალებდა პირსა და აყვირდებოდა, მე რა შუაში ვარ, თავიმც ჭვას ახალონ მაგათაცა და სხვებმაცაო, — აი ასე აყვირდებოდა, უთავბოლოდა, უანგარიშოდა, მერე საბოდიშოდ გაუხდებოდა. მერე წასამახებდნენ და წასამახებდნენ, არ გამოუღვედნენ მაინცა საყვედურსა: — კიდევ კარგი რო დაქარგოდა თუ გადაჰყლაპოდა ენაიო, ოლონდ და მაინც, პირს მაინც დაალებდა, დააჰყვეტდა თვალბსაცა ისე, მართლაცდა რაო, მე რა შუაში ვარო, გაიგონებოდა უთქმელადაცა: ჩვენ ყველანიც შუაში ვართო, მიაღვენებდა დეიდა სალომეი, დარდი ეყოფა თავისი ცოცხონსა, სხვა ყველაფერი უნდა ავაცილოთ, მითუმეტეს თუ ეს უაზრობანი, ეს უჭკუობანი უნდა ავაცილოთო; განუმარტავდა დეიდა სალომეი, ისე მშვიდად განუმარტავდა, ისეთი ხმითა, ლულუნა ხმითა, ლამის ცრემლები წამოეფრქვია სოსოსა:

ოლონდ და მაინც რა უნდა ელონა, როგორ გაეთავაზებინა გზაი თუ არ დადგებოდნენ ისინი გზასა?!

მერე და თორმე არც აპირებდნენ:

შემთხვევით გაიგებდა სოსოი, შემთხვევითაც გადაეურებოდა, ეთქვით თუნდაც გამხირზე რუსთაველისა, ისინი უფრო შორსაც გადიოდნენ, მთაწმინდაო თუ თბილისის ზღვაო, ევ ჰო არაფერი, ნარცყალაო თუ დილოძიო, ეგვც არაფერი, მცხეთასაც გადიოდნენ, კოჭორსაც გადიოდნენ, ძარტყოფსა, ბეთანიასაცა, ანთუ სად არაო, სახელი რო ჭერაც არ ედო, ახალი სახელი, ძველი უკვე რო დავიწყებოდათ, — სოსო მაინც იქ შეხედებოდა, რუსთაველის გამ-

ზირზედამეთქი, შეხედებოდა და დასწრებულ მსაც არ დააციდინენ, არც დაასწორებდნენ, არც დააციდინენ, ხელს წააელებდნენ, დითრევენენ, გოგო დაითრევიდა, მისჩანჩალებდა დავითიცა რაღა თქმა უნდა, მისჩანჩალებდა ლიმილითა გულუბრყვილოთი, და კაფეში ამოჰყოფდნენ თავსა, თუნდაც ივერიის კაფეში, თუნდაც რუსთაველის კაფეში, თუნდაც იქითა, მოედანზედა, სულერთია რაღა თქმა უნდა, გოგო, გვშიანო, გაიძახოდა, პატარა მუშტებსა ეუმშავდა მძაფრად, უბაგუნებდა ერთიმეორესა, ძეხვი მაინც მოატანინე, ყველი აგერ ამომივიდაო; ამოუვიდოდა, იქ ყველი იყო, არც ილეოდა, მაიცვარშია, ჩაის თვითონვე აიდულებდნენ, დალევენენ და გაცვივდებოდნენ, მობრუნდებოდნენ დანქრეულები, ისევ ყველი დაუხედებოდათ; და აი აგერ ამომივიდაო, მუჭებს მიიბჭენდა გოგოი ნიკაპზედა, ნიკაპს აიწვევდა დაეკიშებოდა ყელიცა, შავი, შავი, გაშხანტლული ყელი, მზისა და ზღვისაგან გაშხანტლული ყელი: შეწუხდებოდა სოსოი ცხადია, ჭიბეს მოიფხეცდა და შეწუხდებოდა: გოგო ბოდიშსაც არ დააციდა, ოლონდ ძეხვისთვის იეპაროსო, ლიმონათიც მოგივიდესო, მეტი არ გვინდა არაფერიო, ახლა არ გვირნდა, მერე იყოსო, რაცთუ გემეტება, მერე იყოს, ფული რო გექნებაო რაღა თქმა უნდა: იმაზეც არ იტყოდა უარსა, ამასაც მიირთმევდა, მიირთმევდა მადიანადა, უყეთუ ითქმის, იტენიდა, იღმურძლებოდა, ბურთავდა ლოყებსა, გაშავებულ ლოყებსა, ბოლო ასლიოდა ლოყებზედა; იღმურძლებდა და ტიკტიკებდა ევგო ლოყებგამობურთული, აქ ისე მომწონს, აქ უნდა ვაღმოვიცად, ჩავალ და საბუთებს ვაღმოვიტან უნივერსიტეტიდანო, ანთუ არც ჩავალ, დავბარებ საბუთებსაო, იღმურძლებოდა და ტიკტიკებდა: ასე შეიტყობდა სოსოი, ასე შემთხვევითა და თავზარდამცემადა, შეაჩერდებოდა დავითსა, ამა დავითი თუ რასა ფიქრობსო, — გაუღიშებდა დავითი ალაღადა, მოწონებთა, სიხარულითა, აღტაცებით გაუღიშებდა, გამოიკვე-

თებოდა რამდენადაც თუ, ისიც რო ისევე იღმურძლებოდა, ლოყებიც ისევე რო დაპებოდა, ანთუ უფრორე, უფრო მეტადა, დიდი ლოყები, თუმცა თხელი, ოლონდ გაბერილი, გაბურთული, ლამისთუ აი ვადაფხბრწეზაო, — ასე შეიტყობდა სოსოი, დაიდასტურებდა ასე და დაეკარგებოდა დეიდა სალომესა, ანთუ რა პირით ვამოუჩნდებოდა?..

დეიდა სალომე მინც შეიპყრობდა, ანთუ მიპგვრიდნენ შეპყრობილსა, დაბორკილს მიპგვრიდნენ; ბორკილების აყრასა ბრძანებდა სალომეი, არ უნდოდა ბორკილები, თვალითაც დაბორკავდა, — ზღაპრებში ითქმოდა ამნაირადა, რაინდულ თქმულებებშიც ასევე ითქმოდა, ითქმოდა და ითქმის, თუმცა ბორკილი რალად უნდოდა, ეანგინი ჩაჭვი თუ გაპრიალებული ჩაჭვი, ჩხარუნი ჩაჭვისა რალად უნდოდა, რო დაიბორკებოდა სიტყვითაცა, სიტყვა მისწდებოდა დეიდა სალომესი, სიტყვა ბადრაგადაც გამოჰყვებოდა, სიტყვა დასდრეკდა წინაშე დეიდა სალომესი, აბლუყუნებდა, აბოდიშებდა, წვართნიდან თავი ვერ გამოვიხსენი, გვამზადებენ, გვაჩქარებენ; შეგარჩეს ეგ ტყუილი, თავი დაიშოშმინე. გული გაიმაგრე და უფრო მშვიდად მიპასუხე, გაიფიქრებდა დეიდა სალომეი. არ მოეპყრობოდა ისე სასტიკი გამარჯვებულებითა, ყიროს: რომ ვახლდა, თუნდაც თემურლენგი, მთელი ეს თათრობა ძირფესვიანადა, ანთუ სხვა რალია? — არ მოექცეოდა ისე სასტიკადა. ყავა მოართვიო, მიმართავდა მერისა, თავისი პო დაეპირქვევებინა უკვე, ამოაბრუნებდა, ჩავლებდა თვალსა, მიულულავდა და ჩაპარებდა ისევე, ჩაპარებდა და იკითხავდა ისე, ზრუნვას რო მოჰყვება, მჭკროლვარე ზრუნვასა:

— რას ვაპირებთო, სად ვიცხოვრებთო?.. — შეეკითხებოდა და მიაჩერდებოდა სასოებითა, თითქოს ესაა, მხოლოდ ეს აწუხებს, აღარ იცის თუ რა ილონოსო.

სოსო ფინჯანს მიაჩერდებოდა, სალომესი არა, თავის ფინჯანსა, მერი რო აწ-

ვდიდა, მიაჩერდებოდა თა ვერ ჩემდებოდა, თმევდა, მერისაც ისევე მიაჩერდებოდა, ვითომდნ რაო, რას მეკითხებო; მიეშველებოდა მერიცა უმაღვე, თანაუგრძნობდა დეიდა მერი, თანაუგრძნობდა ამასაცა, იმათაცა ცხადია, ასე რო იტყოდა, ანთუ სალომეს რო მიუგებდა:

— ის ოთანი პო მინც ცალკეა...

— ოთანი როდია აქ საკითხავი!.. — მოილუშებოდა სალომეი, აპხრიდა ტუჩისა, ცალი მხრით აპხრიდა, აბა შენ როდის გეკითხებო. სოსოს უნდა მიეგო, სოსომ არ იცოდა თუ რა მიეგო, არა ჰფარავდა, არა მალავდა, მხოლოდ არ იცოდა, მოახსენებდა ასედაცა, სალომე რო არ მოეშვებოდა, მოახსენებდა და მოელოდებოდა ანთუ რისხვასა, ანთუ დაცინვასა. ანთუ ბრძანებასა ყუყუყმანოსა, ვადასჩებეთ კლდეზედაო, როგორც ზღაპრებშია თუ რაინდულ თქმულებებში, მაგრამ არაო, ისევე მზრუნველი კილო გაისმოდა, მზრუნველი და მბრთოლავი:

— რითი ვიცხოვრებთო?.. — გაისმოდა და აბრთოლდებოდა თითქოს ფინჯანიცა, სოსოს ხელში აბრთოლდებოდა, მიეშველებოდა მერიცა, არ გაუვარდესო; შეატოვებდა სოსოცა ფინჯანსა, ყავა არ მინდაო, არაფერი მინდაო, ერთი დაგიძვრეთ ახლა ხელიდანა, მერე მეძიეთო, გაიფიქრებდა რალა თქმა უნდა, გაიფიქრებდა და მიგებით ამას მიუგებდა: არც ეგ ვიციო.

— ეგება ჰგონიათ, სტიპენდია ეყოფათ?.. — მიეშველებოდა თითქოს სალომეი.

— ეყოფათ... — გამხნვედებოდა სოსოი ცხადია.

— ერთი შენა გყოფნის!.. ერთ დღეს თუ გყოფნის? — შეიცოდებდა ხმა სალომესი.

— იმათ პო ორი ექნებათ!..

— პირიც ორი ექნებათ, თავიცა, ტანიცა. — ჩაიუბნებდა ფინჯანში სალომეი, თითქოს სათვალავიც იქ ამოვიდოდა, — ესეც არ იყოს და რისა ექნებათ, ან იმ ახტაჯანს რისა ექნება, ან

ამას რისა, ჩაიროცხა განა?! ჰკითხვი ამა, ჰკითხვე ყველაფერი, რახან არ იცი, ჰკითხვე და მაკოდინე.

ეს ნიშნავდა, რო წასვლა შეეძლო და გავარდებოდა სოსოი მაშინვე, ცხადია არა თუ საკითხავადა, გავარდებოდა ისე, თავისთვისა, არ ეკითხებოდა, არ ეღარდებოდა, არცა თუ იმათიო, არცა თუ დეიდა სალომესიო, ოღონდ ხელში აღარ ჩავარდნოდა, — და გავარდებოდა, ისე, იმგვარადა, ხელში რო აღარ ჩავარდნოდა დეიდა სალომესა; იმათ მაინც გადაეყრებოდა, — ისინი ჰო დახეტებოდნენ, სადღაც იქნებოდა, გადაეყრებოდა, თუნდაც ჯიხურთანა მეჭლანისა; ანთუ ეს როდი გადაეყრებოდა, დავითი შენიშნავდა, მისდევდა, მისძახებდა, ხელს ჩააგლებდა, შემოაბრუნებდა, მიიყვანდა ჯიხურთანა მეჭლანისა; ი გოგოც ჰო იქ იქნებოდა, იქ იჯდომებოდა გაფარფარებული ოქროსფერი თმითა, გაშხანტლული სახითა და დიდი, შუქიანი, ლურჯი თვალებითა, იქ იჯდებოდა და ელოდებოდა, ანთუ შეჰყურებდა, ქოშებს თუ როგორ უჭლანებდა მეჭლანეი. შეჰყურებდა და უწუნებდა, უწუნებდა და ედაკებოდა, თან ის აფიქრებდა თუ რას გადაუხდიდნენ, აფიქრებდა და უწუნებდა, უწუნებდა და ედაკებოდა; სოსო მხსნელად მოევილინებოდათ. მოიჩხრეკდა კიდევა ჯიხესა, გამოიხსნიდა მეჭლანისაგანაცა, შეუძღვებოდა კაფეშიცა. უთხოვენლად შეუძღვებოდა, ეყოფოდა მეხვისათვისა, ლიმონათისათვისაც ეყოფოდა, არ დააკლებდა ბოდიშებსაცა, ვერ იქნა და ვერ შეგესწარით ხერხიანადო. ფული როცა მაქვს, ვერ შეგესწართო, წაიტრაბახებდა რალა თქმა უნდა, ოღონდ აქ მაინც მთავარი ისაა, რო აღარც ისე იღმურძლებოდა ი გოგოი, აღარცა ტიკტიკებდა ისეთი ხალისითა, კანიც რო გასცრეცოდა. კაბაცა, თმაცა, დახე, თმაცა, განა და მაშა!.. სიტყვაც გასცრეცოდა და ისე ჩლიფინებდა. აღარ გავჩერდები, მომეწყინა, უნდა დავბრუნდეთ: დავითს ყურები ჩამოეყარა, ღეჰავდა და ღეჰავდა, ვერა ყლაპავდა და

ისევე ღეჰავდა, მოაშველებდა და ღეჰავდა და ღეჰავდა, ვერც ესა შეელოდა, ღეჰავდა და ღეჰავდა, მერე ახველებდა და ღეჰავდა ისევე; აი ასეც რო გადაეყრებოდა, სოსოი ცხადია, მაინც არაო, არ გამოუჩნდებოდა დეიდა სალომესა, ეღელვა იმდენი, რამდენიც ენება, ეს სალომესა, არ ეკითხებოდა, არ ენალვებოდა, ეს სოსოსა რალა თქმა უნდა, თუ არ შეიპყრობდნენ, თუ არ შეჰკოჰავდნენ თუ არ მიჰვერიდნენ ეგრე შეკოჰილსა, ოღონდ ეს ჰო ზღაპრად თქმულაო.

მერის ისედაც ეუწყებოდა, მერე მერისგან ჰო სალომესა, ოღონდ მანამდე ახალგაზრდები ჩაიფერხავდნენ შინა უთუოდა, ველარ ირბენდნენ თუ ველარ იტანტალვებდნენ. დაიღლებოდნენ თუ სხვა მიზეზი რამ გამოჩნდებოდა, ანთუ ერთმანეთი მობეზრდებოდათ, ანთუ ერთერთს მობეზრდებოდა, — მომეწყინაო, გოგო ჰო ამბობდა, — ჯერ თვითონვე ვერ გაერაკეოდნენ, ჯერ მხოლოდ შინ ჩაიფერხავდნენ, ეითომ წიგნი მოენატრებოდათ. დასვენება მოენატრებოდათ. ოცნებანიც თუ მოენატრებოდათ წიგნებთან ერთადა, მერე რალაცაზე შეკამათდებოდნენ, ათას რამეზე რალა თქმა უნდა, ოღონდ ითქვას რალაცაზეო თუ რაზეო ნუ გამოუვლდებოთ, იმდენი წერილანია, დაგვამნევს წერილავები, გავიხლართებით და ვერ გამოვეხსნებით. ჰოდა ეს ითქვას. — რალაცაზეო, მით უფრო მერიმ რო არც იცოდა თუ რაზეო, მხოლოდ ხმა მოესმოდა შემალვებული, კვილიც მოესმოდა, წივილიცა, ბუხუნიცა, უფრო ბრაბუნეი. მიხეთქება მოესმოდა მაკივარისა, სამზარეულო ზანზარებდა, ამოიხედებოდნენ ქვევით მოსახლენი, მეხის ტეხვია თუ რა ამბავიაო; მოერიდებოდა მეზობლებსა მერი, ანთუ ესენი შეეცდებოდა, — შეუმატებდა კიტრსა და პომიდორსა, ქორფსა, ყველაზე ქორფსა. ბაზარს მოვილიდა საგანგებოდა; დაწყნარდებოდა მაკივარი, მოიკლებდა შეკივლებაცა. არცთუ დიდხანსა რალა თქმა უნდა, გაბზარულ სიყვარულს, აცეტებულსა და გაბზარულ სი-

საქართველო
საქართველო

ყვარულს ჰომიდორი ვერ დაეწამლებო-
და, ვერცა ქორფაო თუ ვერც ჩამწიფე-
ბული, ქორფა კიტრიც ვერ დაეწამლე-
ბოდა და იხათქუნებდა მაცივარი ისევა,
მაცივარზე იყრიდნენ ჯავრსა, ანთუ წიგ-
ნებსაც დაუშენდნენ ერთიმეორესა; ეს
ვარაუდი იქნებოდა მერისა, არ შეიხე-
დავდა, ხმას არ მიაწვედნდა, არ ჩაერე-
ოდა რალა თქმა უნდა, მიუბურობდა
მხოლოდლა ყურსა და მაცივარი რო
ზრიალებდა, უზრიალებდა იმასაცა ყუ-
რები, უზრიალებდა და დასხემდა ასეცა,
რო აღარ ზრიალებდა. რო აღარა ხათ-
ქუნებდა მაცივარი, ხელებს აიფარებდა
და უფრო ზრიალებდა, არ აიფარებდა
და უფრო ზრიალებდა, დასხემდა ასე,
დიდხანსაც გაჰყვა, შეაჯგრა ექიმებიცა,
მერე გაუჭრა უეცრად, რო მობეზრდა
ექიმებიცა. წუწუნიც მობეზრდა, ისიც
გაუჭრა, ის ზრიალი, ის, ის უცნაური
ხათქუნი მაცივრისა, — თითქოს სუსტი
გოგონა ჩანდა, მაცივარს ისე მიახეთ-
ქებდა, კარებსა ცხადია, გეგონებოდა
გოლიათი ვინმე მოსულა და მაცივარი
ვითომ რა არისო. მთელს შენობას წა-
მოიკიდებს თუ მოისურვა, ანთუ ერთი
ნეკითაც ასწევსო; რაცა თუ როგორ-
ცაო, გაჰმდავდა დაეითი როგორმე,
სახეზე აღმური აეკიდებოდა. აუკანალ-
დებოდა ხმაცა და ეგრევე გაჰმდავდა, ან-
თუ შეჰმდავდა დეიდა მერისა: ბილეთის
ფული რო მიმაცემინა... ამას შეჰმდავდა,
მეტს ვერასა, წაუვიდოდა ხმაი, გაუჭრე-
ბოდა; და გაამხნევებდა დეიდა მერი,
ვითომც მოუჭრიდა და ეგრეც მოუჭრი-
და: თვითმფრინავითა?.. — მეტს არც
ეტყოდა, შეტრიალდებოდა, გამოუცუხ-
ცუხებდა ფულსა, მადლობასაც აღარ
დაუცდიდა, არ შემატყოს თუ როგორ
გამეხარდა. უხერხულია, არ შემატყო-
სო; მოცდაც როდილა მოუხერხდებო-
და, სიხარული აღარ დააცდიდა, თვი-
თონ რო მოაგვარებდა ამ საღონებელ-
სა, ამის სიხარული აღარ დააცდიდა,
ეწეოდა ტელეფონიცა, გადმოეყარა
გრძელი მკლავები, გადმოეგდო მსხვი-
ლი ბაგრი და ეწეოდა, მალეო, მოდიო,
არიქა მოდი მოდი ჩამძახე, არიქა სა-

ლომეს შეატყობინეო: შეატყობინეო
ესეცა ცხადია, ჩასძახებდა და ჩასძახე-
ბდა, აღარ დააცდიდა: იმასაც რო ეთქ-
ვა, იცინოდა: ხითხითებდა, ჩაუჭკუჭ-
დებოდა, აღარ დააცდიდა ერთისიტ-
ყვითა, ან თუ რაო და, რალა დაეცლია,
ჰო იცოდა რო მოუწონებდა, მაგრამ და
რაო, რალაცა სხვა გაისმოდა, წყრომა
გაისმოდა. დაიზრიალებდა ტელეფონი
უკმაყოფილოდა:
— ფული მიეცი?!. — ამა შეკითხვას
დაიზრიალებდა უკმაყოფილოდა;
— ჰო!.. — მიუგებდა ისევ-ისევ აღ-
ტაცებითა, ისევ ისეც ჩაუჭკუჭდებოდა
და მოესმოდა იმა ეუჭკუჭში:
— ქალი დაბერდი და ქაუა ვერ ის-
წავლე!.. — ასე მოესმოდა და გაითიშე-
ბოდა ტელეფონიცა: დაჰყურებდა სას-
მენსა. მერი ცხადია, ყურზეც მიიღებ-
და, ისევ დაჰყურებდა და ისევ მიიღებ-
და ყურზედა, მაგრამ და რაო, ვერც და-
ინახავდა, ველარც ველარაფერს გაიგო-
ნებდა, იმა ხმის გარდა გათიშულმა
ტელეფონმა რო იცის, არცთუ სიხარუ-
ლი შეაშრებოდა სახეზედა, გათიშული-
ყო სიხარულიცა, მაინცა ზუოდა. ვიდ-
რე მიჰქრებოდა, მიიფერტლებოდა თა-
ნდათანობითა, მიიფერტლებოდა და მო-
ეცობოდა ბოღმადა ყულსა: განა თუ რა
დაეშავებინა მერისა?.. ეგრე ადვილად
ვერ გააჩკევდა, და მერე რო გულმო-
სული დარეკავდა, რატომ მითხარი თუ
რა მითხარიო, იქიდან მხოლოდ მოფე-
რებითლა მოესმოდა. მოფერებითა და
აღერსითა:
— არ უნდა მიგეცა ფული, გენაცვა-
ლე...
და ამასაც რო ვერ გაიგებდა. მერი
ცხადია, რატომაო, რო ჩაეძიებოდა
აღელვებული თუ გულაჩუყებელი, მო-
ველინებოდა მეტი აღერსითა. ჩაუსრი-
ალებდა ყურში აღერსითა:
— შენ უნდა გეყიდა ბილეთი... —
ჩაუსრიალებდა და გაითიშებოდა.
მერეა ჩასწვდებოდა მერი ამ აზრსა.
მერელამეთქი, რო არ წავიდოდა ი აბტა-
ჯანა გოგოი. რო ისევ გაგრძელდებოდა
თუ გამეორდებოდა იგივეი. — ისეც

რო გაცივოდნენ დილიადრიანა, მობრუნდებოდნენ გვიანლაშინა, ისევ რო ჩაიბუღებდნენ შინა, ისევ რო დაუშენდნენ წიგნებსა ერთმანეთსა, მაცივარიც რო აჯახუნდებოდა და სამზარეულოც რო აზრილდებოდა ისევე, რო გამეორდებოდა ყველაფერი ერთი სიტყვითა, რო წარუდგებოდა დავითი ისევე, ალუწილი, დარცხვენილი, ხმაგაღუული. — ის ასე მოხდაო, რო აუხსნიდა ნაწყვეტ-ნაწყვეტადა, თავისი ჭოშები სულმთლად გასცვივდა, სანდლეტი იყიდა იმ-ფულითათო, ფეხშველა ჰო ვერ წავიდოდაო, — აუხსნიდა ასე, ამგვარადა, — ახლა წავაო, ფული რო ჰქონდესო... — ასე, ამგვარადა, — თქვენ ნუ გეფიქრებთ, ჩველ თუ არა, გამოვგზავნიო... — ასე, ამგვარადა, — ნუ გეფიქრებთ თუ არც გამოვგზავნის, მე არ მივდივარ, მე გადავიხდით... ასე არ იქნება... გადავიხდით... ფული რო ჰქონდეს.. ასეა, ამგვარად მოახსენებდა ამოვლებული ჭირის-ოფლშია, მერი მაინც რო არ შეიცოდებდა, ცუდად რო ეტყოდა, მშრალად რო ეტყოდა, —

— ბილეთს მე მოგიტანთ, — მაშინ-ლა ჩასწედებოდა ნათქვამსა სალომესი, შორსმკვერტელობასა სალომესი, თვითონ აღარ აფოფინდებოდა, ისევ მიუპყრობდა ყურსა სალომესა; აღარც აპყვებოდა დავითსა, მონანიებდას რო დაიწყებდა დავითი, მერე ცხადია, რო გავეცლებოდათ ი აბტაჩანა გოგოი, აბტაჩანაი თუ იმედ გაცრუებუელიო, — რაც უნდა იყოს, რო გავეცლებოდათ, რო მიხედებოდა დავითი შეცდომასა, — აღარ აპყვებოდა, ადვილად არა. არც არას ეტყოდა და არცა ჰოსა, არცთუ გაიქნევდა თავსა, არც დაიქნევდა რალა თქმა უნდა, მოსმენით მოუსმენდა ზრდილობის წესისადა, არ უთანაგრძნობდა, არ დამშვიდებდა, არც მიუტყვებდა, არც გაკიცხავდა: და მოინანიებდა ისიცა, დავითი ცხადია, მოინანიებდა და მოინანიებდა, არ ვიცი თუ რა დამემართაო, როგორ მოვიხიბლე, როგორ მოეჯადოვდი, რას ვჩადიოდი თუ რას დავემგვანე, არ ვიციოდი და არც ახლა ვიცი, ოღონ-

და ესაა, რო გამოვფიხობდნენ შეგნებდნენ თუ ვით შეურაცკეყვეთ, ზნე უნდა გეყვეთ, არად ჩავაგდეო, ცუდად გავიგე სტუმართმოყვარეობა, ცუდად გავიგე წესი, ადათი, ცუდად გავიგე და ცუდად მოვიქეციო; ყველაფერს ჯადოს ვერ დავაბრალებ, ჩემი ბრალიცაა. ანთუ უფრო ჩემი ბრალია, ჩემი გაუგებრობის ბრალი უფროა, ჰო გავიგე და აღარ შევცდებიო; თქვენც გამიგებთ და შემივრდომებთო; უშანგიც რო აღარ გამოჩნდა, უშანგის მაინც რო გავეფრთხილებინე, თუმცა და რას ვამბობ, მაშინ არც იმას გავუგონებდი, ტყუილად გავხვევ იმასაცა ბრალშიო; მოინანიებდა დავითი ასე, დეიდა მერისთან მოინანიებდა, და არ ალუთქამდამეთქი არაფერსა დეიდა მერი, არც აგრძნობინებდა. თავს მამბურებო.

აღარც ეცლებოდა მერისა, არც სხვებს ეცლებოდათ, ორმოცი მოადგებოდათ კარსა, მოადგებოდათ ისე უცება, თითქოს და ვერაფერს ვერ მოასწრებდნენო...

X

მაინც მოასწრებდნენ...

აქ არაფერი შეიშლებოდა, კელას ეცოდინებოდა თავისი საქმეი, -- რალა თქმა უნდა, არც არავინ დაიზარებდა, -- რალა თქმა უნდა, არცთუ ძალღონეს დაიშურებდა, არც თავის ხარჯს მოერიდებოდა, თვითვე გადასწყვეტდა გადასაწყვეტსა, არავინ არავის დაელოდებოდა, -- რალა თქმა უნდა! აეწყობოდა ასაწყობიცა. აეწყობოდა მარჯვედაცა, დროულდაცა. მოვიდოდა მომსგლელიცა დროზედა, არც არაფერი დახანდებოდა, არც არავინ დახანდებოდა თუ ფეხზე იდგა, ანთუ სადმე არ გამოეკტილიყო, ანთუ არ ვახლდა სადმე შორსა, მოუსავალში, ანთუ დროზე მოუსავალში. მოეწყობოდა ერთისიტყვითა, მოესწრებოდა ერთისიტყვითა.

ვერნისაეიც მოესწრებოდა...

გამოიფინებოდა პროექტი სასაფლაოსი, წინა დღით თუ არა, იმ დღით

მინცა, გამოიფინებოდა უსათუოდა. მიუსამიძრებდნენ კიდევ ერთხელა ციციონსა, მიუსამიძრებდნენ და ანუ-გეშებდნენ, რა ვუყოთ ყველანი სიკვ-დილის შვილები ვართო, რა ვუყოთ ასეაო, ანუგეშებდნენ და წაიტირებდ-ნენ, წაიტირებდნენ და მოიწმენდნენ ცრემლსა, ანთუ ისევე, ისე ცრემლიანნი მიაჩერდებოდნენ გამოფენილ პროექტ-სა. მთლიანსაცა, დეტალებსაცა, ანაზო-მებსაცა, ხარჯთაღრიცხვასაცა, მიაჩერ-დებოდნენ და ჩურჩულებდნენ, ჩამოპ-ყვებოდნენ და ამოიძახებდნენ, როგორ-ღაც ისე-ო თუ რაღაც ისეთსა. გაიგებდი, ვითარცთუ გენება, მიწონებაღაც გაი-გებდი, დაწუნებაღაცა; ოღონდ და რაო ჩამოპყვებოდნენ. იმაზე ითქმოდა, ორი პროექტი რო წარმოსდგებოდა, ანთუ ფრიდონი რო წარმოსდგებოდა ორი პროექტითა, — აერჩიათ რომელიც ენე-ბათ, — იმაზეც მზად იყო, სხვაც რო შეედგინა. თუნდაც თავისი გემოვნები-თა, თუნდაც რჩევითა ამათითა, ერთისა თუ ორისა, მეტისა თუ ყველასი ერთა-და, ვითარც ისინი შეთანხმდებოდნენ, ანთუ რომელს დაუჭერებდნენ.

ჰოდა ასეო, მოესწრებოდა ვერნისაეი-ცა, იქნებოდა ვინმე ეურნალისტიცა, ანთუ სტუდენტი საეურნალო ფაკულ-ტეტისა. „ეურნალისტიკისა“ რო დაურ-ქმევიათ, — ჰო აღმოჩნდებოდა ეურნა-ლისტიცა, ანთუ იქვე, დეიდაშვილთა შორისა, ანთუ შემონათესავებულთა შო-რისა. აღმოჩნდებოდა და ჩაიწერდა, — თუ ჩაიწერდა რაღა თქმა უნდა:

„ვერნისაეზე წარმოსდგენენ...“ და სხვა და სხვაო.

ჩაიწერდა როგორ თუ რაგვარადა, წარმოსდგებოდა აპოლონი პირველ-ყოვლისა; ანთუ ის იქნებოდა, ფაციფუ-ციოთ რო შეეგებებოდა მოზრძანებულთა ორმოცუნდა, რო წარადგენდა ციციონს-თანა, ჩაზინდულ კუთხეში სასტუმრო დარბაზისა, რო მოუსვენრობდა, ვიდრე მორჩებოდნენ თანავგრძნობის გამოხატ-ვასა, მოვონებასა, ჰირთა თქმასა, ცრე-მლის წმენდასა, რო ჩამოატარებდა პროექტების გასაცნობადა, რო არც და-

აცდიდა. შთაბეჭდილება რო გამოიქმენებოდა ვათ თავიანთი, საეუთარო, ეს და... ურთავდა და დაურთავდა თავისასა, სა-წინააღმდეგოს არ ათქმევინებდა. თუნ-დაც რო დაესწრო რომელიმესა, მინც თავისას რო გაიძახოდა, ოღონდ თუ მა-ინც, რაც რო შთავარიო, რო გაასაღებ-და ღვაწლადა თავისადა, ფრიდონს შე-გირდად თუ დასაზავდა, ანთუ სულაც არ გამოაჩენდა; რო მოითხოვდა ურთ-ღლებასა, მერე ცხადია, თავს რო მოიყ-რიდნენ, მოპატივებულნი, რო წარმოს-თქვამდა ვრცელ სიტყვასა, შესავალ სი-ტყვასა, რო მიიწვევდა ორატორებსა; მიიწვევდა თუ თვითონვე მიიწვევდნენ მოხალისენი მიტინგებისა თუ თათბირე-ბისა, ანთუ უკეთუ თავგამოჩენისა. მი-იწვევდნენ და სცვლიდნენ ერთმანეთსა. გამოხატავდნენ მოწონებასა, ერთ-ერ-თისა რაღა თქმა უნდა, არ იწუნებდნენ არცთუ მეორესა. ექვსაც გამოსთქვამდ-ნენ. საჭიროა თუ არა ესაო, ჰო არ დად-გა დრო, დაუბრუნდეთ ძველებურ უბრალოებასაო; თუ გამოსთქვამდა, პენ-სიონერი გამოსთქვამდა ამასა, რიგითი პენსიონერი, წვერი საბჭოსი რომელი-მესი, პენსიონერთა რაღა თქმა უნდა, ოღონდ თუ რომელ ორგანიზაციასთან არსებულისა, დაზუსტებას თუ ეს მოი-თხოვდა; დაზუსტებდა ეურნალისტი აღმათ და უსათუოდა. გაიკითხავდა, გა-მოიკითხავდა; გამოიკითხავდა იმა შემ-დგომსაცა, სულაც რო უარყოფდა სა-საფლაოსა. საფლავების მოწყობასა, ხარჯის გაღებასა, ძვირფასი მასალის განიავებასა, — საკავშირო მნიშვნელო-ბის პენსიონერიო, გამოიკითხავდა და ასე მიაწერდა, — მხარს დაუჭერდა რე-სპუბლიკური მნიშვნელობის პერსონა-ლური პენსიონერიცა. ნიავდებო, ნიავ-დებო, ახიბრებდა და აღარც ჩაიღებდა ხმასა, ხავანა ხმასა. აღარ ჩაიღებდა; არცთუ შეეკამეთებოდა არავინა, შემო-ნათესავებულთაგანი თუ იქნებოდა. ესე-ცა, ისიცა, ისიცა, არ ახიბდებოდნენ ასე შინაურნი, ძირისეულნი, ძირი ძი-რეულნი, რაცთუ თავისითა, არცთუ რი-დითა დეიდა სალომესი, რო მოსჯლო-

მოდა ციციხისა, კბილებამდე შავებში ჩამჭდარი, განაცრებული, თვალჩაბინდული, რო არას იტყოდა, არცთუ ეს-მოდა არაფერი თითქოსა. ოღონდ მერი რო მაინც მიხედებოდა, ესენი ვილამ მოიწვიაო. ანთუ სუფრაზე თუ არ დარჩებიან, თუ გაბრუნდებიან სასაფლაოდანვე, კალთები არაეინ შემოახიოსო; არაო, ჩაითქვამდა მერი. ჩაითქვამდა და, ოღონდ და რაო, თვითონ ჰო უთუოდ შინ დარჩებოდა. იქ დაბარებით ვერ დააბარებდა, დაავიწყდებოდა თუ რა იქნებოდა. პირველნი ისინი დაერქობოდნენ სუფრაზედა და სალომე გარჩილდებოდა, შეპროჩილდებოდა ზღრუბლებდავე, გაბრუნდებოდა ციციხელადა, ისინი არაფერი, ვითომდა არაფერი, ჭამდნენ, სვამდნენ, დაიგემებდნენ, მასლაათობდნენ; სალომე ამას აღარ მოისმენდა. თადარიგს დაიჭერდა წლისთავისათვისა, თვალთ აღარ დამანახოთო; აღარც დანახებდნენ, ერთი კიდევაც გარდაიცვლებოდა მანამდისა, ანთუ საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, ანთუ ჩვეულებრივი პენსიონერი. ანთუ რესპუბლიკური მნიშვნელობის პენსიონერი, სულერთია რაღა თქმა უნდა, მთავარი ჰო მაინც ესაა, რო არ გამოაჩენდნენ წლისთავზედა. არცთუ მიიწვევდნენ სალომესა იმის დარჩალეაზედა, არც შეატყობინებდნენ, მერე თუ ვინ უწყის როდისა, — გარდაიცვალაო თუ წამოსცდებოდათ, შეიწყალოსო. დასძენდა სალომეცა, გულცივადა, წესისადა, ვერც გაიხსენებდა თუ რომელიო. ანთუ სამივეს გაიხსენებდა ერთბაშადა, შეიწყალებდა სამივეს ერთადა.

ეს მერე ცხადია,

იქ აირჩეოდა მაინცა ერთ-ერთი ორთაგანა:

ანთუ შავი მარმარილოსი, სპილოს ძელისფერი ზოლები რო შემოსდევდა, ანთუ იგი სპილოსძელისფერი, რო შემოჰყოლოდა მარმარილოს ზოლები, შავისა ცხადი, იქავე და იმავე ადგილასა, ისევე და იმნაირადა. ამით არაფერი განსხვავებულიყო; ამოზიდულიყო ორ-

ორი სარკოფაგიცა, იქაცა ^{სარკინის} ~~ფეხის~~ ^{ფეხის} ~~ფეხის~~ ^{ფეხის} თნაირადა, ერთი ზომისადა, ოღონდ იქ, შავზე, სპილოსძელისფერი, სპილოსძელისფერზე. შავი, ყურტი შავი, ბარელიეფებითა და წარწერებითა, — სახელი და გვარი, ცხოვრების წლები. — ეპიტაფიებიც იგულისხმებოდა თუ შეითხზოდა შესაფერისი; მხოლოდ საფასით თუ განსხვავდებოდნენ, მარმარილოსი ძვირი დაჭდებოდა რაღა თქმა უნდა, ძვირი და ძალიანაც ძვირი, ისედაც ძვირი რაღა თქმა უნდა, ზუსტად რო არც ითქმის, აზრი რო არა აქვს, იმიტომ, მერედამერე რო ველარავინ გაიგებდა მნიშვნელობას იმა რიცხვისა, იმდენი რამ რო მოხდებოდა, იმდენი რამ რო იმოქმედებდა ფულის კურსზედა; სპილოსძელისფერი იაფი ჯდებოდა, ძალიან იაფი, ძალზე იაფი, არც ეს რო არ ითქმის, ისე იაფი, მასალას თვითონვე რო მოიპოვებდა ფრიდონი, იმიტომ, თვითონვე რო დაამუშავებდა, იმიტომაცა, იმასაცა აგრეთვე ფრიდონივე დადგამდა თავისი ხელითა, ოღონდ ისაა, მარმარილოს რო დასდებოდა საარაკო ფასი; ამაზე ხუჭავდნენ თვალსა, ანთუ დააჰყეტდნენ ისე ფართოდა, ველარ დინახავდნენ ველარაფერსა, ველარცთუ ზომებსა. ველარც ანგარიშსა. ველარც დეტალებსა, ველარცა ფონსა მუხათვევრდის გორმახებისა, ველარც შორეულ მონახაზებსა, ერთი მხრით თუ კავკასიონისა, ცათამბჯენებისა, ქალაქისა, მეორე მხრითა, ველარ დინახავდნენ მითუმეტესა: ვილაცა მაინც დინახავდა, ვილაც შესიახებდა, გაიმეორებდა ვილაცაი თავზარდაცემულოვითა, და შეჰკივლებდნენ პენსიონერები, — საკავშირო მნიშვნელობის პენსიონერიცა, რესპუბლიკური მნიშვნელობის პენსიონერიცა, რიგითი პენსიონერიცა, — თვალებს დახუჭავდნენ და ჩაიციობდნენ თითებსა ყურებში, რო შეჰკივლებდნენ, მერე ცხადია.

აირჩეოდა ამ ორთაგანა. აირჩეოდა ამათ მიერა და იტყვი, იაფი აირჩეოდაო, იტყვი და მართალიც იქნები.

მართლაც იაფი აირჩეოდა, ყველა შე-

დგებოდა ამაზედა, ყველა მიაჩერდებოდა აპოლონსა, აპოლონი აირიდებდა; წამოდგებოდა მამინ სხვა ვინმე, იქავე ცხადია ვერნისაზედა, ვთქვათ თუ მძისწული წამოდგებოდა ლეონისა, შეაქებდა ორივე პროექტსა, მადლობას მიუძღვნინდა აპოლონსა რაღა თქმა უნდა, ნიქს შეუქებდა ორგანიზატორულსა, გამეგონა და ახლა დაგრწმუნდიო, ნიქს შეუქებდა და დაასკვნიდა:

— ამ ორი ერთმანეთზე უკეთესიდან, მანც სადას ავირჩევთ, ასე იქცეოდნენ ჩვენი წინაპრები, ჩვენც ამას დავიცავთ, კარგ ტრადიციასა, მხოლოდ კარგსა, უარყოფთ ცუდსა და განვერიდებით რაღა თქმა უნდა. ისე თუ გინდათ რო მართალი ითქვას, უფრო უბრალოდ იქცეოდნენ ჩვენი ძველები, უფრო უბრალო ნიშანი იცოდნენ, ნიშანი იცოდნენ უბრალო და მწუხარება დიდი იცოდნენ, ეს იყო გლოვა ჭეშმარიტი. ახლა გარეგნულად უფრო გამოვხატავთ, სასაფლაოებს უფრო ვრთავთ... — და გაგრძელდება მდუმარებაში, არავინ თუ აუხიარდებოდა, გააგრძელებდა ასე ამგვარადა და ჩაიწერდა ეურნალისტიკა, ამას უთუოდ ჩაიწერდა, იმას აღარა, სალომე რო ჩამოერეოდა, უსათუოდ ჩამოერეოდა, რო დაგრძელდებოდა მოკლე სიტყვად:

ასე, ამგვარად ჩამოერეოდა:

— მეც სისადავეს თუ მოგახსენებთ, — ასე ამგვარადა და დუღუნითა, — ჩემი არჩევანიც ეგვე იქნება, და თუ ავირჩევთ მარმარილოს ძეგლსა, ვამჯობინებდი, მთლიანი იყოს, მასიური, გარეშე იმა ზედმეტი ზოლებისა, მართლაც ზედმეტისა, ალბათ იმ აზრითა, ეგება ნაკლები რო დაგვიჯდესო, იმის გარეშე და ამ ფიქრის გარეშე; სარკოფაგებსაც მოვაცილებდი, ბარელიეფები ზედვე იქნებოდა, ერთიმეორის პირისპირა რაღა თქმა უნდა, წარწერებითა, გაკრული მხედრულითა, ოქროცურვილითა, თავითთ მინიატურული სვეტიცხოველითა, ჭვართა ოქროცურვილითა, მინიატურულითა, შესაფერისითა რაღა თქმა უნდა: უფრო სადაც აღარც

მეგულება: შავი, შავი და მინიატურული ოქროცურვილისა... მე არ შეგულება და თქვენი არ ვიცი... იყოს, ასე, დაე იყოს, მეც თანახმა ვარ. — იტყოდა ასე სალომეი და მიაჩერდებოდა ციციონოსა, არა თუ იმადა, შენ თუ რაღას მოგვახსენებო, არა, იმადა, უფრო იმადა, შენ არც შეგფერის ამაზე ლაპარაკი, კრინტიც არ დასძრაო, — აი ასე მიაჩერდებოდა.

— ეს როგორი რა სადა გამოდის? — შეიცხადებდა მძისწული ლეონისა, შეიცხადებდა და შეაცხადებდა პენსიონერებსაცა, საკავშიროსა, რესპუბლიკურსა, რიგითსა, შეაცხადებდა და შეიცხადებდნენ ისინიცა რაღა თქმა უნდა, მერე თუ ქირქილსაც მოადვენებდნენ, ეს რა ხუმრობა, ანთუ რა დროსია, რა ეხუმრება სალომესაო.

წარბს არ შესტეხდა სალომეი რაღა თქმა უნდა, არც ხმას აუწევდა, არა, ცხადია, განაგრძობდა ისევე დუღუნითა, მიაჩუმებდა ისევე დუღუნითა, დროდადრო კენესას ამოადვენებდა, წამოაფრქვევდა ცრემლსაცა დროდადროდა, ანთუ აღაპყრობდა აღესებულთა ცრემლითა თვალთა, — ისე განაგრძობდა:

— არც რა გამოდის, სისადავე მხოლოდ ესაა. ვერ იქნებოდა სისადავე სილატაკითა, უნდა დამეთანხმით, ბედკრულობა რო სისადავე ვერ იქნებოდა, უნდა იფიქროთ, სისადავე რო თანახმარია სილამაზისა, უნდა გაიგოთ, სილამაზე რო მხოლოდ ძვირფასია. უნდა შეიგნოთ. — მოსჭრიდა ასე, ასე მკაცრად, დუღუნითა ისევე ოღონდაცა, დახრიდა თავსა, ცრემლს წამოაფრქვევდა.

— ბუნების სილამაზე... — არ დაცხრებოდა მძისწული ლეონისა, არც დააცდიდა სალომეი:

— დავეხსნათ ბუნებასა, ბუნება არა ვართ.

— ბუნებისანი ვართ.

— ბუნება არა ვართ.

— გავიწყდებთ, ჩვენი ძველები...

— არაფერი არ გვაიწყდება, — უფრო დაუწყევდა ხმასა სალომეი, იტყ-

რენდა ყველაი უფრო მეტადა. იტყვენ-
დნენ უფრო პენსიონერები, ყურთ იმათ
უფრო აკლდებოდათ რალა თქმა უნდა,
— არაფერიც არ გვაიწყდება, — გაი-
მეორებდა სალომეი, — ოღონდ თუ
მხოლოდ გამარცხული სასაფლაოები თუ
ვინახავთ, ვერ იტყვით, რა იყო, რა რო-
გორ იყო. რასა ფიქრობდნენ თუ რო-
გორა ფიქრობდნენ, ვერა, ვერ იტყვით,
ვერას გაიგებთ; ხოლო ის ქვეები, სოფ-
ლად რო გიხილავთ, ის რუხი ლოდები,
ისე ნათალი, შემკობილი ეპიტაფებითა.
გასაოცარი ეპიტაფებითა, სადა რო გგო-
ნიათ, ძვირი ყოფილა, ძვირფასი ყოფი-
ლა; ოხრავდა გლეხი წლიდან წლამდი-
სა, ქვა ვერ დავადეო, ოხრავდა და ამო-
ისუნთქებდა როდის როდისა, ქვა დავა-
დეო; ტანჯავდა ყოფილა ესა იმისი და
შეგებაცა ყოფილა, საფლავის გამართვა
ყოფილა შეგები, მოვალეობა ესა ყოფი-
ლა, ესა ყოფილა ხსოვნაი წინაპრისა და
თავისიანობაც ესა ყოფილა. ადამიანო-
ბაც ესა ყოფილა; სასაფლაო ისტორია
ყოფილა, ეპიტაფია ისტორია ყოფილა,
რა ვიქნებოდით უისტორიოდა?!

— თუ ყოფილა პიროვნება ისტორი-
ული... — შეახსენებდა მძისწული ლეო-
ნისა, შეახსენებდა თუ დავას განაგრ-
ძობდა, აღარ დააცდიდა მაინცა სალო-
მეი, კვლავაც აღარ დააცდიდა:

— ლეონი თქვენი ისტორიაა, თამარი
ჩვენი, ორივე ერთად ისტორიაა ორი
გვარისა და ბევრი გვარის ისტორია უკ-
ვე ერთა. მაგრამ ეტყობა, დარღვეულ-
ხარტ, რო არ გემეტებათ ლაზათიანი
ნიშანი ბიძისათვისა, მამისთვის ალბათ
არ დაიშურებდით. — იტყოდა სალომეი
ამას ჩურჩულითა და მიუყურებოდა
მძისწული ლეონისა. სხვანი უმალ აიშ-
ლებოდნენ, ანთუ უკეთუ აშლიდნენ
ენასა, მიუბრუნდებოდნენ ერთიმეორე-
სა, ეთანხმებოდნენ თუ ედავებოდნენ
ერთმანეთსა თუ მძისწულსა ლეონისა,
ანთუ სალომესა. — პენსიონერები პირ-
ველყოვლისა, საკავშიროცა. რესპუბლი-
კურიცა. რიგითიცა, — უფრო ჩურჩუ-
ლით ედავებოდნენ თუ უფრო ზრუნვი-
თა, ზუზუნი რო იდგა, ზუზუნი რო

ბრუნავდა, ზუზუნი რო ^{სარკინისა} ^{გულქვეშადა}
ვერც გადიოდა გარეთა, გუგუნი რო
ბორკავდა, ქუჩის გუგუნი, ესლებოდა,
ნთქავდა, თვითონ იტყებოდა სასტუმ-
რო ოთახში. საგამოფენო დარბაზად
რო გადაქცეულიყო, სადისკუსიო დარ-
ბაზად რო გარდაქმნილიყო, გამოფენას
რო ასცილებოდა იგი კამათი, სხვაგვა-
რად რო ვახიზებოდა:

— მაინც რა იყო... რა საოცარი ეპი-
ტაფები ვიცილით!... — ამგვარადაც
ვახიზებოდა.

— მკაფიო, სხარტი. ღრმა, ბრძნული,
დამაფიქრებელი. განმწმენდი სულისა,
აღმამალღებელი.

— რად დავივიწყებთ?!

— დავივიწყებთ ყველაფერი კარგი.

— ვახიზებოდა ამდაგვარადა, უარესა-
დაც ვახიზებოდა, ხმაც აიწვევდა, გარე-
ულ გუგუნს დაჰფარავდა თითქოსა, ერ-
თხანს დაჰფარავდა, მხოლოდ მცირე
ხანსა. დაიზრიალებდა ფანჯრები უეც-
რად, დაიზრიალებდა და ზრიალებდა.

ეზრიალა, შემჩრწუნებულყოფნენ. ეგე-
ბა აზრი გაქვავებოდათო... ოღონდ
თუ რაცაო, სალომე კიდევ გადასწვდე-
ბოდა ლეონის მძისწულსა, არ იემარბე-
და იმ ერთ მათრახსა, გადაუქერდა კი-
დევა და კიდევ, ანთუ თვითონვე გა-
მოიწვევდა, ანთუ მოიხდიდა ბოდიშსა
თითქოსაო, როგორცაც ასე ბოდიშად
იტყოდა. არ დაუთმობდა სალომეი მაი-
ნცა, ეს მაშინაო, სასაფლაოზე რო გავ-
ვიდოდნენო, რო შეჰხედავდნენ დროე-
ბით ნიშანსა: თავთით მორსა, ვეებერთე-
ლასა, ზედა წიგნსა, დაყულებულსა. გა-
დაშლილ წიგნსა, წანაწერთა ვინაობი-
სა. თარიღებითა, გარემოვლებულსა ვა-
ზითა, წაწვენილი ვაზითა, ფოთლე-
ბით შემკულსა. მტევნებით შემკულსა.
ალაგალაგა და ზომიერადა, სპილოს-
ძელისფერადა ყოველივესა, გუნდიათ
თიხისფერადა, თავისფერადა, ბუნებრი-
ვისადა. რო შეჰხედავდნენ და რო წამო-
სცდებოდა მძისწულსა ლეონისა, ბოდი-
შადაო თუ ნატყარადაცაო, — ასეთი
მაინც რო მომაწყობინა მამაჩემისთვისა,
ალარაფერს ვინაღვლებდით, — გადასწ-

ვდებოდა სწორედაც მაშინა, სალომეი რალა თქმა უნდა,—ვისაც ღირსება და-
 უარგნია, ველარც ვერაფერს მოეწე-
 ვაო, — ასე, ამგვარად გადასწვლებოდა:
 გადასწვლებოდა და გადაახედავდა, ახ-
 ლა უშანგის გადაახედავდა, არც ეს იწ-
 ვიოთ სუფრაზედო. ასე, ამ თვალთ
 გადაახედავდა, მაგრამ დაახელებოდა
 ისიც სუფრასთანა, — ჰო დაახელებო-
 დნენ პენსიონერებიცა, — და გაბრუნ-
 დებოდა ამიტომაცა, მერის მიგზავნიდა,
 ციციოსთან შენ იჯექო, სუფრის სა-
 რისტას მე დავიტერო, და დაიჭერდა
 კიდევაცა, დაიჭერდა და ისე დაიჭერდა.
 კრები იმათამდე გვიან მიაღწევდა, —
 ლეონის ამისწულამდე, პენსიონერებამ-
 დე, — ყველაზე გვიანა: ამათ რა ექ-
 ნათ, პენსიონერებსა. კომისიებზე თუ
 დაუდგენდნენ, თუ ჩასძახებდნენ, —
 ამოიძახებდნენ, ან იმას რა ექნა, ლეო-
 ნის ამისწულსა, — კომისიებში იქნე-
 ბოდა ჰო ისიცა, ახალგაზრდულ კომისი-
 ებში, ჰოდა რა ექნათ, რად აუხარიდ-
 ბოდა ნეტავი სალომეი?! და მაინც
 გვიან მიუტანდნენ კერძსა, თამადა რო
 წამოდგებოდა, სადღეგრძელოსთვის წა-
 მოდგებოდა, მაშინ მიუტანდნენ, ახმაუ-
 რდებოდნენ ისინიც მაშინა, და ბუზლუ-
 ნებდა თამადაი. ბუზლუნებდა თუ წყრე-
 ბოდა, იმათ უწყურებოდა, ებუზლუნებო-
 და იმათა, — რა დაგემართათო, თქვე-
 ნგან მივეკრისო; ალბათ თუ იქაც თანა-
 უგრანობდნენ პენსიონერები, სასაფლა-
 ოზედა, ლეონის ამისწულსა, ალბათ
 თუ ვინმეც თანაუგრძნობდა. ოლონდ
 ჩუმადა, თავისთვისა. გულშია, ესენი გა-
 მოსთქვამდნენ აშკარადა თუ დაუყოვნე-
 ბლადა, რაცთუ გულში ჰქონდათ, რაც-
 თუ თავშიო, ენაზე აჭდათ იმავე წუთსა,
 ანთუ მხოლოდ ენაზე ჰქონდათ და გა-
 მოსთქვამდნენ. ამაზე მეტი, მეტისმე-
 ტიაო, გუნდი რო მღეროდა. მაშინ გა-
 მოსთქვამდნენ, შენ ხარ ვენახიო გუნდი
 მღეროდა, და მაინც იმასთუ გაიგონებ-
 და სალომეი, ის თუ გაუჭრიდა ყურსა,
 გაუჭრიდა და გაუფლეთდა, მოადგებო-
 და მწარე სიტყვაცა, ოლონდ მხოლოდ-
 და წაისისინებდა: სსს... მოსმენის თა-

ვიც აღარა აქვთო: და არც ცილისწვე-
 ბა იქნებოდა ესა, თუ გაიგებდნენ საზე-
 იმოსა, გაიგონებდნენ, გაიგებდნენ და
 გაიჭიმებოდნენ, გადასჩვეოდნენ სხვას.
 ყველაფერსა, ანთუ ბევრ რამეს გადას-
 ჩვეოდნენ და მით უმეტეს იმ სიმღე-
 რებსა, საეკლესიო რო დაერქმიათ, ეკ-
 ლესიაში რო გაისმოდა და გაწყალებუ-
 ლიოც ეკლესიასთან ერთადა, ანთუ გაწ-
 ყალებულყო. ანთუ აღადგენდნენ ში-
 შითა და გაჭირვებითა, პანაშვილებზე
 თუ დაიმღერებდნენ, ანთუ უკეთუ ილა-
 ლადებდნენ გამძლეობასა, სულის სიმ-
 ტიცესა, სოფლის სიაცესა, წუთისოფ-
 ლისა, სილიადესა მარადისობისა ილა-
 ლადებდნენ და ილაღადებდნენ გულში
 ჩამწვდომადა; ზოგი თუ მართლაც ეკ-
 ლესიას თუ შემოპყვებოდა, ქრისტიან-
 ნულ ეკლესიასა, გარდმოიქმნებოდა ჰო
 ისიცა რალა თქმა უნდა, გარდმოიქმნე-
 ბოდა, გადმოიყნობოდა ქართულ ძირ-
 ზედა, გამძლე ძირზედა, უსალეს ძირზე-
 და, ზოგიც აქაური შეერეოდა. გაპყვე-
 ბოდა გვერდი-გვერდათა, შეუნივთდე-
 ბოდა კიდევაცა, შეუნივთდებოდა თუ
 შეინივთებოდა თვით ჰიმნები წარმარ-
 თულიცა და იგუგუნებდა გუმბათებში
 უფრო ძლიერადა. ანთუ ისევე, მუხნარ-
 ში როგორცა, დაყურსულ მუხნარში.
 თუნდაც იქვე, მუხათგვერდზედა, მუხე-
 ბი რო აღარსად გახლდა, მოგონებდა
 რო შემოდიოდა, შორით-შორეულ მო-
 გონებდა, ჰიმნები იგი, შემოდიოდა და
 ეფინებოდა გულსაკლავადა გორმახებსა,
 შიშველ-ტიტველსა, დაღარულსა, ჩამო-
 ლოკილსა, თავპირ დაღეწილსა ქარისა-
 განა რალა თქმა უნდა; ხანთუ ქარიც მი-
 ატოვებდა და ისმოდა იგი ღალადისი
 იგი; მღეროდა გუნდი, ხუთნი მღეროდ-
 ნენ, გამოკრებილი ანსამბლებიდანა. —
 ან იქაც იყვნენ, მერე ასეც მოიყრიდნენ
 თავსა, დაკრძალვაზე მოიყრიდნენ თავ-
 სსა, პანაშვილზე მოიყრიდნენ თავსა, ში-
 შით მოიყრიდნენ, თუ ველარ დაამტ-
 კიცებდნენ ნათესაობას მიცვალებული-
 სსა, ჭარიმებს ველარ აუვიდოდნენ, მაინც
 გატყდებოდნენ, შეევედრებოდნენ რო
 დაეინებითა, მაინც გატყდებოდნენ. მა-

ინც გაჰყვებოდნენ, მღეროდნენ... იფრთხილებდნენ კიდევცა, ფირზეც ჩაეწერათ, შესთავაზებდნენ ჯერ ფირსა უშანგისა, მაგრამ სალომე შორს დაიჭერდა, ცოცხლობრივ მომგვარეთო, შორს დაიჭერდა და მოკვრიდნენ ცხადია, მოკვრიდნენ და გაგულისდებოდა, მოსმენაც აღარ შეუძლიანთო, სხვასაც აღარ დაეცდინათ; ციციანოს მაინც ვერას შეუშლიდნენ, არ აჰყვებოდა დისკუსიებსა, არც იქა, შინა, არც სასაფლაოზე, ისე იქნებოდა, ისე თუ ესე, ბევრს არ დაგიდევდა. ოლონდ ეს ჰიშნი არ გაწყვეტილიყო უუუძველესი მუხათგვერდისა ამა უახლეს მუხათგვერდზედა. ოლონდ ეს ჰიშნი წინაპრებისა... დაუგრძელდებოდათ კისერი მომღერლებსა, გორმახებიდან ჰო არავენი გამოძერგებო; ოლონდ ეს ჰიშნი არ გაწყვეტილიყო, ეყოფოდა აგერ ეს კუნჭული, აქ ჩამოჯდებოდა და იქნებოდა, იქნებოდა, მარტო არ იქნებოდა ერთისიტყვითა, მარტო დარჩებოდა და არ იქნებოდა მარტო, აბა!.. მოთავდებოდა ორმოციო და მარტო დარჩებოდა, ანთუ დაურეკავდნენ, ანთუ მიიწვევდნენ, დღეობა იქნებოდა თუ ისევ სიკვდილი, ვისიმე სიკვდილი, გამოემწყვდეოდა თავის ოთახში თუ შეერეოდა ხალხსა, მარტო იქნებოდა, მაინც მარტოდა; აქ თუ იგრძნობდა, მხოლოდღა აქა, ნაწილი რო იყო დიდი ცხოვრებისა, აქ თუ განიცდიდა, მხოლოდღა აქა, არაფერი რო არა თავდებოდა, რო იყო, არის და რო იქნებოდა მარადიულადა. აქ თუ განიცდიდა, ამა ჰიშნებითა რაღა თქმა უნდა, რო იქნებოდა სიტყვები ესე, სიმღერები ესე, ამგვარადა, ვალობანი ესე. რო იყოს, არის და რო იქნებოდა, დასაწყისი რო არ მოუჩანდა, დასასრულიც რო არა, აღარ გამოუჩნდებოდა, რო იმძლავრებდა თუ იმძლავრებდა ღაღადისი იგი იოვანე მტბეკარისა, იოვანე მინჩხისა, სტეფანე სანანოისძისა და სხვათა და სხვათა, ანთუ რათაო სხვათა და სხვათაო, ცნობილი რთა, — ეზრასი, იოანე ქონქოზისძისა, ბასილი ხანძთელისა, კურდანი-ევერიკისი, მაკარი ლეთეთელისა, და მაინც სხვათა

და სხვათა მაინცა, მიქაელ ^{ქრისტეშვილი} ^{ქრისტეშვილი} თვე და რაღა თქმა უნდა, თვით მიქაელისავე, მიქაელ მოდრეკილისავე კრებულში რო დაუნჯებულა, და კიდევ სხვათა, სხვაგან და სხვაგან რო გაბნეულან, — იოანე-ზოსიმესი, კათოლიკოსი არსენ მეორისა, გრიგოლ ოშკელისა, იოანე ბოლნელისა, ექვთიმე მთაწმინდელისა, ბერი ფილიპესი, და ახლა მართლაც სხვათა და სხვათა, რო მიმატებია მერეცა ბევრი, რო დაეკარგულა მანამდისაცა ბევრი, მანამდისაცა, მერეც დაეკარგულა, წარტყვევნილა ერთბაშად დაცა რო წამოეწია, რო იმართებოდა, — გამართულიყო ოლონდაცა, მალე, ერთბაშად გამართულიყო, წამომდგარიყო, გამხნევებულიყო, ეღუღუნა და ეღაღადა, ეგალობა და ეღუღუნა, აღარ იგრძნობოდა სიმარტოვესა, ციციანი რაღა თქმა უნდა, განწირულობას აღარ იგრძნობდა; თავს მოიყრიდნენ კიდევ წლისთავზედა, კიდევ ერთხელა მოიყრიდნენ თავსა, ჩათავებდნენ იმა წლისთავსაცა, ჩათავებდნენ და შემოეცლებოდნენ და მაინც მარტო არ დარჩებოდამეთქი, ციციანიმეთქი, გუნდი თუ არ დაზარალდებოდა, ეს გუნდი ცხადია; დაზარალდებოდა და რა ვუყოთ მერე, თუ გაფანტავდნენ, შესაძლებელია, რა ვუყოთ მერეო, ფირს მაინც უშოვიდა უშანგო, წამოიღებდა მაგნიტოფონსა, ჩართავდა და მოისმენდა, ჩანაწერს მოისმენდა, თუ არ გაჰფანტავდნენ, ანთუ ქარი თუ არ გაჰფანტავდა, ქარი იგი მუხათგვერდისა. გატყავებული მუხათგვერდისა: გაჰფანტავდა და ჰო ჩადგებოდა?.. — ჩადგებოდა რაღა თქმა უნდა, არა არს ძალი დაუდგრომელი, არა არს ღონე დაუდრეკელიო. — ვიდრე ხელახლა სულს მოიბრუნებდეს თუ მოიბრუნებს რაღა თქმა უნდაო; და გაჰყვებოდა გუნდი თავისასა, ასეც გაჰყვებოდა: „ალიცებიან საშყარონი ბრწყინვალეებითა და ქუეყანაი სიხარულითა: განშვენდებიან მნათობნი ნათლითა: ოხრიან ზღუანი: და იმღერიან მთანი: და ბორცუნი მთათანი იხარებენ“: — აედევნებოდა ესეცა ჰიშნა. აედევნებო-

და და ველარც გაიგებდა, დეიდები თუ რას ეტყოდნენ, გვერდით თუ უდგნენ, ველარც იგრძობდა, უკვე დარჩებოდა მარტო. რამეთუ ამაღლება მხოლოდ სულისა და სული მარტოსია, სული მხოლოდღა გამწვევებული მნათობთა ნათლითა, სხვა სული არ არის, სხვა რაღაც სხვაა, ყველაფერს სული არ დაერქმევა, და სული არც არის ყველაიო: „იწროსა მას გზასა ჰხედოდღე: მიმყვანებულსა სასუფეველად ნეტარო: ხორცნი მოკლდინენ მარხვისა შრომითა: და სული განაცხოველე სიწმიდითა: და იქმენ სადგურ სულისა წმიდისა:“ — და აღარც დაცხრებოდა გუნდი, აღარც თვალებს დააცეცებდა თუ ვინ იქნებოდა ვინმე უკეთური თუნდა ამათ შორისვე, თუნდ გორმახებიდან ვინ გამოძერებოდა, ანთუ ბორცვთაგანა, აღარც ახსოვდა შეპირებება წუთისოფლისა აიტაცებდა საგალობელი განწმენდისა, ჭერ თვითონვე

აიტაცებდა და ვისაცთუ ძალუბრად აპყოლოდა. აბა მაშ რაო, რას ემგვანებოდა გლოვანი მოპარული. ანთუ განწმენდა სულისა მოპარული, რას ემგვანებოდა?.. დააგდებდა შიშსა, დააგდებდა და ამაღლებოდა: გარინდებოდა აპოლონიცა, თვით აპოლონიც გარინდებოდა წუთიერადა, მერე ისევ გაიზადრებოდა, მიმოატარებდა თვალთა ისევა თუ ვინ ჭერ არ მიახლოებოდა. მადლობა არ ეთქვა, ესოდენი ზრუნვისათვისა. — საფლავისა რაღა თქმა უნდა. — მიმოატარებდა და ჩაავლებდა საბელთა თვალთა, ჩაავლებდა და გამოსწევდა, გამოიყვანდა ჭგუფებშორისა, ანთუ ირგვლივ შემოარბენინებდა, ხელს გაუწვდიდა, თავს დაუხრიდა ამაყადა ცხადია, — სხვაგვარადა როგორ იქნებოდაო. — ასე ამაყადა: „აცურიე სახიერ: სულსა ჩემსა ცუარი იგი მადლისაი:“ არ დაიშლიდა გუნდი თავისასა.

□ გაგრძელდება იქნება □

მიხეილ ავლიძე

სსოვნის ყულაბა

ლილი ქელიძის ხატვანა

შენ არ გვირდება სიტყვით შემოება, —
ხსოვნაა შენი შემამოებელი...

ასე კარგავენ ომში შეგობარს,
ასე უკვდებათ შეიღებს — შშობელი,
ასე ღრმავდება გულში იარა
და თუ ამქვეყნად მაინც ყოვნდები, —
ცოცხლობ კი არა,
ცხოვრობ კი არა,
უბრალოდ — სიკვდილს უახლოვდები.

• • •

შენ ერთმა
არ იცი
მკვდარი რომ ხარ;

მე ერთმა
ვიცი
ცოცხალი რომ ხარ, —

ამით ვართ
სხვებისგან
გამორჩეული...

ბანისამონის დარიგება

ასე მგონია
შენი არსებობის
უკანასკნელ
კვალსა ვშლიდეთ
ამ სახლში;

თითქო
ქუჩიდან შემოპარული
ქურდები ვიყოთ —
ანჭარებით
ვაცარიელებთ:
კარადებს
თაროებს
უჭრებს —

თავს ვუყრით ერთად:
კაბებს,
ფეხსაცმლებს,
პალტოებს,
ქუდეებს,
ხელთათმანებს —
ყველაფერს,
რასაც ატარებდი,
რაშიც გეძინა,
გელვია,
იციხოდი,
ტიროდი
გწყინდა,
გიღბინდა —

ყოველივე,
რასაც ჭერ კიდევ
შენი სურნელი,
შენი სითბო,
არ გამოწელებია —
სახლიდან გაგვაქვს
უცხო ხალხს,
ნაცნობ-მეზობლებს
ვურიგებთ;

და მოდიან:
მეეზოვე,
დარაჯი,
დამლაგებელი,
ქუჩის მაწანწალა
და თვითუღს მიაქვს
შენი არსებობის
თითო ნაწილი —

და ეს
ყველაზე უფრო საშინელი
და დამაჭერებელი
საბუთია,
რომ ამ სახლში
ა რ ა ს ო დ ე ს,
ა რ ა ს ო დ ე ს,
ა რ ა ს ო დ ე ს.
ალარ დაბრუნდები.

• • •

სხვა გზა არ მაქვს —
უნდა მოვკვდე...
უნდა მოვკვდე,
რომ იქ მოვხვდე,
სადაც ძალმიძს
შენ გიხილო —
ფერმკრთალი და
უღიმილო.

რომ უჩემოდ
იმ უღმერთო
ქვეყანაში
არ მოგწყინდეს,
სადაც მარტოდ
მეგულები,
შენი სულის
თანაზიარს...

უნდა სანთლად
დავიღვენთო,
ჩაქრობის წინ
გამოვბრწყინდე,

თუმცა ახლა
ერთგულების
დამტკიცებას
რა აზრი აქვს?!

მე უკვე ვიყავ სიკვდილის მიღმა,
ბოლომდე შეეგვი ბედის სამსალა
და ახლა ვიცი: სიტყვაა, სიტყვა —
ყველაზე უფრო გამძლე მასალა.

და მე სიტყვაში ვაცოცხლებ იმას,
ვინც ოცნებაშიც ვერ ვაცოცხლდება
და ელერს უდროოდ გაწყვეტილსიმიად
ლექსად ქცეული ჩემი ოცნება.

მხოლოდ ერთხელ
დამესიზმრე
და იმის მერე
ყოველ ღამით
სიზმარში გეძებ

და ამ ძებნის დროს
ისე შორს მივდივარ,
შესაძლოა
უკან
ველარც დავბრუნდე...

„თანამეცხედრე“

მე ერთ დროს შენი „მეუღლე“ მერქვა
და მხარში გედექ მუზღმოუღლეელი,
სანამ ორივეს უღელი გვედგა,
ოჯახზე ზრუნვის მიძიმე უღელი.
მაგრამ, შეხედე, ტაბიკი გატყდა,

ის აბეურიც გაწყდა, შეხედე!..
შენ საწყალ ცხედარს
გვატრონობ ახლა
და მქვია შენი
„თანამეცხედრე“.

მე არ ვწყვეტ შენთან გაწყვეტილ
კავშირს:
შენ ტალღებს იჭერს ჩემი გონება...
დავწერ სტრიქონს და იმწამსვე წავშლი
და ვფიქრობ — შენ თუ მოგეწონება?

და თუმცა ჩემი არ გესმის ენა,
არ შემიძლია ხმაც მოგაწვდინო,
შენ იცი — რაზედ ვწუხვარ და ველავ,
ჩემი სულის და ხორცის ნაწილო!..

საიდან გაჩნდა ის აბეზარი, —
ასე უდროოდ რატომ გეწვია?
რა დაეუშავე, მეტოქესავით
შენ სიყვარულში რომ შემეცილა?
სად წაგიყვანა? ნუთუ მიწაზე
უკვე ვერასდროს ველარ გიპოვნი?..
დავწერ სტრიქონს
და წავშლი იმწამსვე
და სისხლიანი მტკივა სტრიქონი.

ტელეფონის ზარი

ხალისიანი ხმა
ტელეფონში
შენ გკითხულობს...
მოულოდნელობისგან
დაბნეული

(თითქოს დანაშაულზე
წამასწრესო)
ფრთხილად
ვეკითხები:
— ვინ ბრძანდებით?



— მისი ნაცნობი ვარ.
— მერე და... არ იციო?
— ?
— დიახ, — ვეუბნები, —
შევე ერთი წელია...

და დიდხანს ვდგავარ
ყურმილით ხელში
და ვუსმენ
ზუმერის
წყვეტილ სიგნალებს.

• • •

რას წერ, რომ წერ,
რას წერ, რომ წერ?
არ გრცხვენია, ნეტა?
იმ საშინელ დღეთა მომსწრე
წერას როგორ ბედავ?

შეაცოდო, მოაწონო,
შეაყვარო მერე?!
თუ ასეა, — კი, ბატონო,
იჭექი და წერე!

სიტყვებში რომ მარჯვედ ტენი
გლოვას, გამჭრალ იმედს, —
ხომ არ გინდა თავი შენი
შეაცოდო ვინმეს?

წერე, სანამ სამელნეში
არ დააშრობ მელანს
და გარყვნილი სიტყვის ეშხით
არ მოხიბლავ ყველას!

ხსოვნის ყულაბა

გაივსო ხსოვნის ყულაბა, —
დამთავრდა ჩემი ცხოვრება
და რაც შემდეგში მოხდება,
მე აღარ შემახსოვრება.

მე მხოლოდ ის ვარ, — გამჩენმა
იმიტომ გამომარჩია, —
რაც ხსოვნამ შეინარჩუნა
და სიტყვამ გამოაჩინა.

ველარ დაიტევს გონება
ახალ ამბებს და იმედებს
და უკეთესი ხედრისთვის
ერთ წუთსაც ვერ გაიმეტებს.

და მხოლოდ იმათ ვეკუთვნი,
ვინც მიწაში წევს გულაღმა,
რადგან იმათი ამაგით
სავსეა ჩემი ყულაბა.

ბოლოთქმა

„...ergo sum“.

მე ველოდები —
მაშასადამე, ვარსებობ.
ველოდები აზრის გაღვიძებას,
ქველის გახსენებას,
ახლის დავიწყებას.
ველოდები ყინვაში — სითბოს,
სითბოში — ყინვას.
შეუძლებლის თვალნათლივ ხილვას,

წარმატებას და
ხელის მოკარვას,
პურის, ყურძნის
და ლექსის მოსაეაღს,
ახალ სიმაღლეს, ახალ ცოტუნებას.
დედა-თბილისში ჩემ დაბრუნებას...
დაბოლოს არ არსებულს
შენ გელოდები —
მაშასადამე, ვარსებობ.

მანთანგ ხარჩილავა

მასპირნება ტყეში

აპრილის თვეა.
 ძეწნად ვდგევარ ძეწნების ტყეში,
 დავივიწყე რომ კაცი ვიყავ,
 უბრალოდ ხე ვარ
 და არასოდეს არ გავსულვარ ამ მშვიდი ტყიდან.
 მაგრამ უეცრად მოდის მეტყევე
 ტოტზე მქაჩავს და ტყიდან მაგდებს
 ჭიკავე-ჭიკავით:
 — უცხო ჭიშის ხეს აქ დადგომა აკრძალული აქვს.

მ გ ე ლ ი

ვარიაკია ზანდორ პეტეფიდან

ბოლოსდაბოლოს შევხვდით ერთმანეთს, სალამი, ძაღლო, სხვისო მსახურო,
 შენ ახლა როგორ უნდა გაიგო ჩემი დარდი და ჩემი საყმუველო.
 სხვა იქნებოდა, თავისუფალი ჩემი სიზმარი რომ დაგასიზმრა,
 მე მომხვედრია ტყვია მრავალჯერ, მაგრამ არასდროს წიხლი კაცისა.
 ყელზე მიჭერდა ბევრჯერ ხაფანგი, მაგრამ არასდროს ტყვის საბელი,
 შენ სხვის ჭუჭყიან კინკვებზე წევხარ, თეთრი თოვლია ჩემი საფენი.
 ღვიძლ ძმებს დასდევ და უნგრევე ბუნაგებს, რომ ხვალ ცალი ყბით
 გითხრან მადლობა.
 გახრულ ძვლის ფასად არის ნაყიდი ეგ ერთგულემა და ვაეკაცობა.
 შიშობ, დაუფრთხო ძილი პატრონებს და საცოდავად კნავი, მურიავე.
 ვერ გიტყვირა ერთხელ გემოზე, ერთხელ გემოზე ვერ გიყმუველია.

სხვა კი რა არის ჩვენი ცხოვრება, როცა ძარღვებში სისხლი იხუვლებს, როცა გახრჩობს და გაწვალებს ბოლმა და ბოლმას თუ ვერ ამოიყმუველებ. მშვიდობით, ძაღლო, ჩემს ნაკბილარებს, როცა დახედავ, ესეც გახსოვდეს: კიდევ მომხვდება ტყვია მრავალჯერ, წიხლი კაცისა კი არასოდეს.

• • •

რატომ ამოდის, მწვანე ტყეო,
შენს ქვეყანაში
ბალახი, ძეძვი, ხე და ბუჩქნარი,
რას საქმიანობს თვითეული მათგანი ნეტავ,
რას უმღერიან შენი წყარონი,
რას უგალობენ შენი ჩიტები,
ხმელი ფოთლებით მოფენილი
შენი ეზოდან
რა იღუმალი ჩურჩული ისმის.

• • •

ვერ წაპოილებ ამ
მინდორს და ბინის კედელზე
ვერ ჩამოაკიდებ როგორც პორტრეტს
გაზაფხულისა.
...საგარეუბნო მატარებლის
მტერიან კუპეში
ზის მოწყენილი შუახნის კაცი
და ქალაქისკენ სამად სამი
მოაქვს ყვავილი.

• • •

შვილ

დაფრინავს ცაზე ახალი მთვარე,
ახალი მთვარე ვერცხლის ჩიტია.
ლამის ჩრტია ახალი მთვარე
და ბებზეები ვერ გიყიდიან.
მას ფრენა მხოლოდ ღამით სჩვევია,
დღისით, ო, დღისით არა სცალია.
დაფრინავს, ველარ დამიჭერია
და მოიწყინა შენმა გალიამ.

ეს მთვარე არის შენი ოცნება,
რომელიც ღამით ჩიტად იქცევა
დროული ხალხის გასაოცებლად,
დროული ხალხის განსაცვიფრებლად.
მთვარე რომ ვერცხლის უცხო ჩიტია,
შენ ერთმა იცი და გიხარია
და უფროსთათვის ვერ გაგინდვია,
მათთვის ხომ მთვარე მხოლოდ მთვარეა.

* * *

არა, ო, არა, არაფერი არ შეიცვლება,
 ასე იქნება ყოველივე ხვალაც და ზეგაც.
 გადაუარეს
 შემოდგომის რუხმა ნისლებმა
 ზაფხულის ხვატში დაბრუნებულ და დაკმუჭვნილ ზეგანს.

ხვალინდელ დღესაც ახლა ეცხოვრობთ,
 შემოგველა,
 შემოგვეფლანგა მომავალი და ეზივართ უქმად.
 ასწორებს ვილაც მრუდუე ხელით
 დიადს, მშვენიერს,
 უცხო ქვეყნებით დასახლებულ ბავშვობის რუქას.

წონასწორობა

არ გიცხოვრია შენ არასოდეს
 დინჯად, მშვიდად და წონასწორობით,
 როგორც დღეს სურდა, როგორც შენ გსურდა
 როგორც გულს სურდა, ისე ცხოვრობდი.
 და შენს მინდვრებზე უცბად მოვარდნილ
 მღერიე მდინარეს თვითონ მიჰქონდი,
 მოგდევდა გვერდით ორი ნაპირი,
 გაურითმავი ორი სტრიქონი.
 რადგან გიყვარდა და რადგან გძულდა
 იყავ ნაზიც და იყავ მრისხანეც.
 რადგან გიყვარდა და რადგან გძულდა
 წონასწორობა შენ ვერ ისწავლე.
 ვაი, იმისი ბრალი, რომელიც
 თავის თვითველ სიტყვას წონიდა.
 ღიმბილს წონიდა, შხამსაც წონიდა
 ფრთხილად უვლიდა ხიფათს შორიდან.
 თორემ შენ ევალი დაგრჩება ქვეყნად
 ნათელ ფიჭრებად, ნათელ დღეებად.
 ჩემი თავყვანი მაგ სიყვარულის
 უგუნურების მშვენიერებას.

* * *

შუბლზე დაგაჩნდა დარდი ღარებად,
 ადრე დაფიქრდი, ადრე დაღონდი.
 გახსოვს, ოდესღაც არა უწყოდო,
 გულმხიარული როგორ ღაღობდი.
 უზეიმოა, უგაზაფხულო
 აწ მოწყენილი შენი ქალაქი,
 ერთად მოგადგა კარზე უეცრად
 ეამი სიმწიფის და სიჭარბაგის.
 იცი, მერმისი თუ რას მოგიტანს,
 და წინათგრძნობით ხარ გატანჯული.
 შენს ოცნებებსაც ბორკილად ადევს
 გონება — შენი მკაცრი მსაჯული.
 სხვა მისხალ-მისხალ აგროვებს, იმენს
 ამ წუთისოფლის ავსაც და კარგსაც,
 შენ კი ერთ ჯამში ჩაგისხა ერთად
 შხამიც, ბადაგიც და ერთად გასვა
 მკაცრმა ცხოვრებამ. ზოლო ზამთარი
 მწუხარე ფერით მოსავს ბუნებას,
 დაგჩემდა, როგორც ავადმყოფობა,
 შიში, სიფრთხილე და შეცბუნება.
 დიდხანს გაქყურებ დანამჭრულ სივრცეს
 დაქანცული და ღამენათევი,
 უმეცრებაო სიჭაბუკისავ,
 შენ რა ღალი ხარ, რა უღარდელო!..

მ რ ნ ი

1.

განზე გავდექი და გულგრილად შევეყურებ ჩემს თავს
 და ჩემს ცხოვრებას.
 მე არაფერში არ ვერევი,
 მე მჭვრეტელი ვარ.
 საითაც უნდა იქით იცუროს,
 რომელ ნაპირზეც მოუნდება, იქ გადმოვიდეს,
 მე ჩემთვისა ვარ და გალავანს ვიშენებ
 ირგვლივ.

2.

დიდი ხანია, რაც გავედი ამ სხეულიდან.
 ის ცალკე არის, მე კი ცალკე, სხვაგან დაესახლდი.
 გზაჯვარედინზე გავიყარეთ.

დავეშვიდობეთ
ერთიმეორეს
და სხვადასხვა მხარეს წავედით.
მხოლოდ ხანდახან გვახსენდება ერთიმეორე,
მხოლოდ ხანდახან მოგვინდება რომ კვლავ შევერთდეთ,
მერე კვლავ ვჩხუბობთ და ერთმანეთს
ზიზღით ვშორდებით.

3.

ო, არა მარტო თიხისაგან,
არამედ შიშის,
ტყვილების და ვნებებისგან
შემკრა გამჩენმა.
ეს ყველაფერი გააზავა და ასე შემკრა
ერთ მთლიანობად — ძეხორციელად.
მე დავავიწყდი,
ეს მე თვითონ შევექმენი მერე
ჩემი თავი და ჩემი იღბალი
და რატომ უნდა ვიყო მასში,
რად უნდა ვიდგე,
ათასი ჭურჭლის მსგავს ჭურჭელში
რა მესაქმება.

4.

როგორ მაწვალა, როგორ მტანჯა, როგორ დამღალა
ამ ხორცისა და ძვლების გროვამ, არარაობამ,
ხან ციოდა და ხან წყუროდა, ანდა შიოდა,
ხან ქალი სურდა, ხან ღვინო და ფათერაკები.
ხან კომფორტული ბინა,
ხანაც ავტომანქანა,
ქვაფენილებზე ქუსლები რომ არ დაბეგვოდა.
ზოგჯერ მინდოდა რომ რითიმე მეძია შური,
წინ გავიგდებდი მსუსხავ ქარში, ზამთრის წვიმაში
და მთელი ღამე ქუჩა-ქუჩა ვაძუნძულებდი,
მერე ასფალტზე გავიგებდი ქვეშ ტყაბუჭივით,
ძლივს იძინებდა ტყვილისგან აყმუვლებული.
ეს წინათ იყო...
ახლა უკვე კარგა ხანია
რაც მივატოვე გზაბოძალზე და გავექეცი.
რაც უნდა ის ქნას,
სადაც უნდა იქით წავიდეს.

5.

როცა ქუჩაში შემომხვდება, მზერას ვარიდებ.
თითქოს არც ვიცნობ, არც არასდროს ის არ მინახავს,
ვიღაც მასავით კმაყოფილი სახის გამვლელებს

უცინის, ბეჭზე უთათუნებს ხელს ძმაკაცურად.
ო, როგორ გვანან ეს საწყლები ერთიმეორეს,
რა ერთნაირი სურვილი და ინსტინქტები აქვთ.
მთვრალიც რამდენჯერ შემხვედრია,
მამამებლების
და ორპირების ჭებისაგან გაბრუებული
ძლივძლივობით მიბარბაცებდა.

6.

ორნი დავდივართ ამ სოფელში
და ამ ჭალაჭში,
ერთი მე ვარ და ერთი სხვაა
ჩემგან წასული,
არ აგერიოთ ერთმანეთში
და არ მოტყუედეთ.
მე ის არა ვარ, ვისაც ხედავთ
და ვინც გიცინით.
არ მოგატყუოთ მან,
ის ზოგჯერ ჩემი სახელით
გესალმებათ და გეფიცებათ, გეთვალთმაცებათ.
არ დაუჯეროთ,
არ შეხედოთ,
არ მიესალმოთ.
სად, სად დამეძებთ, მე აგერ ვარ,
თქვენს ახლოს, თქვენთან
და თქვენზე ვფიქრობ, თქვენზე ვწუხვარ და თქვენ
მიყვარხართ.



საუკუნენი

სარკოფაგიდან წამომდგარან
საუკუნენი —
ცივი სიჩუმის ზარით
და ბუკით,
და დაეწყების ქონგურებზე
დააბიჯებენ...
მეციხოვნეებს უყვიიან...
და მეტად უკვირთ,
რომ აღარ ჩანან
ციხისმცველი კარგი ბიჭები.

მწუხრი

ასკილის კუნძზე ნაკვერჩხლები
თითებს იმტერევენ,
შუაყერასთან —
დედა სოველ შეშას ალაგებს,
კვამლი ცას ეძებს,
და ჭარგვალის კუნჭულს დაივლის,
მწუხრი კი,
ისევ შოადგება მეგრულ
ალაგეს —

რძით საესე მთეარით,
და ძროხების ნაცნობ ბლავილით.

თბილისი

არ მოხვედრია ლახვარი ვისი?!
ნაიარევი ვთვალე...
და ვთვალე...
წყვილი ცრემლივით —
ტბა, კუს და ლისის —
ჰკიღია ჩემი თბილისის თვალებს,
ვით მოგონება.

სვატიცხოველთან

ცხოვრება იყო გაძლევა... სიცოცხლე
 იყო ზღაპარი...
 ტაძრებს ანთებდნენ კელაპტრად —
 ბნელ ცისქვეშ შამა-პაპანი.
 აშენეს ციხე-კოშკები, ათი კი არა,
 ასიცა,
 მაგრამ... იქ — სვეტიცხოველთან
 ზე აიწია ქართლის ცამ.

ბაკათაშვილი

მწუხრისფერ ლოცვად ენთო სანთური,
 გოდებდა სული —
 უვალ გზებზე მოხეტიალე,
 რადგან საწუთრომ ყოჩნისფერი
 ცა დაძალა,
 რადგან ცისფერი,
 მიმწუხრისას ვერ გაიხსენა.
 უკვდავებაში მიმავალმა
 კვლავ ილოცა —
 „ვპოვე ტაძარი“,
 ბერე დალილმა მთაწმინდაზე
 ჩამოიხსენა...

ამირანი

მზის სიყვარული სწავდა
 რა რჯული,
 მრისხანე ლმერთთან
 რა რიგ იომა...
 წამების მალალ კლდეს მიჯაჭვული
 ნათელი —
 ბნელმა ველარ დანისლა.
 თეთრი გვირგვინით დაზვიანული
 კავკასიონი—
 საფლავი არის ამირანისა.

საქართველოს გავრცელებული

ღელავს...
 ენგური დაგრეხილ მთებით —
 წელზე ჰკიდია სატევარივით.
 არსაით მტერი...
 აღმოსავლეთით — მტკვარი,
 როგორც ხელი მარჯვენა,
 და დასავლეთით — რიონი კი,
 როგორც მარცხენა
 გაუშლია და...
 საქართველო მოყვასს მოელის...

• • •

რისხვა და ნგრევა საუკუნეთა
 მღვრიე ტალღებად
 ისევ ჩაუვლის...
 მინც დარჩება ვით ზღაპარი
 და სასწაული —
 წიგნი ვეფხისა,
 ნიკორწმინდა,
 ჯვარი,
 არმაზი —
 ჩემი ქართულის სიღრმე, სიმაღლე
 და სიღამაზე.

ოსკანციბი

ბავშვების კენესად და გოდებად
 ამოდის კვამლი
 და უდის ცრემლის
 და სისხლის სუნი.
 ცას ეწვის თვალი...
 მიწას სტყევა
 ღედური გული
 და... საუკუნეს წულულიან მკერდზე
 ატყვია ბავშვთა სისხლიანი
 ნაფეხურები.

ჩაკახეთში

ცაში აფრენილ სალ-კლდიდან —	ღუმს ლამე...
წუხილი ეონავს	ისევ შევყვივლეთ,
ციხეთა.	წამით ვაცოცხლდა
ყვილის ისარი ვტყვორცნეთ,	წარსული, —
არავინ გადმოიხედა.	კოშკიდან მთვარე გადმოდგა,
	ვით ათაბაგის ასული.



მარტყოფის პედი

ბინდად დამდგარა —
ოთხასიწლის
სპარსთა ყაყანი...
ჩიტი მზეს ვალობს
იშმუშნება ველი —
მარტყოფის.
სიკვდილ-სიცოცხლე
აქ უნახავთ ერთად,
ორი და.

გამარჯვებულნი! —
კვლავ უსხედან
სუფრას —
არყოფნის,
მღერიან, მაგრამ...
ხმა ვერ აღწევს
იმ სიშორიდან.

თბილისის დილა

ქარის მსუბუქ ფრთებს გადაჰყვება
ღამის ზმანება,
ფიქრთა ბურუსი —
მოოქროვილ სივრცეს
შებინდავს.

ფერმკრთალი დილა, მზის ვარდისფერ
ყელს მოიღერებს,
მერე აღსავლით გადმოდგება
მაღალ მთებიდან
და დიდ სინათლეს ამოიმღერებს.

პირველ თოვლში


ციურ სიწმინდედ მორღვეულა
ცათა კარები
და ფანტელ-ფანტელ
ძირს ჩამოდის უფლის ხატება,
რომელიც მუდამ,
გამოუცნობ
ნათელში მხევედა.

და დიდ სინათლე ამოიმღერებს.
ბაეშვის თვალში
და პირველ
თოვლში —
შეუბილწავ და პირველყოფილ
სამყაროს ვხედავ.

მ თ ე ბ ი

ქალაქის ირგვლივ შემოწყობილან
და დაუხურავთ
მომთვარული
ღამის მერდინი.
ფიქრში იელვებს
თემური და ჯელაღედინი
და მონღოლების ურდო
წყეული...

არა,
ო,
არა,
მტერს კი არა,
ჩემი თბილისი,
მთებს სიყვარულის დიდ ალყაში
ჰყავო მომწყვედეული.



საკრალული განდებილი

მოთხრობა

I

უხალისოდ მიმავალი ჩემი ცხოვრების დღეები, უფრო კი ის ამბავი, რომ ხშირად მართო ყოფნას ვამჯობინებდი, ახლობლების და მეგობრების მღელვარებას იწვევდა.

ბოლოს ერთმა მეგობარმა მიჩაჩა: — შენი ნერვების პატრონი კარგს იზამ, თუ აქაურობას გაეცლები და რამდენიმე თვეს მაინც ბუნების წიაღში გაატარებ.

ასეთი რჩევა გონივრული მეჩვენა, ეს ჩემი ფარული სურვილიც იყო და გადაწყვიტე მამის ერთ ძველ გულითად მეგობარს ესტუმრებოდი. მერაბი მარტოხელა კაცი იყო, ცოტა არ იყოს, უცნაური და ფანტაზიორიც; ამასთანავე, სტუმართმოყვარე, ხელგაშლილი ვიცოდი, რომ მასთან ყოფნა არაფრით შემზღვედავდა. ადრე დაქვრივებულმა აღარ ვძია საყვარელი მეუღლის მაგიერი და მარტოობაში ატარებდა დღეებს მოხუც მამიდასთან ერთად.

ისიც ვიცოდი, იქ სიხარულით მიმიღებდნენ. ამ იმედით გამხსნევებულმა ერთ დღეს დავტოვე ქალაქი, ჩემთვის ჩვეული გარემო და იმ შორეულ, მთიან სოფელს მივაშურე.

• • •

საკრალა არც თუ ადვილად მისაწვდომი ადგილია, მაგრამ იმით მიზიდავს, რომ ჩაბუდებულია ხელუხლები ბუნების შუაგულში.

გაჩერდება თუ არა მატარებელი ერთი პატარა დაბის სადგურზე — ის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია, — სამხრეთით გამოჩნდება ტყიანი გორაკების გრეხილი, რომლის შუაში განცალკევებულად აღმართულა მალალი მთის კონუსი. ვინც მას პირველად ხედავს, იფიქრებს, აქამდე არც თუ შორიაო, ნამდვილად კი ნახევარი დღის სავალი გზაა ქვეითად მოსიარულესათვის. ის მთა თითქოს იმიტომ დგას ასე საჩინოდ, რომ შეუქურას მსგავსად ორიენტირების საშუალება მისცეს მგზავრს.

დაბიდან გზა ჭერ ვაკით მიიმართება. როგორც კი გასცდები დიდი მდინარის კალაპოტზე გაქიმულ ბონდის ხიდს, უმაღვე აღმართი იწყება და ამიერიდან მალლა და მალლა მიიწვევს. რაც მეტს აივლი, შარა თანდათან ვიწროვდება, მერე ბილიკად იქცევა და ალაგ ისე დაბურულია წაბლისა და წიფლის ხეებით, რომ გარშემო ვერაფერს დაინახავ.

კონუსის წვერზე ფეხს რომ დადგამ, მხოლოდ მაშინ გეძლევა საშუალება მიმოიხედო და თვალთ გაზომო, რა სიმა-

დღეზე ასულხარ. აქ, ზევით, ხრიოკია, ქარს აუხვეტია მიწა და ტიტველი ლოდები დაარჩენილა. მეზობლად ნაპრალებით დასერილი მთები და შერე ისევ მთები, ერთმანეთზე დახორავებული. სიჩუმეა, შენს შერთი არავინაა და მაინც გეჩვენება, რომ უჩინარი ვილაც გვერდით მოგყვება და სხვათაგან დაფარულ რაღაც საიდუმლოს განდობს.

თუ ქვევით გადაიხედავ და დააკვირდები, იქ, ველზე დაკლავნილი მდინარე რომ ბორცვებს ჩაუდის, კვამლს შეამჩნევ. აი იმ ადგილზეა დაბა, სადაც დილით მატარებელმა ჩამომიყვანა. მთის წვერიდან შენობები შავ წერტილებად ჩანან. ისეა, თითქოს ერთგან წყლული გაჩენოდეს ირგვლივ მწვანედ გაშლილ სივრცეს.

ერთხელ კიდევ მოვალე თვალი იმ ადგილს და გზა განვაგრძე. მშვიდობით, დიდი ქალაქების უღლეურო ნაბუშარავ, მათი მოუხსენარი ხმაურის გამოძახილო, მტკრიანი სკვერების უპანასკნელო მოგონებავ!

როგორც კი გადაივლი მწვერვალს, საკრალსაქენ მიმავალი ბილიკი იწყება. აქედან გარემო ხალისიანია. ლალად გახარებულა ხე, ერთმანეთს გადახლართვია კატაბარდა, შინდის ბუჩქი, აღერებულა ველური ყვავილი. ხშირად წააწყდები წყაროს და ნაკადულს, სათავეს მდინარისას, რომელიც დაბლობს სასიცოცხლო ძალას ანიჭებს.

მოულოდნელად ცხენის ფრუტუნე გავიგონე. წუთიც და ორი მხედარი წამომეწია. წინ თეთრ ლაფშაზე მოყანტალობდა გულმოლედილი, შუახანს გადაცილებული მამაკაცი. ქილოფის ქუდქვეშ დატანებული ცხვირსახოცი შუბლზე გადმოფენოდა. ისე ჩამიარა, არც მოუხედავს ჩემსკენ. უკან ცხენდაცხენ მიჰყვებოდა ჭრელი ხილაბანდით თავწაკრული ქალიშვილი, რომელსაც ცინაფერი რეიტუზი ეცვა.

ქალიშვილმაც უხმოდ ჩამიარა, მაგრამ მოსახვევთან უცრად შეაჩერა თავისი ჭაკი. შემოაბრუნა და მომაჩერდა.

— რა თქმა უნდა, ის ხართ! — ხალი-

სიანი გაოცებით გადმომძახა. ^{ერთმანეთს} ვუხლოვდი. — წუხელ ხომ მატარებელში განახეთ!

ახლა მეც მომაგონდა. თამბაქოს მოსაწევად კუპედან რომ გავედი, დერეფანში იდგა ფანჯარასთან და ვილაც დედაკაცს ელაპარაკებოდა.

— პო, სწორედ მაშინ! — დამიდასტურა ისევ ცოცხლად. — თქვენც საკრალულაში მიდინართ? იქამდე ბევრი აღარაფერი დარჩა. მაგრამ მაინც მომეცით ეგ ზურგჩანთა, აგერ უნაგირზე ჩამოვკიდებ!

— არა, გმადლობთ, მსუბუქია, თითქმის ცარიელი!

გამოწვდილი ხელი დაუშვა, ისევ ერთილი გაოცებით ჩამომხედა და თქვა:

— აბა როგორ წარმოვიდგენდი, რომ ამ გზაზე შეგხვდებოდით...

ფერმკრთალი იყო, ღამით, ალბათ. ცუდად ემინა. გამხდარ სახეზე ლურჯი თვალები ბავშური გულბრყვილობით სავსე ჩანდნენ.

— მონიკა! — გავიგონე მამაკაცის ხმა.

ქალიშვილმა აღვირი მოსკიბა და გადმომძახა:

— გზას ხომ გაიგნებთ? ამ ბილიკს გაყევით, პირდაპირ მიგიყვანთ!

— მონიკა! — უფრო ხმაძალა მოისმა.

ქალიშვილმა შეაბრუნა ცხენი და ფეხი ააჩქარებინა.

სახელი მეუცხოვა. ცოტა არ იყოს, შეუფერებელიც მეჩვენა. იქნებ იმიტომ, რომ მას ძალიან ქართული სახე ჰქონდა. მშობლებმა, ალბათ, რომელიმე რომანში ამოიკითხეს. ჩემი უფლება რომ იყოს, გადავარქმევდი და ჩვენებურს შევერჩევდი.

ამ უცაბედმა შეხვედრამ რატომღაც სითბო შემმატა გულში.

რამდენიმეჯერ ხმაძალა კიდევობდნობი ქალიშვილის სახელს. გამიადვილდა გზა და საცალფეხოს უფრო გაბედულად მივყვები.

* * *

საკრალულს მზის ვადახრისას მიეუბნო. ჩემს მესხიერებაში ის დარჩა იმ ძველ სოფლად, სადაც ბავშვობისას ვცხოვრობდი. რა თქმა უნდა, ის უცვლელია, იგივე ხალხი, იგივე ბუნება.

ჭერ კიდევ არ ჩანდა სახლები, მაგრამ ვიცოდი, იქ მალე მივალწვედი. აი, კიდევაც შემეგება პირველი მაცნე—ძველი საჯვარე, ქვის სახურავზე ახლაც გვიძრა ხარობს. ვინ ააგო ეს პატარა სამლოცველო ამ უდაბნოში, ვის დასჭირდა იქ განმარტობა და მარტივობა? მწირის სახელი არავინ იცის, მხოლოდ ხავსიანი კედლები დარჩენილა მისი სვედიანი ცხოვრების მოსაგონრად.

გადავიარე ველური თხილის ბუჩქებით დაფარული ბორცვი და მაშინვე სოფელიც გამოჩნდა. ფერდობზე მწვანედ ბიბინებს სიმინდის ყანა და შაბიამნით შეწაპლული ვენახები. ფერდობის ძირში მიედინება კლდეებს შორის მომწყვდეული მთის მდინარე. მდინარესაც საკრალულს ეძახიან.

ათი წელიწადია აქ არ ვყოფილვარ, ათი წელიწადი, რომელიც საუკუნეთა განცდების დამტევია. უნებურად შევჩერდი და იქაურობას თვალი მიმოვაველე... არა, არაფერი შეცვლილა. ისეა, თითქოს გუშინ ვიყავი აქ უდარდელი. ჩვიდმეტი წლის ქაბუჯი...

მაშინვე მოვლანდე ფერდობზე ჩადგმული ძია მერაბის ოდაც. ნაძვების წარაფს ჩიტის ბუდესავით მიკრული. კიდევ რამდენიმე წუთი და იქ ვიქნები...

გაქვინებული ცხენის თქარათქურმა გამიფანტა ფიქრი. ზერდაგზე ამხედრებულმა ვილაც ახალგაზრდამ ჩამიქროლა. მხრებზე მოეგდო წითელი ჩაბალაბი, რომლის ტოტებს, ფრთებივით გაშლილს, ნიავი აფრიალებდა. ჩამიქროლ და თვალს მიეფარა. რამდენიმე წუთი კიდევ მესმოდა როგორ ურტყამდა ცხენის ნალი კაეით მოკენწილ გზას. ფოლადის ნალი, ალბათ, ცეცხლს კვესავდა.

ჩაიერბინე მოკლე დაღმართი, წუთით

შევჩერდი წყაროსთან, ხარბად დავწვდი ფე წყალს. თითქოს იმისათვის, რომ ამ მიწის მადლს ვზიარებოდი და მალე ეზოს ქიშკარი შევავლე.

მერაბი ხელბეგაშლილი შემეგება. მისი სიხარული გულწრფელია. მღელვარებაც ემჩნევა.

— შენ გაიხარე, ჩემო გელა, ძლივს მელირსა შენი ნახვა! — ჩუმი ხმით ამბობს და ისევ მეხვევა.

ასაკით ჩვენ დიდად დაშორებულნი ვართ ერთმანეთს, მეტით თუ არა, ოცდაათი წლით მაინც, მაგრამ თავი ისე უჭირავს ჩემთან, თითქოს თანატოლები ვიყოთ.

კიბის თავში შემხვდა ბებია კესოც. ძალზე მოხუცებულა. სიარული უჭირს და ჯოხს იბიჯებს. მაგრამ მაინც მხნე მეჩვენება. ძველი ხალისი სადღაც კიდევ შერჩენია დაბინდულ თვლებში.

კესო ისე უბრალოდ მომესალმა, ვითომც მხოლოდ რამდენიმე დღეს გაველოს. რაც უკანისკენლად მნაბა. მისთვის, ალბათ, სხვაგვარად მიდის დრო. მოხუცები ზოგჯერ ბედნიერები არიან ამ მხრივ. განვლილი წლები მათთვის თითქოს უკან მიიწვეს და თანდათან უერთდება წარსულს. გაგონილი მქონდა, კესო ოდესღაც ქორწილების და ნადიმების მშვენება ყოფილა და არა ერთ ვაჟკაცს უცდია მისი ყურადღება დაემსახურებინა...

— რალაი ხელთ გიგდე, აქედან დიდხანს აღარ გაგიშვებ. ზაფხული ჩემთან უნდა გაატარო, — მეუბნება მერაბი.

— იქნებ მეტი ხანიც, — ვეუბნები, — ოღონდ კშიშობ. თავი არ მოვაბეზრო.

— მაშ კარგი, — კმაყოფილია მერაბი, — დარჩები მანამდე, სანამ არ მომბეზრდები. სიტყვა სიტყვა!

ბოლოს ეკვიანარ ღიმილით:

— შენი ხასიათი რომ ვიცი, ვაი თუ ვერ ვაძლო ამ ყრუ ადგილას!

მერაბმა არ იცის, რომ სწორედ ამ მარტივი ცხოვრების მონატრული ვარ ახლა. ისე როგორ უნდა გამიწყრეს ღმერთი, ვერ ვაძლო ამ უცოდველ გა-

რემოში, სადაც ყველაფერს სიწმინდის დალი აზის! როგორ არ შევხაროდე ამ მწვანე სასწაულს! ვიცი, კეთილად მიმიღებს საკრალულა და კიდევაც მიმეგობრებს. ამაზე უარს არ მეტყვის, დიდი ეს წყალობა, მაგრამ მაინც არ დამამაძლის.

ბინდდება. კესო რალაც ძველ ამბავს მოგვითხრობს. ავიწყდება ხოლმე რა გვიამბო მანამდე და ნათქვამს იმეორებს. იმას კი ვერ ამჩნევს, რომ დიდი ხანია მე და მერაბი აღარ ვუსმენთ და ჩუმად ვსაუბრობთ. მოხუცი უფრო თავის თავს ელაპარაკება და უაღერსებს წარსულს, რომელიც მით უფრო ახლო ეჩვენება, რაც უფრო მეტი დრო გასულა.

მერაბმა ლამაზი მოიტანა. აივნის იქით ლამე მსუყე გაზდა. განიერ, ძველებურ სავარძელში ჩამჯდარი კესო უკვე უკინთავს. მას არც აქამდე აინტერესებდა რაზე ვლაპარაკობდით. კიდევაც რომ მოესმინა, მისთვის ბევრი რამ გაუგებარი იქნებოდა. ნახევარ საუკუნეზე მეტია არ გასცილებია აქაურობას და ვინ იცის, დავიწყებულიც აქვს, რომ საკრალულას გადაღმა კიდევ არის სხვა ქვეყანა და სხვა ცხოვრება.

— მოასვენეთ, დალილი იქნება, — რამდენიმე წუთით გამოფხიზლდა კესო და ჩემზე ზრუნავს. უფრო კი თავის თავზე — ჩამოღამდა და მისი ძილის დროც დადგა.

სიამოვნებით გავიშოტე და სანთელიც მაშინვე ჩაეაქრე. ოთახში ბნელა. სიჩუმეა. ღია ფანჯარაში მოჩანს ჩამავეებულის ცა და ორიოდ ვარსკვლავი. თვალი სიბნელეს ეჩვევა. ფანჯრის წინ ამართული ნაძვი მოლანდებას უფრო ჰგავს.

დიდი ხანია ასეთი სიმშვიდე არ მიგვრძენია. თუნდაც ამისთვის ღირდა ამ მოსვლა.

ღმერთო, რა კეთილი სიჩუმეა!

დაღმართს ჩაუყვავი. რამდენიმე ოდას ჩაუქარე. ეზოები კონდარით მოფარდაგებულია. საიდანღაც ჩხრილი მესმის. მზე საკვირველად ახალგაზრდაა და გრილი. გარშემო ყველაფერი მზის თვალთ შემომცქერის. მზის ნათელს ფოთლების და ბალახის სურნელი ასდის... შორეულ წარსულში წარმართებს ღვთაებად მიაჩნდი შენ. ახლა მეც ერთი იმ წარმართთაგანი ვარ და მინდა გიგალობო შენ, ნათელის დედაო, ცოცხალი და სიცოცხლის მომცემო, დედამიწის გამხარებელო, ნაყოფის დამამწიფებელო, მტყენებში სიტყბოდ ჩამდგარო და მალხინებელო, ამეტყველებულო ტყის შრიალში და ჩქერალუბის ხმაურში, უსაზღვრო ეთერის სიმაღლიდან გადმოშვირალი კეთილო ღვთაებავ! ვოი ლილეო! შენი დიდებით ვხარობ და შეგძახი — ვოი და ლილეო! წყაროდან მომავალი სოფლელი გოგო შემომხვდა. მხარზე დიდი დოქი შევდგა.

— ამ გზით ვერ ჩავალ მდინარეზე? — ეკითხები.

— პირდაპირ მიგიყვანს.

ისე მიპასუხა, თითქმის არც შემოუხედავს. ისეთი ჩანიანი გოგოა. თვალს ახალისებს მისი დანახვა. ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე დაქალბული.

— არ დაგალა მაგოდენა დოქის თრევამ? — მხოლოდ იმიტომ შევაჩერე, რომ მინდა გამოველაპარაკო.

— რა მძიმე ესაა! — კინლამ მწყრალად ამბობს.

ლამაზი ნახელავია. სად იყიდე?

— ჩვენი გაკეთებულია. მამაჩემი წინათ მეთუნე იყო.

— სად არის შენი სახლი? რომ მოგაკითხოთ. არ გამიყეთებს?

— ეგერ. ალვის ხესთან — მიძითითა. — აი, იქ!

— თუ ვერ მოგაგნე, რა სახელით მოგძებნო?

— მამაჩემი იცითხე, ბეყანა. ყველა მოგასწავლის.

— შენ რა გქვია?

— მაცვალას მეძახიან.

— აბა სად შენ და სად შავი მაცვალა! — შეხუმრება ვცადე, მაგრამ მეტი არ დამცალდა.

გულცივად შემომხედა და წაეღია. მენიშნა, რომ უცხო კაცის შეხუმრება არ ესია მოგონა.

„ოჰო, რა მკაცრი გოგო ყოფილა!“ — გავაყოლე თვალი და რატომღაც გამეხარდა კიდევაც. ის პირველი იყო, ვინც ამ დილით საკრალაში ვნახე და ეს შეხვედრა დღეიდან აქ დაწყებული ჯანსაღი სიცოცხლის მეკვლედ მივიჩნიე.

ხევის მდინარე ანკარაა. გარკვევით ჩანს რიყით მოფენილი ფსკერი. შეტბორებულში თითისტოლა თევზები და ცურავენ. რა თქმა უნდა, არც ერთ რუკაზე არ დაუხაზავთ საკრალას კალაპოტი. ის არ არსებობს იმათთვის, ვინც გეოგრაფიულ ატლასებს ამზადებს, მაგრამ რა ხალისი მოაკლდებოდა აქაურობას, ეს მდინარე რომ არ იყოს!

წყალი ცივია და ვერ ვბედავ შიგ ჩასვლას. ჯერ კიდევ გააზიზებულნი ქალაქელი ვარ, უნდა დავიცადო სანამ მზე გაათბობდეს.

აღმათ დიდხანს ლოდინი დამპირდება. მე კი ამის თავი არ მაქვს. დრო რომ გვათრიო, მდინარის სათავისაკენ წავედი. ნაპირი ალაგ ისე ციკაბოა, თამამად ფეხს ვერ გადადგამ. დრო ბევრი მაქვს, არავინ მელოდება, არსად მიმეჩქარება. დრო აქ ჩემს მორჩილებაშია.

რაც მეტი გავიარე, ტყე უფრო ვახშირდა.

ჩემთვის შეუძინველად ავეყვი ფერდობს, დავშორდი საკრალას კალაპოტს და ტყეს მივენდე. წუხელ მთვარიანი იყო და დაცვარული ხე და მიწა ახლაც ნაშიანია. ნაადრევად დაცვენილი ფოთლების სუნი დგას. სიჩუმეა. მზის შუქი ფათურობს შეფოთილ ტოტებში და ღამით ჩამოყრილ ცვარს იწოვს.

მდინარის ხმაური აღარ მესმის. იქნებ ჯობდეს დაებრუნდე, თორემ ასეთ უღრანში მხარი რომ შემეცვალოს, ვინ

იცის რამდენ ხანს უნდა უგზოუკვლოდ.

შემოეტრიალდი, მაგრამ ვგრძნობ, ჩემთვის საჭირო მიმართულებით მაინც ვერ მივდივარ. ტყე უფრო უსიერი გახდა... არა უშავს, კიდევაც მახალისებს ის ამბავი, რომ გზა დამებნა. ესეც შენი ბუნების შუაგული და პირველყოფილება! ტყეს, ალბათ ართობს ჩემი უთავბოლო ხეტიალი. მაგრამ არც მე ვარ გულნაკლულად, — ათასგვარი ოცნება თან დამეყვება.

თავს ვირთობ ფიქრით, ვითომ შორეულ წარსულში ვიმყოფები... აი, უცერად შემეფთა უხსოვარ საუკუნეებიდან შემონახული დრო. მალალი ციხე-გალავნის ქონგურზე მუზარადიანი კაცი დგას, მშვილდ-ისრით შეიარაღებული. ჩავებლაუქე გალავნის ხავსიან კედელზე ამოსულ ბუჩქებს და ავცოცდი. გალავანი ვრცელ ვაკეს უკლის. ერთგან მინდორზე ბომონია ამართული. ხალხი შეგრაოვილა და კერპისათვის შესაწირავ ხარს ატყავებენ. მამაკაცებს ნადირის ტყავი მოსავთ.

დამინახეს თუ არა, ზეარაკს ხელი უშვეს და გაკვირვებით შემომჩაჩერდნენ.

— ვინ ხარ, საიდან მოხველ? — მეკითხება გრძელწვერა ქურუმი.

— მე თქვენი შთამომავალი ვარ! — ვეუბნები გაბედულად.

ყველა გაოცებით მომჩერებია. მერე მოულოდნელად ხარხარებენ:

— ის ამბობს, რომ ჩვენი შთამომავალია! საბრალო, რა ფერმკრთალი და ნამლევა!

იციან, ხელებს მითათუნებენ, თითქოს უნდათ დარწმუნდნენ, მართლა ცოცხალი არსება ვარ, თუ მოჩვენება.

— შენ ბაბუაწვერასავით მსუბუქი იქნები, — შეცოდებით მეუბნება ერთი. — შენს სხეულში სისხლის ნაცვლად, ალბათ, გრილი და თეთრი სითხეა!

შეურაცხოვრილად ვგრძნობ თავს. მინდა გაიგონ, რომ არც თუ შესაბრალისი ვინმე ვარ:



— ვიდრე თქვენს სამთავროში მოვიდოდი, გრძელი გზა გამოვიარე და მრავლის შემსწრე ვარ. ძველმა კეთილმა ღმერთებმა — ოსირისმა და ისილამ მასწავლეს ზორბლის თესვა და ვაზის დარგვა. ურარტუში არხის ფსკერზე ბაზალტი დავაგე. ფინიკიელთა ზომალდებით ზღვები გადავსერე. შევერკინე იასონის შეკობრებებს, როცა მათ ოქროს საწმისი გაიტაცეს...

— არ ვიცი, აგეთი რამ არც მსმენია, — ამბობს ქურუმი.

— ათენის ხეივანებში პლატონის საუბარს ვუსმენდი, — განვაგრძობ უფრო თამამად. — ბიზანტიაში, მცხეთაში და უბისში ტაძრები ფრესკებით შევამკვე. ვეპირობდი ჰომეროსის, შოთას და დანტეს სიტყვას, კვალდაკვალ მივყვებოდი სწავლულებს, ვინც უსასრულობას შეეჭიდა, დაბადა ატომი და მთვარის შემდეგ ირმის ნახტომზე ასაფრენად ემზადებოდა. მომსწრე ვყოფილვარ როგორ ინგროდა ქვეყნები, ქრებოდნენ ხალხები, ხოლო მათ ნაცვლად მოდიოდნენ სხვები, რომ ახალი სამეფოები გაეშენებინათ. მრავალჯერ მიბრძოლია ბარბაკედებზე, როცა მამვრალნი ძველ ღმერთებს ვამბობდით. დღეს დავასრულე ეს დიდი გზა და, აი, ახლა თქვენს წინაშე ვდგავარ! — მეტის თქმა საჭიროდ არ ჩავთვალე და ამაყად გადავხედე ყველას.

— ჰო, დიდი გზა გამოგივლია. მაგრამ ყოველივე ეგ იმის შემდეგ მომხდარა, რაც ჩვენ ამ ციხე-გალავანს შევაფარეთ. თავი, — თქვა ქურუმმა და მერე დაუმატა: — ახლა ის მითხარი, შეგიძლია თუ არა სწულს შევბა მისცე?

— ვინ არის ავად?

— ჩვენი ტომის ბელადი. აზაერი და ფური შეეწირეთ ყველაზე ძლიერ ღმერთს, მაგრამ საშველი მაინც არ დადგა. მთვარე შეიდჯერ ჩავიდა და ამოვიდა, რაც ბელადს ძილი არ მიკარებია. მრავალი სამკურნალო ბალახი იზრდება აქ, მაგრამ ძილის მომგვრელი ვერსად გვიპოვნია.

დილით სახლიდან რომ გამოვედი,

გულსჩიბებში ვიპოვე შემთხვევითად ჩაჩენილი საძინებელი ტაბლეტები. მთელი წელიწადია უიმისოდ თვალი ვერ დამიხუტავს.

— მიმიყვანეთ ავადმყოფთან! — თამამად მოვითხოვე.

ქურუმი გამიძღვა. კარავთან ჩრდილში დავინახე ჭირკიდან გამოჭრილ საკარცხულზე მისვენებული თეთრწვერა ბელადი. თავზე ოროვანდის ფოთლები ეფინა, მოლზე მოთრხმული მგალობლები ძილისპირულს ღიღინებდნენ. ქურუმმა მოწიწებით მოახსენა ვინ ვარ და რატომ მომიყვანა. ბელადმა წამიერად შემავლო უძილობისაგან გამოღუნებული თვალები და რაღაც წაილულულა.

განზრახ, რომ თითქოს ჯადოსნური ჩემი ძალა გამომეჩინა, კაბალისტური სიტყვები წამოვროშე და ვუბრძანე ტაბლეტი გადაეყლაპა. შიშნარევად, გასუდრული მომშტერებოდა ყველარამდენიმე წუთი და, ბელადს ჯერ მთქნარება აუტყდა, სულ მალე კი ხერიც ამოუშვა.

მხოლოდ მესამე დღეს გაიღვიძა ბელადმა, მიხმო, გადამეხვია და მკითხა, რომელმა ღმერთმა გამომგზავნა მის საშველად. ღიმილით მოვახსენე, რომ არც ერთ ზეციერთან კავშირი არ მაქვს. ჩვეულებრივი ადამიანი ვარ და რომ მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში დავიბადე, გამომეტყველებაზე შევამჩნიე, ვერ მიხვდა. რას ნიშნავს მეოცე საუკუნე. იძულებული გავხდი ბელადისთვისაც შეამბნა ვინ ვარ და საიდან მოვედი.

— ყურადღებით მომისმინა და მერე თქვა:

— შენთვის უკვე უთქვამს ქურუმს და ახლა მეც გეტყვი: ღიახ. ყოველივე ეგ, რაც მიაბზე ჩვენს შემდეგ ყოფილა, ჩვენ აქ ბევრად ადრე ვართ მოსული. ოდესღაც ჩემი ქვეყანა ძლიერი და განთქმული იყო თავისი ქალაქებით, სასახლეებით და სიმდიდრით. არა ერთი პლატონიც გვყავდა და შორეულ ვარსკვლავებზედაც უფრენია ჩვენს ხალხს.

ამით ვერ გამაყვირებ. მაგრამ მერე ყოველივე ეგ გაქრა, მოისრა და ისე მიეცა დაეწყებას, რომ ახლა მხოლოდ ზღაპრად დარჩა ის ამბავი. იყითხავ, ეგ როგორ მოხდაო? სულ უბრალოდ. — ჯერ იყო და, ფრთიან ცხენებზე ამხედრებულმა ხალხმა ცეცხლს მისცა ჩვენი ქალაქები და სოფლები და გვაიძულა სხვა, შორეულ ადგილზე გადავსახლებულიყავით. ის იყო დავემკვიდრეთ, ავაშენეთ ახალი ქალაქები, ავაყვავეთ ბაღები, მაგრამ იქაც მოგვნახა მტერმა, შხამიანი ჰაერი გადმოაქროლა ჩვენს მიწაწყალზე და მოსპო სიცოცხლე. ვინც გადავრჩით, გავეცალეთ იქაურობას, ვიარეთ, ბევრი ვიარეთ, აქედანაც წასვლას ვაპირებდით, მაგრამ აქ ჯაღოწყარო ვიპოვეთ, ამით უკვდავება მოვიპოვეთ და სამუდამოდ დავრჩით. ჩვენი ღმერთები მფარველობას გვიწვევენ და ხალხშიც სრული თანხმობაა. აღარ გვინდა ძველი დიდება, ჩვენ გავიგეთ სად უოფილა ადამიანი ბედნიერი და არავეითარ სხვა ცხოვრებაზე არ ვოცნებობთ.

ბელადმა თავის გვერდით დამსვა, სიტყვით მიაღერსა და ბოლოს მითხრა:

— ვგრძნობ, გრძნეული კაცი ხარ. ბევრი სიკეთე შეგიძლია მოუტანო ჩემ ხალხს და რახან დიდი სიკეთე მიყავ. ჩემი ასული უნდა შეგროთო და აქ დაგტოვო სამუდამოდ, — თქვა და ბრძანა: მომგვარეთ მზექალა!

ბელადის ასული ისეთი მომხიბლავია, თვალს ვერ ვაშორებ.

— ამიერიდან შენ ჩემი ხარ, მშვენიერო მზექალა! — თრთოლვით შევახებ ხელი.

ის მორჩილად ხრის თავს და მიმიძღვის კარავში, რომელიც საცხოვრებლად მიგვიჩინეს.

ტომის ცხოვრება ძალიან უბრალოა. არავითარი ბოროტება არ მიკარებია მათ წმინდა გულს, უცოდველი თვალთ შეჰყურებენ ყველაფერს, გალობით ეგებებიან მზის ამოსვლას, ნაყოფის დამწიფებას, ჭეჭილის რხევას და მთვარის ნათელს.

გულითადად შემოიყარდნენ ბუნების

ეს პირმშონი და ჩემს სამღვთს ვეძღვებო. ლეობად ჩავთვალე ხელი შევეწყურებო და უფრო ბედნიერი ვახადო. მაშინვე შევეუდექი საქმეს, მრავალგვარი ცვლილება შევიტანე მათ ცხოვრებაში და შევეცადე რაც შეიძლება მალე ჩემი დროის ცივილიზაციას ვაზიარო...

დავეხეტები ტყეში და თავს ვირთობ ამ ობროდული ოცნებით.

უეცრად წყლის ჩხრიალი მესმის. გავყევი ხმას, ჩავიარე ფერდობი და, დიდება ღმერთო შენს სახელს, საკრავლას ნაპირს მივადექი. მდინარეში ვილაც მელოტ მამაკაცს ვხედავ. წყალი ძლივს წვდება წელამდე, ჩაჭდება, ჩაიყურყურებულს, მაშინვე ამოყოფს თავს და, თითქოს შეშინებული, თვალებს აცეცებს.

— შეთბა წყალი? — გადავძახე.

აღარ ვუცდი პასუხს, სასწრაფოდ ვიხდი და მდინარეში ვეშვები. მამაკაცი ცნობისმოყვარეობით მომჩერებია. გამხდარი მკლავები წელზე შემოუჭვდია და რატომღაც ხან ერთ თვალს ხუჭავს, ხან მეორეს.

— რატომ აღარ ბანობთ? ხომ არ გგონიათ, რომ ავამღვრევ?

ჩემმა ხმამ გამოაფხიზლა, ჩაყურყურებულად, მაგრამ უცბადვე ისევ ფეხზე დადგა და მომაცქერდა. რა ნახა ჩემში ისეთი, რომ თვალს აღარ მაშორებს?! ბოლოს ერთდროულად ამოვდივართ ნაპირზე და ვიცვამთ.

წყალმა ძალა და ხალისი შემმატა.

— სასწაულომქმედია ჩვენი საკრავლი! — ვუთხნები და სოფლისკენ მივყვები.

ჩემი თანამგზავრი მდუმარედ მიაბიჯებს. დიდი ჭილოფის ქუდქვეშ პირსახოცი აქვს დაფენილი.

— საეკირველ ადგილიდან მოვდივარ! — მომბზრდა უბრად სიარული და დავარღვიე ღუმილი. — შორეულ წარსულში გახლდით. დიახ, პრეისტორიაში, ანუ...

დავაპირე განუშარტო რას ნიშნავს პრესტორია, მაგრამ არ დამცალდა.

— ნუ შესწუხდებით, — მშვიდად მეუბნება თანამგზავრი, — ეგ სიტყვა ჩემთვის უცნობი არ არის...

კოტა არ იყოს, გამოვივრდა. მეჩინა, რომ ეს კაცი არც თუ უმეცარი იყო.

— დიახ, იმას მოგახსენებდით, პრესტორიაში გახლდით, ძალიან შორეული დროის ადამიანები და ყოფაცხოვრება ვნახე. უღვევი მასალა ანთროპოლოგებისა და ეთნოგრაფებისათვის...

მაინც მუნჯად მომყვება.

— მათი პირველი ვეზირი ვიყავი. ბელადის ასული ჩემი მეუღლეა. გსმენიათ მზეთუნახავის ზღაპარი? მასზეა თქმული. დიახ! თავდავიწყებით მიყვარს, მაგრამ...

თანამგზავრმა ირიბად გადმოხედა.

— მაგრამ დამაშორეს... გამდევნეს. იცით რატომ? რეფორმები შემოვიღე. ავკრძალე მზისა და მიწის სადიდებელი საგალობლები, ვასწავლე ტყვია-წამლის გაკეთება, დაეწესე ჩინები და ორდენები. მაშინ რა ვიკოდი, თურმე ყოველივე ეს სატანამ მაფიქრებინა... ჩემმა რეფორმებმა სულ მალე გამოიღო ნაყოფი: გაუმწარდათ სიცოცხლე, გაჩნდნენ დიდკაცები, მომრავლდნენ პირმონებები, განდიდების მანით შეპყრობილნი. მე კიდევ ვაპირებდი ახალი ღონისძიებების ჩატარებას, საბოლოოდ დამუშავებული პროექტი დასამტკიცებლად მიმქონდა ბელადთან, მაგრამ უეცრად ხალხმა გზა გადამიღობა და ყვირილით, წაეთრია საიდანაც მოთრეულხარო, პანლური მკრეს და გამომაგდეს... ასე დასრულდა ჩემი ვეზირობა და ასე მომშორეს ჩემს მზექალას!

ჩემი თანამგზავრი ხმას არ იღებს. ზოგჯერ მხოლოდ დაეპყებულად შემავლებს თვალს.

— გესმით თუ არა, რა უბედურება შემემთხვა? თქვენ კი უბრალო თანაგრძნობის სიტყვაც არ გემტებათ!

სოფელში შევედით. ერთგან ატმის ტოტი გადმოხრილა ბაღიდან. მოვწყვიტე ნაყოფი და ხარბად ჩავებიჩე.

ჩემი თანამგზავრი კიშკარით შემეხედა.

— გზა მშვიდობისა! — ჩაიბურტყუნა და კარი შეაღო. მგონი შიშობდა, ვაი თუ შევეყოლოდი...

ეზოს სიღრმეში ცისფრად შეღებილი აივნისანი ოდაა. ცაცხვის ჩრდილში ჰამაკზე წვეს ვილაც ქალიშვილი და წიგნს კითხულობს.

— რა კარგი ეზოა! — ხმა დაეწიე თანამგზავრს. არც მომხედა. მგონი ნაბიჯსაც აუჩქარა. მაგრამ არაფერი წამიგია, ჩემს დაძახილზე ქალიშვილმა თავი წამოპყო.

— მონიკა! — მაშინვე ვიცანი და, ჩემთვის უნებურად, ხმამალა წარმოვთქვი მისი სახელი.

წამოვიძახე და არ შეეჩერდი, გზას დაედექი.

მივდივარ და თვითონ არ ვიცი ასე რატომ შევხარი ყველას და ყველავერს!...

* * *

სრულიად შემთხვევით წავაწყდი ამ ადგილს. როცა ერთხელ მდინარის უფრო ღრმა კალაპოტს ვეძებდი. ეს ზუსტად იქ არის, სადაც ქვითა და კირით ნაგები უძველესი, კუზიანი, კიწრო ხილია, რომელსაც საკარულაში „ქინკას ხიდს“ ეძახიან. ერთი მხრით ის მიყრდნობილია ფერდობს, რომელზედაც ბოლიკის მსგავსი რაღაც შეიმჩნევა. ოდესღაც აქ გზა თუ იყო. გზა ტყეს დაუსაქუთრებია და იმ ხილითაც აღარავინ სარგებლობს. ამას ისიც მოწმობს, რომ ხიდის ზურგი ხავსით არის დაფარული.

იქვე მღვიმე ჩანს. ავდარში ორი კაცი თუ შეძლებს თავი შეაფაროს. მისთვის ქინკას მღვიმე დაურტყვევიათ. მღვიმე ცარიელია, მაგრამ მაინც მგონია, რომ შიგ ვილაც შემალულა და ფარულად მითვალთვალეს... იქნებ იქ პირველყოფილი ადამიანის სადგომი იყო... შიგნით, ალბათ, სიჩუმეა. ოღონდ ჩვეულებრივი კი არა, ისეთი, რომელიც გაფრთხობს კიდევაც. ვინ იცის, იქნებ ამიტომაც, რომ ქინკას მღვიმეს ეძახიან.

იმ საღამოს დიდხანს ვიჯექი საკრალას ნაპირზე. მსიამოვნებდა მარტო ყოფნა, გუნება დამტკბარი მქონდა და ერთხელაც არ მიფიქრია, რომ შინ დაბრუნების დრო იყო.

„დაბინდდება და წავალ“ — ვამბობ გულში.

მწევარ რიყეზე და ყურს ვუვდებ მდინარის ჩხრიალს. გულაღმა ვაშოლტილი შევყურებ ცას და თვალს ვადევნებ როგორ თანდათან იცვლის ფერს. სადაღაც სიმალღეში გაჩერებულია მზით დაფერილი ღრუბლის ფთილა. მერე იქაც ჩაქრა და მთელმა ზეცამ იისფერი მიიღო.

ბინდდება. წასვლა დავაპირე. ის იყო ნაბიჯი გადაედგი, ტყიდან გამოხტა ვილაყ. მღვიმეს მოეფარა და იქიდან მიცქერის. აქეთ მე, იქით ის, ჭიუტად ვუთვალთვალეთ ერთმანეთს. ბოლოს მომბეზრდა ეს კეემალულობა და ხიდისკენ წავედი. და, აი, მაშინვე მოწყდა ის ადგილს და ისევ ტყეში ისეუბა. ადამიანის მსგავსი ვილაყ პატარა და ბანჯგლიანი არსება იყო. მინდოდა დავდევნებოდი, მაგრამ ისეთი სწრაფი გამოდგა, მივხვდი, ვერ დავეწეოდი.

შევჩერდი. ისიც დადგა, ხეს ამოეფარა და იქიდან მზვერავს.

— გიცანი ვინცა ხარ! — სიხარულით შევძახე. — ნუ გეშინია, შენი ძმობილი ვარ!

ლამდება. გარკვევით ვხედავ მხოლოდ ორ ფოსფორულ წერტილს, რომელიც ტყის სიღრმიდან შიშით შემომცქერის.

* * *

მერაბმა ჩემს პატივსაცემად სუფრა გაშალა და ახლო მეზობლები მოიწვია. ალბათ ეგონა, ასეთი ყურადღება მასიამოვნებდა. მე კი უფრო კმაყოფილი ვიქნებოდი, არავის შეემჩნია ჩემი აქ ყოფნა.

თავი იმით ვინუგეშე, რომ საკრალაში გაზრდილი მისი სტუმრები უბრალონი იქნებოდნენ და თავს არ შემაწყენდნენ ქალაქური ცერემონიებით.

იმედი გამიმართლდა. ბევრი მათგანი

მიმზიდველი და სათნოც მქონდნენ იმიტომაც, რომ გულუბრყვილონიც ჩანდნენ.

ყველაზე ადრე მოვიდა შეგოზიანი კაცი. ისეთი გაბრწყინებული სახე შემოგვანათა, თითქოს დიდად გასახარების მაცნე ყოფილიყო.

— ერთობ გვასიამოვნეთ, რომ საკრალაში ამოსვლა ინებეთ! ღირსება შემატეთ ჩვენ სოფელს! — მომესალმა გადამეტებული თავაზიანობით. — ბესო შეილდაძე გახლავართ, თქვენი ბიძის შირონი და კეთილისმყოფელი.

კინალემ დაკინვალ ჩავთვალე ამგვარი ქათინარი. მაგრამ ეს ხომ სრულიად უანგაროდ იყო თქმული და ამიტომ უმაღლე ვაპატიე. გავიფიქრე მხოლოდ, რომ ამის მოქმელი ამჩატებული ჰკუის პატრონი იქნებოდა. არა უშავს, ასეთნი ხომ, უმეტეს შემთხვევაში გულკეთილები არიან და ნადიმს ხალისსა და სიმსუბუქეს მატებენ.

მოწვეულნი თანდათან იკრიბებოდნენ და მერაბი ყველას გულითადად ეგებებოდა. ასევე შეხვდა ერთ კაცს, რომელსაც მოკლესახელოებიანი საზაფხულო, ლურჯი ხალათი ეცვა. ის ტანდაბალი იყო და მსუქანი. ამოვიდა თუ არა აივანზე, შიშნარეველ მიმოიხედა და იკითხა:

— რაო, ჯერ არ დამსხდარხართ? აბა დავლუბლუვარ და ეგაა. აღარ ამცდება თამალობა!

გარშემო გაიკინეს. ტანჩიორამ ისევ შიშნარეველ მიმოიხედა და გადაიხარხარა. აი მაშინ შევნიშნე ის, რაც მას საოცარს ხდიდა: მისი სახე რალაც საკვირველ ნიღაბს დაემსგავსა. ხორციანი ლოყები უცნაურად ემანჭებოდა, ხოლო ერთი თვალი სრულიად არ იძროდა. ისე, როგორც ქანდაკებასა და სურათზე. გვიან გავიგე, რომ თვალი ხელოვნური ჰქონდა.

— ესეც ჩვენი ამირან დარსაძე, — გამაცნო ის მერაბმა, — პატივსაცემი პიროვნება და ყოფილი მოსამართლე! დარსაძემ ყურადღება გამოიჩინა ჩემდამი და საუბარიც ინება. მომიწო-

ნა, რომ სამეცნიერო მუშაობას ვეწე-
ოდი, რამდენიმე სახელგანთქმული სწავ-
ლული ახსენა და, ბოლოს, ჩაილაპა-
რაჯა:

— მლა... ყმაწვილობიდან ერთადერ-
თი ოცნება მქონდა მეცნიერი ვყოფი-
ლიყავი. მაგრამ... ბედი, ბატონო ჩემო,
ბედი... რას იზამ!

ამოიოხრა და იქნებ იმისათვის, რომ
ყრუ პროვინციულად არ ჩამეთვალა,
რალაც ლათინური აფორიზმი წარმოთ-
ქვა. წარმოთქვა და თავისი ერთადერთი
თვლი მომაშტერა. ცხადი იყო, უნდო-
და დაენახა, რა შთაბეჭდილება მოახდი-
ნა. მეც აღარ ვალოდინე და, თითქოს
სხვათაშორის, ვთქვი:

— სასიამოვნოა თქვენისთანა განა-
თლებულ ადამიანთან შეხვედრა!

ჯერ შეითვრა, კმაყოფილების ნიშ-
ნად ხელი ჩამომართვა და რომ მეგონა
მისი გული მოვიწადირე, უეცრად ნა-
აღადევეად ჩაიციხა. ეს სიცილი უსიამო
იყო. სიხარულს კი არა, უფრო სევდას
ჰგავდა. ამის შემდეგ ისიც საკვირველი
მეჩვენა, რომ უცბადვე შეეცვალა გუ-
ნება და მშვიდად, დინჯად ჩამოაგდო
სიტყვა რალაც მადნეულზე, რომელიც
საკრულაში აღმოჩენილიყო.

დარსაიბე, ალბათ, კიდევ დიდხანს
იუბედებდა, მაგრამ საბედნიეროდ, რამ-
დენიმე ჰაბუკი და ერთი გიტარიანი
ქალიშვილიც შემოგვემატა.

ბოლოს გამოჩნდა სადარბაზოდ ჩაც-
მული ის მელოტი მამაკაცი, რომელსაც
ამასწინათ მდინარეზე შევხვდი.

მასთან ერთად მონიკაც დაეინახე.
მზიანი, თბილი დღე იყო, მაგრამ მზრე-
ბზე ეაკეტი ჰქონდა მოხურული.

მასპინძელი მიესიყვარულა მელოტს,
მერე ჩამკიდა ხელი და მასთან მიმიყვან-
ნა:

— აი ეს გახლავს ედიშერი... ედი-
შერ ბებურიშვილი, ჩემი გულითადი
მეგობარი... შენ გავიხილი გაქვს ჩემ-
გან, რაოდენ ძვირფასია ის ამ ოჯახის-
თვის!

დააპირა ჩემი ვინაობაც გაეცნო მის-

თვის, მაგრამ ბებურიშვილმა დასწრის

— ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს...

— დიხა... როგორ არა, ვიცნობთ...

— ცოტა არ იყოს დაბნეულად ჩაეილა-
პარაკე. — ამ რამდენიმე დღის წინათ
და... უეჭველია, ობროლად მოგეჩვენ-
ეთ...

— არა, რატომ... — თითქოს უარყო
ბებურიშვილმა. ოღონდ ისე გულგრი-
ლად, რომ მენიშნა, სწორედ ობროლად
მთვლიდა.

დარსაიბის შიში არც თუ მთლად
ხუმრობა გამოდგა. თამიდად მართლაც
ის აირჩიეს. ადგილი სუფრაზე ედი-
შერსა და მონიკას შუა მომიჩინეს. ვი-
ფიქრე, მათ გვერდით შეზღუდულად
ვიგრძნობდი თავს და სხვაგან გადავქე-
ქი.

სტუმრები თანდათან გამხიარულდ-
ნენ. ჯერ ჰრელკაბიან ქალიშვილს, მერე
ბესო შვილდაძეს შეაჩეჩეს ხელში გი-
ტარა. მასაც თავპატივი არ გაუდევს.
მოსინჯა სიმები და დაიწყო სიმღერა
უიმედოდ შეყვარებულ ერთ გოგონაზე,
რომელმაც ვერ აიტანა ვაჟის გულგრი-
ლობა და საწამლავი დალია.

როცა ედიშერი აღდგებოდა, მივე-
დი მასთან სასმისით ხელში და დღეგრ-
ძელობა ვუსურვე. ესიამოვნა და თანაც
მისაყვედურა:

— ჩემთან დაჯდომა კი არ ინებეთ.
ყმაწვილო!

მასინჯე სკამი გადმოვართიე და მამა-
სა და შვილს შუა მოვთავსდი.

— აი ახლა კი კარგი კაცი ხარ! —
მხარზე ხელი მომიბათუნა ედიშერმა.
ეტყობოდა, გახალისებულყოფი ორიოდ
ჰქიქის შემდეგ.

მონიკამ თავაზიანად მიმეზობლა, სა-
უბარიც კი გამიბა და, სხვათაშორის,
ის წუთები გაიხსენა, როცა პირველად
ენახეთ ერთმანეთი მთის წვერზე:

— იმ დღეს მე ცუდად მოვიქეცი
თქვენს წინაშე... ვერ მიპატიებია ჩემი
თავისათვის, რომ თქვენთვის უცნობ
ადგილას, სადღაც, მთაში მარტო მიგა-
ტოვეთ...

დავაპირე მეთქვა, რომ ბუნების იმ

შუაგულში სულაც არ მიგვრძენია მარტოობა, მაგრამ მონიკამ სიტყვა დამასწრო:

— ნუ იფიქრებთ, რომ უგულო ვინმე ვარ. მერწმუნეთ, ვერ მიპატიებია... თუ შეგიძლიათ, დაივიწყეთ ის დღე, ვითომც არც ყოფილა ოდესმე...

მისი სინანული სრულიად ზედმეტი იყო, მაგრამ თუ ეს არ ვუთხარი, უფრო იმეორებ, რომ ვიფიქრე, — გულჩვილი ქალიშვილი კიდევ რაიმეს იტყოდა თავის გასამართლებლად და თავს მომავლებურებდა. მაგრამ, თურმე, როგორ ვცდებოდი! მონიკა სულაც არ ყოფილა სენტიმენტალური. ეგ კი არა, გულწრფელი და ზოგჯერ ძალიან თამამიც. არავითარი პოზიირობა და თვალთმაქცობა ან, როგორც ძველად იცოდნენ, თითლიბაზობა. ჩვენს საუბარს თანდათან მეტი უბრალოება და უშუალოება დაეტყო და ისიც მეჩვენა ბოლოს, რომ ზღვარიც წაიშალა ჩვენს შორის და არა ერთი წლის მეგობრებიც ვიყავით.

ცოტა არ იყოს, ღვინომ გამათამამა და ქათინაურის მსგავსი რალაც წამომცდა. მონიკასთვის ეს მოულოდნელი იყო. არა, მაინცდამაინც არ იტყუავა, ოღონდ ის კი იყო, რომ რამდენიმე წამში დამცინავად და გაკვირებული მომჩერებოდა.

— აბა, ეგ არ იყოს! ჩემთან ეგ არ გაგივათ! — თითით დამემუქრა ბოლოს. — დარსაიძე არ გეგონოთ... მე თქვენ გითვალთვალებდით და რამდენჯერმე შეგნიშნეთ, რომ დამცინავი ღიმილით უსმენდით, როცა ის ლაპარაკობდა...

შევეცადე თავი გამემართლებინა, მაგრამ მონიკამ სიტყვა შემაწყვეტინა:

— ვინ იცის იქნებ თქვენ მართალი ხართ... ისეთ მაღალფარდოვან ფრაზებს წამოისვრის ხოლმე, უნებურად გაიღიმებ. მაგრამ ამას ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ის მაინც პატივისცემის ღირსია. და იცით რატომ უფრო? ასე მგონია, ერთი დღეც არ გაათენებია ისეთი, რომ სიამოვნებით გაიხსენოს... ამ თავის სევდას კი, არასოდეს არავის ახვევს თავზე.

არ დამთავრა, ხელი ჩაიქნიდა და მონიკას ხელებში გამოცოცხლება დაეტყო.

— არ ღირს ამბზე ლაპარაკი, მოსაწყენი ამბავია! არ გესმით, რა კარგ სიმღერას ამბობენ!

სუფრაზე მხიარულება იყო. საკრალული ქალიშვილები გალობდნენ.

თამადამ ახალი სადღეგრძელო ინება და ხმაურის დასაყუჩებლად წამოიძახა:

— სმენა იყოს და გაგონება! სილანს! სილენციუმ!

დიდხანს ილაპარაკა, კოლმეურნეობის აგრონომი დიდად შეაქო, სოფელს კი, რატომღაც, დათვის ბუნაგი უწოდა და აიტყუვა ასე დამთავრა:

— მაგრამ არა უშავს რა, ძირიანფესვიანად შევცვლოთ ყველაფერს. თუ საჭირო გახდა, იმ მთებსაც სადმე იქით გადავიტანთ. ხვალ თუ ზეგ გეოლოგები მოვლენ აქ და მერმედ მოტორების გუგუნი გაახალისებს ამ მოწყენილ არემარეს. ნიპილ სუპრა დეის ლაცესიო! დიახ, ჩემო მეზობლებო, ამის მეტს ღმერთებს არაფერს ვთხოვ!

რამდენიმე წუთით გასუდრული სუფრა ისევ ახმიანდა.

— რომავს რალაცას! — ჩავილაპარაკე.

მონიკამ ყური მოჰკრა ჩემ ნათქვამს და ჩამჩურჩულა:

— მართლაც ისუღელა... ოღონდ რატომღაც მგონია, რომ თქვენ გაწონებდათ თავს... ვანა ვერ ატყობთ, ის სულ თქვენი ყურადღების დამსახურებას ცდილობს...

მონიკა გულიანად იცინის.

ბესო შეილდაძე ეშხშია შესული და ბანს აძლევს ქალიშვილების სიმღერას.

* * *

დაღამდა, როცა წამოიშალნენ შეზარბოშებული სტუმრები მხიარული ხმაურით გაჰყვენ თავთავიანთ გზას. და საიძეს უჭირს ბნელში სიარული, ედამერს მისთვის ხელი ჩაუვლია მკლავში და დროდადრო აფრთხილებს:

— ერიდე, აქ ღრანტია! შენ სათვალე

გვირდება, ჩემო კეთილო! მერამდენედ უნდა შეგახსენო?!

— ზღარ მშველის, თორემ ვინ ოხერო! — ოხრავს ამირანი. — ისე მეუბნები, თითქოს არ იცოდე რა ჰქირი მქირს!

მე და მონიკა შორიახლოს მიეყვებით მათ და უეცრად მესმის ედიშერის გამწყრალი ხმა:

— დღეს თქვენ იმდენი იჩერჩეტეთ, სირცხვილისაგან დავიწყებ... ჯანდაბას თქვენი თავი, მოტორების გუგუნი თუ შაშვის გალობად მიგაჩნიათ, კი ბატონო, დატყბით იმ ხმით, მაგრამ ეს მიბრძანეთ, ამ ჩვენი მთების ვადატანას რომ აპირებთ, თუ დიდი საიდუმლო არაა, მითხარით, სად, როგორ და რა საშუალებით?!

— პოეტური ფანტაზია გახლავთ, ედიშერ ძვირფასო, მეტი არაფერი... — სრულიად დამშვიდებულად პასუხობს ამირანი.

— მოწყალეო ხელმწიფე, ფანტაზიასაც ჰქუა უნდა დაატანო კაცმა! დიახ! — ცხარობს ედიშერი.

— ტყუილად ახირება იცი ხოლმე, — ისევ მორჩილი და მშვიდია ამირანი, — განა არ ვიცი, დიდი სიბრძნეც რომ გითხრა, მაინც ბრწყვს მიწოდებ.

მონიკა ძლივს იკავებს თავს, რომ არ გაიცნოს და ჩუმად მეუბნება:

— ყურადღებას ნუ მიაქცევთ, სულ მალე შერაცდებიან...

ისიც იცოდეთ, მამაჩემი ყოველთვის თქვენაზით მიმართავს, როგორც კი გაუჩავრდება...

ედიშერის ეზოს ვუახლოვდებით. მე ხეტიალის საღერღელი მაქვს აშლილი და ენაობ, რომ უნდა დავმორდეთ.

— ცოლოა ასეთ ღამეში ოთახში იყო! — ვთქვი და ისიც ვუთხარი მონიკას, რომ სიამოვნებით წავიდოდი ახლა ჰინკას ხიდზე.

— იქნებ თვითონ იმასაც შეგხვდეს! — დავუმატე საქმიანი კილოთი, მონიკას ელიმება:

— ისე სერიოზულად ამბობთ, თით-

ქოს მართლაც გჭეროდეთ ჰინკას ხიდზე ხობა...

— როგორ არ გჭეროდეს, როცა კიდევაც შემეფეთა ამას წინათ! — ახლა მართლაც სერიოზულად ვეუბნები მონიკას. — უთვალავი დროიდან ხედავდნენ მას ადამიანები და რატომ გგონიათ, რომ ცდებოდნენ? — ისე ვეუბნები, თითქოს მაჯავრებდეს მისი დაქვევა:

— სასიამოვნო იყო, ყმაწვილო, თქვენთან ყოფნა. მოგვიანებულეთ, როცა თავისუფალი დრო გექნებათ... — მემშვიდობება ედიშერი.

მონიკა ხელი გამომიწოდა და თითქმის მოზოდიშებით მეუბნება:

— მაშ წახვალთ ხიდზე? არ შეიძლება ერთხელ მეც წამოგყვეთ? ნუ გეშინიათ, არ დავაფრთხობ იმ თქვენ მეგობარს...

თითები ისეთი ცივი აქვს, მინდა გავუთხო.

დავცილდი და, მართალი რომ ვთქვა, რატომღაც მაშინვე წამერთვა ხეტიალის ხალისი.

რამდენიმე წუთი მარტო ვზვიარ გზაზე. სიჩუმეა და კალიების ძილისპირული მესმის. სევდიანი ხმაა, სიჩუმეს ამლიერებს.

მონიკას სახლში ღამაა აანთეს. ყვითლად გამოჩნდა ერთი ოთახის ფანჯარა, ეს ნაღვლიანი ფერი ძალიან მოსაწყენია. აღარ მინდა ვუცქირო.

შინ დაბრუნება დავაპირე, მაგრამ, ბოლოს მაინც მდინარისაკენ წავედი. იმდენი ვიარე, ხიდს მივალწიე, ზედავედი და მოვიკალათე. მდინარის სიღრმეში ვარსკვლავებს ვხედავ. ისეა, თითქოს ზევით ვეღარ დატეულან და ჩამოცვენილან. წყლის ჩხრიალი მესმის და ასე მგონია. ვარსკვლავები დგაფუნობენ.

ჰეი, თქვენ, ვითომდა რაფინირებულთ, ნამდვილად კი სულისა და გულისაგან დაცლილო გრაფომანებო, ალბათ ტუჩს აიბზუებთ და იტყვიით, გაცეთილი ლიტერატურული პეიზაჟიო! ხომ ასე იტყვიით, ღრმად პატივცემული ხახვის ფრანტებო? მაგრამ რაც გასურდეთ,

ის თქვით, სრულიად არ ვზრუნავ თქვენი მოწონება დავიმსახურო და თქვენებურად ვაყბედო სიტყვა, რომელსაც ახლებურად სთვლით, ხოლო ნამდვილად კი ლეშის სუნი ასდის. სად გაგაჩნიათ თქვენ მადლი იმისა, რომ სამარადისოზე ან თუნდაც წამიერზე ისეთივე გულის სითბოთი თქვათ, როგორც ლოცვას იტყვიან მორწმუნენი და ისე უბრალოდაც, როგორადაც ველზე ბალახი ხარობს! თუ მე ახლა წყალში ჩაცვენილი ვარსკვლავები ვახსენე, ეს იმითომ, რომ ასეთი რამ ჩემი აღრიანი, ჭერ უყოღველი ქაბუჯობის მოგონებაა.

მდინარიდან მოულოდნელად ამოვიდა თეთრი ლანდი და ტყეში შევიდა. მხრებზე თეთრი ტუნიკა მოუსხამს, გაშლილ თმას ოდნავ არხევს ღამის ნიავი. მეშინია არ დაეაფრთხო და ჩურჩულით მივმართავ: — „მზექალა, ეს მე ვარ, შენი მეუღლე, ყოველთვის შენი მონატრული!“

არ ესმის ჩემი ვედრება. აუყვა ბილიკს და გაუჩინარდა.

გაქრა ზმანება და მაშინვე მღვიმეზე ქინკა დასკუბდა.

ზის, ოდნავ გაუბედავად მომჩერებია.

— ეპეი, მოხარული ვარ, რომ გნახე! — მივესალმე. — ჩემი შიში ნუ გაქვს, მე ხომ ბავშვობიდან შენთან დამეგობრების მონატრული ვარ და ბევრი რამ მსმენია შენი. ეს, ხომ შენ ხარ, ცხენს რამ ფაფარს დაუწნავ ხოლმე? ისეთი წვრილი ნაწნავი იცი, ყველა გოგოს შეეხარბება. ენჭებსაც ესვრი ხოლმე დაღამებულზე ხევში მიმავალთ, მაგრამ ისე გაქვს მომიზნული, არ მოხვდეს და არ დააზიანოს. მხოლოდ წინ დაუგდებ და გულს შეუტოვებ. ვიცი, ამას მხოლოდ თავის გასართობად აყეთებ!

ნიკაპით დაყრდნობია ბანჯგელიან თათებს და თავისი მოუსვენარი თვალეზით შემომცქერის.

— ძალიან მინდა ერთი აქაური ქალიშვილი მოვიყვანო და შენი თავი ეუჩვენო. სახელი აქვს უჩვეულო, თორემ თვითონ ჩვეულებრივია. წარმოიდ-

გინე, არ სჯერა, რომ არსებობს სოფლებში გამოიგონეს. მოთხოვო, ქალაქში გაიზარდა და დაქალიშვილდა!

ქინკა მღუმარედ მომჩერებია.

— მამამისი ძალიან გაუჯავრდა თამადას. იმ მოსამართლეს თავი გამოტენილი აქვს ლათინური ციტატებით და ვილაც გეოლოგებს ელაუდება, რომ მერე ეს მთები სხვაგან გადაიტანონ. მაგრამ მშვიდად იყავ, ვერაფერს გაბედავს შენს მღვიმეს ხელი შეახოს. რეგენია და არ იცის, რომ შენ თუ საკრაულას ტყე მიატოვებ, აქაურობას მიქელ-გაბრიელი დაეპატრონება!

დიდხანს ველაპარაკე და ისიც უყრადღებით მისმენს.

— ახლა კი უნდა დაგემშვიდობო, — ვეუბნები ბოლოს. — კაცი ვარ და ჭერქვეშ უნდა გავითენო. ღამე ნებისა!

ქინკა წამოდგა და თათი დამიქნია.

როცა ერთხელ მოვიხედე, თვალი მოკვარი, შუაგულ ხიდზე გამოსულიყო და დახტოდა. რა უხაროდა, არ ვიცი.

მდინარეზე ყოველდღე ჩავდივარ. დავადგები თუ არა დაღმართს, შორიდანვე ვხედავ მონიკას. ქიშკართან დგას და მელოდება.

— წავიდეთ? — ეს არის ჩემი მისალმება.

— წავიდეთ! — შემეხმინებია მონიკა. უმაღლე მოსწყდება ადგილს, ცოტას ჩაირბენს, უცბადვე შეჩერდება და მიცდის. წინათ ყოველთვის ეაკეტი ჰქონდა მხრებზე მოგდებული, ამ დილას კი ხელში უჭირავს და მოაფრიალებს.

მონიკა დღესაც ერიდება მდინარეს. ნაპირზე ზის და მიშერს, როგორ ვნებივრობ საკრაულაში. შეძახილით მაქეზებს ხოლმე, როცა მხარულით მივცურავ. მაგრამ ეს მხოლოდ რაღაც წუთით გრძელდება, ისე ვიწროა კალაპოტი.

— კიდევ, კიდევ! — მოითხოვს მონიკა, ბავშვივით ხალისობს და მეც დავბორიალობ ნაპირიდან ნაპირზე.

როცა მდინარიდან ამოვედი, მონიკამ მითხრა:

— შშურს თქვენი... ისეთი ჭანჭანთე-ლი ხართ, სულ მინდა გიყუროთ, როცა დაცურავთ. მომენტარება ხოლმე, მაგ-რამ...

— მერედა, ამაზე ადვილი რაა, აგერ თქვენ და აგერ მდინარე!

— მართლაც და, რა იქნება გავბე-ლო? — ოცნებიანად ამბობს: — უნდა ვცადო... ოღონდ მამაჩემთან არ გამამ-ხილოთ...

წყალში ხელი ჩაპყო და მცირე დაეჭ-ვების შემდეგ შეუბნება:

— შეტრიალდით, უნდა გადავიცვა! პირველი ნაბიჯი შიშნარევედ გადმო-დგა. ვეხმარები და უფრო ღრმად ჩას-ვლას ვაბედვინებ. თავისი თვალბივით ცისფერი საცურაო პერანგი აცვია. მკე-რღზე პატარა ამობურცული ემჩნევა.

— თამამად, თამამად! — უფრო ღრმად ჩამყავს წყალში.

სრიალა ქვებზე ფეხი უსხლტება და უნებურად მეხვევა. თვალბში შიში უჩანს. ამ წუთში ისეთი გამოხედვა აქვს, მინდა როგორც ბავშვს მივუაღე-რსო და გავამხნეო. ამის ნაცვლად კი კუშტად შევუძახე:

— რას კანკალებთ, წყალი ისე თბი-ლია, საცაა ადუღდება!

დამნაშავე ბავშვივით შემომხედა. მაშინვე ჩაიმუხლა, კისრამდე იფარება და გაშლილ მკლავებს ზედაპირზე უტ-ყაპუნებს.

— ახლა კი კმარა! — მივიძახე. — ამ პირველად კმარა!

შინც არ ამოდის და იკრიბება. გადა-ყეში მდინარეში, ავიტაცე და ატაცე-ბული გამოვიყვანე. თვითონ მე კი, არ ვიცი რატომ, უკანვე ჩავრბივარ წყალ-ში და გალმა-გამოლმა ვებულარობ. მონი-კა რალაცას მოძახის, ამოვრბივარ, პი-რდაპირ მისკენ მივეშურები და ფეხებ-ში ვუვარდები:

— მზექალავ, შენ უკვდავება ხარ, მშვენიერო მზექალა! — შევიძახე და, სანამ ის გაბტომას მოასწრებდა, ფეხე-ბი დავუკოცნე.

მონიკა გაოცებულია და მუხუხუხიანად ლოვით დგას.

— გელა! ადექით... — მესმის მისი ჩუმი ხმა. ამ ხმაში არავითარი გაწყრო-მა არ იგრძნობა. მხოლოდ გაოცება.

სოფლისკენ უბრად მივაბიჯებთ. ცხელა. პერი შეხუთულია, როგორც ქექა-ქუხილის წინ. კრიკინებიც გახე-ლებულან და მთელი ხმით გალობენ. ასეთი ხმა, ალბათ, მზის შუქს აქვს.

— მღვიმე როდის ვნახოთ? გინდათ, ხვალ; — ვეშვილობები კიშკართან, თუმცა არ მინდა მოვშორდე.

ხელი გამომიწოდა და მოულოდნე-ლად მკითხა:

— ვინ არის მზექალა?

— ვინ მზექალა?! — მინდა ისე მი-ვაჩვენო თავი, თითქოს აღარ მახსოვს, რა იყო რამდენიმე წუთის წინათ.

— აი, ვისაც ფეხებზე ემთხვიეთ...

— ეგ ხომ თქვენ იყავით... — დამო-რცხვებით ვლულულეებ. — დაივიწყეთ, თქვენი ჰირიმე, დაივიწყეთ! აქამდე ვერ გამიგია, რამ მომარა...

— არა, თქვით ვინ არის! — მოით-ხოვს მონიკა.

იძულებული ვარ მოვეუბნო ბელა-დისა და მისი ასულის ამბავი.

— როგორც ხედავთ, მითიური არ-სებაა, — ვეუბნები ბოლოს.

— დაგიჭროთ? კეთილი... — მონიკა ეშმაკურად მომჩერებია და იცინის...

კიშკარი შეალო და თითქმის მიბრძა-ნა:

— ხვალ არ დაიგვიანოთ!

* * *

დავბორიალობ ოთახებში. აივანზე, მერაბი კუთხეში დამჯდარა და უნაგი-რის თასმას აკერებს. სასტუმრო ოთახის კართან კესო ზის საკარცხულზე. თვალ-ნაკულ მოხუცისათვის ბნელა უშეო-ში და მოსაუბრე რომ არავინ ეგულება, ყვინთავს. ფეხაკრეფით ჩავუარე, მაგ-რამ სმენა მახვილი აქვს, თავი ასწია, დაბინდულში მინც იჩრდილებს თვალს და მეკითხება:

— რომელი ხარ შენ? გელა ხარ, შვი-ლო?

— მოსვენება დაგიფრთხვობ, — მოვუბოდიშე.

— მოსვენება კი არა... ვზივარ, მეტი არაფერი. ჩემთვის აღარც საჭიროა ზედმეტი მოსვენება. ხანდახან შევხედავ მაინც ქვეყანას, დაველაპარაკები ვინმეს. ორიოდ დღე კიდევ და, მერე ხომ სულ მოსვენებული ვიქნები...

— თქვენ ისე ყოჩაღად ბრძანდებით, ას წელიწადს იცოცხლებთ, — ვეუბნები ნაძალადევი ხალისით.

— აღარც არაფერი მიკლია, შვილო, — მშვიდად ამბობს კესო. — ჭერ, ალბათ, ჩემი დრო არ მოსულა, თორემ ზევიდან მომაკითხავდნენ. მიწა თავისას მოითხოვს.

— მიწას თქვენთან რა ხელი აქვს! — მინდა ვაამო და გავამხნევო.

— ეგ არ თქვა შენ! — თავს აქნევს მოხუცი. — მიწას ყველასთან აქვს საქმე... გაგიგია ხელმწიფის შვილის ამბავი, უკვდავებს რომ ეძებდა? ხოდა, აბა, გამიგონე, როგორ იყო...

იძულებული ვარ სკამი მოვიჩოჩო და ვუსმინო.

— პატარა გოგო ვიყავი, ჩემმა გადიამ მიაბო მაშინ. იყო და არა იყო რა... ასე იწყება, ჩემო ბიჭო, ყველა ძველი ამბავი. იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა...

არც თუ გრძელი, ოღონდ ნაღვლიანი იგავია იმისა, რომ ყოველივეს დასასრული აქვს და საბოლოოდ მიწა მიიბარებს ყველას და ყველაფერს.

— ასე იყო, ჩემო გელა, და ასე დასრულდა ხელმწიფის შვილის ამბავი, — ზღაპარს ისეთი მზნე კილოთი ამთავრებს, თითქოს ბედის წყალობად თვლის, რომ თვითონაც მიწად მიიქცევა.

— მაგას შეაშინებს სიკვდილი?! — მომესმა მერაბის ჩუმი სიცილი.

— სიკვდილი, შე კაი კაცო, რა საშინაია, — მაშინვე ეხმინება კესო... — ხორცი ლპება, სული ხომ არა! მიწაზე უკეთესი კი რა უნდა იქნეს. ყველაფრის გამპატიოსნებელი და ყველაზე კეთილია დალოცვილი...

ნაოკებით დასერილი სახე და მშვიდი ტული თვალები მშვიდი და ბედნიერი აქვს.

ისევ ჩემ ოთახში დავბრუნდი. ბუხრის ვეერდით მიქედით თაროზე ძველი წიგნების გროვაა. ისინი ოდესღაც მერაბის მამას ეკუთვნოდა და იმ დროიდან შემორჩენილიან... ამ ფოლიანტებს ავსებდით თქვენ, ვისაც აღამიანი გიყვარდათ. აქ ჩარჩენილა სითბო და სურნელება თქვენი დროისა. თქვენს მარჯვენას ქალაღზე დაატარებდა კეთილშობილი ვნებები, რომელიც არ გისვენებდათ და სულს გიფორიაქებდათ. მაგრამ დღეს მოწყენილად ვავლებ თვალს ამ გაყვითლებულ ფურცლებს. თითოეული სიტყვა ჩამესმის მხოლოდ როგორც უნაზესი ძილისპირული და, მაპატიეთ, გულუბრყვილო წმინდანებად მეჩვენებით. თქვენ მარადისობა ხართ, მაგრამ მაინც წარსული. მე კი ნატრული ვარ ჩემი დღეების ცოცხალი და მართალი ხმა გავიგონო. დაე ნუ იქნება ის ფერადოვანი და მოკაზმული როგორც თქვენ ზჩვეოდით, ოღონდ კი ჩემში ისევ კეთილშობილი თრთოლვა გამოიწვიოს, ოღონდ კი თქვენთვის ჩვეული სიმართლე და სიწმინდე ახლდეს!

დალამდა.

მერაბის ოთახის კარის ჭუჭრუტანაში მკრთალი სინათლე მოჩანს. მალე იქ ქრება და სინათლე მხოლოდ ჩემ ოთახშია. ლამპის შუქზე ვხედავ ფანჯრის წინ ამართულ ნაძვს, რომლის ტოტებზე წვიმა იცრემლება. ძილის მომგვრელი ფხვნილი გამომლევია და იძულებული ვარ მრავალჯერ ნაცად ხერხს მივმართო: სასთუმალთან სკამზე ლამპა დავდგი და მოსაწყენი წიგნი გადავფურცლე. თვალს დავლლი და ჩამეძინება...

მაგრამ ლამპა მზაკერულად მლალატობს. შუქი თანდათან მკრთალდება, პატრუქის თავი წინწყლებს ისერის, პარპალს იწყებს და, ბოლოს, ქრება. გაუჩინარდა ნაძვი, აღარც ოთახია. მხოლოდ ლამპა და უფრო ხშიანად წვიმს.

საღდაც გარეთ ლეღ მიედინება.

კოლაუ ნადირაძე

ქვილი მკობაკს

ბონდი კეხელავას

განშორებისაზ
თბილისს
შშფოთვარეს,
თბილისს — ოცნებას,
მუზების ბუდეს!
თბილისს —
მღელვარეს,
შშობელი ერის
მარად დიდებას,
ნატვრათა ზღუდეს!
და... მანდ,
შენგანვე
არჩეულ არეს,
განიცი მყუდროდ
სანატრელ წამებს,
და თანაც უსმენ,
ტყის პირას
წყაროს,
თუ როგორ
მღერის,
თუ როგორ
ხარობს...
და ისე
როგორც
ღვთისა წყალობა,
ძილს გიტკობს,
ლამით
მისი გალობა!
მაგრამ, ეს მთვარე,

მუდამ თვალთმაქცი,
მუდამ თაღლითი
და...
ცვალებადი, —
სიციოცხლეს,
ზოგჯერ
სიზმრად რომ აქცევს...
სათუთი ხშირად,
წარმტაცი,
ანცი
არ იშლის
თავის
ქცევებს და
ფანდებს!
სხივებით,
ალბათ,
შენს სარკმელს
აღებს,
რომ დაგანახოს
ულრუბლო ზეცა,
ხავერდად გაშლის
იმერთა მხარეს,
და შენ,
აცდენილს
ქუჩების ხმაურს,
ადრიან დილით
გამოსულს კარში..
ისევ გაჩვენოს,
თუ როგორ,


ღამე
 ძერწავს ყვავილებს,
 მინდვრად და ბაღში...
 ვიცი: მღუმარედ
 შენ უსმენ წვიმებს,
 ითმენ
 ჩვენ მტანჯველ
 იმ ზენა ქარებს —
 სიციცხლეს
 გროშის ფასად
 რომ აქცევს,
 სულისტქმას
 ჩვენ რომ
 გვიშობს და
 გვტაცებს, —
 რომ შემდეგ,
 შემდეგ
 სიამით შეხვდე
 შენთვის ესოდენ
 სანატრელ დარებს!
 შეხვდე და,
 ჩვეულ სიღარბაისლით.,
 გაესაუბრო
 მეზობლის ოჯახს...
 ან, ნეტავ,
 რა სჯობს —
 მყუდრო მწუხრის ქამს —
 ეწვიო სტუმრად
 ჩვენ გლებს,
 ჩვენ მრჩენელს,
 ერთგულს და ყოჩაღს?!
 ეწვევი სტუმრად,
 პურს გასტეხ მასთან,
 თანაც ვერ ამჩნევ
 დრო როგორ მიჰქრის...
 გლებთან ხარ
 ქართულ
 სიტყვით და
 ფიქრით!
 ოჯახის ღვინოც
 ელვარებს ჯამში
 და...
 ოდნავ, ოდნავ
 შეზარბოშებულს
 ვიწრო ბილიცი
 მიგიყვანს სახლში!..
 მენდე,
 ესა სჯობს,

ვიდრე, ქალაქად,
 იწვე დაღლილი,
 თან გათანგული
 თავბრულდამხვევი
 ძიებით,
 რბენით!
 ძვირფასო ბონდო!
 შემეძლოს ნეტავ,
 ასეთი ლხენა
 მეც განვიცადო!
 მაგრამ, ამის თქმას
 მე როგორ ვბედავ?!
 განა არ ვიცი,
 განა არ ვხედავ?!
 ასეთი ნატერა
 ბედს როგორ ვკადრო?!
 მან ხომ
 ამ ქვეყნად
 ოთხმოცდაექვსი
 წელი მატარა!
 განა მან ყრმობის
 ცეცხლი
 დამაყლო?
 განა ბავშვივით
 არ მანეტარა?!
 მაშ დადექ...
 დაცხრი,
 საბრალო არსო,
 მოჩვენების და
 აჩრდილის მსგავსო!
 ეგებ, შორს ცხოვრობ,
 ბონდო ძვირფასო,
 და უქირს ფოსტას,
 რომ სათანადოთ
 შენ სამსახური
 მანდ გაგიწიოს:
 ვერ გაწვდის დროზე
 დროზე
 წიგნებს,
 ან გაზეთს?
 ნუ ვიშლით
 ნერვებს
 ჩვენ ამის გამო!
 სჯობს,
 შევეუროგდეთ
 სოფლის ზნეს ასეთს!
 მადლობა ღმერთს., რომ

არ ვიცი ოფლი,
 თავის ტკივილიც
 არა მჩვევია,
 მის გამო
 ღამეც არ მითევია!!
 თორემ, ცხოვრება
 სხვა იქნებოდა —
 წელი
 რვა მაინც
 დამაკლდებოდა!
 შეპხარი მშვიდად
 დღეთა დინებას,
 ჰადრის ქვეშ,
 ჩრდილში,
 ტბილ წაძინებას.
 გაღბენს მუხების
 ფოთოლთ შრიალიც...
 მითხრეს,
 რომ სტუმრად,
 და, თურმე, ხშირად
 გეწვევა ლექსიც
 ოქროსფრთიანი!
 რომ პატივს გცემენ
 გულმართალ
 პოეტს,
 რომ, ძველებურად,
 კვლავ თავს ევლები
 პატარა ვენახს,
 პატარა ბოსტანს!
 ვიცი,
 რომ მკითხავ,
 თუ როგორ ვცხოვრობ,

თუ მეც ვისვენებ,
 მახლობლად, სადმე?
 თუ ისევ ვშრომობ?
 არა, ძვირფასო!
 რის დასვენება!
 ისევ მწვავს ცეცხლი,
 მე ისევ ვამბობ!
 ოცნების
 მოვლა
 არ არის საქმე?
 სიტყვასთან
 ბრძოლას
 სხვა რამე შეცვლის?!
 არ მიყვარს,
 იცი,
 უკან დახევა,
 მიცემულ სიტყვის
 უკან წაღება!
 განუკურნელი
 დე, დარჩეს
 წყლული!
 მაგრამ, მწამს, მაინც,
 რომ კვამლი,
 ჩემგან
 შეწირულ მსხვერპლის,
 მიუღებელი
 არ იქნება
 ჩემი ღმერთისგან,
 როგორც კენის
 შეწირულ მსხვერპლის!

15. VII. 1981 წ.



სილოვან ნარიყანიძე

ალოდეგობდი ყოველდღე

ცაკლიდან „დავით გურამიშვილი“

ელოდები ყოველდღე,
 პო, ლოდინი, ლოდინი!
 შენი საამაყო მზე,
 მიქცეულა ზოზინით.
 სამშობლოს მთებს გასცქერი,
 ნისლი წევს ალმაცერი.
 არც არავის-ლა მოაქვს,
 სიხარულის ბარათი,
 მორღვეულა ჭებირი,
 ნიაღვრების ბარაქით.
 შენთვის დღეც საღამოა, —
 ღამე — მკვლეული ჭალათი,
 აღარავის არ მოაქვს
 შეწყალების ბარათი!..

• • •

იარებოდა მოყმეი,
 ხელჯობით, არ აბჯრიანი,
 ჩამოსტიროდა პირსახე,
 მხარმკლავი მთლად სისხლიანი.
 ჩნდებოდა ტინების ქიმზე,
 ბილიკისპირი ტყიანი,
 ღრუბლებით დაფარულიყო,
 მთა-ველი პირიმზიანი.
 ჩამოდგა, — მაღალ მთებიდან,
 ღამე ბნელი და წყვედიადი,
 ხანდახან გაინათებდა,
 დღე უღიმღამო ცრიატი...
 შეუძახებდა გზადაგზა,
 ნისლებს მიმჭროლავს ცაზედა,

მცირე ხანს მაინც, ნისლებო,
 დასხედით მთების ბანზედა.
 გიამბობთ, როგორ გამწირა
 საწუთრომ ქვეყანაზედა,
 და როცა გადაიჭროლებთ,
 არაგვის პირის ფშანზედა,
 ჩემი ამბავიც აუწყეთ,
 დაემდგარჯარ ბედის გზაზედა.
 იარა მოსკოვისაკენ,
 ვრცელი ველები გალია,
 ზოდანბუნები გადასჭრა,
 გზად დონის წყალი დალია...

• • •

ბოლოს გამოჩნდა ქალაქი,
ხარები რეკდნენ ხმიანად,
ქარებს მიქონდა აქა-იქ,

მათი ხმა ომახიანად.
აი, პირქუში სახლებიც,
ტაძრებიც გუმბათიანად.

• • •

ვერავის უთხრა, ვერ გასცა,
გულის ლელვა და ჭავარი,
ვერავენ ნახა მეგზური,
სამშობლოს გზებით მავალი.

პოლტავის ცის ქვეშ ფშვინავენ,
ყანები ნათავთავარი,
თქვა, აქ დავრჩები, აღვავო
სამკვიდრო სამარ-საევანის.

• • •

შენლა შემომჩი მეგობრად,
კალამო პაწაწინაო,
მტერმა თუმც მახე დაგვიგო,
ფიქრმაც არ დაგვაძინაო,
თვალის გიჭრის და მკლავიცა,
შიგ გულში მოგეც ბინაო,
უსამშობლოოდ ორივეს,

სიცოცხლე მოგვეწყინაო...
დაჯექ და ღამე გაწირე,
თავზე გადადგა დილაო,
შენ ჩემი ფიქრის საკირვე,
ჩემს სულში მუდამ გმინაო,
დაწერე, ვასკერ, იომე,
ცისკარმა შემოგცინაო...

• • •

სიბერე ჩადგა მუხლებში,
მოგიახლოვდა მოვიდა,
წავიდა ქვილ-ხივილი,
თავიდან თმა ჩამოვიდა.
თვალში სინათლე ჩავიჭრო,
აღარც ხმა სამშობლოიდან,
დგრიალი რემა ირმების

აღარ გესმოდა გორიდან.
ჰე, დავით გურამიშვილო,
ხმობ სიჭაბუკეს შორიდან,
შე, უშვილოძირო, მზის შვილო
ხარ მისხლით ასაწონი და,
ჩაგიფენია ლექსებში
შუქად სამშობლოს შორი ცა.

• • •


ელოდები ყოველდღე,
კვლავ ლოდინი, ლოდინი,
შენი საამაყო მზე,
მიქცეულა ზოზინით,
მორღვეულა ჭებირი,

ნიაღვრების ბარაქით,
შენთვის დღეც საღამოა
და ღამე კი ქალათი.
არავინ მოგიტანა,
შეწყალების ბარათი.

გახარებულს როცა გხედავ...

შენ რომ მოდიხარ,
 ამაყი, ლალი,
 გაცინებულს როცა გიხილავ,
 ჩემი სიცოცხლეს ზეიმობს მაშინ...
 რადგან ამ მიწის გაზრდილი ხარ,
 მისი შვილი ხარ, —
 ხომ მუდამ გახსოვს მშობელი შენი?...
 ხეები თითქოს ძმები არიან,
 ყვავილები კი დობილები,
 ა, ის, დიდი მთა, აკვანი მზრდელი,
 ქარი კი შენი გაღიაა,
 ხან ნანას მღერის,
 ხან გრიგალით გადაიქროლებს,
 ვინ, ვინ აგვიხსნის, რად აწუხებს
 სულს, —

სად იწვევს ასე!...
 შენ რომ მიყვარხარ,
 ეს მთა-ბარიც იმიტომ მიყვარს,
 უდაბურდება ყველაფერი, —
 შენს იქით ვერ ვცან იმედის სხივი...
 და გახარებულს როცა გიხილავ,
 გულშია ც გლოცავ,
 ჩემი სიცოცხლეს ზეიმობს მაშინ...



ბრიგოლ ჯალაღანიძე

რად სტვენს ბულგული

გურამ პეტრიაშვილს

სარკესთან ვდგავარ, სარკიდანაც მე ვიხედები.
შევთანხმდეთ ერთში.
მონოლოგი რომ განვითარდეს
სარკეში რომ დგას, ის „ის“ იყოს,
მე „მე“ ვიქნები.
არავინ უწყის რომელია ჩვენში პირველი,
ორივემ ერთ დროს გადავისვით კეფაზე ხელი,
ორივე ზუსტად, ერთდროულად ავლაპარაკდით.

სიმართლე რომ ვთქვა,
აღარ ვიცი „ის“ ვარ, თუ „მე“ ვარ.
მე მოვინდომე იმის ნახვა, თუ მან ისურვა
მოვსულიყავი ამ სარკესთან და დავენახე.
თვალეებში ვუმზერთ ჩვენ ერთმანეთს.
რომლის გადაღმა სიცივეა და არაფერი.

სარკეში ის ჩანს — თვალებიდან გამოჰყრთის ცეცხლი,
მე კი მსურს ჩემი უძლურება მას დავებრალო:
— შიშობდი!
— გძულდა!
— გაიპარე!
— დაპატარავდი!..
რად დავებრალო — ბეჭედდაყვრით მესროლა უკან,
შევშინდი,
წავხდი,
და ერთ წამში დაეჩაჩანაკდი...

აღბათ, ის იყო დედისთვის რომ მოჰქონდა წყალი.
გლახას, რომ ხურდას უმარცვლავდა გაყინულ ხელში.

დილაადრიან დგებოდა რიგში,
ეკლის ლეიბზე ათევედა ლამეს.

თვალეში ვუშვრით ჩვენ ერთმანეთს.
სათქმელი ითქვა...
ნება-ნება დავხარე თავი,
სარკის ბრტყელ სიბრტყეს გავეცალე,
მოვითქვი სული
და მოხდა სულ სხვა. —
ის ისევე სარკეში იდგა
და თვალი ჰქონდა ცრემლებით სავსე.

* * *

ამ დამქნარ დღეებს კი არ მივსტირი,
ვეძახი,
იქნებ, ჩამოასვენონ
ამ ქვა გულების ბალდაბინებზე.
ჩვენ ჩვენთვის ვცხოვრობთ
და უბრალოდ დეპეშებს ვგზავნით
მგლოვიარე დღის პროცესიებზე.

რაც მართალია,
ინახავს ხსოვნა
სისხლისფრად ჩავლილ ეპიდემიებს,
გამოსავალიც ათასია:
ვერ უძლებს გული
სევდას და გლოვას.
გარდაცვლილის გატანჯულ იერს...
და უბრალოდ დეპეშებს ვგზავნით
გარდაცვლილ დღეთა პროცესიებზე.
ამ ჭრელა-ჭრულა, ზღვა ქალაქის ყველა ფანჯარა
ჩაგმანულია სათავისო მზით და ჩრდილებით
და ჩვენს მკედარ დღეებს ქარი მიხვეტავს,
როგორაც ფოთოლს ან გაზეთის ფურცელს ასფალტზე

ამ დამქნარ დღეებს კი არ მივსტირი,
ვეძახი, იქნებ, ჩამოასვენონ
ამ ქვა გულების ბალდაბინებზე.

ქ ე ს კ რ ი ა

როგორც ქალაბი მეწველ ძროხას,
ისე მიშტერებია ამ ქალა-მინდვრებს
სხვისი თვალები...
მავანი ითვლის ჭირნახულის რამდენი კვირტი
გასკდება მზეზე...

ამ გაზაფხულმა
 ეორეკა გამახსენა, უბედური,
 ომის დამთავრების მეცხრე დღეს რომ დაბრუნდა სახლში,
 რვა დღე-ღამ იწვა, —
 კეცებით ათბობდა კესარია,
 მეცხრე დღეს
 მაწვიერს მიქონდა ეორეკას ამბავი...
 მიკვირდა:
 კუბოში იწვა ლომივით კაცი
 და როდის დამიბრუნდებო —
 ტიროდა კესარია.

ამ გაზაფხულმა
 ეორეკა გამახსენა, უბედური.

პრტი კვირის ნოველა

ორშაბათი

ისევ გათენდა ორშაბათი:
 საიდუმლო გასაღებების ჩხაყუნით,
 რადიოების ქოთქოთით,
 მენაგვის ზარით,
 „გაიღვიძეს“ ძახილით...

ზარი დარეკა პირველმა მეზობელმა,
 „ბორჯომი“ ითხოვა და წავიდა
 მეორემ,
 სასურსათო მაღაზიის რიგში მდგარმა,
 დისახლისი გაიყოლა და წავიდა.
 ტელეფონი აწკრიალდა —
 გაიხსნა საქალაქო წერის ვარიანტი...
 და მოსწავლევ წავიდა.
 კაცმა, — ოჯახის უფროსმა,
 წაეთხელი გაზეთივით გადახედა საუზმეს,
 ხელ-პირი გადაიბანა და
 წყალიც წავიდა.
 ახლა იგი ზის სამსახურის ოთხკედელში,
 საბუთებს ქექავს,
 დროულად და ოსტატურად აგებებს
 საჭირო რეაქციებს
 სამსახურის უფროსის ნათქვამს და ობუნჯობებს,
 და სულაც არ ახსოვს:
 სახლში ღიად დარჩენილი ონკანი,
 სასურსათო მაღაზიის რიგი
 და საქალაქო წერა.

სამსახური ითხოვს
მაღალ მატერიებზე ფიქრს,
ცოდვას ოჯახის სამსახური.

საშშაბათი

სალამი შენ, დღეო!
ისევ გამოვდივარ ჩემი სახლის საპურობილედან,
სადაც ვიზღი სასჯელს:
მეუღლეობის,
მამობის,
მეზობლობის,
ნათესაობის...
ვჯდები ავტობუსში და
ჩინოვნიკის მზარას ვიცვამ...
კარგი რამ არის ჩემი ქალაქის ავტობუსი,
ორკარიანია და ხუთენოვანი, —
ჭკვიანი კაცი
ხუთივეს შეისწავლიდა ამ მგზავრობაში.

ოთხშაბათი

შემოდის დედა
საპენსიო წიგნაკით ხელში...
ეს იმას ნიშნავს, —
რისი ბოთლები დარწყულდება იმ დღეს,
საკუჭნაოში ისევ ისე დაბრუნდება თავი,
აივსება გობი,
საშაქრე და
კარაქის ქილა.
მერე კი,
მერე, მე, ბეჩაეი...
ხბოს ალტაცებით
სალუდში მეგობარს ვუქებ
ჭიქა არაყს და
ოთხშაბათის ზინკალის გემოს.

ხუთშაბათი

თევზის თვალებით გაიღვიძა
ხუთშაბათმა
და ოქროს ფართლით გადასწია ოთახის ფარდა.
ქვირითივით
გამობრწყინდა ფოთლებზე ნამი.
კალმახივით გასხლტება დღევანდელი დღეც...
ხუთშაბათი უბორცო დღეა,
ასეთ დღეს
მკვდარს ეძახიან იმერეთში...

და ქალაქის დაბნულ,
 უზარმაზარ აქვარიუმში
 პირში წყალდაგუბებულ ლიფსიტებივით დაფარფატებთ,
 და მზეზე,
 მკვდარი ქაშაყის მუცლებივით
 ცივად ანთია ჩვენი სახეები.

პარასკევი

პარასკევი — დღის საღამო
 იმ განაჩენს ჰგავს,
 ჩამოხრჩობას დახვრეტით რომ შეგიცვლიან...
 ორი დღე მოსდევს მატრიარქალური:
 მეთაუდ დაპირებული ბილეთების მოლოდინი,
 ბაზრის ციება,
 ჭიბის სიცხე,
 ცხენის მუხლები...

შაბათი


ეს დღე ხის ტოტზე მოცახცახე
 წვეთია ერთი,
 რომელსაც ან ჩიტი დაეწაფება,
 ან ქარი ამოაშრობს
 და აიტანს ცაში,
 მერე რომ ისევ
 ცრემლის წვეთად დაეცეს მიწას.

კვირა

კვირა დღე ღვთისაა,
 კვირადღით გამომთვრალი.

მინაწერი

ბრუნავს ცხოვრების კარუსელი...
 ხეებს ვადარებ მე ამ დღეებს —
 კარუსელის ირგვლივ ჩალაგებულს,
 და რამდენჯერაც ჩაუჭროლებ,
 იგივე მეორდება...
 მხოლოდ ეგაა, თვალი უნდა შეაჩვიო,
 თუ შეაჩერდება,
 მთელი ცხოვრება
 უსასრულო წრეების კედელს დაემსგავსება,
 რომლის გარღვევა უფრო ძნელია,
 ვიდრე კარუსელის გაჩერება.



შაბურა არაბული

კლექსანდრე გაბური

შენ საჭირო ხარ საქართველოსთვის,
არა იმიტომ, რომ მკლავი გიჭრის,
არც მხოლოდ იმად, რომ შენ გაქვს ნიჭი,
შექმნის, შენების...

შენ უნდა გვარი გააგრძელო
კაი ყმების, მელექსეების.

დღეს მოდაშია მიტოვებულ სოფლებზე წერა,
მაგრამ ვის ახსოვს,

რომ აღარ გეყავს
მინდოდაური,
ხიმიკაური!

შენ სანთლით უნდა მოიძიო ისეთი ქალი...
შენ საჭირო ხარ საქართველოსთვის...

გაყვავულის სურათი

ზამთრის თვეების დარდი და ბოღმა
ამოაფრქვია აპრილის ბაღმა!
მებაღეს ცრემლი უელავს თვალზე:
წელს მშვენიერი ვაშლის ხე გახმა...
ლამაზ ალუჩებს (პეპლების გუნდებს)
ალუა ხელს უქნევს მდინარის გაღმა!

მ კ დ ლ ო ბ კ

ლ. ჩ. ზ.

მწარე წამლებით დამიბრუნეთ
ტკბილი სიცოცხლე,
საუბრის ვერცხლით გულიც მიკოცნეთ.

სუფთა ხელებმა მაღალ სახელს
არ უღალატეს,
ცას მაშინ ვკოცნი, თვალს რომ მოგყარავ
სპეტაკ ხალათებს.

ვფიქრობ თოვლიან მწვერვალებზე,
ჭრელ ჰალიკონზე,
მწარე წამლებით დამიბრუნეთ
ტკბილი სიცოცხლე!

* * *

ვაწყნარებთ ხეებს მთვრალებს,
არ გეცევა, არა გეშია.
და ფეხდადგმული მთვარე
ბანაობს არაგვშია.

ეთვრებით ორნახად არყით,
ძაღლიც კი არსად არ ყფეს.
ვზივართ, გვინთია არყი
და ვადღეგრძელებთ არყებს.

შარშან მოკლული ჭიხვის რქით
ვსვამთ ჭიხვის შესანდობარს.
ცამ დაგვიკიდა ბილიცი,
იას ვაფიცებთ დობას.

ეჭურჩულებთ, არა ვყვირით,
ვიხსენებთ დღეებს კარგებს.
ორნი სულ ერთი კვირით
ქვეყანას დავეყარგეთ.

* * *

წვიმა, ღამე და ნისლი...
ამღვრეულია სული...
ალარც ციმციმებს ცაზე
სინათლის წვეთი შორი.

მთა მთას შეხვდა და კოცნის,
გორს ეკონება გორი.
ცას გადაუცვამს ღამაჯს
ნისლის მსუბუქი თორი!

ს კ ხ ე ლ ე ბ ი

საქართველოში ყველა მესამე
აეთანდილია,
ყველა მეხუთე ამირანია,
ყველა მეშვიდე ვაჟაა და

ყველა მეათეს თამარი ჰქვია!

თითო სახელი თითო პოემა!
მაგრამ მე ვიცნობ ერთ აეთანდილს.

მან მეგობარს ცოლი წაჰგვარა!
მაგრამ მე ვიცნობ ერთ ამირანს,
იგი დევებს დაუძმობილდა.

და ვიცნობ ვაჟას,
ვაჟას, რომელსაც
არ ახსოვს ვაჟას ერთი სტრიქონიც!

რა ცოტანი ვგავართ სეხნიებს!

• • •

ღირსებისათვის პატივს გცემ, ხოლო
 სისუსტისათვის მიყვარხარ უფრო...
 ბეთხოვენს უნტვენს ქარების ქორო,
 წვიმს, ყველა ფერზე ყვეთელი უფლობს
 გიკქერ ღრუბლებში გამქრალო ქორო,
 და ყაზიბეგის ელვარე შუბლო...

• • •

ბავშვმა ბავშვები (მე და კობა) გვაპურმარილე,
 ახლა ვის უშლი სუფრას, მარინე?

მაგიდაზე ეწყო საზამთრო
 და შენი ხელით გამომცხვარი ხაბიზგინები,
 დავდივარ ქვეყნად, ვერაფერმა ველარ დამათრო,
 შევეუბრებ ღრუბლებს და ვიგინები!

• • •

მარცხენა წარბი მექავება —
 რალაცა გიჭირს...
 იქნება გზაზე გადაგიდგა
 ისევ ის ბიჭი.

იქნებ ჭიბედან ამოგიღეს
 ბოლო თუმანი...
 ცრემლით დანამე ოცნების ცა
 და სასთუმალი.

იქნება არაკაცს
 უშლი პურმარილს,
 სტუმრის წესს ხომ არ
 გირღვევს სტუმარი.

იქნებ გაცივდი ამ ზამთარში
 და სიცხით იწვი?
 მარცხენა წარბი არ მასვენებს —
 რალაცა გიჭირს!

• • •

ღამის სამია, ველარ ვიძინებ —
 შევეუბრებ ცაზე მოციმციმე მთვარის წიწილებს!

არ გამიმართლა, დღეს ღმერთებმა არ გამიციენს,
 შევეუბრებ ცაზე მიციმციმე მთვარის წიწილებს!

ვღგები და ვწვები, მაცილის ლანდს ველარ ვიცილებ —
 შევეუბრებ ცაზე მოციმციმე მთვარის წიწილებს!

• • •

დაწყვილწვილებულ სიციცხლის ფონზე
ჩემი სიკენტე ვარსკვლავებს აერეოლებს.
ვუსმენ ტრიტინების მზიარულ მორზეს,
საქმე არ მაქვს და...
ვეარცხნი გაზონებს.

თვალი ვარსკვლავებს დაეძებს მალლა,
მწუხრის ცვარით პირდაბანილებს.
მგონი მეც ვსურდი ერთ ვარსკვლავს, მაგრამ...
დიდი ხანია ის ზღაპარი მორჩა, მარინე!

ი ღ ი ლ ი ა

პეპელას დასდევს ბაკია ბიჭი,
უკვე ასტრია პაწია კიჭი.

იციინის (ალბათ რალაცა იცის),
რზენით დალაღა პლასტმასის კვიცი.

კვირა. ბალში ვარ,
არც არა მიჭირს,
პეპელას დასდევს პატარა ბიჭი.



აზირან კალამე

მ რ ი მ ი

გიორგი სარჩიშვილძე

ეს იყო სარკეებიანი ოთახი...
მე ვიყავი ცხრამეტი წლის...
თქვენ გვიტარებდით გრიმის

გაკვეთილებს,

ბატონო გიორგი!
რა მოგდის ბიჭოო, მტუქსავდით,
მეძახდით „უგრიმო უნიკოს“ და
ჩათვლას მაძლევდით მხოლოდ იმიტომ.
სტიპენდია რომ მიმეღო.

როგორც იქნა ვისწავლე ტონის წასმა,
სხვათაშორის საკმაოდ ზომიერად —
სიწითლის გრძნობის თავშესაფრად
რომ გამოდგებოდა იმ დონეზე...
მოხუცის გრიმი დამავალეთ
მთელი წლით, ნიშანზე, საყურსოდ...
თქვენც არ მომიკვდეთ ბატონო გიორგი,
იმ წელს არაფერი გამოვიდა: —
მელოტი როგორღაც მოვახერხე
(პარიკის გადაკერას რა უნდოდა!)
მუდრით ულვაშიც გავითეთრე
წუთში სამოცი წლის სიჩქარით!..
მაგრამ ნაოჭებმა გამაწვალეს
თვალებთან, ტუჩებთან, ნიკაბზე და

ნაოჭები რომც გამომსვლოდა
მინც აღარ იყო საშველი —
თვალებში ცეცხლი გიზგიზებდა,
თვალებში ეშმაკები მიხტოდნენ...
ეს ხდებოდა სარკეებიან ოთახში,
მე ვიყავი ცხრამეტი წლის...
თქვენ გვიტარებდით გრიმის

გაკვეთილებს,

ბატონო გიორგი!
დიდი დრო გავიდა მას შემდეგ,
მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა...
ახლა მზადა ვარ გეახლოთ და
ვამოცდა ფრიადზე ჩაგაბაროთ...
ყველაფერი ისეა როგორც ბრძანეთ: —
მელოტი, ჭალარა და ნაოჭები...
თქვენს შემდეგ დრო იყო ჩემი მკაცრი
პროფესიონალი გრიმიორი...
ახლა ამ სახეს ვერვინ წაშლის
უბრალო ბამბითა და ვახელონით!..
ინებეთ ჩემი მატრიკული,
ჩამიწერეთ ჩათვლა და; ხუთიანი
ბატონო გიორგი!

• • •

მარტის დღეა, მარტო ვარ,
საათია თერთმეტი...
მახსენდება, სამ მაისს
ვხდები ოცდათექვსმეტის!

ათოვს ატმის ყვაილებს
და გულს ვიწვევტ ძალიან,
რად არა ვარ მხატვარი
ან თქვენ რად არ გცალიათ,

რომ დადგეთ და უყუროთ
რაიცი წამიერია...
რომ დადგეთ და უყუროთ
რაიცი წარმავალია...
თქვენ მიდიხართ ძვირფასო,
ჩემზე ფიქრობთ — მთვრალია!..
სადაც მიგეჩქარებათ,
მეკვლედ მარტის ქარია...
გადაიღებს სულ მალე
და ჩემს თავზე ახია,
რომ ვერ ხედავთ სრულებით,
რაიცი დასანახია...
თოვლისფერი ედება
უკაცრიელ ნასახლარს,
ცრემლი ვერ დაუღვრია
კოლიკაურს გასასხლავს...
იქნებ შედგეთ წამით და
მოიხედოთ ანაზღად...

ახლა, როცა მარტო ვარ
ვისთან მიხვალთ, ანდა სად...
ფაფუჯ თოვლზე ჭიშკართან
ნაკვალევი აღარ ჩანს,
წუთისოფლის არაყზე
გული მიგრძნობს რაღაცას...
ათოვს ატმის ყვავილებს
და გულს ვიწყვეტ ძალიან,
რომ ეს ეზო, ძვირფასო,
ახლა ნასახლარია!
თქვენ მიდიხართ უსიტყვოდ,
ჩემზე ფიქრობთ — მთვრალია!
და ვერ ამჩნევთ წამიერს,
რაიცი წარმავალია...
მარტის დღეა, მარტო ვარ!
საათია თერთმეტის...
მომიგონეთ გახდებით
როცა ოცდათექვსმეტის.

ფიქრები მატაკებლის ფანჯარასთან

ვინა თქვა თითქოს პატარა იყოს
ჩემი სამშობლო დიდების ღირსი
ს. ჩიქოვანი

ამ სერის იქით სერია,
მას იქით ციხე ძველიო...
ჩერ ისევ საქართველოა,
ყუყუროდ გასაშლელიო.
გამოჩნდა სვეტიცხოველი,
სწორედ რომ შუა გზაზეო,
ჭვარი გეწეროს შენ ჩვენო
ხმელეთზე რამუხტო სამზეო!
ჩერეც შორსაა მანამდე,
დიდი გზა გვიდევს წინაო...
ცხრა მთასაც რომ გადავივლით
მაინც ვიქნებით შინაო.
ტაძრებით ამაღლებული
ისეც მაღალი მთებიო!

მამული, ჩენი მამული
ნაომარ-ნაფერებიო.
ქოროხი თავზე გვევლება,
თვალს გეტაცებს ალაზანიო...
შუაში მტკვარი ნებიერობს
ვითარცა ლამაზმანიო.
შენ ჩვენო მაცოცხლებელო
მიწავ ძველო და წმინდაო,
არც ისე პატარაი ხარ,
არც ისე პაწაწინაო!
ამ სერის იქით სერია,
მას იქით ციხე ძველიო...
ჩერ ისევ საქართველოა,
დამიწებოდეს მტერიო!



ლევან ბაბუხაძე

ქ რ ჩ ე ვ ა ნ ი

დღემდე რა მოხდა ჩემს პატარა სამფლობელოში,
ვეზიარულე თუ ვეწამე — ნურაფერს მკითხავთ.
დღეს კი ვბედავ და პირველად და უკანასკნელად,
შიშით და ტინით შეპყრობილი ვასწრებ ჩემს თავსაც:
— არჩევანი!

და სიამაყის ლურჯმა ფერმა იხუვლა უხმოდ
და აცახცახდა მოთმინების მკრთალი სიმები
და გავიგონე სისხლის ფერი, ღვარძლიანი ხმა:
— არადანი!

ამოვისუნთქე...

დრო ცოტა რჩება, ჰა ჩემი ლექსი,
ჩემი სიმპტომის მკაბე ჭაშნიკი,
მე ვირჩევ ამ გზას, ბევრჯერ ნავალს,
მაინც ეკლიანს,

მოვდივარ იმებო!

დიდის რწმენით, მცირე იმედით

და ჩემზე იყოს ამ არჩევნის

მთელი სიმძიმე...

• • •

სულში დამტყნარი წუხილი გდია,
ბერიკაცივით მუშაობს გული,
ხვეწნისთვის ყური არ დაუგდია,
გადახვეწილა და დაკარგულა —
ფიქრი, რომელიც აღარ არსებობს...

ვერ. გადურჩები მე ამ სიცოცხლეს,
თვითონ სიკვდილმა თუ არ მიშველა,
ირგვლივ სიმწვანის ბრიალებს ცეცხლი,
ჩემი ხე მაინც რჩება შიშველი,
მე კიდევ ზამთრის ბრალი შეგონა...

ხნულში საჯიშე მარცვლი დაღბა.
 ღმერთო, სულ ცოტა კიდევ მაძალე,
 მე თოვლდნობისას მოგვკედები აღბათ,
 რომ ენძელეში გარდავიცვალო...
 ცელქმა ბიჭებმა მომწყვიტონ რათა.

ფ თ თ ლ ი

არ შეუნიშნავს არავის იგი.
 ისე უჩემრად მოწყდა ფარფატით
 და გაქვავებულ მკერდზე ათრთოლდა...
 კუბოს სასწრაფოდ დაგმანეს თავი,
 მერე მსუბუქად ჩაუშვეს დაბლა
 და წამით არვინ ჩაფიქრებულა,
 რომ ორ სიცოცხლეს მარხავდნენ
 ერთად.

• • •

სიცოცხლე მიტომ მიყვარს ძალიან,
 რომ არაერთხელ ვყოფილვარ მეკდარი...
 ყელზე ვეხვევი ყოველ ალიონს
 და გზას ვასწავლი ფერწასულ მთვარეს.
 და ის, ვისთვისაც დავთმობ სიცოცხლეს,
 ვის ერთგულებას მე მუდამ ვჩემობ.
 მხოლოდამხოლოდ, მხოლოდამხოლოდ
 ეს მარტო შენ ხარ,
 მამულო ჩემო!



ჯემალ რაზოვი

მოთხრობა

ქართველი მკითხველისათვის ცნობილია თბილისელი ქურთი პოეტების. კერძოდ, აზიზ ისკანდერი, ზაღრაფ ისკანდერი, ტოგარ ბროსი (ბროვი) კმნილბანი, რომლებიც დროდადრო იხეცდებოდა ჩვენს პერიოდულ პრესაში და გამოდიოდა ცალკე წიგნებად. ხოლო ქურთი პროზაიკი ვალერიან ბროვი წინამდებარე მოთხრობით პირველად გამოდის სამწერლო ასპარეზზე.

ვალერიან ბროვი დაბადებულია 1841 წელს, თბილისში, ვერის უბანში; მან დაამთავრა პეტროპოლის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი.

ქურთულ ლიტერატურას მდიდარი ტრადიციები აქვს, მისი წერილობითი ძეგლები დამოწმებულია მე-11 საუკუნიდან, ხოლო მე-17 საუკუნეში შეიქმნა სახელგანთქმული ქურთი პოეტის ახმედ ხანის კლასიკური კმნილბა „მამი და ზინა“, რომელიც თარგმნილია მრავალ ენაზე.

საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ქურთებს, კერძოდ თბილისელ ქურთებს, ღენინურა ეროვნული პოლიტიკის წვალობით, მიეცათ შემოქმედებითი ნიჭის გაფურჩქვნის ფართო შესაძლებლობა ისინი აქტიურად იღვწიან კომუნისმის მშენებლობის უველა უბანზე.

I

ფანჯრიდან დილის ჭკრთალი შუქი შემოდოდა ოთახში, იატაკზე გაფენილ უვაეილებიან ნოხზე ეცემოდა.

ჯემალი ლოგინიდან წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, გარეთ გაიხედა. ცას ტყვიისფერი ედო. ნაწვიმარ ასფალტზე მანქანები სწრაფად და ზეწაბმით მიქროდნენ ქვემოთ.

ჯემალმა ნალელიანად მოავლო თვალი ქუჩას, ამოიოხრა და საბაზანოში გავიდა. ხელ-პირი დაიბანა, სარკის წინ თმა დაივარცხნა. მერე სამზარეულოში შევიდა.

მისი დედა — აიშანა გაზის ქურასთან იდგა. დაბალი, ჩასუქებული ქალი იყო. გაზზე შემდგარ ტაფაზე კატლუტს აბ-

რუნებდა.

— დაჯექი, ჯემალ, — უთხრა ქალმა. ჯემალი მაგიდას მიუჯდა.

აიშანამ საუზმე დაუდგა, მაგრამ ჯემალმა თუფში გვერდზე გასწია. ჭიბიდან სივარეტი ამოიღო, მოუკიდა და გააბოლა.

ქალმა შეიღს შეხედა, მერე გაუბუდავად ჰკითხა:

- გადაწყდა, ბიჭო, შენი საქმე?
- ჰო.
- სად იწყებ მუშაობას?
- მტვირთავი მუშების კანტორაში.
- უმაღლესდამთავრებული უბრალო მუშად მიღიხარ?
- მაგას არა აქვს მნიშვნელობა.



მთავარი ის არის, რომ დღეიდან ჩემს თავს მე თვითონ შევიჩნახე. აღარ მინდა მამაჩემმა დამაყვედროს, მე გარჩენო... გუშინ ბო ნახე, როგორ ვიჩხუბებ... მე ამ სახლში აღარ დავბრუნდები. ჭირით გადავდივარ საცხოვრებლად მეზობელ ქუჩაზე.

— არ ვიცი, როგორ იქნება თქვენი საქმე, როდემდე იქნებით ასე მტრებით ვიღაცეებზე. იმას შენი არ ესმის, შენ — მაგისი... ოთახი სად დაიჭირავე?

— მაღლა, ქონქაძეზე.

აიშანას კიდევ უნდოდა რაღაცა ეთქვა. მაგრამ გაჩუმდა, რადგან ამ დროს სამზარეულოში ჯემალის მამა — ჰასანა შემოვიდა. იგი მაღალი, ჩაუსკენილი კაცი იყო. უკმაყოფილო და პირქუში სახე ჰქონდა. ჰასანმა აღმაცერად შეხედა შვილს და მაგიდას მიუჯდა.

ჯემალი წამოდგა და სამზარეულოდან გავიდა.

— ბიჭო, ნუთუ დასანახადაც ვეღარ იტან მამაშენს! ეგრე როგორ შეიძლება? — უთხრა საყვედურით დედამ წინკარში ჯემალს.

— ვერ ვიტან, მოვრჩით?! — მიუგო ჯემალმა და კარი ისე მაგრად გაიჭახუნა, ლამის ჰეროდან ბათქაში ჩამოცვივდა.

ჯემალმა კიბე ჩაიარა და სადარბაზოს წინ გაჩერდა.

ციხდა. ქარი ქროდა. ნესტიანი დღე იყო...

„ჯერ ბინის ამბავს დავაზუსტებ, — გაიფიქრა ჯემალმა, — სამუშაოზე მოსაწყობად მერე წავალ“.

ქურთუკის საყელო აიწია, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და ჰონქაძის ქუჩას აუყვა. ერთ-ერთ ეზოში, რკინის ხევეულა კიბით მეორე სართულზე ავიდა. კარზე დააკაკუნა. იატაკის ჰეროდის ხმა მოისმა, კარი გაიღო. ზღურბლთან ბერიკაცი გამოჩნდა.

— გამარჯობათ. — მიესალმა ჯემალს.

— გაგიმარჯოთ... შემობრძანდით შინ. ჯემალი მაღალჰეროდის, ნათელ, ფარ-

თო ოთახში შევიდა. კედლებზე სურათები, ნახატები და ჰედური ნამუშევრები ეკიდა.

— დაბრძანდით, — უთხრა ბერიკაცმა და სავარძელზე მიუთითა. მაღალი, მელოტი კაცი იყო. მხრებზე საშინაო ხალათი წამოეხურა.

— მაშ, მომაჭირავენთ იმ ოთახს?! — ჰკითხა ჯემალმა.

— ჰო, გადმოდი.

— დღეს გადმოვალ.

— იქ რაღაც რაღაცები მიწყვიდა, მერე ჩავალ და გამოვიტან... ასე რომ, ოთახი მზად დავგვებთ.

— მაშ, თვეში ორმოცდაათი მანეთი, არა?

— ჰო, ორმოცდაათი. მე სულ ასე ვაჭირავენ. თქვენამდე ერთი სტუდენტი იდგა, იმის წინაც სტუდენტი იყო, და... სულ ასე...

— ვასაგებია. ნახვამდის. საღამოზე ჩემს ბარგი-ბარხანას გადმოვიტან და გადმოვალ.

— კეთილი, გადმოდი.

ჯემალმა კიბე ჩაიარა და ქუჩაში გავიდა. ტროტუარზე ფეხსაცმელების ბაკაბუკით ჯინისის შარვალში გამოკვართულმა ქალიშვილმა ჩაიარა. ჯემალმა თვალი გააყოლა, მერე გაბრუნდა და ჩქარი ნახიჯებით დაეშვა ქუჩაზე. ჩქარობდა: უნდოდა, რაც შეიძლება მალე დაეწყო მუშაობა.

ჯემალ რაშოვეი კმაყოფილი იყო, სახლიდან რომ მიდიოდა. მშობლების ძველებურ, დახვსებულ ჩვევებს ყოველთვის ვერ ურიგდებოდა. განსაკუთრებით მამასთან ჰქონდა უთანხმოება. ეს კაცი, რომელიც თბილისის ერთ დიდ დაწესებულებაში მუშაობდა, და, როგორც ამბობდნენ, კარგა დიდძალ ფულსაც შოულობდა, სახლში ნამდვილი ბატონკაცივით იქცეოდა. გარდა ამისა, ძალიან ძუნწი იყო, ეს ყველაზე მეტად აღაშფოთებდა ჯემალს. „არ მინდა, ყოველ ლუკმას უთვლის ადამიანს. ჩემი ჰკუთხით ვიჭოვრებ ბოლოს და ბოლოს!“ — ფიქრობდა გზაში.

II

ჩემალმა შესასვლელთან გამოკრული აბრა წაიკითხა და მტვირთავი მუშების კანტორაში შევიდა. ნახევრად ჩაბნელებულ დერეფანში ადამიანის ჭაჭანება არ იყო. ჩემალი კადრების განყოფილებაში შევიდა.

— შეიძლება? — იკითხა მოკრძალებით.

ოთახის კუთხეში ჩაფსკენილი, ჩოფურა, მკაცრი სახის სათვალისანი კაცი, განყოფილების უფროსი ეურნალში რალაცას ჩითავდა. მის გვერდით, მეორე მაგიდასთან, ახალგაზრდა, სქელი ქერა ქალიშვილი თავჩაღუნული წერდა. ორივემ მხოლოდ წამით შეავლეს თვალი ჩემალს და ისევ თავიანთი საქმე განაგრძეს.

ჩემალმა ჩაახველა.

ქერა ქალიშვილმა თავი ასწია და ჰკითხა:

— რა გნებავთ?

— მტვირთავ მუშად მინდა მოწყობა.

— საბუთები თანა გაქვთ? — ჰკითხა განყოფილების უფროსმა.

— დიახ, აი, ინებეთ.

კაცი შრომის წიგნაკში ჩანაწერების ამოკითხვას შეუდგა.

— თქვენ, რა, უმალლესში სწავლობდით?

— დიახ. ეურნალისტიკის ფაკულტეტი დავამთავრე.

— ბიჭო, ეურნალისტი მტვირთავ მუშად ეწყობი?

— ყველანაირი შრომა საჭირო და საპატიოა, — მიუგო ჩემალმა.

— ეგ კი... მაგრამ... ნასწავლი და განათლებული მუშად რომ არ გამოდგება?.. რა ვიცი, გამოგვადგებით მუშად?..

„ამას თავისი თავი დიდი ვინმე ჰგონია“ — გაიფიქრა ჩემალმა.

— თქვენი აზრით, მუშა უსწავლელი და გაუნათლებელი უნდა იყო?

— კარგი, კარგი, გეყოფა ლაი-ლაი, დაწერე განცხადება!

ჩემალმა განცხადება დაწერა და გაუწოდა.

— დირექტორთან შეიტყუე...
ბურტყუნა განყოფილების უფროსმა და ისევ ეურნალში ჩარგო თავისი დიდი, ქაჩალი თავი, სინათლის შექმე ლაპლაპი რომ გაქჷონდა.

ჩემალმა დირექტორის კაბინეტის დერმატინგადაკრული შავი კარი შეაღო. მისაღებში ფანჯარასთან მოხდენილი შავგვრემანი მდივანი ქალი საბუქდ მანქანაზე გამალებული აკაყუნებდა. მდივანმა ჩემალს მოჰკრა თუ არა თვალი, იმწამსვე წამოიძახა:

— არ შეიძლება შესვლა! დირექტორი დაკავებულია!

ჩემალი გაჩერდა და დაელოდა.

როგორც კი დირექტორის კაბინეტიდან ორი კაცი გამოვიდა, მდივანმა უფლება მისცა ჩემალს კაბინეტში შესულიყო.

დირექტორი საშუალო ტანის, ორმოცდახუთი წლის კაცი იქნებოდა. უღვაშებსა და შავ თმაში. საკმაო ჭალარა ჰქონდა გარეული. ძვირფასად და მდიდრულად ეცვა. მედიდური, კმაყოფილი სახე ჰქონდა.

— რაშია საქმე? — იკითხა მან.

— მტვირთავ მუშად მინდა მოწყობა, — უპასუხა ჩემალმა და განცხადება გაუწოდა.

დირექტორმა განცხადება წაიკითხა, თავი ასწია და თავისი ჭროლა, ცბიერი თვალებით ჩემალის სუსტი ტანი აათვალიერა-ჩაათვალიერა.

— გიმუშავიათ მტვირთავ მუშად? — ჰკითხა მან.

— არა... ისე, მშენებლობებზე მიმუშავია, — მიუგო ჩემალმა.

დირექტორმა კალამი აიღო და ჩემალის განცხადებას რალაც წააწერა.

— მეთხუთმეტე ბრიგადაში გავაგზავნი, — მშრალად უთხრა და სელექტორი ჩართო:

— უბნის უფროსი კენჭაძე ჩემთან შემოვიდეს.

კაბინეტში დაბალი, კუნძივით კაცი მაშინვე გამოცხადდა. კენჭაძემ შინაურულად ჩამოართვა ხელი დირექტორს

და მის წინ ჩამოჭდა, მერე გადაიხარა და რალაც წასჩურჩულა.

— მიზეზს მოვუნახავ და მოვხსნი, — უთხრა ხმადამლა დირექტორმა.

— კარგი იქნებოდა, ბატონო შალვა, ხელს გვიშლის...

— იცი რაზე გამოვიძახე? ეს ახალგაზრდა კაცი ჩვენთან იმუშავებს, მტვირთავად. პოდა, შენს უბანზე ვგზავნი. გუშინ ხულოვემა მითხრა: მუშები მაკლიაო. იმის ბრიგადაში ვაგზავნე. წაიყვანე ახლა და ყველაფერი აუხსენი — სად და როგორ მივიდეს.

კენჭაძემ ჭეშალს შეაგლო თვალი. მერე ისევ დირექტორს მიუბრუნდა:

— კარგით, ბატონო შალვა, ყველაფერს ვავაყებთ.

ორივენი კაბინეტიდან გავიდნენ. პატარა, ვიწრო ოთახში კენჭაძე მაგიდას მიუჭდა და საფერფლე გვერდზე გასწია.

— მეთხუთმეტე ბრიგადა ცეკავშირის ბაზას ემსახურება, — უთხრა მან ჭეშალს. — ეს ბაზა ლილოშია. რვა ნომერი ავტობუსის მიდის იქ, ისანის მეტროდან. რომ მიხვალ, ჰაჯი ხულოვევი იკითხე. თუ ვინიცობაა ჰაჯი არ იყოს, მაშინ საფო იკითხე. საფო უფროსი მუშაა. მუშაობას ცხრაზე იწყებენ. ასე რომ, ხვალ დილით პირდაპირ იქ გამოცხადდი. შრომის დისციპლინა არ დაარღვიო. შრომის უსაფრთხოების წესები დაიცავი! ხომ გაიგე.

— გასაგებია.

კენჭაძემ მაგიდის უჯრიდან ფართოყდიანი, ხმარებისაგან გაშავებული ძველი ქურნალი ამოიღო; თითი დაისველა ენით და რამდენიმე ფურცელი გადაშალა.

— აი, აქ მომიწერე ხელი. ეს იმას ნიშნავს, რომ შენ უსაფრთხოების წესები გაიარე.

ჭეშალმა ხელი მოაწერა და ოთახიდან გავიდა.

ქუჩაში რომ გამოვიდა, დაფიქრდა — საით წასულიყო. „მოდი, პლენანოვის პროსპექტამდე ფეხით გავისეირნებ, — გადაწყვიტა უცებ, — მერე ტროლე-

ბუსში ჩაჯდები და ბარგის გადასატარებლად წავალ“.

III

ჭეშალი პლენანოვის პროსპექტს ნელი ნაბიჯით გაუყვა.

დილიდან ლუკმა პური არ ჩაედო პირში. ბოლოს ერთი კაფე ამოარჩია. შევიდა. ოფიციატს ეროკვერცხი და ჩაი შეუყვეთა. კაფეში ხალხი ცოტა იყო და ოფიციატმა ქალმა სწრაფად მოურბენინა ყველაფერი.

ვიტრინის შუშებზე ჩამოფარებული ნელიონის ფარდების იქით ხალხი და მანქანები მოძრაობდა. ჩაიმ და სითბომ კარგ გუნებაზე დააყენა. ჭეშალი კმაყოფილი გამოვიდა კაფედან და გზა განაგრძო. გონებაში თავისი ჭიბის ფული დიანგარიშმა: სულ ოცდაათი მანეთი და სამოცი კაპოცი ჰქონდა დარჩენილი. ამ ოცდაათი მანეთით და სამოცი კაპოცი, ახალ სამუშაო ადგილზე ხელფასის მიღებამდე, როგორმე იოლად უნდა გასულიყო.

ის იყო, ტროლეიბუსში ჩაჯდომა გადაწყვიტა, რომ უცერად თავის დეიდაშვილს — რზოს შეეფეთა. ნათესაებმა ერთმანეთი გადააკონცეს და მოიკითხეს: რას აკეთებდნენ, როგორ ცხოვრობდნენ.

— მამაჩემს ვავეყარე. დღეის იქით, ქირით უნდა ვიცხოვრო: ახლა ბარგის გადასატანად მივდივარ, — უთხრა ჭეშალმა.

— რას ამბობ... არ არის კარგი ამბავი. წამოდი, რამე დავლიოთ. რამდენი ხანია არ გვინახავს ერთმანეთი!..

რზომ ხელი გამოსდო ჭეშალს მკლავში და ნათესაებები პროსპექტს გაუყვნენ. საშუალო ტანის ახალგაზრდა კაცი იყო რზო. ოდნავ მოლუნულ ფეხებს სწრაფად ამოძრავებდა. ოცდაათი წლისა იქნებოდა.

— იცი რას გეტყვი? ახლობლებს შორის შუღლი და მტრობა ჩვენი წესია. ერთობა ოდითგანვე არა ჰქონიათ ქურთებს. ყველაზე ახლობლებიც კი ერთ-

მანეთსა მტრობენ, მაგრამ ისიც უნდა ვალიაროთ, დღეს თუ ვიჩხუბებთ, ხვალ ისევ-ისევ შევირგდებით, ისევ ახლობლებად დავრჩებით ხოლმე. ასე რომ, თქვენც შერიგდებით. ეგ არაფერია. შენ ეს მითხარი: დეიდაჩემი ხო ჩანმრთელადაა?

— მადლობ, კარგად არის.

მარჯანიშვილის მოედანი გაიარეს, გასცდნენ მთავარ ფოსტას და მარჯის მოედანზე გავიდნენ, საბინჯელსთან გაჩერდნენ.

— აქ შევიდეთ, ლუდი დავლიოთ, — შესთავაზა რზომ.

დარბაზი ხალხით იყო საყვ. ხინკალი გათავებულყო. ელოდებოდნენ, უნდა გამოეტანათ.

რზომ და ჭემალმა ლუდი აიღეს და კუთხეში განთავისუფლებულ მალალ მაგიდაზე დააწყვეს.

ორივენი ფეხზე მდგარი ლუდსა სვამდნენ და დარბაზში მყოფ კრელ საზოგადოებას ათვალეერებდნენ.

მათ მაგიდასთან ახლოს ერთი კამპანია ქეიფობდა. ახალგაზრდები იყენენ, მაგრამ ნაკლები მოძრაობისაგან და გადაჭარბებული სმა-ჭამისაგან უკვე ღამების დაყენება მოესწოთ. ეს აუშნოებდა მათ ტანს და სრულებით არ შეეფერებოდა ამ ბიჭების ასაკს. ალკოჰოლისა და ქონისაგან ძლივსა სუნთქავდნენ.

— ერთი უყურე ფულებს როგორ ფანტავენ, — თქვა ჭემალმა. — ზოგს თვიდან თვემდე არა ჰყოფნის ხელფასი... ესენი კი...

— რას იზამ... ასეა მოწყობილი ეს ცხოვრება.

— რას შვრები, სად მუშაობ ახლა, რზომ.

— შოფრად ვმუშაობ; პურის ფულსა ვმოთლობ, ოჯახს ვინახავ.

— დღეს რა, არა მუშაობ?

— არა, მანქანა გამიფუჭდა. გარეშე მიყენია.

— წამო, წავიდეთ, ვინ იცის, როდის გამოიტანენ ხინკალს, — თქვა ჭემალმა.

რზომ და ჭემალი გარეთ ^{გამოვიდნენ!} ~~გამოვიდნენ!~~
— რა იყო, რა ყაყანი იდგა, თავი გამოსკდა.

— აქ სულ ესეა... მოგვხმარები ბარგის გადატანაში, ჭემალ, — შესთავაზა რზომ.

— თუ მაგ სიყვთეს მიზამ, მადლობელი ვიქნები.

— მადლობა არა ის არ გინდა? მაშნათესავეები რისთვისა ვართ?

IV

მეორე დღით ახალნაჭირავე ბინაში გაიღვიძა ჭემალმა.

თვალი მოავლო ოთახს, რომელიც, ვინ იცის, უკანასკნელად როდის შეაკეთეს.

„აქ, არც თუ ისე ცუდი იქნება, — გაიფიქრა ჭემალმა. — როგორც კი მოვიცილი, აუცილებლად გავარემონტებ. ოთახს არაუშავს, საცხოვრებლად გამოდგება. რა უცნაურია, გუშინ სულ არ მომეწონა. ალბათ, ახალი გადმოსული რო ვიყავი, იმიტომ. მთელი ღამეც ამის გამო მეძინა ცუდად. ასეა თუ ისე, ყველაფერი რიგზეა“.

მერე ჭემალმა ოცნება დაიწყო იმაზე, თუ როგორ იცხოვრებდნენ ამ ოთახში ისა და ხათუნა: როგორ დაწერდა საგაზეთო წერილებსა და ნარკვევებს; როგორ იმუშავებდა და განვითარდებოდა, რათა კარგი ჟურნალისტი გამხდარიყო. ერთი სიტყვით, როგორ შეუდგებოდა იმას, რასაც საინტერესო და შინაარსიანი ცხოვრება ჰქვია.

საათს დახედა: რვის ნახევარი იყო. ლოგინიდან წამოდგა, ჩაიცვა და ერთადერთი ფანჯარა გამოალო, რომელიც პატარა, ნესტიან ეზოს გადასცქეროდა. ჭემალი იდგა და ერთხანს მეზობლების აივნებს უყურებდა, მერე პირსახოცი და საპონი აიღო, ეზოში გავიდა და ონკანი გაალო. ხელპირის ბანას შეუდგა. წყალი ცივი იყო და ხელები ეყინებოდა.

— გამარჯობათ, — მიესალმა ბინის პატრონი ჭემალს, რომელიც კიბეზე ჩა-



მოდოდა. ჭემალმა სალაში დაუბრუნა.

— როგორ გეძინათ ახალ ბინაში?

— არა უშავს, მადლობთ, — მიუგო ჭემალმა.

— სამუშაოზე მიდიხართ?

— დიახ... დღეს პირველი დღეა.

— ჰოო? კარგია... აბა, წარმატებებს გისურვებთ...

— მადლობთ!

მოხუცი მძიმედ, ნელი ნაბიჯებით გავიდა ეზოდან.

ჭემალმა სახე შეიმშრალა, ოთახში დაბრუნდა და ყავა მოადღო, მერე გარეთ გამოვიდა, მხნე და ამაყი ნაბიჯებით ჩაიარა სოლოლაკის ქუჩები, ლენინის მოედანზე გავიდა.

ხალხი სამსახურისაკენ მიიქაროდა. მალაზიები და კაფეები ღია იყო. ჭემალმა ქალაქის საბჭოს თავზე საათს შეხედა: რვას ხუთი წუთი აკლდა.

ცისფერმა ექსპრესმა, რომელიც მეტროში სადგურიდან სადგურამდე ტყვიასავით მიჰქროდა, „ისანამდე“ მიიყვანა. აქ ჭემალი ამოვიდა და რვა ნომერ ავტობუსში ჩაჯდა. მანქანამ რკინიგზის ხიდის ქვეშ გაიარა და კახეთის გზატყეცილისაკენ აიღო გზი.

ავტობუსმა უკან მოიტოვა ქალაქის ფარგლები, გვერდი აუქცია აეროპორტისაკენ მიმავალ გზას და მინდორ-ველებს შორის მიმავალ ხეივანს გაუყვა.

მალე ავტობუსი ორსართულიან შენობასთან გაჩერდა, რომელსაც მსხვილი ასოებით ეწერა: „ცეკავშირის ბაზა“.

ჭემალი ჩავიდა და გალაყანა შემოვლელბულ ეზოსაკენ რომ გაემართა, სწორედ ამ დროს ავტომატური კარი დრივინ-დრივინით გაიღო, და ბაზაში ორი დატვირთული დიდი სატვირთო მანქანა შეგრიალდა.

ჭემალი მანქანებს გაჰყვა.

— სად მიდიხარ? — ჰკითხა დარაჯმა.

— მტვირთავი მუშების კანტორამ გამომაგზავნა, მუშაობა უნდა დავიწყო, — მიუგო ჭემალმა და პასუხს აღარ დაუცადა, გაიარა.

ცეკავშირის ბაზა საქონლით იყო სავსე. გარეთ მეტწილად ისეთი ტვირთი

ეწყო, რომელიც ღია ცის ქვეშ უშვებოდა. ტვირთამწე მანქანამ ქაღვებზე ჩამოკიდებული კონტეინერი ჩაატარა.

ბაზის მარცხენა მხარეზე ათამდე საწყობი იყო ჩამწყობებული. საწყობებს მთელ სიგრძეზე ბაქანი ჰქონდა, სადაც ახლა ის ორი სატვირთო მანქანა იდგა, წელან რომ შემოგრიალდნენ ეზოში.

მტვირთავი მუშები მანქანების დასაცულელად ემზადებოდნენ. აქეთ-იქიდან მოაგორებდნენ თავიანთ ურიკებს. ჭემალი მუშებისაკენ გაემართა.

— არ იცით, ჰაჭი ხუდოვეი რომელია? — ჰკითხა ჭემალმა ერთ-ერთ მუშას.

— ჯერ არ მოსულა, — მიუგო მუშამ პირქუშად.

— არც საფოა?

— საფო აქ არის, ტანისამოსს იცვლის, გასახდელშია.

— სად არის გასახდელი?

— აგე, პირდაპირ, ონკანთან.

— მადლობთ.

— არაფერს.

ჭემალი ონკანისაკენ წავიდა და მუშების გასახდელ ოთახში შევიდა.

კარადასთან ვიღაც მაღალი კაცი შენიშნა, რომელიც ბათინკებზე ზონრებს იკრავდა. ჭემალი ახლოს მივიდა და ქურთულად ჰკითხა:

— საფო თქვენა ხართ?

— ჰო, მე ვარ.

— მუშად მიმიღეს თქვენს ბრიგადაში...

საფომ მსხვილი, შავი წარბების ქვემოდან ჭემალს ახედა, მერე ისევ მიბრუნდა და ზონრების შეკვრა განაგრძო. ფეხი ტაბურეტზე ედო, მაღლა, და წელში მოხრილი იდგა, უსიამოვნო, შავ-გვრემანი სახე ჰქონდა.

— ძალიან კარგი. — თქვა მან, — ჩვენ სწორედ მუშები გვჭირდება. ყოველთვის არა გვეოფნის. მოვლენ, ერთ-ორ თვეს იმუშავენ და გარბიან. ვერ უძლებენ მძიმე ფიზიკურ მუშაობას.

ხალხი ფულიან და იოლ საქმეს ეტანება...

„ეს არ უნდა იყოს კარგი კაცი. ზურგი შემაქცია და ისე მელაპარაკება“, — გაიფიქრა ჯემალმა.

საფომ ფეხი დაბლა ჩამოუშვა, შარვალი შეიკრა და კარადებს ჩამოუარა.

— აი, აქ გაიხდი ხოლმე ტანისამოსს, — უთხრა საფომ და ერთ-ერთი კარადის კარი გამოაღო.

მერე საფომ სპეც-ტანსაცმელი მოუტანა.

— აბა, ჩაიცვი. ბათინკები ჯერჯერობით არა გვაქვს. როცა მივიღებთ — მოგცემთ, — უთხრა მან.

ჯემალმა ტანისამოსი გამოიცვალა და ორივენი ბაზის ეზოში გამოვიდნენ.

— შენი სახელი, მოყვარევ? — ჰკითხა საფომ.

— ჯემალი.

— აი რა, ჯემალ... ჩვენთან ესეთი წესია: ყოველ ხელფასზე ბრიგადირს ათათ მანეთს ვაძლევთ. ასე რომ, შენც მოგიწევს მოცემა... ზო იცი, ჩვენც ხარჯები გვაქვს — მე და ჰაჯის...

ჯემალმა მკაცრი და გამჭვალავი თვალებით შეხედა საფომს.

— მე თქვენს ხარჯებთან არაფერი მესაქმება... ჩემს ხელფასს არავის მივცემ, — უთხრა ჯემალმა მტკიცედ. — კი წესები გქონიათ აი...

— არ გირჩევ, ჯემალ-ჩან, ეგრე მოქცევას. ჰაჯი ერთი თავზეხელაღებული ვინმეა, ციხეშიაც იჭდა რამდენიმეჯერ; მიეცი ხოლმე ეგ ოცი მანეთი, თორემ გადაგემტერება.

— მე უკვე გითხარი: ჩემგან არც ერთ კაპიკს არ მიიღებთ-მეთქი. ეგრე გადაეცი ჰაჯისაც!..

— შენი ნებაა, გინდა მიეცი, გინდა არა... წამოდი აქეთ, სატვირთო მანქანებია დასაცლელი.

საფომ და ჯემალი ბაქანზე ავიდნენ.

სატვირთო მანქანებთან მუშები ტრიკლებდნენ: ურიკებს ავსებდნენ, საწყობში მიაგორებდნენ და იქ თაროებზე აწყობდნენ.

საფომ და ჯემალი რომ დაინახეს, მუშებმა შესვენება გამოაცხადეს. აქეთ-

იქით ჩამოსხდნენ და სიგარეტს გაიწვეს.

— კანტორამ ახალი მუშა გამოგვიგზავნა, — გამოუცხადა საფომ მუშებს და ჯემალისკენ გაიშვირა ავღლებით ხელი. — აი, ეს არის.

ზოგმა ამრეზით შეხედა ჯემალს, ზოგმა — დაცინებით, ზოგმა კიდევ გაკვირვებით: აქოდა, ვინ არის ეს ახალი გამოცხვარი მუშაო. ყველა მტრულად და არამეგობრულად შეხედა მას, თითქოს ჯემალი მათ საარსებო ლუკმა-პურს ართმევდა. ხმა არ ამოუღიათ, ისევე სიგარეტების წვევა განაგრძეს.

— ეხლა კი ალბათ გვეშველება, რახან ესეთი მაგარი ბიჭი გამოგვიგზავნა კანტორამ, — ჩაიხიბითხიბა დაცინებით წითურმა მუშამ, რომელიც ეტუზობდა, ცოტა გადაკრულში იყო ამ დღით. იგი ძარაზე იჭდა, კოლოფებზე ზურგმიყრდნობილი.

„რა წუნკალი ენა აქვს... სჯობია არ აუყუე“, — გაიფიქრა ჯემალმა.

მუშები წამოიშალნენ, ისევე გაახურეს მუშაობა.

ჯემალი წითელლოყება ახალგაზრდა ბიჭს ამოუდგა გვერდში და მასთან ერთად დიწყო მუყაოს კოლოფებში ჩაწყობილი საქონლის დაწყობა ურიკაზე.

— ეგრე სწრაფად ნუ ირჩები, თორემ მალე დაიღლები და მოითენთები, — უთხრა წითელლოყება ბიჭმა. — ძველ მუშებს შეხედე, როგორ დინჯად მუშაობენ. აღამიანი დაძაბული ფაციფუცი იღლება. მუშაობაში ზედმეტი მოძრაობა არ უნდა გააკეთო.

— რა აწყვიტა ამ კოლოფებში? — ჰკითხა ჯემალმა.

— ექვს კილოიანი მრავები.

— შენი სახელი?

— თამაზი. შენი?

— ჯემალი.

ურიკა გაავსეს და საწყობისაკენ მიანწინენ. ბორბლები ჭრიალებდნენ ტვირთის ქვეშ. მძიმე-მძიმედ მიგორავდა ურიკა.

— აბა, მაგრა მიეაწყვეთ, კარებთან ცოტა აღმართია, — თქვა თამაზმა და

კიდევ უფრო მაგრა დაეჭიმა კისერზე ძარღვები.

როგორც იყო ურიკა საწყობში შეაგორეს და თაროსთან გააჩერეს.

— ცოტა ხანს შევესვენოთ, — უთხრა ჭეშალმა ქლოშინით.

— შევესვენოთ, — უთხრა ღიმილით თამაზმა, — არაფერია, მიეჩვევი ნელ-ნელა. — ურიკას მიეყუდნენ. ჭეშალმა ცხვირსახოცი ამოიღო და ოფლი მოიწმინდა სახიდან.

— ზემოთ გაივსო, ეხლა ქვემოთა თაროზე დაეაწყოთ, — თქვა თამაზმა.

ურიკა დაცალეს და გარეთ გამოაგორეს. ისევ შეუდგნენ დატვირთვის. მათ გვერდით სხვა მუშებიც აწყობდნენ ურიკებზე კოლოფებს.

— ჩვენ ვმუშაობთ, ის კი საღვალადეთროდა, — თქვა თამაზმა.

— ვისზე ამბობ? — ჰკითხა ჭეშალმა.

— საფოზე. აგე, მოდის.

საფო ბაქანზე მოაბიჯებდა.

ჭეშალმა და თამაზმა ურიკა გაავსეს და საწყობისაკენ მიაწვენენ. საფო მათ მიუახლოვდა.

— წამო, კონტეინერები გადმოვიტანოთ, — უთხრა საფომ ჭეშალს.

— ამ ურიკას დაეცლი და მოვალ, — მიუღო ჭეშალმა.

— ტვირთამწე მანქანასთან მოდი, გე-სმის, ბიჭო!

— ჰო, ჰო, მოვალ.

საფომ სივარეტს მოუკიდა და ტვირთ-ამწე მანქანასთან მივიდა.

— არ მოიყვანე? — ჰკითხა საფოს შოფერმა, თან თავჩაღუნული ძრავას არემონტებდა.

— ურიკას დაეცლის და მოვა, — უთხრა საფომ.

— ვის უთხარი?

— ახალია ერთი.

— კარგი ბიჭია?

— ერთი მაგის...

— აგე, თქვენი ბრიგადირი, ჰაჯი, მოდის.

— აჰა... კარგია, რომ მოვიდა.

ჰაჯი მოახლოვდა და სალაში მისცა ყველას.

— რა ჰქენი, ჰაჯი, იშოვე შენთვის გულისთვის? ახალი საბურავები? — ჰკითხა შოფერმა.

— რა ბიჭია, ჰაჯი, რო ვერ იშოვოს? — სთქვა საფომ და მლიქვნელურად გაიტიყანა.

— მოსკოვიდან ჩამოვიტანე, — უთხრა ჰაჯიმ, — აბა რა გეგონა.

ბრიგადირი ჰაჯი ზუღოვეი მაღალი, უსიამო შესახედობის ახალგაზრდა კაცი იყო. ოცდათექვსმეტი-ოცდაჩვიდმეტი წლისა იქნებოდა. მას ვრანგლურის ფირმის შარვალი ეცვა. ფეხი უქანასკნელი მოდის, ყავისფერ, მაღალ ქუსლებზე მდგარ ფეხსაცმელებში წაეყო. ჰაჯი თავისი მანქანის ძეწავზე ჩამოკიდებულ გასაღებს ათამაშებდა და ისე იტიმებოდა, გეგრნებოდათ, მთელი ბაზის მფლობელი იყო.

— როგორი ბიჭია ახალი მუშა? — ჰკითხა ქურთულად ჰაჯიმ საფოს.

— არ ვარგა. ესე მითხრა: ჩემგან არც ერთ კაპიკს არ მიიღებთო.

— ჩემგან არც ერთ კაპიკს არ მიიღებთო?

— ჰო... ჰაჯისაც ესე გადაეცო.

— ეგეე ჩვენი რჭულის კაცი... მაგრამ ეგ არაფერი. შე მოვუვლი მაგას, ჭერ ხელფასები დარიგდეს... არ მომცემს და, როგორც მოვიდა, ისევე წავა. ეგლა მაკლია, ეგეთები ბრიგადაში დავტოვო... მერე სხვებიც წაბაძავენ... არა, შე ეგ უნდა მოვიშორო თავიდან. ბედი არ გინდა? რალა ჩემს ბრიგადაში გამოგზავნეს ეგეთი. კადრებში მითხრეს კიდევაც: ვილაც მჭლანელი გამოგიგზავნეთო. ნაღდად დამცინეს.

— როგორ მჭლანელი? — ჰკითხა საფომ.

— აი, გაზეთებში რო სწერენ რალაც-რალაცებს.

— მაშ, ეგ ნასწავლი ყოფილა?

— ჰო, ინსტიტუტი დაუმთავრებია.

— მერე, რალა მუშად მოეწყო, თუკი ნასწავლია...

— ალბათ ვერ იშოვა ადგილი.

— მაშინ, შენ მაგას ეგრე ადვილად ვერ მოიცილებ... აი ნახავ. აგე ის არის,

რო მოდის, — უთხრა საფომ ჰაჯის და ჭემალზე ანიშნა.

ჭემალი ტვირთამწესთან გაჩერდა. სიგარეტს ეწეოდა და უყურებდა, როგორ აყენებდა შოფერი კარბურატორს ძრავაზე.

— როგორ მოგწონს მუშაობა, ჭემალო, — ჰკითხა ჰაჯიმ ჭემალს და ფარისეველურად გაიღიმა.

— არა უშავს. მუშაობა შეიძლება, — მიუგო ჭემალმა. ყუთზე ჩამოჭდა და სიგარეტი მოქაჩა, ნაფაზი დაარტყა, ბოლი მალლა გაუშვა.

— თუ გინდა, ჩემს ბრიგადაში იმუშაო, ხო იცოქ მე და შენ ერთმანეთს უნდა გაუგოთ. სხენაირად არ გამოვა. მე მგონი. შენ გამიგე, რასაც გეუბნები, და რაზეც გეუბნები.

— მე ვერაფერი ვერ გავიგე. არაფერი არ მესმის: რას ჰქვია ჩემი ბრიგადა. ან რატომ არ უნდა დავერჩე ამ ბრიგადაში?

— შენ თუ ესე დაიწყე, სჯობია ახლავე სთხოვო დირექტორს, რომ სხვა ბრიგადაში გადაგიყვანოს, მე და შენ ერთად ვერ ვიმუშავებთ, მშაო...

— მე აქაც ძალიან კარგადა ვარ, — უთხრა ჭემალმა.

— კარგადა ხარ, თუ არა, მერე ვნახავთ.

— შენ რა მაშინებ, თუ რა არის?

— არა, მშაო, შიში რა შუაშია; მე გაფრთხილებ, — უთხრა ჰაჯიმ. იგი სიტყვების ტყეპნით ლაპარაკობდა, მარცვალ-მარცვალ. ტვირთამწე მანქანის შოფერმა, როგორც იყო, მანქანა დაქოქა. საფო კაბინაში ჩაჭდა და ჭემალისკენ გაიშვირა ხელი:

— მოდი, მოდი! წავედით!

— რა არის, სად მივყავს, საფო? — ჰკითხა ჰაჯიმ.

— კონტეინერები უნდა გადმოვიტანოთ, დასატვირთოთ.

— რაც ვითხარი, კარგად დამახსოვრე, ჭემალო, — უთხრა ჰაჯიმ ჭემალს და საწყობებისაკენ გაემართა, სადაც მუშები რაბარუბით დააგორებდნენ თავიანთ ურიკებს.

„რა არაშადაა, ერთი უმჯობესი გორ თვითნებურად იქცევა. ვინ უმაგრებს ამას ზურგს? დირექტორი? შეიძლება. ეტყობა, ყველა მოსყიდული ჰყავს ამ ნაძირალას“, — გაიფიქრა ჭემალმა. იგი ტვირთამწის საფეხურზე დადგა. მანქანა მძიმე-მძიმედ მიდიოდა, უკან სტოვებდა გამონაბოლქვ გაზს და ბენზინის სუნს.

ტვირთამწე კონტეინერებით დაგროვილ მოედანთან მივიდა. შოფერმა კაუჭებიანი ჩაქვები კონტეინერს თავზე ჩამოუშვა. ჭემალი ტვირთამწეზე ავიდა და იქიდან კონტეინერზე გადავიდა. კაუჭები ამოსდო რგოლებს, ჩამოვიდა და ტვირთამწემ კონტეინერი მალლა ასწია. საფო ისევ კაბინაში ჩაჭდა, ჭემალი კი ისევ საფეხურზე დადგა და მანქანა მძიმე-მძიმედ წავიდა. კონტეინერი აქეთ-იქით ქანაობდა, ტვირთამწეს ეჭახებოდა ხმაურით.

...თორმეტ საათამდე ოცი კონტეინერი გადაიტანეს. მერე საფომ ჭემალი ისევ მანქანების დასაცლელად გააგზავნა. თან უთხრა: შესვენების შემდეგ ამ ცარიელა კონტეინერების დატვირთვაზე იქნებიო.

ჭემალი ბაქანზე ავიდა. თითქმის ორი ურიკაღა იყო დარჩენილი ძარაზე. ჭემალი ისევ თამაზთან ერთად შეუდგა კოლოფების გადმოზიდვას.

მუშებმა სატვირთო მანქანები დაცალეს და შესვენების დროც მოვიდა.

— როდისაა შესვენება? — ჰკითხა თამაზს.

— პირველიდან ორ საათამდე.

— საფომ თქვა: შესვენების მერე კონტეინერები უნდა დატვირთოთო, — უთხრა ჭემალმა.

— ახლა სასადილოში წავედით!

ბაზის ტერიტორია გადასჭრეს და სასადილოში შევიდნენ. ზელ-პირი დაიბანეს. თითო თეფში ხარჩო აიღეს, დასხდნენ.

სასადილო მუშებით იყო სავსე. ბუფეტთან და სამზარეულოსთან ხმაური და ფაციფუცი იყო. სასადილოში გა-

საქართველო
საქართველო

ბლენძილი საწყობის გამგეებიც შემოვი-
დნენ. მზარეულს თავიანთი გემოვნების
მიხედვით სხვადასხვა კერძი შეუაყე-
თეს, ხოლო ბუფეტიდან ცივი საუზმე
და სასმელები აიღეს. დაბალმა მსუქა-
ნმა მზარეულმა შემწვარი ხორცი და
კარტოფილი გამოუტანა. მერე წვნიანი
გადმოაწოდა. საწყობების გამგეებმა
ორი მაგიდა შეაერთეს, დაჯდნენ და ჭა-
მას შეუდგნენ.

— აი ვისა აქვს ფულები, — თქვა
თამაზმა და იმათზე ანიშნა. — ყველას
მსუბუქი მანქანა უყენია ბაზის წინ. ხე-
დავ, ის მზარეული როგორ ემსახურე-
ბა? იმიტომ, რომ მაგათგან ხეირი აქვს.
მუშებს უგემურ, წყალწყალა ხარჩოში
ერთ-ორ ნაჭერ ძვალს ჩაუგდებს, ან კი-
დედ წნიცელში ნახევარს პურს გაურევს.
ამთ კი, ნახე, ხორციით სავსე ტაფას
მოართმევს ხოლმე. მაგ ყაჩაღობით ამ
არამზადამ ეხლა ზამთარს მსუბუქი მან-
ქანა იყიდა.

შესვენების შემდეგ ბრიგადის ნაწი-
ლი კონტინენტებს ტვირთავდა, სხვები
კი — რაიონებიდან ჩამოსულ მანქა-
ნებს. სამუშაო ხან მძიმე იყო, ხან იოლი.
ჩემალს გაუჭირდა; ერთი კონტინენტი
რომ დატვირთეს, ზურგზე ხელი მოის-
ვა ჩუმით, რომ არავის დაეხახა: ბეჭე-
ბი აქა-იქ დასიებოდა, გადაქერცლილი
კანი ეწვოდა.

V

სალამოთი, ჩემალმა კადე „ნარგიზ-
ში“ რომ ივახშმა, მერე ნელა გაუყვა
რუსთაველის პროსპექტს.

გრილოდა. ახალგაზრდობა სეირნობ-
და. წყვილ-წყვილად, ან ჯგუფ-ჯგუ-
ფად დასეირნობდნენ აღმა და დაღმა.

დალლილობისაგან ჩემალს მთელი ტა-
ნი სტკიოდა. განსაკუთრებით ბეჭები
სტებდა ყუთების თრევისაგან. ნელა მი-
აბიჯებდა.

დალლილი იყო და ლენინის მოედ-
ნამდე ორი გაჩერება ტროლეიბუსით
გაიარა. მერე დადიანის ქუჩაზე გაუხ-
ვია, იქიდან ლერმონტოვზე გავიდა.

„საინტერესოა, რას იტყვიან ხალხები
მშობლები, როცა ვეტყვი მამაჩემს გა-
ვეყარე და ქირითა ვცხოვრობ-მეთქი? —
ეს ამბავი ნაღდად დიდ შეცხადებას გა-
მოიწვევს. ხათუნას და დედაჩემს ხო
ჩვენი ოჯახი აინტერესებთ — მამაჩემის
ქონება. კარგად ვიცნობ მამათ“, — ფი-
ქრობდა ჩემალი.

ერთ-ერთ ეზოში შევიდა და შუშა-
ბანდის კარზე დააკაკუნა.

კარი ხათუნას დედამ გაუღო... ეკე-
ლუცი, საოცრად მოძრავი მანდილოსა-
ნი, მხიარულად შეეგება სტუმარს და
ოთახში შეიპატია.

— როგორა ხართ, როგორ გიციო-
ხთ?.. აქ დაბრძანდით, ჩემო აზიზო
სტუმარო, — თქვა ქალმა და დივანზე
მიუთითა. — გავიგეთ, მამაშენთან უსი-
ამოვნება გქონია, ჩემალ. მართალია ეს
ამბავი?

— ჰო, მართალია, დეიდა ზაითუნ.
მქონდა უსიამოვნება...

— რატომ, რისთვის? სჯობია მამაშე-
ნთან ტებილად იყო... თორემ. თუ გაა-
ბრაზე, ვინ იცის, იქნება ცოლიც აღარ
მოგიყვანოს, ჰაა?..

— მამაჩემის გარეშეც კარგად მოვი-
ყვან ცოლს, დეიდა ზაითუნ, მაგის დარ-
დი ნუ გეჭნებათ... შეიძლება სიგარეტი
მოვწიო?

— მოსწიე, როგორ არ შეიძლება. და-
მიჯერე, მამაშენის გარეშე არაფერი გა-
მოვა. საიდან მოიტან ურვადის ფულს?
წარმოიდგინე, რამდენი ფულია საჭი-
რო! ჯერ ნიშნობაო. მერე ქორწილიო...
ახლა მისვლა-მისვლაზე აღარაფერს იტ-
ყვი? ყოველ ნაბიჯზე ფულია საჭირო,
ხარჯები. შენ კი, საწყალო სტუდენტო,
საიდან მოიტან ამდენ ფულს? ასე
რომ, სჯობია ყური დაუგდო და დაუჭე-
რო მამაშენს!.. პასანს ყველაფერი აქვს:
სახლი, ქონება, ფულები, მანქანა. თუ
კარგი ურთიერთობა გეჭნება, ბოლოს
ყველაფერი შენ დაგჩეხება... შენი ძმები
ყველანი ცალკე ცხოვრობენ. შენდა და-
რჩი პასანთან, ყველაზე უმცროსი. მა-
შასადამე, სახლიც და ქონებაც შენ უნ-

და დაგრჩეს. ასეა: ყველაფერი უმცროს ვაჟიშვილს რჩება.

— მე მამაჩემის ნემსიც არა მჭირდება, დეიდა ზაითუნ. ცალკე წავედი. ქირითა ვცხოვრობ, აქვე, მაღლა, ჭონქაძეზე.

— მერედა, ხათუნა?! ხათუნაზე არა ფიქრობ?! — აღშფოთდა ზაითუნი. — საიდან მოიტან ურვადის ფულს? ჩემი ქმარი ძველ ადათებს მისდევს, უურვადოდ არავის მიათხოვებს თავის ქალიშვილს!

— ახლა სხვა დროა, დეიდა ზაითუნ! ურვადის აღება ახლა სამარცხვინოა და დამამცირებელი — როგორც გოგოსთვის, ასევე ვაჟისთვის. მთავარია ახალგაზრდებს ერთმანეთი მოსწონდეთ და უყვარდეთ. ამ საქმეში ფული კი, რაოდენ შეურაცხყოფელ როლს ასრულებს, წარმოიდგინეთ თქვენ?..

ზაითუნი იჭდა და ჭეშმალს უსმენდა. მაგრამ ჩანდა, რომ მას მისი სიტყვებისა არაფერი ესმოდა. გაკვირვებული თვალებით მისჩერებოდა ჭეშმალს. ზაითუნს თავისი აზრი ჰქონდა ამ საკითხზე, ჭეშმალს — თავისი. ამიტომაც ვერ უგებდნენ ერთმანეთს მომავალი სიძე და სიდედრი.

— სად არის ხათუნა? უნდა მოველაპარაკო, — იკითხა ჭეშმალმა.

— მაღაზიაში გავგზავნე, ახლავე მოვა, — თქვა ზაითუნმა უგუნებოდ და ოთახიდან გავიდა.

„არ მოეწონა, მამაჩემს რო გავეყარე... ისე გავიდა, ბოდიშიც არ მომიხადა — მარტო რომ დამტოვა“, — გაიფიქრა ჭეშმალმა.

მაღე ისიც მოვიდა, ვისაც ელოდებოდა.

ხათუნა ოთახში შემოვიდა და დივანზე ჩამოჯდა. ჭინისის კაბის კალთა ბარძაყებზე ჩამოეჭიმა. შვებერმანი, ეშხიანი გოგო იყო. ნახშირივით შავი, დიდი, ლამაზი შეჭიანი თვალები ჰქონდა. ჭეშმალმა ხათუნას შეხედა.

„აღბათ დედამისმა უკვე ჩაუტეკტეკა ყველაფერი. საინტერესოა რა რჩევადარიგება მისცა? დარწმუნებული ვარ,

ჭკვიანურს არაფერს ასწავლდნენ...“ ფიქრა ჭეშმალმა.

— ახალი ამბავი რა არის? — ჰკითხა ხათუნამ.

„როგორ თვალთმაქცობს, თითქოს არაფერი იცოდეს“, — გაიფიქრა ჭეშმალმა.

— მამაჩემს გავეყარე, ხათუნა, ოთახი დავიჭირავე ჭონქაძის ქუჩაზე, იქა ვცხოვრობ ეხლა.

— ნეტა რისი იმედი გაქვს? რით უნდა იცხოვრო?

— მტვირთავ მუშად დავიწყე მუშაობა. ორას მანეთს ავიღებ თვეში. ასე რომ არაფერი გავკვირდება...

— მტვირთავ მუშად?! აი ამას კი არ მოველოდი ნამდვილად.

— ვითომ ტატომ?

— იმიტომ... ეურნალისტის კარიერისთვის ემზადებოდი. მეგონა, დღეს თუ არა ხვალ, რომელიმე გამომცემლობაში გაიქაჩებოდი. შენ კი — ბაც და მუშად მოეწყე. ჰმ...

— ჰო... მერე, რა? რა არის აქ საკვირველი? მანამ ეურნალისტის ადგილს ვიშოვი, ცოტა ხანს ვიმუშავებ მტვირთავად. მთავარია, ისევა ვწერ. ახლა ნარკვევზე ვმუშაობ. ვფიქრობ, უარს არ მტყვევინ და დამიბეჭდავენ...

— თუმცა, რა ჩემი საქმეა, ან რაში მეკითხება, მაგრამ, მე მხოლოდ იმას გეტყვი, რომ შენ ბევრი რამე დაკარგე, მამაშენს რომ გავეყარე. საარსებო პურზე ზრუნვა სწავლისა და წერის ხალისს დაგიკარგავს. მამაშენთან კი საზრუნავი არაფერზე არა გქონდა. იქ მხოლოდ შენს წიგნებსა და სწავლა-განათლებაზე ფიქრობდი...

— კაცმა თავისით უნდა მიიღწიოს ყველაფერს, ხათუნა, მე მამაჩემისა არაფერი არა მჭირდება, გამოიგე?.. შენ ეს მითხარი: გინდა გამომეყვე ცოლად? აი, ესეთს, როგორიცა ვარ?

— ქირით ვიცხოვრო? — ჰკითხა ხათუნამ დაცივით.

— ჰო, ქირით.

— რა ძალა მადგას ნეტა? გაჭირდება და სიღატაკე სულაც არ მენატრება. მე,



გენაცვალე, კარგი ცხოვრება მინდა...
შენ კი, რასა მპირდები? არა, ძვირფა-
სო... არ გეწყინოს და, უარს გეუბნები.

— გასაგებია. დედაშენს უთხარი —
მდიდარი ოჯახი მოგიძებნოს. იმას ამ
საქმეში დიდი გამოცდილება აქვს.
ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრე-
ბულია! შენ — შენთვის, მე — ჩემთვის!

ჩემალი წამოდგა და ჩქარი ნაბიჯე-
ბით გავიდა.

გარეთ ბნელოდა. წვიმდა. ნესტიანი
სიცივე ძვალ-რბილში ატანდა.

ჩემალი შინსაკენ მიიბიჯებდა. ბრაზი
და ბოღმა ახრჩობდა.

დასველებულმა და გათოშილმა, თა-
ვის ეზოს მიიღწია.

კარი გააღო და ოთახში შევიდა. ქუ-
რთუკი გაიხადა, დაბერტყა და საკიდა-
რზე ჩამოყიდა. სველი თმა პირსახოკით
შეიმშრალა და დაივარცხნა.

მთელ საღამოს მარტობის გრძნობა
არ მოშორებია. არც წერის ხალისი
ჰქონდა, არც კითხვის. ხან ლოგინზე წა-
მოწეებოდა, ხან კიდევ ფანჯრიდან წვი-
მასა და ეზოს უყურებდა. დაღონებუ-
ლი, სიგარეტს სიგარეტზე აბოლებდა.

ბოლოს, როგორც იყო, დამშვიდდა.
ქალღმერთი გადმოიღო, დაწყებულ ნა-
რკვევზე მუშაობა გააგრძელა. ნარკვევი
ცნობილი მეცნიერ-აკადემიკოსის ცხოვ-
რებასა და მის მეცნიერულ მოღვაწეო-
ბას შეეხებოდა. ჩემალი საჯარო ბიბლი-
ოთეკაში გაცნო ყველა მის ნაშრომს,
წაიკითხა მისი ბიოგრაფია. თვითონ აკა-
დემიკოსიც ინახულა რამდენიმეჯერ.

თორმეტ საათზე ნარკვევზე მუშაობა
დაამთავრა. ადგა, საბეჭდ მანქანას მი-
უჯდა და გადაბეჭდა, მერე წაიკითხა და
კმაყოფილი მაგიდიდან წამოდგა; გემ-
რიელად გაიზმორა.

ჩემალმა ფანჯარა გამოაღო. იდაყვე-
ბით დაეყრდნო რაფას.

„ხვალ, დავეთხოვები ერთი-ორი საა-
თით სამუშაოდან, და ნარკვევს რედაქ-
ციაში მივიტან. ვნახოთ, რას მერტყვიან“
— ფიქრობდა ჩემალი.

იქვე აკაციის ხე იდგა. წვიმა ისევა
ცრიდა, ეტყობოდა, მთელი ღამე არ

გადაიღებდა. ეზოში წვიმის ზარბაზნი
იღგა.

დალლილ-დაქანცული დაწვა. ცუდი
გათბობა იყო და დიდხანს ვერ დაიბი-
ნა. ხათუნაზე ფიქრობდა. სხვა დროს
ხელად ჩასთვლემდა, ახლა კი კარგახანს
იტრიალა, ბოლოს, როგორც იყო, ჩე-
ძინა; მაგრამ ღრმა, ტკბილი ძილით არ
ეძინა. დილით რომ გაიღვიძა, ისევ დალ-
ლილობას გრძნობდა. მთელი ტანი სტე-
ხდა და სტკიოდა.

„როგორ ვიმუშავებ დღეს, ძლივს და-
ვდივარ“, — ფიქრობდა იგი. ღრუბლი-
ანი და უსიამოვნო დღე იყო.

ჩემალი სწრაფად დაეშვა ქუჩაზე.
ლენინის მოედანზე გავიდა და მეტროს-
კენ გაეშურა.

მეტროში თბილოდა.

უეცრად ერთ ნაცნობს მოჰკრა თვალი
და გაუცვირდა — უცებ დაბერებულო-
ყო. „როგორ იცვლება ადამიანი“, —
გაიფიქრა მან.

ისანის სადგურზე რომ ამოვიდა, ცო-
ტა წამოეჩინებოდა. მაგრამ ქარმა დაუ-
ბერა და წვიმაც შეწყდა.

ჩემალი თბილ ავტობუსში მიუყრდა
და ბაზამდე თავის ფიქრებს მიეცა.

— გამარჯობათ, — მიესალმა ჩემალი
დარაქს.

— გავიმარჯოს... ჰა, როგორ ხარ, მი-
ეჩვიე მუშაობას?

— არა უშავს. ცოტა მძიმეა, მაგრამ
რას ვიზამ.

— სამაგიეროდ, აქ ყოველდღიურად
აქვთ ესა, — დარაქმა მარჯვენა ხელის
სამი თითი მოიფშვნიტა, თან თვალი ჩა-
უკრა.

— საიდანა აქვთ, ძია, — ჰკითხა ჩე-
მალმა გულუბრყვილოდ.

— ჰე, ჰე, აბა შენა ყოფილხარ, აი;
გუშინ შესვენების მერე რაიონიდან ჩა-
მოსულ მანქანებს შენა ტვირთავდი და
მე შეკითხები საიდანაო? კი ვინმე ყო-
ფილხარ, აი, ჩემმა მზემ!

— მე კონტრინტებს ვტვირთავდი.
სატვირთო მანქანებს სხვები ტვირთავ-
დნენ.

— მერე რა, შენი წალი ფული მაინც

უნდა მოეცათ! ყოჩაღად იყავი, ბიჭო, თორემ გაგაცურებენ ეგ ყალთაბანდები. რაიონის მანქანების დატვირთვა თქვენი საქმე არ არი, ამიტომ როცა მოდიან, ყოველთვის ფულს უხდიან თქვენს მუშებს.

— კარგი ძია, მეცოდინება.

— აბა, შენ იცი, ყოჩაღად იყავი! — ხითხითებდა ჩასუქებული დარაჯი.

ჭემალი გასახდელი ოთახისაკენ გავმართა.

მუშები ტანისამოსს იცვლიდნენ და ფეხბურთზე დაობდნენ. ჭემალმა საერთო სალაში მისცა ყველას, თავისი კარადა გამოალო. მოშორებით თამაზს მოჰკრა თვალი.

თამაზმა ტანისამოსი გამოიცვალა, თავისი კარადა გასაღებით ჩაკეტა და ჭემალს მიუახლოვდა.

— როგორ არის საქმეები.

— არაუშავს... დღეს პატარა საქმე მაქვს, მინდა დავეთხოვეო და ორი საათით აღრე წავიდე.

— საფოს უთხარი.

— სად არის... მოსულია?

— აგე, ტანისამოსს იცვლის.

ჭემალმა სამუშაო ტანსაცმელი ჩაიცვა, კარადა ჩაკეტა და საფოს მიუახლოვდა. ბრიგადირის თანაშემწე ტაბურეტზე იჯდა და ბათინკებს იცვამდა.

— საფო, ორი საათით აღრე მინდა შაბაშის წინ წავიდე. საქმე მაქვს, — უთხრა ჭემალმა.

— საქმე გაქვს და წადი. ორი საათი დაგაკლდება. დღევანდელ დღეს ექვს საათს ჩავიწერ ტაბელში, — უთხრა საფომ პირქუშად.

— ჩაწერე ექვსი საათი. გუშინ რომ მანქანები დაეტვირთეთ, იმათ ხომ ფული მოგცეს თქვენა. ჩემ წილს რატომ არ მაძლევ? — უთხრა გაბრაზებით ჭემალმა.

— აუცილებელი იყო გუშინ მომეცა?... აბა, დაიჭი, შენი ფული. არავის შეუჭამია...

საფომ ჭიბეში ჩაიყო ხელი, დასტა ფული ამოიღო და ჭემალს შეიდი მანეთი მიაწოდა.

ამით დამთავრდა მათი კონსერვების ყველანი ნელ-ნელა გარეთ გადირიდნენ.

— დღეს ვაგონია ჩამომდგარი. პარფიუმერიაა შიგ. ალბათ მესამე საწყობისაა, — უთხრა საფომ მუშებს ბაზის ეზოში.

მერე მობრუნდა და გასახდელიდან გამოსულ მაღალ, გამბდარ მუშას ჭურთულად გასძახა:

— თემურ! აი ეს სამი კაცი წაიყვანე ვაგონზე... ყანატ, ნოდარ, სანდრო, გაყევით თემურს!.. კარი გააღეთ და ნელ-ნელა დაიწყეთ დაცლა!

მერე საფომ ჭემალს მოჰკრა თვალი და ისიც გააყოლა მათ.

— კიდევ მოგაზმარებთ რამდენიმე მუშას! — მიაძახა საფომ.

რკინიგზა საწყობების მეორე მხარეზე იყო. მუშებმა საწყობი გადაყვეთეს და ბაქანზე გავიდნენ. ლომები აიღეს და დიდი წველების შემდეგ როგორც იყო, კარი გააღეს. ირგვლივ სუნამოს მძაფრის სუნის დატრიალდა. ეტყობა კარის გაღების დროს სუნამოიანი კოლოფი დაიმტვრა.

მუშებმა ურიკები გაავსეს და საწყობში შეაგორეს; იქ ოდევკალონის, საპნის და სარეცხის ფხვნილის სუნი ტრიალებდა.

— თემურ! — დაუყვირა დაეღაფალოყება საწყობის გამგემ, რომელსაც ხელში საბუთები ეჭირა. იქვე საანგარიშო ედო. — ეგ ვაგონი, აი იქ დავეცალოთ! — თავისი ოთახის კარებთან იდგა, იქიდან იძლეოდა ბრძანებებს.

— კარგი, მანდ დავცალოთ, — მიუგო თემურმა.

ათი ურიკა რომ გამოიტანეს, ვაგონის გასასვლელიც გაიხსნა. ახლ აუკვე უფრო მეტ მუშას შეეძლო ვაგონის შიგნით ემოძრავა, მაგრამ მტვირთავეები არა ჩანდნენ და ისევ ოთხ მუშას უხდებოდა მთელი ვაგონის დაცლა; ბოლოს, როგორც იყო, ოთხი კაცი მოემატათ და მუშაობა სწრაფი ტემპით წავიდა.

მტვირთავეები დროდადრო ისვენებდნენ, სიგარეტს აბოლებდნენ და ისევ განაგრძობდნენ მუშაობას. ჭემალს წელი

და კუნთები აღარა სტიკოდა. მოძრაობაში ყველა ტივილმა გაუარა. მიინც ჩჭარა იღლებოდა. როგორც კი შესვენებას გამოაცხადებდნენ, ჭემალი პირველი ჩამოჭდებოდა ხოლმე და ცხვირსახოცით ოფლის წმენდას შეუდგებოდა. უჭირდა მუშაობა, მაგრამ ვაეკაცურად ეჩვეოდა ახალ საქმეს.

შესვენებამდე ვაგონის ნახევარზე მეტი თითქმის დაცლილი ჰქონდათ. შესვენების შემდეგ კიდევ უფრო ხალისიანად წავიდა მათი საქმე. ვაგონში კოლოფები სულ უფრო მცირდებოდა. სულ რაღაც ოცი ურიკა ტვირთილა იყო დარჩენილი.

ოთხ საათზე ჭემალი ამხანაგებს დაეთხოვა, ტანისამოსი გამოიცვალა, გაზეთში გახვეული თავისი ნარკვევი ილიაში ამოიღო და რედაქციისაკენ გასწია. საკუთარი თავით კმაყოფილი, სახეგაბადრული მიაბიჯებდა მხნედ და ამაყად. მიუხედავად იმისა, სუსტი აგებულების ყმაწვილი იყო, მიმზიდველობა არ აკლდა. ნორჩ და ხალისიან სახეზე ჰქუა და ენერჯია ემჩნეოდა.

VI

ჭემალმა მალაზიების ვიტრინებს ჩაუარა და რედაქციაში შევიდა. ფართო ოთახში, მრგვალ მაგიდასთან, ვიღაც ახალგაზრდა მამაკაცი ორ მანდილოსანს კითხვებს აძლევდა და მათ პასუხებს ბლოკნოტში იწერდა. მოსაცდელი ოთახიდან ჭემალი ვიწრო დერეფანში გავიდა და რედაქტორის ოთახის კარი შეაღო.

ნაადრევად გაჭაღარავებული ახალგაზრდა კაცი მაგიდაზე იდაყვებდაყრდნობილი რაღაცას გულდასმით კითხულობდა. მის გარდა ოთახში არავინ იყო. ჭემალი რომ დაინახა, თავი ასწია და ჰკითხა:

— რა გნებავთ?

— გამარჯობათ. ნარკვევი მაქვს დაწერილი, მინდა გავიგო, დასაბეჭდად გამოდგება თუ არა?

— მომეცით...

რედაქტორმა სათვალე გაიქნა და ნარკვევს დახედა.

— დაბრძანდით. ახლაც წავიკითხავ, — უთხრა მან.

მანამ რედაქტორი კითხულობდა, ჭემალი ხან ოთახს ათვალეირებდა, ხან კიდევ რედაქტორს აკვირდებოდა, რომელიც ყურადღებით განაგრიობდა დაწერილის შესწავლას.

რედაქტორმა კითხვა დაამთავრა, ფურცლები მაგიდაზე დადო და დაღლილი თვალეუბი მარჯვენა ხელისგულთ მოისრისა, მერე ხელი ჩამოუშვა და ფანჯარაში გაიხედა. საიდანაც ნეონის შუქით განათებული ფართო სამყინბო სამაქრო მოჩანდა.

— თქვენი ნარკვევი საყურადღებოა. სტილი სადაა და ლაკონური. მაგრამ საქმე იმაშია, ჩვენი გაზეთი ამჟამად ძან გადატვირთულია მასალებით და... ეერ დავიბეჭდავთ... ერთ-ორ კვირაში შემოიარეთ.

რედაქტორი გაჩუმდა და ჭემალს შეხედა. მერე წამოდგა და ნარკვევი გადასცა.

ჭემალიც წამოდგა, რადგან კარგად ესმოდა, რატომ წამოდგა რედაქტორი. «ეტყობა დამწყებ ეურნალისტებს ამ ხერხით იცილებს თავიდან», გაიფიქრა ჭემალმა.

კუდ გუნებაზე დადგა. რედაქციიდან გამოვიდა და ქუჩას დაუყვა. მოღრუბლულ ამინდში ყველაფერს უსიამოვნო ფერი ეღო. უამინდობა კიდევ უფრო უმძაფრებდა ნალველს ჭემალს. შესცივდა და უნდოდა როგორმე გამთბარიყო. მაზლობელ კაფეში შეუხვია.

როგორც იქნა, ოფიციალტი მოახლოვდა: ორი ყავა და ხაჭაპური შეუყვეთა.

ჭემალი ყავასაც სვამდა, თან ფიქრობდა: «ჩერ კიდევ ბევრი უნდა ვწერო და ვიმუშაო, რომ რაღაცას მივალწყო. ეურნალისტობა უბრალო საქმე არ არის. ამას ნიჭი უნდა, ტალანტი. მე კი, რა ვიცი, მაქვს ეს ტალანტია თუ რაღაც ოზრობა? ყველამ ხო იმას უნდა მოაკიდოს ხელი, რისთვისაც არის მოწოდებული. ალბათ ჩემი მოწოდებაც მუშად

მუშაობა და არა ჟურნალისტობა...“

კაფედან გავიდა, ელბაქიდის დაღმარ-
თზე წუთით ქვის მოაჯირთან გაჩერდა
და მტკერის ვალმა გაიხედა. იქ მწვანე-
ში ჩაფლული სახლების წითელი სახუ-
რავეები მოჩანდა. დაბლა, სანაპიროს
ორივე მხარეზე, მანქანები დასრიალებ-
დნენ...

უეცრად, მანქანის დამუხრუქების ხმა
მოესმა. ჭემაღმა თავისი უბნელი როს-
ტამი დაინახა. მანქანის ფანჯრიდან გა-
მოეყო თავი და მხიარულად ილიმებო-
და.

ჭემალი ახლოს მივიდა და თანატო-
ლებმა ერთმანეთი მოიკითხეს.

როსტამს მანქანაში ორი ვოგო ეჭ-
და. „ეიგულის“ უკანა სავარძელზე ნე-
ბივრობდნენ. ორივეს თითებში სივარე-
ტები გაერკოთ და აბოლებდნენ.

— დაჭექი, ჭემალ, — უთხრა ხმადა-
ბლა როსტამმა. — წავიდეთ, დრო გავა-
ტართ.

ჭემაღმა მანქანაში შეიხედა.

გოგოები ჭემალს უტუტუნებდნენ თვა-
ლებს.

„ასე უმიზნოდ და უქკუოდ გაატარე-
ბენ ეს ბატისტინები თავიანთ ცხოვრე-
ბას და ვერასოდეს გაიგებენ, თუ რა
იყო მათი დანიშნულება ამ ქვეყნად“,
— გაიფიქრა ჭემაღმა.

— მამ, როგორ, წამოხვალ? — ჰკი-
თხა როსტამმა.

— მაღლობელი ვარ, — მიუგო ჭემა-
ღმა.

როსტამმა სულელურად გაიღიმა და
ხელი მაღლა ასწია:

— აბა, კარგად იყავი, ჭემალ!

— კარგად იყავი.

როსტამმა მანქანა დაძვრა და მთე-
ლი სისწრაფით დაეშვა ელბაქიდის და-
ღმართზე.

ჭემაღმა ქუჩა გადასტრა და ტროლე-
იბუსში ავიდა.

VII

ტროლეიბუსმა ლენინის მოედანზე
გაიყვანა და ჭემალი პუშკინის სკვერ-
თან ჩავიდა.

უკვე ბნელოდა. ხალხი საშინაურად
შინისაკენ მიიჩქაროდა. ქალაქის საბჭოს
თავზე საათმა შეიდგერ ჩამოჰკრა.

საკანცელარიო მალაზიის წინ ჭემაღ-
მა თავის პაპას — საიდოს მოჰკრა თვა-
ლი.

მოხუცი საიდო ქადრის ხის ქვეშ იდ-
გა, მიწისქვეშა გადასასვლელთან. პირ-
ში განუყრელი მუნღშტუცი ედო.

„ისევ ოსმალეთის ამბებს იგონებს,
ალბათ, პაპა საიდო“, — გაიფიქრა ჭე-
მაღმა და მისკენ გაემართა.

დაბალი, წელში მოხრილი ბერიკაცი
იყო საიდო. როცა ოსმალეთის ამბებს
ჰყვებოდა, მისი ნაღვლიანი, ჩაფიქრე-
ბული თვალები საოცრად ბრწყინავდა.
იდგა. კრილოსანსა მარცვლავდა და
სამ კაცს ელაპარაკებოდა.

ისინი, ვინც უსმენდნენ, ყველანი ამ
უბანში მცხოვრები ეზიდი ქურთები
იყვნენ. ასაკით საიდოზე უმცროსები
ჩანდნენ. აქ, ამ კუთხეში გროვდებოდ-
ნენ სამუშაოს შემდეგ, რომ თავი შეექ-
ციათ სხვადასხვა ამბების მოყოლით.

ჭემაღმა საერთო სალაში მისცა ყვე-
ლას და პაპა საიდოს აკოცა. მერე ქურ-
თული ჩვეულებისამებრ, ყველას ჯანმ-
რთელობა მოიკითხა საითათოდ. იმ სამ-
მაც ასევე მოიკითხეს ჭემალი... მერე
გონუცმა საიდომ ისევ განაგრძო მოყოლა.

საიდო ყვებოდა, თუ როგორ აგდებ-
დნენ ოსმალები შულღს და მტრობას
ქურთულ ტომებს შორის, რათა არ გაე-
რთიანებულიყვნენ საერთო მჩაგვრელის
წინააღმდეგ, როგორ წაჰკიდეს ეზიდი
ქურთები მუსლუმან ქურთებს.

— საღამომით „ოღაში“ ვიკრიბე-
ბოდით, — იგონებდა მოხუცი, —
„ოღა“ ჩვენი თავშესაქცევი ადგილი
იყო. იატაკზე გაფენილ ნოხზე, თავში
ხანდაზმულები და სოფლის გამორჩეუ-
ლი ხალხი სხდებოდა, ბოლოში კი ახა-
ლგაზრდები, ყმაწვილები და ბავშვები.

იმ საღამოს, „ოღაში“ სჯაბაასი იყო
მოსავალზე, ქვეყნის ამბებზე; სეზონზე
თუ რა ფასი ექნებოდა ცხვარს იზმირი-
სა და სტამბოლის ბაზარზე; გაჩაღებულ

მსოფლიო ომზე და თურქეთის ქურთის-ტანში რუსთა ჯარების შემოსვლაზე.

ბოლოს, ჩვენმა ცნობილმა მომღერალმა, აზიზ მკომ, სიმღერებით გაგვართო, და ჩვენი „ოდაც“ ამით დაიშალა. ყველანი შინისაკენ წავედით.

გარეთ თოვდა. ამ ზამთარს თოვლი პირველად წამოვიდა და დილაშდუ მთელი არემარე გადაათეთრა.

დილით ჩვენს სოფელში რუსთა ჯარი შემოვიდა, გაღმა გავიდა და მდინარის პირთან თავისი კარავები გაშალა. ქურთთა ბატალიონებმა არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწიეს რუსის ჯარს. დაიშალნენ და აქეთ-იქით წავიდნენ თავიანთი სასაღებისაკენ, ცოლ-შვილს და ოჯახს მიხედეს, რადგან კარგად იცოდნენ, რომ რუსები ქურთებს არაფერს ერჩოდნენ.

რუსის ჯარს, რაც კი რამ სჭირდებოდა, სულ ფულით ყიდულობდა ყველაფერს მოსახლეობისაგან. უფულოდ არაფერი მიჰქონდა. პირიქით, უფრო მეტსაც იხდიდა ხოლმე.

მოკლედ, ამიერიდან, ძლიერი რუსეთი გვმფარველობდა, და გვეგონა, ოსმალო აღარასოდეს დაბრუნდებოდა.

მაგრამ, ჩვენი სიხარული, ხანმოკლე აღმოჩნდა: რუსთა ჯარებმა დატოვეს ოსმალეთის ქურთისტანი და უკან წავიდნენ რუსეთში.

სულთანმაც აღარ დააყოვნა და თავისი ჯარი გამოგზავნა. სოფლების აღებმა ქურთების ლაშქარი შეკრიბეს და მტერი კარგა მანძილზე უკუაგდეს.

რადგან ოსმალო კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი ჯარით წამოვიდოდა, გადაწყვიტეთ ავერილიყავით და გავტყუულიყავით მამა-პაპეული მიწებიდან. ნალველით გვევსებოდა გული და დარდისაგან ვიწვოდით მშობლიურ ადგილებს რომ ვტოვებდით. ვტოვებდით იმ ადგილებს, სადაც დავიბადეთ და გავიზარდეთ. სადაც ბავშვობა და ყრმობა გავვეტარებინა...

ათასობით ლტოლვილი დაადგა მთების, ველების და ხეობების გზას. მივიდიოდით და მივიდიოდით; ურმებით,

ცხენებით, მოგვექონდა, რაც კი ჩვენს გუნდში ზადა.

დიდი წვალეებით და კავივალეებით როგორც იყო რუსეთ-თურქეთის საზღვარს მოვალწიეთ. მაგრამ იმის შემდეგაც კიდევ უფრო მეტი ტანჯვა გამოვიარეთ. შიმშილობამ და ქოლერამ ბევრი ადამიანი შეიწირა.

ქურთების რამდენიმე ტომმა სომხეთში დაიდო ბინა, დანარჩენებმა საქართველოს, კეთილ ქართველ ხალხს მოვაშურეთ...

მთიან ქურთისტანში გაზრდილს, თბილისისნაირი დიდი ქალაქი მე მანამდე არასოდეს მენახა. შალალი, სართულებიანი სახლები. ბულვარები და ქვაფენილიანი ქუჩები, ფაიტონები და ტრამვაი მაკვირვებდნენ და მაფრთხობდნენ. მეგონა, თბილისიც ისეთივე იყო, როგორც ჩემი სოფელი.

ჩემმა უფროსმა ძმამ, ერთი ქართველი პოლკოვნიკის ოჯახში მსახურის ადგილი მიპოვა. თორმეტი-ცამეტი წლისა ვიყავი. ჩემი შესაფერი სამუშაო იყო. თვეში ათ მანეთს მაძლევდნენ ჩემი „ზაზიენები“. ჩემს მოვალეობას ეზოს დაგვა, შეშის დაპობა და მესამე სართულზე მისი ატანა, აგრეთვე ბაზრიდან ხილითა და ბოსტნეულით სავსე კალათების წამოღება შეადგენდა.

მოხუცმა საიღომ დაამთავრა თავისი ამბის მოყოლა და მუნდმტუციდან ნამწვი გადმოაგდო.

ეს ამბავი არაერთხელ ჰქონდა გაგონილი ჩემალს, მაგრამ ახლაც დიდი ინტერესით უსმენდა პაპას.

ბოლოს ჯემალი და საიღომ ქუჩას გაუყვნენ.

— შენ რა სახლიდან წახვედი, მე მაგრა ევჩხუზე მამაშენს. იმ დღიდან აღარ ველაპარაკები. მე ვუთხარი: შენ კაცი არა ხარ-მეთქი. სახლში რო შეველივარ ზედაც არ ვუყურებ. მაგის პურზე ვარ, თუ მაგის წყალზე? მე ჩემი პენსია მაქვს. მაგის სამადლო რა მჭირს? შენ რა წახვედი, მთელი ღამე ვერ დავიძინე; როგორ იქნება-მეთქი ის ბიჭი მართო. დაბრუნდი ჩემალ. ძალიან ვთხოვ.

ჩემი ხათრით მინც დაბრუნდი, — უთხრა საიდომ.

— არა, პაპა, არ დავებრუნდები... შენ თვითონ როგორა ხარ?

— არა მიშავს. მაგრამ აი, რომ არა ვმუშაობ, მაგაზე ჯავრი მომდის. ეპ, რა ვქნა, დავებრდი, ჩემო ბიჭო...

— ახლა უკვე მარტო წადი, პაპა!

— წამოდი რა, შემოდი სახლში, ჯე-მალ!

— არა პაპა, არა, ტყუილად ნუ მეხვეწები. არ მოვალ.

— მაშინ, როგორც გინდა...

— ნახვამდის, პაპა.

— ნახვამდის, ჩემო თვალის ჩინო. — მოხუცი საიდო გაბრუნდა და ჯოხის კა-კუნით გაემართა ნელი ნაბიჯებით.

ჯემალი თავის ქუჩას აუყვავა.

VIII

ხელფასის დღეს მუშები ადრე წავიდნენ ბაზიდან. კანტორის სალაროსთან გრძელი რიგი იდგა. მუშები ნელ-ნელა მოდებოდნენ ფულის მისაღებად.

ეზო თანდათან იესებოდა ხალხით.

ჯემალი ამ დღეს პირველ ხელფასს იღებდა. ბოლოს მისი რიგიც მოვიდა.

— თქვენი გვარი? — ჰკითხა ახალგაზრდა მოლარე ქალმა ჯემალს.

— ჯემალ რაშოვეცი.

— რომელი ბრივადაა?

— მეთხუთმეტე.

ჯემალმა ფული მიიღო და გამოვიდა.

— პა, ჯეელო, მიიღე ხელფასი? — მოესმა ჯემალს ზურგს უკან ქურთულად, ვილაციის ნაცნობი ხმა.

ჯემალი მობრუნდა. მის წინ ჰაჭი იდგა.

— პო, ავიღე, მერე რა გინდა? — უთხრა ჯემალმა უკმაყოფილოდ.

— შენი კარგად ყოფნა, რა უნდა მინდოდეს... — დაიწყო ისევ სიტყვების ტყეპნა ჰაჭიმ. — ხო ხედავ, შენთვის დღეები არ დამიკლია?

ჯემალი ხელფასს ითვლიდა.

— რა უფლება გქონდა რომ დაგეკლა?

— ალბათ მქონდა, — უთხრა ჰაჭიმ რად ჰაჭიმ.

— რა გინდა, პირდაპირ მითხარი, — თქვა ჯემალმა და ფული ჯიბეში ჩაიღო.

— რა მინდა და... ხარჯების ფული. მე რო შენთვის ხელფასი გამომყავს, მაგას ხარჯები აქვს, მშაო. ეგრე კი არაა საქმე, როგორც შენ უკრავ!

— ხარჯები გაქვს და მიეცი. ფული არა გაქვს, თუ რა? მე უკვე გამოგიცხადე, შენცა და საფოსაც, — ჩემგან არც ერთ კაპიკს არ მიიღებ-მეთქი. თავი დამანებეთ და ნუ მაწუხებთ, თორემ სხვანაირად მოგივლით თქვენა.

ჰაჭიმ ხელი სტაცა საყულოში, მაგრამ ჯემალმა სხარტად მოიცილა მისი ხელი.

— იცოდე, ბევრს ნუ ხტუნობ!.. გეუბნები მოკეტე და წყნარად იყავი! — მიახალა ჯემალმა და წავიდა.

„ამათ რომ თავი დაუხარო, გაგთელავენ. მათგან ყოველნაირი სულმოკლეობის ჩადენაა მოსალოდნელი, მაგრამ აღამიანს ამათი არ უნდა შეეშინდეს.“ — ფიქრობდა ჯემალი.

ზინის პატრონს ქირის ფული გადაუხადა. მერე ჩამოვიდა და კარი გააღო. იატაკი დაგვილი დახვდა. დედამისს, აიშანას, ჭუჭყიანი თეთრეული წაელო და მაგივრად სუფთები დაეტოვა.

ჯემალმა რუსთაველის პროსპექტს მიაშურა. საღამო ხანი იყო.

კაფეში იეხშმა და შინ დაბრუნდა. შუქი ანთო. მაგიდას მიუჯდა. ერთი საათი წერა, მერე დიდხანს იკითხა, ძილიც მოერიო. ადგა, შუქი გამორთო და დაიძინა. უკვე გვიან ღამე იყო...

IX

დღით რომ გაიღვიძა, მზე ფანჯარასთან იყო მომდგარი. ჯემალი სწრაფად წამოხტა და საათს დახედა: ცხრის ნახევარი იყო. მან ხელ-პირი არც კი დაიბანა, მხოლოდ თმა დაივარცხნა და სამუშაოსაკენ მოკურცხლა. იცოდა, ერთ ამბავს რომ აუტეხავდნენ დაგვიანების გამო საფო და ჰაჭი.

„ისედაც გადაკიდებულები არიან ჩემზე, რო დავიგვიანო, ნაღდად დირექტორთან დამაბეზღებენ, რა არი თავიდან მომიცილონ“, — ფიქრობდა მთელი გზა ჯემალი.

სამუშაოზე რომ მივიდა, ათს თხუთმეტი წუთი აკლდა. მუშები გახურებულ შრომაში იყვნენ: ზოგი ვაგონსა ცლიდა, სხვები მანქანებსა ტვირთავდნენ; ჯემალი სწრაფად გადაიკცა და ეზოში გამოვიდა. ბაქანზე ავიდა.

— მუშაობა შენ არ შეგიძლია... ათ საათზე მობრძანდები სამუშაოზე! ასე აღარ შეიძლება ამის დატოვება. დღესვე მოვახსენებ დირექტორს. საცა უნდა გადაგიყვანოს! ან მე ვიქნები ბრიგადაში, ან შენა! — უთხრა ჰაჭიმ ყვირილით.

— მალეიძარას დაყენება დამაეიწყდა და ჩამეძინა... ერთი საათი დამაკელი ტაბელში... რა მოხდა, ამით. შენ არ მოგსვლია ასეთი შემთხვევა?

— მუშაობა რო არ შეგიძლია?! ამას რალა ეუყოთ? ყველა გემდურის: მუშაობა არ შეუძლიაო, — ჩაერია ლაპარაკში საფო, რომელიც იქვე ახლოს იდგა.

— ვინ გემდურის! ერთი რომელიმე მაინც დამისახელე... ვერც ერთსაც ვერ დამისახელე. ყველამ იცის, მე როგორცა ვმუშაობ. უბრალოდ ისა სთქვით, რომ თქვენ არ მოგწონთ ჩემნაირი მუშა, ხეირს არ გაძლევთ.

მუშები პარტიუმერიას ცლიდნენ სატვირთო მანქანებიდან. ჯემალი შეერია მათ და მუშაობას შეუდგა.

— საფო! მოდი აქ, რალაც უნდა გითხრა, — დაუძახა ჰაჭიმ თავის თანამეშვეს.

ჰაჭიმ საფო გვერდზე გაიყვანა.

— ერთი რამდენიმე კაცს მოაწერინე ხელი, რომ ეგ ცუდად მუშაობს და მოხსენებითი ბარათი საღამოზე კანტორაში ჩამოიტანე. მე და შენ დირექტორთან შევეალთ... იქნებ როგორმე მოვიცილოთ თავიდან...

— მოვიცილოთ, ბიჭო, თორემ მთელ ბრიგადას აგვიყვანებ. მუშებს ეუბნება: რატომ აძლევთ ბრიგადირს თქვენი

ოფლით ნაშოვნ ფულსაო. მაგნიტის დაში დატოვება არასახით არ შეიძლება...

— ყველაფერში ცხვირსა ჰყოფს. ფრთხილად უნდა ვიყოთ, საფო... მაგის მოცილება ეგრე ადვილი არ არის. ვნახით, დირექტორი რას გვეტყვის... მე წავედი. ბრიგადას მიხედე. საღამოს ხუთ საათზე კანტორაში იყავი.

— კარგი, კარგი, მოვალ. ჰაჭი წავიდა; საფო კი ისევ მანქანასთან დაბრუნდა. მთელ დღეს დაბლვერილი უყურებდა ჯემალს. საცა კი მიიმე და ცუდი სამუშაო იყო, იქა გზავნიდა, მაგრამ ჯემალი ყველგან მხნედ და ყოჩაღად მუშაობდა.

X

მეორე დღით, როგორც კი გასახდელ ოთახში შევიდა, საფომ იმწამსვე აცნობა ჯემალს:

— დღეს პირველ საათზე დირექტორთან ხარ დაბადებული... მიდი...

ჯემალი მიხედა, თუ რატომ იბარებდა დირექტორი და ხმაც არ გასცა საფოს. ტანისამოსის გამოცვლას შეუდგა. გასახდელში მუშები ლაყბობდნენ, ერთმანეთს აჯავრებდნენ, მასხრად იგდებდნენ და დასცინოდნენ; სიცილ-ხახარხარით იხდიდნენ ტანისამოსს.

— რახან თორმეტ საათზე უნდა წახვიდე, ვაგონის დაცლაში მოგხმარები ბიჭებს, — უთხრა საფომ ჯემალს.

ჯემალიმ არც ახლა უპასუხა, ტანისამოსი გამოიცვალა და მუშებთან ერთად ვაგონის დასაცლელად წავიდა.

...თორმეტ საათზე ჯემალიმ კანტორისაკენ გასწია.

— შემმარიაშვილი კაბინეტში ზის? — ჰკითხა მდივანს.

— მოიცადეთ. კადრების განყოფილების უფროსი და მეთხუთმეტე ბრიგადის ბრიგადირია შიგ, — მიუგო მდივანმა, რომელიც ეურნალში ბრძანებებს ათვალთვრებდა.

— სწორედ მაგ მეთხუთმეტე ბრიგადაში ვმუშაობ... პირველი საათისათვის

დამიბარა დირექტორმა...

— ჰკითხეთ, თუ მივიღებთ — შედით. ჭემალმა კარი შეაღო:

— შეიძლება შემოვიდე?

კაბინეტში დირექტორი, კადრების განყოფილების უფროსი და ჰაჯი ისხდნენ. სამივემ თავები მოაბრუნეს და ჭემალს შეხედეს.

— ეს ის ბიჭია, ბატონო შალვა, რომლის შესახებაც გუშინ მოხსენებითი ბარათით მოგმართეთ... — წასიურჩულა ჰაჯიმ დირექტორს.

მემძარიაშვილმა თავი დაუქნია ბრიგადირს, გასაგებიაო და ჭემალს უთხრა: — შემოდით.

ჭემალი მაგიდასთან გაჩერდა.

— რაშია საჭმე, ყმაწვილო, რატომ გემდურის შენი ბრიგადირი და მისი თანაშემწე... აგერ, მოხსენებითი ბარათით მომმართეს, რომ შენ სამუშაოზე მისვლას აგვიანებ, ცუდად მუშაობ, ამხანაგებს შრომაში მხარს ვერ უბამ. რამდენიმე მუშას ხელიც კი მოუწერია, რომ შენ სიმძიმეებს ვერ ეწევი და საერთოდ არ შეგიძლია ფიზიკურად მუშაობა...

— ააა, ეს ის ბიჭია? — გადმოხედა სათვალის ზემოდან კადრების განყოფილების უფროსმა ჭემალს. — მე ხო გაგაფრთხილე, გენაცვალე, რომ ნასწავლი და განათლებული მუშად არ გამოდგება-მეთქი? მართალი ვიყავი თუ არა? შენ კი, მაშინ რაღაც აბდა-უბდის მოჩმახვა დაიწყე. გამოცდილებით ვიცი ყველაფერი, გენაცვალე, გამოცდილებით...

— რა პროფესიისა ხართ, — ჰკითხა დირექტორმა ჭემალს.

— ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დავამთავრე.

— მერე, რატომ თქვენი პროფესიით არა მუშაობთ?

— ჭერჭერობით უშტატო კორესპონდენტი ვარ. სხვადასხვა სახის წერილებს ვაწვდი ხოლმე რედაქციას. ადგილი რომ გამოჩნდება, შტატში ჩამრიცხავენ.

— კარგი და, აქ როგორღა იქნება, თქვენი საჭმე, ჩვენთან?.. რატომ მოდი-

ხართ ათის ნახევარზე სამუშაოზე? ტომ მუშაობთ ცუდად?.. გეტყობათ, ფიზიკურად ჯანმრთელი ხართ, ენერჯია და ძალაც არ გაკლიათ. მაშ რა გიშლის ხელს?

— არაფერიც არ მიშლის... რაც აქ დაიწყე მუშაობა. მხოლოდ ერთხელ დამაგვიანდა, ისიც გუშინ: მალედიარას დაყენება დამაფიწყდა და დილით თავის დროზე ვერ გავიღვიძე... მუშაობაში არავინაც არ შემდურის. მანდ ვინც ხელი მოაწერა, თითქოს სიმძიმეების აწევა არ შემეძლოს, ყველანი ჰაჯის და საფოს ნათესავეები არიან. ისინი თავიანთი სურვილისამებრ მუშაობენ. როცა უნდათ მოდიან, როცა უნდათ მიდიან. მე ამის წინააღმდეგ გამოვედი და, რასაკვირველია, ყველანიც გადავიმტერე. რაც შეეხება ჰაჯის და საფოს, მე თავიდანვე ვერ შევეწყვე ამით. როგორც კი მივედი ბრიგადაში, თავიანთი მოთხოვნები წამიყენეს: ყოველ ხელფასზე ათათი მანეთი უნდა მოგვეცე ხარჯების ფულადო. კანტორაში ვილაც-ვილაცებს ვაძლევთო. მე, რასაკვირველია, თავიდანვე უარი ვუთხარი მათ, და, ამიტომაც გადამეციდნენ.

ჰაჯის დაბნეულობა დაეტყო. ასეთ გულახდილ ლაპარაკს არ მოელოდა. დირექტორიც უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. კადრების განყოფილების უფროსმა კი სათვალის ზემოდან გადმოხედა ჭემალს გაკვირვებით, თითქოს ამბობდა: „რამხელა გამბედაობა გქონიათ, ყმაწვილო, რომ ასეთ რამეებს ლაპარაკობთ?“

— რა სთქვით? როგორ თუ ფულსა გთხოვთ! — წამოიძახა დირექტორმა.

„რა თვალთმაქცი კაცია, თითქოს არ იცის, რა ხდება მის დაწესებულებაში. ახლა თავს იზღვევს“, — ფიქრობდა ჭემალი, როცა ამ „სპექტაკლს“ უყურებდა.

— ცილსა მწამებს, ბატონო შალვა, რის ფული, რა ფული! ან მაგისტვის როდის მიტყვამს ფული მომეცი-მეთქი?! — წამოიყვირა ჰაჯიმ.

— ხედავ, რა მშიშარა ყოფილხარ?..

იმდღეს კი გულადად მოგქონდა თავი! შენ იმდენი ვაჟაკობაც არა გაქვს, ადგე და თქვა: ჰო, მე ვუთხარი ხარჭების ფული მომეციო.

ჩემალი გაბრუნდა, კაბინეტის კარი გააღო და გავიდა.

XI

ბოლოს და ბოლოს, ჰაჯი მიხვდა, ან მიახვედრა დირექტორმა, რომ ჩემალი სრულებით არა ჰგავდა სხვა მუშებს, რომელთაც თავისი სურვილის მიხედვით ართმევდა „ხარჭების ფულს“, ბრიგადირი მოტყუდა და აღარ აწუხებდა, ფული მომეციო. ალბათ შეეშინდა უალბანდს: გაზეთში არ გამწეროს და ისევ იქ არ მიკრან თავი, სადაც ორჯერ უკვე ვიყავიო. პირიქით, დირექტორთან შეხვედრის შემდეგ, სადაც კი იოლი და კარგი სამუშაო იყო, იქ აგზავნიდნენ ჩემალს საფო და ჰაჯი. მტვირთავ მუშებს კიდევაც უყვირდით ეს ამბავი: იცოდნენ, თუ რა მწეავე უთანხმოება ჰქონდათ.

„ნაღდად დირექტორმა დაარიგა ეს ვაჟბატონები“, — ფიქრობდა ჩემალი, როცა ამ ცვლილებას აკვირდებოდა.

ივლისის შუა რიცხვებში ჩემალმა უხელფასო შევებულება აიღო და შავი ზღვის სანაპიროსაკენ გაემგზავრა.

მთელი ღამე აკვანივით ირწყოდა ჩქარი მატარებელი. დილით, ჩემალმა თვალები რომ გაახილა, მატარებელი ზღვის ნაპირს მიუყვებოდა. იგი პატარა, მუყდრო ზღვისპირა სადგურზე გაჩერდა. ჩემალმა თავისი სპორტული ხელჩანთა მხარზე მოიკიდა, ახალგაყნობილ თანამგზავრებს დაემშვიდობა და ბაქანზე ჩაივინა. მან ფერდობზე გაშენებულ სოფლისაკენ გასწია. ზღვაც იქვე იყო, ახლოს. ფერდობი რომ თავდებოდა.

ერთმა დიასახლისმა, რომელსაც კარებზე განცხადება გამოეკრა — „ვლუბულობ დაშვებულბს“ — მანსარდაზე ერთსაწოლიანი ბინა მისცა, დღეში ორ მანეთად.

ადგილიც და ბინაც მოეწონა ჩემალს.

სახლი ზღვის ნაპირიდან სულ რამდენიმე კილომეტრით იყო დაცილებული.

ჩემალმა სპორტული ჩანთა მალლა აიტანა და ოთახს მოავლო თვალი, რომელშიც მხოლოდ ერთი საწოლი ეტეოდა. დაისვენა, მერე პირსახოცი მხარზე გადაიკიდა და ზღვისაკენ დაეშვა.

მზე უკვე ჩადიოდა, მაგრამ მინცა ცხელოდა.

ჩემალმა შარავნა ჩაათვა; ოქროსფერი ქვიშით დაფარული, გრძელი ბრწყინვალე პლავი გადასჭრა და ნაპირს მიადგა.

ზღვას მუქი ლურჯი ფერი ედო. შორს, პორიზონტზე, მზის წითელი დისკო ზღვაში ჩადიოდა.

ხალხი ნაპირზე შეთხლებულიყო. ჩემალმა ტანზე გაიხანდა და ზღვაში შევიდა. წყალი თბილი და სასიამოვნო იყო. მან რამდენიმე მეტრი გასცურა და ზურგზე გადაბრუნდა. ერთხანს ასე იწვა და ლურჯ ცაზე გაფანტულ თეთრ, ქათქათა ღრუბლებს უყურა. ხალხით და სიცოცხლით ავსებდა ბუნებასთან სიახლოვე. არაფერზე არა ფიქრობდა, არაფერი აწუხებდა.

ბოლოს ნაპირზე გამოსცურა. ტანი შეიმშრალა და თბილ ქვიშაზე წაწვა. ზღვასა და ნაპირს გახედა. იქ, სადაც ურე იწყებოდა, ნისლში გახვეული ქალაქი მოჩანდა. რკალივით მოსდევდა სანაპიროს სანატორიუმებისა და პიონერთა ბანაკების თეთრი კორპუსები.

აგრილდა. ჩემალი შინ დაბრუნდა.

დილით, ეზოში მოთამაშე ბავშვების ყრიაშულმა გამოაღვიძა ჩემალი. ფანჯარა გამოაღო: მის თვალწინ, პატარა, კოხტა სოფელი გადაიშალა, რომელიც ბალნოსტენებში იყო ჩაფლული. მზე უკვე კარგა მალლა იყო აწეული.

ჩემალმა ცელოფანის პარკში პირსახოცი და საბანაო კოსტუმი ჩადო და პლავისაკენ გაემართა.

ეზოდან რომ გადიოდა, დიასახლისის ქალიშვილი შემოხვდა. ერთმანეთს მიესალმნენ.

წაბლისფერთმიანი, ლურჯთვალეა გოგო იყო. ოცი-ოცდაორი წლისა იქნე-

ბოდა. ლამაზი, ჩამოქნილი ფეხები და ტანი ჰქონდა.

— პლაჟზე მიდიხართ? — ჰკითხა გოგომ.

— დიას!

— შეიძლება, თქვენთან ერთად წამოვიდე?

— რატომაც არა. ზღვა დიდია, ორივეს გვეყოფა.

გოგომ გაიცინა და ჭემალს გაჰყვა.

— რა გეკვიათ თქვენ?

— ჭემალი.

— მე კი ნადია.

— ძალიან სასიამოვნოა.

შარაგზაზე რომ გავიდნენ, ჭემალმა ფოსტაში შეიარა და თბილისში ნაჭირავებ ბინის პატრონს დეპეშა გაუგზავნა: „ჩემს სახელზე რედაქციიდან წერილი უნდა მოვიდეს, თუ მიიღებთ, ვთხოვთ ამ მისამართით გამომიგზავნოთ“.

— არ გინდათ, სალამოთი ცეკვებზე წავიდეთ? დღეს ჩვენს კლუბში ცეკვები, — უთხრა ნადიამ ჭემალს, როცა ისევ შარაგზაზე გამოვიდნენ.

— როგორ არ მინდა. წავიდეთ. ფრთხილად, მანქანა!

— გიყვებით დადიან ეს შოფრები!..

სალამოს რვა საათზე ჭემალი, ნადია და მისი ამხანაგი გოგო ეზოდან გამოვიდნენ და კლუბისაკენ გასწიეს.

გრილოდა. სასიამოვნო ნიავე უბერავდა ზღვიდან. შარაგზაზე მანქანები მოძრაობდნენ. მათი ფარების შუქი თვალებს უბრმავებდა ქვეითად მიმავალ ადამიანებს.

ცოტა რომ გაიარეს, გზიდან გადაუხვიეს და ბილიკს გაჰყვეს, რომელიც ურეს გასწვრივ მიემართებოდა. ციდან მთვარე დაჰნათებდა ურეს.

ბოლოს გაჩახჩახებულ ორსართულიან შენობას მიადგნენ, საიდანაც ჯახ-ორკეცტრის ხმა გამოდიოდა.

ბილეთები იყიდა ჭემალმა და მალა ავიდნენ.

საცეკვაო მოედანი უმაწვილებით და

ახალგაზრდებით იყო გაქედებული. მოსულებმა უმაღლესად დაიწყეს. წრე გაფართოვდა.

ჭემალს ნელ-ნელა მოწყენილობა დაეტყო. ნადიას უთხრა:

— ვერ ვიტან ასეთ ხმაურთან და გიჟად ადგილებს. ასე მგონია, ხალხი შეირყა და ეგ არის-მეთქი, მოდი წავიდეთ.

ქალიშვილმა შინ წასვლაზე უარი თქვა.

— მაშინ ბედნიერ დარჩენას გისურვებთ... ბოდიშს გიხდით, რომ გტოვებთ.

ცივი ნიავე უბერავდა, დარბაზიდან რომ გამოვიდა. ჭემალს შესცივდა. სიგარეტს მოუკიდა და სწრაფი ნაბიჯებით შინისაკენ გაემართა.

ეზოში შუქი ენთო. დამსვენებლები გრძელ მაგიდას მისჯდომოდნენ, ვაზების ქვეშ, და მუსაიფობდნენ. მათ ბავშვებს უკვე ეძინათ.

ჭემალი მალა ავიდა. ფანჯარა გამოალო და ლოგინზე წამოწვა; ხათუნაზე დაიწყო ფიქრი: ნეტა ახლა რას აკეთებ-სო.

„ოთხი თვეა არ მინახავს... ვინ იცის, მშობლებმა გაათხოვეს კიდევაც“, — ფიქრობდა. ნელ-ნელა ნალექი შემოაწვა გულზე...

XII

ჭემალი დღეში ორჯერ პლაჟზე დადიოდა. ზღვაში ბანაობდა და მზეზე შავდებოდა. ზოგჯერ, სევდა რომ მოაწვეებოდა, ორ-სამ ჰქიპა ლენოს გადაპკრავდა და დიდხანს უყურებდა ზღვას და ნაპირს. აკვირდებოდა თოლიების ფრენას, ყრანტალით რომ ჩაუჭროლებდნენ პლაჟს. ყოველდღე ჩიხურში დასტა გაზეთებს ყიდულობდა; კითხულობდა, ფიქრობდა, მსჯელობდა და ადარებდა. ზოგჯერ, რომ მოიწყენდა, კინოში, ან ცეკვებზე მიდიოდა, სადაც ბოლომდე არასოდეს რჩებოდა. თუ კარგი ფილმი იყო, უყურებდა, თუ არა და ისევ შინ ბრუნდებოდა.

სამი დღის შემდეგ მოხუცმა ბინის პატრონმა რედაქციიდან მიღებული წერილი ჯეშალს გადმოუგზავნა:

„ჩვენ მიგვაჩნია, რომ თქვენი წერილები ყურადღებას იმსახურებენ. ვთხოვთ გამოცხადდეთ რედაქციაში სამსახურში ჩარიცხვისათვის“.

ჯეშალმა კონვერტი დაკეცა და ჯიბეში ჩაიღო.

„რაგორც იქნა!... მივალ და პაჩის მიუხედავად ჩემს განცხადებას განთავისუფლებაზე“, — გაიფიქრა ჯეშალმა სიხარულით.

— ზომ კეთილი ამბავი მიიღეთ? — ჰკითხა დიასახლისმა ჯეშალს.

— დიახ, კეთილი... სამსახურში მიღებენ რედაქციაში... აქამდე უშტატოდ ვმუშაობდი.

— ოო, სულით და გულით გილოცავთ. ალბათ, დიდხანს აღარ დარჩებით აქ, არა?

— დიდხანს არა, მაგრამ, ერთი ოცი დღით აუცილებლად უნდა დავრჩე, ექიმებმა ასე მიჩიეს.

ორი დღის შემდეგ, ჯეშალს თბილისიდან სამწუხარო დეპეშა მოუვიდა. მისი მამა — ჰასან საიდო საავტომობილო კატასტროფის დროს დაღუპულიყო.

მშობლის სიკვდილმა საშინლად ააღელვა და გული შეუკუმშა. თვლებზე ცრემლმომდგარი აქვითინდა, როცა დეპეშას კითხულობდა.

ჯეშალი იმდღესვე გაფრინდა თბილისში.

მისი ბინის სადარბაზოსთან აუარებელ ხალხს მოეყარა თავი.

ეს ბინა, ჯეშალის მამამ, ჰასანმა იყიდა. მანამდე კი ჰასანი თავის მოხუც მამასთან — საიდოსთან ცხოვრობდა მეზობელ ეზოში.

— ძალიან დიდი სისწრაფით მოდიოდა თურმე, — შემოესმა ჯეშალს, როცა სადარბაზოში შედიოდა.

— ჰო, ასე ამბობენ.

— ეს მისი უმცროსი ვაჟია... მალა რომ ავიდა, კართან თავის უფროს ძმას შაკრს და დანარჩენ ძმებს

მოკრა თვალი. მოხუცი საიდოს კრწქანულ იდგა. ჯეშალმა ყველას აკოცა და გვერდში ამოუდგა მათ.

— ხალხი გკითხულობდა, — უთხრა უფროსმა ძმამ. — სად არისო...

ხალხი მოდიოდა და მიდიოდა. ყველანი სამძიმარს უცხადებდნენ და სათითაოდ ჰკოცნიდნენ ოჯახის წევრებს.

მოვიდა სამი სასულიერო პირიც, ყველანი რიგრიგობით ეამბოვნენ ხელებზე და თავიანთი ადგილები დაუთმეს.

სიკვდილმა ყველა საწყენი და სამღურავი დაავიწყა ჯეშალს. ასე იცის იმ ტიპლმა: ერთბაშად წაშლის ხოლმე ახლობლებში ყველა ჩხუბისა და განხეთქილების ნაკვალევს.

მამის დასაფლავების შემდეგ, რადგან ისევ შეუძლოდ იყო, ჯეშალი ზღვაზე გაემგზავრა. ის ერთი კვირა, რაც მან დღისვენა, სრულებით არ იყო საყვარისი.

დიასახლისს გაეხარა, ისევ რომ დანახა ჯეშალი. მამის დაღუპვა მიუსამძიმრა, და უთხრა:

— მანსარაზე თქვენი ადგილი სხვას მივეცი. დარწმუნებული არ ვიყავი თუ ისევ ჩამოხვიდოდით, მაგრამ ეგ არაფერია. უფრო უკეთეს ადგილს მოგცემთ. იქ, მაღლა, ძლიერ ცხელოდა.

დიასახლისმა ოთახი აჩვენა პირველ სართულზე. ფანჯარა ბალს გადაჰყურებდა.

ჯეშალი ლოგინზე წამოწვა და წიგნის კითხვა დაიწყო.

ბოლოს, კითხვა რომ მოხერხდა, ადგა. გარეთ გავიდა და უმიზნოდ გაუყვა შარავხას.

ნაღველი შემოაწვა გულზე, მარტობა იგრძნო...

სასიამოვნო საღამო იყო. გრილოდა. ზღვიდან ნელი სიო უბერავდა.

ჯეშალმა გზიდან გააღუხვია და უფრეს გასწვრივ მიმავალ ბილიყს გაუყვა. ნაპირთან ტალღები დგაფუნობდნენ. კრიკინების ხმა ისმოდა. ჯეშალი ბი-

ლიკს მიუყვებოდა ნელა და ციციხათე-
ლების ფრენას აკვირდებოდა, სიბნე-
ლეში უცნაურად რომ ანათებდნენ... ნა-
თელი, მთვარიანი საღამო იყო...

ბილიკმა კლუბის შენობამდე მიიყვა-
ნა იგი. კლუბის ფასადის წინ აფიშები
იყო გამოკრული.

ჩემალმა ბილეთი იყიდა და დარბაზ-
ში შევიდა.

ჩერ არ იყო დაწყებული. სინათლე
ენთო. ხალხი ადგილებს იკავებდა. ჩე-
მალი დაჯდა და თვალი მოავლო დარ-
ბაზს.

საზაფხულო კინოთეატრი იყო. გვერ-
დებიდან ხეების ტოტები გადმოხრილი-
ყო.

სინათლე ჩაქრა და ფილმი დაიწყო.
სენსი რომ დამთავრდა, შინ დაბ-
რუნდა.

დილით ადრე გაიღვიძა... პლაჟზე წა-
ვიდა. წყალი ცივი იყო ამ დილაადრი-
ან. ცოტა გასკურა და ისევ გამოვიდა.

მზემ ნელ-ნელა დაიწყო ამოსვლა.
პლაჟზე თანდათან ხალხი გროვდებოდა.
შუა დღისით, პლაჟიდან რომ დაბრუ-
ნდა. ეზოში დიასახლისი შემოხვდა:

— თქვენი ცოლი ჩამოვიდა. როგორც
იყო დავტყე მისი საწოლი თქვენს ოთა-
ხში, — უთხრა მან ჩემალს.

— რას ლაპარაკობთ, რომელი ჩემი
ცოლი! — გაუვივრდა ჩემალს.

— განა თქვენ რამდენიმე ცოლი
გყავთ?

— მე ცოლი სულაც არა მყავს.

— კარგით, გეთაყვა ხუმრობა, მიდით
და თქვენ თვითონ ნახეთ, გყავთ თუ არა
გყავთ. დამიხედეთ ვეუბატონს, ცოლი
არა მყავსო! ცოლი კი ოთახში ელოდე-
ბა... — იცინოდა ბოხი ხმით დიასახლი-
სი.

— ნამდვილად გეუბნებით...

— რას მეუბნებით, როცა თავად გო-
გომ მითხრა: მე მისი ცოლი ვარო, —
ხარხარებდა დიასახლისი.

ჩემალმა აღარაფერი უთხრა და თა-
ვის ოთახს მიამურა.

გაშუმებული გაჩერდა კარში: ოთახში
ხათუნა იყო. ჩემოდნიდან თავის ნივ-

თებს იღებდა. ჩემალი რომსაღმარადა
ჩემოდანს თავი მიანება და წელში გას-
წორდა.

კიდევ უფრო დამშვენებულიყო ხა-
თუნა. იგი თავისი დიდი, ლამაზი შუქი-
ანი თვალებით ჩემალს მიაჩერდა.

— ყველაფერი დედაჩემის ბრალი
იყო, — დაიწყო ხათუნამ. — იმან და-
მარიგა, რომ შენთვის უარი შეთქვა...
ამაყი რომ ვარ, იმიტომ ვერ მოვდიოდი
აქამდე შენთან... ახლა კი სხვა გზა არა
მქონდა. მამაჩემს უნდა თავის ბიძაშ-
ვილს მიმართოვო. მე კი, შენს გარდა,
არავის ვაყვები. ავდექი და სახლიდან
გავიქეცი. ჭონჭაძეზე შენი ბინის პატ-
რონმა მომცა ეს მისამართი. თვითმფ-
რინავის ბილეთი ვიყიდე და აი, აქ ვარ,
შენთან.

ჩემალი საწოლზე წამოწვა და თავ-
ქვეშ ამოიწყო ხელები.

— ვერ წარმოიდგენ, როგორ ვიტან-
ებოდი, რომ აღარ დადიოდი ჩვენთან,
— განაგრძო ხათუნამ. — მართალია, მე
ვტყუოდი, მაგრამ განა არ შეიძლებო-
და გენახე? შენც კი ჩიტი ხარ...
ჩემზე უფრო ამაყი.

«გაიგო, სახლში რომ დავბრუნდი,
ადგა და გამოიქცა... ვითომ, ვუყვარ-
ვარ? არა მჭერა... ყალბი გოგოა ეს სა-
სიკედილე, ყალბი, კარგად ვიცნობ მა-
გას. მაგრამ რა უნდა ვქნა? არაფერი.
ჩანს, ჩემი ბედიც ეს არის», — ფიქრო-
ბდა ჩემალი.

XIII

ჩემალი ლოგინში იწვა და არ ეძინე-
ბოდა. მისი საწოლის გვერდით არც ხა-
თუნას ეძინა: ქალიშვილს ლამაზი მკერ-
დი ხშირი სუნთქვისაგან სწრაფად აუ-
დიოდა და ჩაუდიოდა.

«არა, არ მივეკარები, — ფიქრობდა
ჩემალი. — მაშინ რო უარი მტყიცა ცო-
ლობაზე. ჩერ კი არ დამვიწყებია... ახ-
ლა თითონ მოვიდა ჩემთან, თავისი ნე-
ბაა, როგორც უნდა, ისე მოიქცეს».

ყმაწვილს გული ბაგაბუგით უცემდა.

ცოტაც და, ვეღარ მოითმენდა და ქა-
ლიშვილის საწოლში გადავიდოდა.

მაგრამ უეცრად საწოლის ჭრიალის
ხმა მოესმა, მერე ისიც მოესმა, როგორ
წამოიღვა ხათუნა ლოგინიდან და მის
საწოლთან გაჩერდა. იდგა საცოდავად,
მარტო ერთი სიტყვა აღმოხდა:

— ჭეშალ...

— რო იცოდე, როგორ მიყვარხარ...

— სუე, ნუ ლაპარაკობ, — პირზე
დაათარა ხელი ხათუნამ...

დილით ჭეშალმა და ხათუნამ პირსა-
ხოცები აიღეს და ზღვისაკენ დაეშენენ.
მთელი სამი საათი პლაჟზე გაატა-
რეს: ბანაობდნენ, მზეზე შეედებოდნენ,
ბავშვებივით ცელქობდნენ და ერთობო-
დნენ.

ხათუნას შავი საბანაო კოსტუმი ეც-
ვა, რომელშიც კიდევ უფრო მიმზიდვე-
ლი იყო მისი ლამაზი, ჩამკვრივებული
სხეული.

თორმეტ საათზე საშინლად ჩამოცხა.
აღვნენ, კაფეში ისადილეს და შინ და-
ბრუნდნენ. ეზოში დიასახლისი ფუსჟუ-
სებდა.

— აეი ცოლი არა მყავსო? — ჰკით-
ხა დიასახლისმა ღიმილით ჭეშალს, —
მაშ ეს ლამაზი ვოგო, ვინ არის?

— ჩემი ცოლია.

— გუშინ კი თქვენი ცოლი არ იყო?

— არ იყო.

— არა, ეს გადამრევს ნამდვილად.
დიდი ხუმარა უმაწვილი ყოფილხართ,
— ხარხარებდა დიასახლისი.

ყველანი იცინოდნენ — ჭეშალიც, ხა-
თუნაც და იქვე მდგომი დამსვენებლე-
ბიც.

მერე ჭეშალი და ხათუნა ოთახში შე-

ვიდნენ; მზეს რომ არ შეეჭურჭლებინათ,
ფარდები ჩამოუშვეს.

XIV

თხუთმეტი დღის შემდეგ ჭეშალი და
ხათუნა თბილისში დაბრუნდნენ. ჭეშა-
ლმა იგი თავის დედასთან — აიშანთან
მიიყვანა ენგელის ქუჩაზე.

ხათუნას მშობლები სიხარულით შე-
ხვდნენ ამ ამბავს...

ორი კვირის შემდეგ რედაქციამ ჭეშა-
ლი თავის თანამშრომლად აიყვანა.

რედაქციაში ჭეშალი ნელ-ნელა ეჩ-
ვეოდა ახალ საქმეს. წერილების განყო-
ფილებაში, სადაც მას თავისი საწერი
მაგიდა ჰქონდა, დილიდან საღამომდე
თვალებს იღლიდა ათასნაირი კალიგრა-
ფიით დაწერილის კითხვით. მაგრამ ჭე-
შალი მაინც კმაყოფილი იყო თავისი სა-
მუშაოთი: ის ხომ თავისი პროფესიით
მუშაობდა.

მალე რედაქციაში ხათუნამაც დაიწ-
ყო მუშაობა. მას მამანქანე-სტენოგრა-
ფიის კურსები ჰქონდა დამთავრებული
და ჭეშალმა სოფლის მეურნეობის გან-
ყოფილებაში მოაწყო იგი.

ხათუნა იჭდა და მთელ დღეს აკაეუ-
ნებდა თავის საბეჭდ მანქანაზე, თან
წამდაუწუმ კარებისაკენ იყურებოდა,
საიდანაც ხშირად შემოდებოდა ხოლმე
ჭეშალი.

— როგორ მიდის საქმეები? — ეკით-
ხებოდა ჭეშალი, როცა შემოვივლიდა
ხოლმე. — სამუშაო ბევრი გაქვს?

— ბევრი მაქვს, — პასუხობდა ხათუ-
ნა ღიმილით.



ალექსანდრა ბლოკი

• • •

კვლავ მიმეორებ: რომ ვარ ცივი, კარჩაყეტილი,
არ მახალისებს უცნაური დინება დღეთა,
განა ტრფობისთვის გამოვაწრთე სული კეთილი,
განა ტყუილად ვიბრძოლე ბედთან.

მახსოვს, შენც იყავ უფრო მკაცრი ამაყ ფიქრებთან,
როს ვარსკვლავებზე ამოიციან ზვალის ამბავი,
რომ მომავალი ღამე უფრო მკაცრი იქნება,
რომ არ აქვს ღამეს დასასრული და დასაბამი.

აი, აღსრულდა და სამყარო გაგვიველურდა,
შემოგარენში მოციმციმე არ ჩანს შექურა,
მათ, ვინც ვარსკვლავებს არ უსმინა,
ღმერთო, შეუნდე,
ღამის წყველიაღმა სიერცეები გადაუმურა.

ვინც არ იცოდა, რომ არსებობს. ცოცხლობს წარსული,
რომ მომავალი ღამე ახალ ტანჯვას გვიმზადებს.
სხედან ისინი დაღლილები, ნისლით ავსილნი,
სახეშეშლილნი, კერმისულნი ნეტარ სიზმრამდე.

იყო დრო...

წრფელი იმედები ეღერდნენ დიადად,
ბედს მინდობილი და უბრალო ვიყავ შენსავეთ.
გულგადახსნილი მივიდოდი ხალხთან ნიადაგ,
არ მაშინებდა მათი ჭორი გულდამგესლავი.

ახლა რაღაა?! იმედების არ მოჩანს კვალიც,
ის იმედები უიმედო წლებმა შეცვალეს,
ყველას, ვისაც კი შევაგებე ნათელი თვალი.
ყველამ გამწირა, მილაღატა და გავეცალე.

და სული ჩემი ანთებული ელოდა როცა
მღელვარებისგან ქცეულიყო ფერფლად და ნაცრად,
იგი სიყვარულს და სიძულვილს გაშორდა მორცხვად,
ის გაიყინა, გაითოშა ანთების ნაცვლად.

დააჩნდა სახეს ნაკვალევი უეცარ რისხვის,
სევდის ბეჭედი — გაცრუებულ ბედის მპყრობელი
და უარყოფა გაუმადლარ ქალღური სისხლის,
ცხოველურ ვნებას ჰმონებს რომელიც.

რად უკაცუნებ, ჩაკეტილ კარს რად არ შორდები?!
ნუ იტანჯები, ნუ კვნესიხარ და ნუ წრიალებ,
ცხოველებისგან თანაგრძნობას ნუ ელოდები,
მათგან, ვისაც ჩვენ ვუწოდებდით ადამიანებს.

მაშ აიფარე მაგ სახეზე რკინის ნილაბი,
წმინდა საფლავებს მოუარე, იგრძენ ყოველი,
მათი სიმშვიდე დაიკავი, მათთან იყავი.
იქ სამოთხეა მონებისთვის მიუწვდომელი.

• • •

რა გაგვაჩნია წამების გარდა?!
მიდის ცხოვრება, მიედინება.
გახსოვდეს მუდამ, საფლავის კართან,
ჩვენი შეხვედრა ღმერთმა ინება.

ის დღე შორია, მან უნდა იხსნას
ჩვენი აღთქმა და ფიცი მომხრეთა,
შეურაცხყოფა ამძაფრებს რისხვას
და მძვინვარებას შეამბოხეთა.

მწამს, საუკუნეს, მომღერალს ახლის,
ახალ თაობის შუქი ჰფენია,
განა ტყუილად აღიდებს ხალხი,
შეურაცხყოფილ, კეთილ გენიას.

ვისთვის ცხოვრება არის ბადალი
ძველი თამაშის, მზიან ამინდის,
პოეტის სულში ცოცხლობს ქაღილი,
ისე ვით შავი თვალმარგალიტი.

ყველა, მასავით შეგინებული,
კლავს დამცირების სუსხსა და ყინვას
და ზეცას შავი ღრუბლით შებურვილს
შეაკრთობს ომის მახვილის ბრწყინვა.

მას ახლა სძინავს ჭადოსნურ ხმაში
და სიღრმეებში ინახავს ციკას,
გამოანათებს, როდესაც მთაში
გამოაღვიძებს წერაჭვი წილს.

• • •

ხალამოს სხივი ციმციმებს შორით,
გამოერიდა ღრუბელს ღრუბელი,
ჩემი გზა მიდის ეკალთა შორის,
გზა ურთულესი და დამლუპველი.

დაახსომდება გულს სამუდამოდ
ჩაშავალი მზის სხივთა მორევი.

ისევე დავშორდით, მივხვდით უდავოდ,
ძალა არ შეგვწევს სევდის მორევის,

ჩაიფრთხილა წლებმა საამომ,
რაც მიიმალა უნდა გვახსოვდეს,
რად მეჩვენება: მიდის სალამო,
რომელსაც ვნახავ ველარასოდეს.

* * *

შენი სახელი ვიცი მაკდორი,
შავი ხავერდი, ბაგე მდუმარი,
მაგრამ შენს მიღმა ზოგჯერ დაცურავს
რაღაც უცნობი და იდუმალი.

და მრისხანებას თითქოს ვეჩვევი,
როცა სიბრაზე სახეს შენისლავს,

მწვავს და მაწამებს შავი ეჭვები,
ჩემთვის უცნობი შენი ქვეყნისა.

მზად ვარ ტანჯვისთვის, ვერ შეგელევი,
ვიხსენებ ქარბუქს და ვირინდები,
მე მახსოვს შენი სუსტი ხელები
და მოჩურჩულე მარგალიტები.

* * *

მე ველოდები, ისევ ბინდია,
უიმედობით სული ამევსო,
აი, ისინიც, ორნი მიდიან
სასიყვარულოდ და სააღერსოდ.

ვარ საცოდავი და გახელებით
ხელი შევაზე დანას აღესილს,
რამ დამასიზმრა თეთრი ხელები,
ქალწულ ფერიის ნაზი აღერსი.

აი ისინიც, ჰკოცნის მგზნებარედ
ხელებზე, მოჩანს მისი პროფილი,
მე საკუთარ ლანდს ამოვეფარე,
საცოდავი და უარყოფილი.

გარბოდა ლანდი და ლამით აესილ
ლანდის თვალბში ენება ღვიოდა
და დღე, გარდასულ დღეების მსგავსი,
თანდათანობით შემოდოდა.

* * *

შენ არასოდეს არ იქნები ჩემი ან სხვისი,
აი, რამ შემძრა და უფსკრულთან რისთვის მოვედი,
უძირო დღეთა სიმძიმისაგან ვერავინ მიხსნის,
აი, რატომ ვარ შენი ტყვე და შენი პოეტი.

აქ, ჩანს ქალური უარყოფის მკაცრი ნიშანი
და საოცარი სიღამაზე მიუწვდომელი,
იქ, უსასრულო სამყარონი გადაიშალა,
მოფონავს სული პარმონიის შეუცნობელის.

იმღამინდელი ჩემი ღელვა, ბნელი დარბაზი,
აი, საბრალოვ, რატომ ვფიქრობ და მედარდები,
აი, გზაში ვინ დამადევნა მზერა ღამაში,
ვინ დამაეკვა, ტყვედ მაქცია იმ მოღანდების.

თავისუფალო, შენ მიფრინავ და არას ითხოვ
და უორბიტო სივრცეების შენ ხარ ცთომილი,
შენთვის სამყარო მოწითალო კვამლია თითქოს,
იქ რაღაც იწვის, რაღაც შფოთავს შეუცნობელი.

და იმ ბრწყინვაში მომნუსხველი შენი ხმა ისმის,
მხოლოდ მუსიკა, არც თანხმობა და არც ლალატი,
მხოლოდ მუსიკა, არც წუხილი და არც ხალისი,
ო, როგორ მგაეხარ, მეყვარები კარმენ მარადის!

იოანე ვოლფგანგ გოეთე

ფაუსტი

ალქაჟის საქმეობა

დაბალ კერაზე, ცეცხლზე, დგას დიდი ქვაბი. ქვაბიდან ამომავალ ობზივარში მოჩანს სხვა-დასხვანაირი გამოსახულებანი. დედა მაიმუნი ქვაბთან ჩაცუცქვლა, ქაფს ხდის და თვალურს აღუწუნებს, რომ არ გადმოვიდეს, მამა მაიმუნი იქვე ჩამყდარა შეილებთან ერთად და თბება. კედლებსა და კერზე ჰკიდია უცნაური ჰურქლეული.

ფაუსტი, მეფისტოფელი.

ფ ა უ ს ტ ი

ო, ეს ბრიყუელი ჯადოქრობა როგორ გულს შირვეს!
ნუთუ ფიქრობ, რომ ახალგაზრდულ ძალსა და იერს
აღმიდგენ ყოვლად სულელური შელოცვებითა,
და ამისათვის აკითხავ აქ ვილაც დედაბერს?
ნუთუ ფიქრობ, რომ ოცდაათ წელს მე ამ მხრებიდან
მისით ჩამომხსნი, და უკეთესს შენ სხვა ვერაფერს
ვერ მოიფიქრებ, სხვა რამ ხერხი არ გეგულება,
რომ ამაღინო მე სასპელი ყოვლად საზარი?
ნუთუ მაღალ სულს, ნუთუ თავად დედაბუნებას
არ მოეძევა საამისოდ რამე ბალზამი?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

შენი შეკითხვა ჭეშმარიტად ჭკვიანურია,
წლების მოკლება შეიძლება ბუნებრივ გზითაც,
მაგრამ ეს ხერხი მეტისმეტად უცნაურია
და სულ სხვა წიგნში სწერია,* თუ მართალი ვინდა.

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 6, 1979 წ.

* იგულისხმება „ძველი აღთქმა“, კერძოდ, პირველი წიგნი მოსესი: 3, 17-24, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ უბრძანა ღმერთმა ადამს დაეშუშავენინა მიწა და ოფლითა პირითა თვლითა მოეპოვენინა პერი თვისი.

6. „მნათობი“, № 6.

ფ ა უ ს ტ ი

ჩქარა მიტხარი!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

თუკი შენ აქ არ მოგწონს ყოფნა
და გსურს უფულოდ, უწამლოდ და უაღქაჯებოდ
წლების მოკლება, მოდი მაშინ დასახლდი სოფლად
და დღენიდავ გაიღვარე შრომაში ოფლად,
საკუთარ ხელით გადაბარე მიწის ნაკვეთი
და რასაც შენით მოიპოვებ, იმას დასჭერდი,
შემოიზღუდე ვიწრო აზრით შენი გონება,
ერთფეროვანი და უბრალო გქონდეს საკვები,
პირუტყვთან ერთად პირუტყვეული იწყე ცხოვრება,
ნუ ითაკილებ ვამდიდრო მიწა, ნაკელით.
აი ამგვარად თუ მიადწევ სასურველ მიზანს,
გინდაც რომ იყო ოთხმოცი წლისა.

ფ ა უ ს ტ ი

თოხი და ბარი ხელთ არასდროს არა მჭერია
და ამგვარ საქმიანობაზე აბა რა შეთქმის.
მწირი ცხოვრება ჩემთვის ძნელი შესაჩვევია.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ჰოდა, აღქაჯი ყოფილა მამ საჭარო შენთვის.

ფ ა უ ს ტ ი

რალა დედაბერს ჩააფრინდი მაინცდამაინც,
განა თვითონ არ შევიძლია მოხარშვა წამლის?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

კაი დროს კი არ გავატარებ! შავის მზადებას
ის მიჩვენია, ავაშენო ათასი ხიდი.
აქ მარტო ცოდნა ნაკლებად თუ გამოვადგვბა,
საკირო არის მოთმინების უნარი დიდი.
მომთმენი სული ამ საქმეზე წლებებსა ხარჯავს
და მხოლოდ დროს თუ შეუძლია კარგი შედეგი
მოაყვეს ესოდენ საჩოთირო შრომას და გარჯას.
საერთოდაც აქ ბევრ უცნაურ წერილმანს შეხედები...
თუმც ამ საქმეში ეშმაკს სხვები გამოუწერთნია,
თვითონ სასმელის დამზადება არ შეუძლია.

(შენიშნავს ცხოველებს).

ერთი მშვენიერ ამ არსებებს შეხედა ახლა!
ეს მოახლეა, აი ეს კი ლაქია გახლავს.

(მომართავს დედა და მამა, მაიმუნს).

როგორც ეტყობა, ქალბატონი შინ არ ბრძანდება.

ცხოველები

რა ედარდება!..

ადრიან დილით

ის სანადიმოდ გაფრინდა ამ საკვამლე მილით.

მეფისტოფელი

მერე იქ დიდხანს დარჩება ვითომ?

ცხოველები

ვიღრე ვსხედვართ აქ და თათებს ვითბობთ.

მეფისტოფელი

(ფუსტს)

ამ ცუგრუმელა ქმნილებებზე რა აზრისა ხარ?

ფაუსტი

მათზე უმსგავსი არაფერი შე არ მინახავს.

მეფისტოფელი

რას ამბობ! მათი ყბედობისგან ბევრჯერ იმდენად
დიდი სიამე მიგრძენია, რომ გაგიკვირდება.

(ცხოველებს).

აბა, ეშმაკის თოჯინებო, მოეშვით წრიალს
და სთქვით, რას ხარშავთ თქვენ მაგ ქვაბში ასეთი
ზრუნვით?

ცხოველები

მათხოვრებისთვის ვხარშავთ ჩვენ აქ წყალწყალა წვნიანს.

მეფისტოფელი

ეტყობა, ბევრი გამოსთქვამს თქვენს წვნიანზე სურვილს.

მამა მაიმუნი

(ალერსიანად მიიწევს მეფისტოფელსაკენ)

მოდო დამითმე,

მეთამაშე და გამამდიდრე,

უფულოდ ცუდი სანახავი ვარ.

მაგრამ თუ შექნა საკმაო ფული,

ალორძინება მომელის სრული
და საქმეებიც კარგად წამიგა.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

რა ბედნიერი იქნებოდა ეს უსახური,
ლატარეაში რომ მოეგო საკმაო თული.

ამსობაში ჰატარა შიშნები დიდი ბურთით თამაშობენ და მას იატაკზე აგორებენ.

მ ა მ ა მ ა ი მ უ ნ ი

(მოუთხოვს სფეროზე)

ეს დედამიწის სფერო სულ ასე
ბრუნავს და რაც კი არსებობს მასზე,
მასთანვე ბრუნავს სულ აღმა-დაღმა.
ისე წყრილებს, ვითარცა მინა,
და მინასავეთ მსხვრევედი არი,
შიგნით ფუყუა, გარედან ბრწყინავს,
ზოგჯერ მეტად და ზოგჯერ ნაკლებად,
მაგრამ თუ ერთი გაუჩნდა ბზარი,
დაიშხვრევა და სულ მთლად გაქრება.
მისძინე, შველო, რას გეტყვი ახლა:
„მე ცოცხალი ვარ!“ — ძვირფასო, მაგრამ
შორს დაიჭირე სფეროსგან თაღი,
რადგან იგი ხომ თიხისა არის:
შენ უნდა მოკვდე! და ფრთხილად, თორემ
დაიშხვრევა და თან ჩაგიყოლებს.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

რისთვის გჭირდებათ აქ ეს საცერი?

მ ა მ ა მ ა ი მ უ ნ ი

(იღებს თათებით საცერს)

ქურდი რომ იყო, შევიტყობდი და ხელს გტაცებდი.

(შიორბენს დედა შიშნთან და საცერში ჩახელებს).

ერთი შეხედე და მითხარი, შიგ ქურდს თუ ხედავ?
ან იქნებ ხედავ და რატომღაც თქმას ვერა ხედავ?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

(უახლოვდება ქვას)

მაშინ ეს რაღა ქოთანია არის?

მ ა მ ა მ ა ი მ უ ნ ი

ვაიმე, ვაი!

ეს რეებს ბოდავს!

ნუთუ ქვებისგან ვერ არჩევს ქოთანს?

მეფისტოფელი

სჩანს, ზრდილობაზე მწყარალად ხარის ცოტი!

მამა მაიმუხი

აბა, ეს ცოცხი აიღე ხელში
 და მყის ჩაჭექი ამ საფარჩელში!
 (აძლეებს მეფისტოფელს დაქდეს).

ფაუსტი

(რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში სარკის წინ დგას და ხან
 უახლოვდება მას, ხან კი სცილდება)

ეს რა ციური ხატებაა აქ ჩემს წინაშე?
 მე ამ გაღოსნურ სარკიდან რომ მავსებს მწველ გზნებით!
 ო, სიყვარულო, წარმიტაცე უსწრაფეს ფრთებით
 ნისი სამყოფლის უტურვეს და წარმტაც წიაღში!
 მე მას ვკვრებ მხოლოდ ერთ ადგილზე როცა ვჩერდები,
 ხოლო როგორც კი წინ ან უკან გადავდგამ ნაბიჯს,
 მყისვე ნისლივით იფანტება და შორით გარბის
 ტურფა ქმნილება ლეთაებრივი შემოქმედების.
 შესაძლო კია, მართლა ასე სიტურფით სავსე
 რომ იყოს ქალი! ამ მშვენიერ სხეულს მე ახლა
 თვით ზეცის ყველა საოცრების მომცველად ვსაბავ.
 ნუთუ არსებობს მსგავსი რაზე დედამიწაზე?

მეფისტოფელი

რალა თქმა უნდა! თუ თვით ღმერთი სრულ ექვს დღეს
 დაშვრა

და ბოლოს თავის ნახელავს თვით შესძახა ვაშა,
 ქმნილება მართლაც კარგი უნდა გამოსულიყო.
 ამჯერად მხოლოდ მისი კვრებით დაიტყბე თვალი,
 იქ კი, პირობას გაძლევ, რომ შენ ისეთ სულიკოს
 გიშოვი, ყველამ იღბლიანად ჩასთვალოს თავი,
 ვისაც ნამდვილად გაუღიძებს ამქვეყნად ბედი
 და მის მსგავს ტურფა საპატარძლოს მოისკამს გვერდით
 ფაუსტი განაგრძობს სარკეში ცქერას. მეფისტოფელი კი ავლავ
 საფარჩელში ზის, ცოცხს ათამაშებს და ლაპარაკობს.

მეფესავით ვზივარ ტახტზე, ოღონდ ერთი ნაკლი მაქვს—
 ხელში აკვრთხი მიკავია, გვირგვინი კი მაკლია.

ეხოველები

(რომლებიც აქამდე უოვლად უცნაურად იმანჭებოდნენ, საშინელ
 ღრიანკლთ მიურბენინებენ გვირგვინს მეფისტოფელს).

* ფაუსტი სარკეში მშვენიერ ელენეს ხედავს.

კარგს იზამ, თუ გვირგვინს იხსნი
და მას ოფლითა და სისხლით
მიგვიწებებ, როგორც გვინდა!*

(მოუწველად ატრიალებენ გვირგვინს, ორ ნაწილად ტეხავენ და მის
ირგვლივ დახტაან).

ესეც ასე! გმადლობთ დიდად.
რასაც ვხედავთ, იმას ვროშავთ,
და რაც გვესმის, იმას ვრითმავთ.

ფ ა უ ს ტ ი

(სარკის წინ)

თავბრუ შესხმის და აღარ ძალმიძს გაძღება ამის.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

(მიუთითებს ცხოველებზე)

მათ შემხედვარეს, მეც კი თავბრუ დამეხვეს ლამის.

ც ხ ო ვ ე ლ ე ბ ი

და თუ ბედად საწუთროში
შესაფერი დადგა წუთი,
არც მსჯელობა ვიციოთ ცუდი*.

ფ ა უ ს ტ ი

(უწინდებურად)

გულზე სიმწრისგან ცეცხლი მედება,
აქ ყოფნა ველარ ამიტანია.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

(ძველებურად განაგრძობს ქღომას)

უნდა ითქვას, რომ ეს პოეტები
გულახდილები მაინც არიან.

ცხოველების მიერ უპატრონოდ მოტოვებული ქვაბი იწყებს გადმოდუნებას. აგიზგიზდება დიდა
ალი, რომელაც ავარდება ბუბრის შილში. საიდანაც საშინელი ღრიალით შემოფრინდება ცეცხლ-
ში გახვეული ალქაჯი.

* სარკაში დესპოტზე, რომელიც ოფლითა და სისხლით ინარჩუნებს საწუთრო გვირგვინს.
ზოგიერთი კომენტატორი ამ სტრაქონებში საფრანგეთის რევოლუციას ან მის წინასწარმეტყველე-
ბას გულისხმობს.

* აქ და ზემო სტრაქონებში გაამბულბებულია იმდროინდელი უნიკო პოეტები და მათი
წყაღწყაღ ნაწარმოებები.

ა ლ ქ ა ჯ ი

აი, აი, აი! მაინც გადმოდულს ქაფი!
 წვეულიმც იყოს თქვენი გვარ-ტომი!
 უფურადღებოდ დასტოვეთ ქვაბი
 და მთლად დაჰბუგეთ თქვენი პატრონი!

(როცა ფანტასა და მეფისტოფელს შენიშნავს).

ეს რაღა არის!
 ეს ვინ არიან!
 აქ როგორ მოხედნენ და ან რა ნებავეთ!
 ვინ მისცა მათ აქ შემოსვლის ნება!
 ცეცხლად დავაქცეე
 ზედ ქაფს მაგათ ქვლებს!

(ხელს სტაკებს ჩაშას, იღებს ქვაბიდან ქაფს და ცეცხლად აფრქვევს
 ზედ ფანტას, მეფისტოფელს და სტოველებს; სტოველები უშფოიან).

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

(შეაბრუნებს კოცხს და მისი ტარით ურტყამს კიქებსა და ქოთნებს)

ლაწალეწი, ლაწალეწი
 ამ კიქებს და ამ ქოთნებს!
 ყველაფერი დაიღეწოს,
 ყველაფერი აქოთდეს!
 ეს ჩერ კიდევ ზემრობანი
 არის მაგ შენს ორენაზე,
 ეს ჩერ კიდევ მხოლოდ ბანი
 არის შენს სიმჯერაზე.

გამწარებელი და შიშისაგან თავზარდაცემული ალქაჯი უკან იხევს.

იციანი არა, უსახურო, შენი ბატონი?
 იგრძენი არა, მისი რისხვა და გულისწყრომა?
 კრინტი არ დასძრა, თორემ ცოცხალს აღარ დაგტოვებთ
 არც შენ და არც მაგ მიმუნთა საძაგელ ჩროკას.
 მამ დაგაიწყდა შენ წითელი ჩემი ხალათი?
 ველარც მამლის ფრთა ვერ გიცივია, შე ბებრუხანავ?
 ჩემს ვინაობას შენს წინაშე როდის ემალაყდი?
 მე უნდა გითხრა, ვინცა ვარ განა?!

ა ლ ქ ა ჯ ი

გთხოვთ ნუ შემრისხავთ მიღებისთვის. პირდაპირ
 მიკვირს,

რად ვერ შევნიშნე მე თქვენი ჩლიქი.
 ორი ყორანიც, როგორც ვხედავ, არ გახლავთ თანა.

მ ე თ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ამჯერად მიპატიებია! მართლაც რა ხანმა
განვლო ალბათ, რაც არ გვინახავს ჩვენ ერთმანეთი.
ისე მოედო დღეს კულტურა მთელ ჩვენს პლანეტას,
რომ ეშმაკზედაც იქონია გავლენა თვისი.
სადა იხილავ ჩრდილოეთის სიმახინჯეებს, —
რქვებს, უღებებს, ბრწყინებებს დღეს საქვეყნოდ ვიღა-
გიჩვენებს!

ხოლო რაც კი ჩლიქს შეეხება, ტარება მისი
მე ხალხში მუდამ ხელს მიშლიდა და ამის გამო
ზოგ-ზოგ ყმაწვილთა მსგავსად უკვე ყალბ კანქსა*
ვხმარობ.

ა ლ ქ ა ჯ ი

(სევა-სევიო)

მიჭირს ამდენი სიხარულის ერთად ატანა.
ნუთუ მე მართლა ვხედავ კვლავ აქ ბატონ სატანას!

მ ე თ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ღარ გაბედო მაგ სახელის წამოძახება!

ა ლ ქ ა ჯ ი

რატომ? ვითომ რა დააშავა თქვენმა სახელმა?

მ ე თ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

დიდი ხანია, რაც არაკებს ჩაბარდა იგი,
თუმც კი ხსენება მისი გულზე ეკლად ესობათ.
რას არ მოისმენ დღეს მაცდურის სახელის ირგვლივ,
ადამიანს კი არ ეტყობა უკეთესობა.
მოდი ბარონი დამიფახე! მე, კაცმა რომ თქვას,
სხვებზე ნაკლები კავალერი როდი გაზღავარ.
ვინც არ ირწმუნებს ჩემს თავადურ ტიტულს და მოდგმას,
აი ეს ღერბი შემოიღია ცხვირში ვაზალო.
(აეთებს უბამს ვესტს).

ა ლ ქ ა ჯ ი

(ხარხარებს)

ხა, ხა, ხა! მეცნო ეგ ხუმრობა. გადიან წლები,
თქვენ კი ისევ იმ გიჟმაყად და ოხუნჯად რჩებით.

მ ე თ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

(ფაუსტს)

აი, შეხედე და ისწავლე, ძვირფასო ჩემო,
თუ როგორ უნდა ალქაჯებთან თავის დაჭერა.

* ყალბი კანქი — გამაში.

ა ლ ქ ა ჯ ი

რით შემოდლა გემსახუროთ?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ჩვენ აქ ამჯერად გვინდა გავსინჯოთ იმ ცნობილი სასმელის გემო. მაგრამ ძველი კი უნდა იყოს. მე როგორც მახსოვს, რაც უფრო მეტად ძველია ის, მით უფრო ფასობს.

ა ლ ქ ა ჯ ი

მე ერთი ბოთლი გადავმალე კარგა ხნის წინათ. გაგიხარია, მეც კი უწრუპავ იქიდან ხშირად. სიძველისაგან თითქმის სუნიც კი გაჰქრობია, მაგრამ დაგისხამო — ქებას მაინც ნახვა სჯობია.
(ხმადაბლა)

მაგრამ ეს კაცი თუკი დალევს ხამად ამ სასმელს. თქვენც კარგად იცით, ერთ საათსაც რომ ვეღარ გაძლებს.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

არაფერია! ჩემს მეგობარს ის არას აენებს ჰოდა, მოიტა თუკი კიდევ გაქვს სადმე რამე. შემოხაზე ეგ შენი წრე და ბუტბუტს და ტლინკვას მოჰყევი. მაგრამ ჯერ პირთამდე გაავსე ტუქა.

ალქაჯი ხამალაი ესტ-მიმიით ხაზავს იატაკზე წრეს და შიგ აწყობს სხვადასხვაგვარ უცნაურ ჭურჭლეულს. კიჭები იწყებენ წარიალა, ჭვამები ელარუნს, რაც აღენს მუსიკის შთაბეჭდილებას, ბოლოა გამოაქვს ვეება წიფნი და მას ზურგზე ადებს დედა მაიმუნს, თათებში და მამხალეებს აპერინებს. შემდეგ ანიშნებს ფაუსტს, შევიდეს წრეში.

ფ ა უ ს ტ ი

(მეფისტოფელს)

სიტყვი, რა შედეგი უნდა მოჰყვეს მთელ ამ სიბრიყვეს, ამ აუტანელ მანჭვა-გრეხვას და ეესტ-მიმიეებს? ეს ხომ პირწმინდად სიცრუე და სიყალბე არის. კარგა ხანია მომამბეზრა მე ამან თავი.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ძალიან მკაცრიც ნუ იქნები. ვით ყველა ეკიძს. მასაც ამ ცერემონიების და მანჭვა-გრეხვის გარეშე ალბათ მკურნალობა არ შეუძლია. ან პაციენტთან მანჭვა-გრეხვა ვის არ უცლია!

(ძალით ადებს ფაუსტს წრეში).

ა ლ ქ ა ჯ ი

ცქატაში შესული იყავს დეკლამაციას წინიდან
 მიხვდი და ხელად გახდებოდა ცხადი,
 როგორ გამოდის ერთიდან ათი!
 თუ მოეგები მაშინვე გონსა
 და მიუმატებ ერთიანს ორსა,
 გამდიდრდები და მყის გახვალ ფონსა.
 მოაკლე ოთხი და იმავე წესით
 მიმატებული ხუთით და ექვსით
 ხელად მიიღებ შეიღსა და რეასა!
 ასე სურს ალქაჯს!
 და აი, ბოლოს,
 ცხრა ერთი ხდება.
 ათი კი — ქრება.
 ამგვარ სათვალავს სცნობს იგი მხოლოდ.

ფ ა უ ს ტ ი

მე მგონია, რომ დედაბერი რაღაცას ბოღავს.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ეს მხოლოდ შესაველია ჭერ, მოიცა ცოტა!
 ზომ ცოცხალი, საქმეს უყვარს თავის წესი და რიგი.
 მე, რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს ძალიან კარგად
 ვიცნობ, ასეა დაწერილი მთელი ეს წიგნი.
 გაგვიკვირდება, რაც მე მასზე დრო დამიკარგავს!
 რიცხვთა ამ შეუსაბამობას დაუსრულებლად
 უმეორებდნენ როგორც კვეციანს, ისე სულელსაც*.
 მათი აზრსა და ამოცნობა ვის არ უცდია,
 მაგრამ ისინი ჭერ არავის ამოუცუნია.
 ეს ხელოვნება, ჩემო კარგო, რაღა თქმა უნდა,
 სულ ასე იველი და ახალი იქნება მუდამ.
 ერთისა სამთან შეფარდებით და სამის ერთთან
 ადამიანთა გაბრიყვება და ტვიინის ქულეტაც
 სასიკვდილო საქმე იყო ყველა ხანაში.
 წინაღმდეგობის გაუწევლად იწყებს სწავლება
 სისულელისა, მაგრამ აბა დღეს შენ ამაში
 ვის მოატყუებ? სულელებთან ვის სურს წვალება?!
 ადამიანებს სიტყვებისა მეტი სწამთ თითქოს.
 თუმც მათგან, არცთუ იშვიათად, აზრებს თიშავენ.
 მე კი მგონია, ბევრად უფრო საჭირო იყო
 მასზე ეფიქრათ, თუ ისინი რას აღნიშნავენ.

* აქ და ქვემოთ ირონია პითაგორას რიცხვთა სისტემაზე და სამების დოგმატზე.

ა ლ ქ ა ჯ ი

ის, რაც ცოდნაში უმთავრესია,
როგორც წესია,
ყველას თვალთაგან საგანგებოდ დათარულია.
შემდეგ კი იგი თავის წიაღში
გადაიშლება იმის წინაშე,
ვისაც ეს ალბათ ფიქრადაც კი არ გაუვლია.

ფ ა უ ს ტ ი

აზრებს ურთიერთ ველარ ვათავსებ,
ისეთ საოცარ სიბრივეს ჩნაბაჟს.
თითქოს ვისმენდე ასი ათასი
ერთადშეყრილი სულელის ყაჟანს.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

კმარა, ძვირფასო სიბილა*, კმარა!
შენი სასმელი მოგვართვი ჩქარა.
ის ჩემს მეგობარს არას აუნებს, შენ ფიქრი ნუ გაქვს.
ეს მრავალ ხარისხ გამოვლილი კაცი ბრძანდება
და ოაღაც-რაღაც სასმელების ჩუმ-ჩუმად წრტუპვას
შეჩვეულია. არაფერი არ დაშავდება.

ალქაჟი დიდი ცერემონიებით აწვდის ფანსტს სასმისს, რომელზე-
დაც პირთან მიტანისას იფეთქებს მსუბუქი ცეცხლის ალი.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

აბა დალიე, როგორ მოგეშვას!
ნულარაფერი ნუ შეგაშფოთებს.
ის, ვინც შენობით მიმართავს ეშმაკს,
მას ცეცხლის შიში არ უნდა ჰქონდეს.

ალქაჟი ვაარღვევს წრეს და უშვებს ფანსტს.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ახლა აქედან მოუსვი მალე, —
ჯდომბა ენებს, ვინც კი ამ წამალს დალევს

ა ლ ქ ა ჯ ი

დე შეგრგებოდეთ სასმელი ჩემი!
არ დამიკლია მე მისთვის ხელი.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

(ალქაჟს)

თუკი ჩემდამი სათხოვარი გექნება რამე,
შენ მხოლოდ ყურში წამჩერჩულე ვალპურგის ლამეს.

* ს ი ბ ი ლ ა — ლეგენდარული მკითხავი, წინასწარმეტყველი ქალი.

ა ლ ქ ა წ ი

(აძლევს ფაუსტს ქალადს)

აი წაიღეთ ეს სიმღერა*. მისი მიჩვევა
განსაკუთრებულ შედეგებით გამოირჩევა.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

(ფაუსტს)

ახლა კი მოდი გზას გავუდგეთ. შენ ბლომად ოფლი
უნდა იდინო, რომ სასშელი კარგად გავიჭდეს.
ჯერ ის მთელ სხეულს მოგიდუნებს და ბურანს მოგგვრის,
შემდეგ კი მკერდში ყოვლად უტყბეს გრძნობას გაგიჩენს.
უმაღვე დავხსნის უსიამო ამბებზე ზრუნვას
და თვალწინ ცელქი კუპიდონი დაგიწყებს ხტუნვას.

ფ ა უ ს ტ ი

გამიშვი, სარკეს ერთხელ კიდევ შევევლო თვალი
ნეტად ლამაზი იყო მასში ნანახი ქალი.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მოიცა! ცოცხალ ნიმუშს ყველა ლამაზმანისას
მიიღებ, ოღონდ წაშო. წასვლა ნუ გეძნელება.

(ჩჰადაბლა).

შენ ეს წამალი მალე ისე გაგაზალისებს,
რომ თვით გომბიოც კი ელენედ მოგჩვენება.

გერმანულიდან თარგმნა ვიოლაჰი ჯორჯანაშვილი



* ალქაი ფაუსტს ეროტული შინაარსის სიმღერას აძლევს.

თუშეთის სიცოცხლა უბრუნდება

მარიოლა სიტავა წინასწარ

თუშეთი... ოცდამეცამეტა მიტოვებული, გაპარტახებული ქართული სოფელი... ბევრი მათგანის სახელი მოხსენიებულია მატინეში და ძველ ქართულ ზეპირ-სიტყვიერებაში. რა გულში უნდა გაუძლოს ადამიანს, რომ მათ პარტახი და ნასოფლარი დაუძახოს ჩვენს შკიბხელს ახლაც რა სევდის მომგვრელი ამბები ისმოდა თუშეთის პოეზიდან, პრესის ფურცლებზეც იბეჭდებოდა წერალები ჩაქრალ კერებზე. მიტოვებულ ეზოებზე, სადაც ჭინჭარმა და წარ-ცალმა გადაიარა. ვინ მოსთვლის რამდენ სოფელში წააწყდებოდათ ამოკლებულ კარსა და ჩაბნელებულ ჭიშკარს. იმ ადგილებში, სადაც ოდესღაც სიცოცხლე დუღდა, ახლა ისმოდა უშუალო შიშერი მგლები, რომელსაც ხან აძლივდა უკვე გავლურებული ძაღლების ვეფა. უპატრონოდ მიტოვებულ ციბე-სიმბაგრეები და სიბით წაგები სახლები ნელ-ნელა დაიშალა. გაზაფხულონი თუ აკოთხე-დნენ თუშეთი ძველ სახედარს. ეს იყო და ეს. კაცის გული უშალ შერბობოდა ხოლმე, ამ ქართველად იწყებდა ძვრას, ამ ამბებს რომ გე-ბუღობდა: ისეთი გრძნობა გეზადებოდა, ახლო-ხეღისა და ხუვარელი მის მთიმე ავადმყოფო-ბას რომ შეიტკობ.

აიყარნენ თუშეთი და დასაზღდნენ ბარად ქვემო და ზემო ალვანში, ღაღისურვეში, ფშაველში, ბე-გრგან.

დაიბ, ეს ნამდვილი ეროვნული ტრაგედია იყო და თუშე მიდევნებ გულსტაყილით დასძახო-და ფანდურს ძველისძველ სიმღერას, რომელიც ეხოდენ ცოცხლად ეხმაინებოდა იმ აურის წლე-ბის ამბებს:

მე არ ჩამოვალ კახეთში,
ვინც ვინდა ჩახედდეთაო...

ჩემ მამა-პაპა გმირთ საფლავთ
ვერ დაეანებებ თავსაო,
ვერცა ჩვენ სალოცავემსა.
წმინდა ვიორგის ქუარსაო...
ვერცა შშენიერ მთის კალთებზე,
სისხლით ნარწყვიდა გუბნაო,
ვერცა უინულის ნაწურებზე,
ცივებ კამაგა წულუბსაო:
მე უნდა მოვცედე დიკლოში,
იღარ ეიკოცლებ ბევრსაო —
ჩემ მამა-პაპა გმირებმა
უნდა ვეაბლო გვერდსაო.

ნეტე ჩვენ რა დავვემართა,
რო აგრე ვაოტვენთ ერსაო.

ეს ღეცხი კი არა, ტყავილი იყო, გმინვა იყო... მოიქმა იყო... და აი, ახლა ჩვენსა ხუტუნის იმ-აინი წლების დასაწყისში პოეზში დიდი შე-მობრუნება დაიწყო, ახალ ტალღად აქვეფდა სი-ცოცხლე ადრე პარტახადქცეულ კუთხეებში: გურ-ქანის ჭერებში, საგარეოს უდაბნო, ახანინის ოლირა, შირაკის სამთაწყარო, კასპის გონტებზე, თუშეთი, ზეცხურთა ადგილები სოფლები და მრავალი სხვა — ის პარტახე მერცხლები არიან. ამ დიდ შემობრუნებას ფუძე რომ ჩუვარეს და სინათლე შემატეს ეს პირველი მერცხლები სქი-რთველის შიანეთის გაზაფხულის კეთილმარ-ყეებლები და მზარბობლები არიან. სიცოცხლე უბრუნდება შიანეთს.

ეს შესძლო ღენინის პარტიის სამართლებ და ხალხის ძალით. ურეუბა და გაუტებულა ჩქე-

ნამ, სამშობლოს სიყვარულმა და ეროვნულმა
ენერჯიამ: ეს შესძლო იმ დაუღალავმა ზრუნვამ
და შემოქმედებამავე შემართებამ, რაც წლების
მანძილზე გამოიჩინა საქართველოს კრწანთის
ცენტრალურმა კომიტეტმა.

მალაგონიერი და ეთილშობილი ქართვე-
ლი მწერალი გერონტი ქიქოძე თავის წერიალში
„ქართველი ერი შიის ხალხია“ აღნიშნავდა:

„შეძლებს თუ არა შეირც დიდა ისტორიულ-
ერის დასაზღვრება, რომლის კულტურასა და სუ-
ლერს ფორმაციაზე მთებს ისეთი ზეგავლენა
მოეხდინოს, როგორც მათ ქართველ ერზე მო-
ხდინეს ქართველი ერი შიის ხალხია და თითქ-
მის ურველი ქართველი მთაშველია წარმოშო-
ბის და ბუნებო. დასავლეთ ევროპაში, ინდოე-
თში, ჩინეთში, ანტიკურ რომსა და საბერძნეთში
შენობები დაბლობებშია აგებული. ეს თქმის
არა მარტო ტაძრებსა და სასაბუღებო. არამედ
შინადა თვით ციხე-სიმაგრეებზეც: საქართვე-
ლშიც კი პირაქით, ეკლესიების და ციხე-დარ-
ბაზეც კი შიის რელიგიური შეფარდებული.
შიის პეიზაჟის ფონს ქმნის, ბუნების მონუმენ-
ტურ ანსამბლში ზედის: გაიხსენეთ მცხეთის
ჯვარი, ატენის ხოლი, მაგარტის ტაძარი, გულა-
თი, საფარა, ზარზმა, უფლისციხე, ვარძა, ბეთანია,
სამშვილდე, თოგვი, აწურთა და მრავალი სხვა ძე-
გული. შიამ ქართველი ერი გადარჩინა გადაშე-
ნებას... ქართველ ერს, შიის ფიქვის მშავსად,
თავის ფესვებით კლდე გაუღებოდა და ნაპარდე-
ში მაცოცხლებელი წყენა უძებნია“.

ლამაზად ნათქვამი სიბრძნე ამ სიტყვებში,
როგორც ეს სწავთა ბან გერონტი, ამასთან,
აქ შეესაბამება და მორიგეული საქართველოს
ისტორიის ფილოსოფია.

კონსერტი მანუხარაშვილის ალბანურად

ღვინდამ მოგვითხრობს — ქართულმა გარმა
ბატონიანს ციხე რომ აღო, გამორჩეულმა
ზეზეა გაფრინდოულმა ამ კებიდან გამოქრულმა
ცხენი და თქვა: სადამდეც ჩემი ცხენი შეძლებს
ქენებას, აქამდე აქნება თუშების სოფლებიო.
გაქენებულა ცხენი ტატიგორასთან შეჩერდა...

მართლაც, თუშეთის ბარის სოფლები ბა-
ტონიანიდან ტატიგორამდე გადაეპოვლი.

პანკისის ზეობიდან ჩამომდინარე ალაზნის სა-
ნაპროზე, მთების ვასწრავ, გამოიღო უბო და
ბარაქიანი სოფლები: ზემო ალაზნში უმოთაგრე-
ხად წოვთა (ხაბუბის) მოდგმა სახლობს, ქვე-
მოში კი — ჩაღმა თუშები.

თუშეთი ზეობებშია ჩაფენილი. პირაქითა თუ-
შეთი მწველიდან აჩუბა, აქედან სათავეს იღებს
პირაქითის ალაზნი. აქურს სამოცრებზე ზემო-
ალაზნულთა — პირაქითისა და წოვთას ცებრის
ფარება გაშლილი.

ჩაღმის ზეობაში, სოფელ შენაქოს ძირში ერთ-
დებთან პირაქითისა და ვაშქრის ალაზნები.

აქურს სოფელთა ცენტრი იმდროს სავსეა
პური საფარით, ფიქვის, არვის, ვერძის ხეებით
დაფარული.

აქურსი ციხეები ერთმანეთს ვასკერაინ და
ერთ შილიან კომპლექსს ქმნა. ძნელდებლობას
ისინი ასრულებდნენ უდიდეს როდ. ახლა კი
წარსულის უტყვე მემკვიდრედ წამომართულან
და მოგვითხრობენ გვირ წინაპართა თავგანა-
ვალს.

1981 წელს... ავლისი. ომალოსაქენ დიდძალი
ხალხი მიემართება. აქ დიდი ზეიმი მოეწყობა.

ზეიმიზე მანქანთა გავრეგზავრეთ. წვიმს. ორ
დღეა ცუდი ამინდი არ გვასვენებს, პირველი
ზიფთი სტორის ზეობაში დაგვხვდა — თორღვას
ამანოს ხიდი ჩანგრეულია და შეუძლებელია გას-
ვლა. ადვარებული სტორი ღრიალით გეშვება
ლოდებზე. ტინეზე, ალაგ-ალაგ ვიწროებში თავს
იბრძობს.

მარტო ჩვენს არა ვართ ამ ურფაში, სხვა მგზა-
ვრებაც ჩვენს დღეში არიან, მათაც ვერაფერი
მოუხერხებიათ. სულ მალე ვილაყამ დაიძინა:
ქვებით ამოვავსოთო უფსკრულიო. ვველა ჩავე-
ბით საქმეში, ერთმანეთს ვაწვდით ქვებს, ვვა-
ლაფერს, რაც ზელი მოგვხვდებოდა, ოღონდ სა-
ხელდაბელო გადასასვლელი გაკეთდებ...

ფიცრის ქალიდან, — ასე ჰქვია კანკაბოვანის
ალაზნის პირას შედებარ ერთ-ერთ ხეცს, ალაზ-
ნი ოთხგან არის გაღასაღაბი. მდინარე მოხსუდა-
რა და ზევებიდან მიერთებულ ღვარს ცოცმო-
რეული ნიქავს.

ომალომდე მცირე მანძილია, მაგრამ მდინარე-
ში გახვდა დიდი რისკია, ღამეს აქ ვათვთო, კო-
ცონის პირას, ღვებსია და საშღერის ცეცხლიო...

მთებში შეუთვლელ ფიცრის ქალს თუშურა
შელოდა მოეფინა, ვილაყა გარმონს ატირებს,
მის ძალას ნელ-ნელი გამოჰყავს ძილიდან სათი-
ლობელ-მოხერხული მგზავრები. ბოლოს ვველა
ერთ კოცონთან ატირება — აქ, სადაც გარმო-
ნია, შელოდის ხმაში ნახერხდება ვარკველავი-
ნი ღამე...

თუშებს ძნელად თუ ვინმე შეეცობრება ხალ-
ხური მუსიკის სიყვარულში. თითქმის ვველა
ოქაბში აქეთ გარმონი, ნორჩ თიბის ასწავლიან
თუშური საცეკვაოებისა და სასიმღეროების ან-
ბანს.

და აი, დღესაც მოდამოს უფინება ზარაინი
თუშური მანგები. ურჩავენ მეცხრეტასეული
ელიყო თორღვაიქ, მისი მგვობრები — გოგი
კოლიკიძე, გელა ბატურაძე, ოთარ აღბანაძე,
ლუია თათარაძე, რეკო აღბანაძე, ციური
აიკური, მერი ნაზოზული, დალი ჭრნიაშვილი,
ციცინო ქააძე, აქვე არიან პოეტები გივი ჭიჭინა-
ძე, ანზორ ახუღაშვილი, მწერალი ნუგზარ შა-
ტაძე და კიდევ სხვები...

ხიშდერთი გადმოსცემენ თუში ხალხის უოფს
— ბარიდან მთაში გამგზავრებასა და პირაქით.

შეუბიან მგზავრობაში გადატანილ ზოგადებზე და მშობლიური მთების დანახვით გამოწვეულ სიხარულზე. ერთი მთავანი მღერის:

ჰე, მთებო გოლიათებო!
გააღეთ კლდეთა კარები,
გააღეთ გელის კარები,
მოდიან თუშთა ფარები.

ამას მოხდებს:

რა ლამაზი ხარ თუშეთო,
დილოს წინ, ველო ტყვიანო,
შენი შემეფრე დამბურდი,
ქედებო ყინულიანო.
ნისლებში გაბეწულვებო,
დილდლით ცეარ-ნამიანო,
შენი ხმაური მამწვილებს,
ხვეებო კალმხიანო,
შენი გაზრდილი შვილები
გმირებად ითვლებიანო.
გასახელებენ თუშეთო
თუშებ ამიტომ ქვეიანო!

მერე „წიფლოვანზე“ გადადიან. ეს ტყის სა-
ხელწოდებაა თუშეთის გზაზე. ამ ადგილას ბევ-
რები გადასიხვია თუშის ქალს და გარმონზე
ამტაცებულად ტირილს ხაღბზე „წიფლოვან“
რწმად. მერე უკან მოტოვებულ „სოფლიანთ
ხეზე“ იხსენებენ — ბევრი გადახტებოდა იქ... ზო-
მის კი ისევე უძველესი თუშური საცეკვაო —
ოგი მოზუცებისა და ქართული ენისა და ლიტე-
რატურის მასწავლებლის — დიანოზ ვოჩიალიძის
მეშვეობით აღუდგინათ.

...მთებში გარინდულ ვარსკვლავიან ღამეს და
მგზავრობა ძალს ისევე აკრთობს გარმონის ნაღ-
დიანი მღეროდა.

აგერ ომალოც. თუშეთის გულა. მორხან
ბავშვები, ბარში წამსვლელნი, თუშეთივით კრე-
ლი თვახარები ფრიალებს. მოღს გული გადა-
უშლია და წაირნარია უვადლებით მოფარდა-
გებულა. ფინურად ნაგებ ხაზლებში სატუმრო,
კაშვირგამზღობის სახლი და მწვემსთა ბიწე-
ხია. აქვეა საქონლის ბოსელი. ომალო კოპჩიაა
და მთებში ჩაკარგული. ზვიდალ მოჩანს კესე-
ლოს ციხე, ქუმეღაურთა, ხახაბო...

ვეება მიწდორზე ზვინებდა დაუდგამთ თვა.
მწვერულ ხანხანებს კარტოფლის ნარგავები.

ატანსი სიზმარი, ატანსი სიხარული

ადრე ვინ წარმოადგენდა, რომ ომალოში მან-
ქანა აზოაღწევდა. ის კი არა და, ომალოდან შე-
ნაქომედ მალე სხაგორ გზასაც გააკეთებენ. ეს
სახაგორი დიდ ბევს გადაქცეობს, სატყარით მან-
ქანებსაც გადატანენ და დიკლასაც გადასწვდენ-
ბა მანქანების გუფონი. მერე იღვეტორდენი
აზოვა, ციხეფრი ეკრანიც აიკონიშნებს...

თუშეთში გზის გაყვანა იოლი შეიძლება იმას

ეკონოს, ვინც არ იცნობს ამ პირქუხ ნიღბან
მთებსა და ხეობებს, სადაც ზვაგი და მწვერთა
გამოდებებით ბრუნავს, სადაც ამინდი ყოველ
წუთს იცვლება: ზან წვიმაა და თქვენი, ზან მზის
სიცილი იდება გატემოს, ბუნება ათას ბიფას
და სიხარულს გამოადებს.

1949-1952 წლებში სამანქანო გზა ლტე-
რიდან ღორღვას ახანოზზე მოვადა. გზას
მშენებლობა კვლავ განახლდა 1972 წელს და
კახეთის ქედის უღელტეხილამდე მიაღწია. 1974
წლიდან კი მშენებლობა კახეთის უღელტეხი-
ლის გადაღმა „თბილის-გორაკის“ მესხურ რა-
ზმმა დაიწყო ფიცრის ქალის საცხვრე ზორხადან
ომალისა და კახეთის მიმართულებით, რომლის
მშენებლობას ზედმძღვენილობდა ანგინტრა და
მწერალი ავთანდილ გალდავაძე.

ფართო გზა ნაღმების, ბულდოზერების, თვაი-
შავალი ხაზური და ნადგავარების მეშვეობით გა-
ყვანეს. ნაბიჯ-ნაბიჯ, რთულ პირობებში მომდი-
ნარეობდა საგზაო სამუშაოები.

...მახსენდება, ცხრას სამოცდახუთმეტა წელი
იყო. მაშინ ზღვებზე წახსავლელად აიღდა ფე-
ხი, დღემდე წვიმამ მოგვარა. მერე უფრო აძ-
ღაყრა. ცოფმორიული აღაზანი თავიუბოგლე-
ქილი გარბოდა, ხეებს და ლოდებს მოაგორებ-
და.

წვიმა, მთებზე თოვლი დადო. ციოდა. ბულ-
დოზერები ვეზვებოდნენ. სამ-ობს ადგილის
ვიწრო ბილიკები იყო გადასაღება. ზოგჯერ ხას
ტოტებს ეშკადებოდათ, რომ უფსკრულში არ
ჩავცვიწილიყავით, ზოგჯერ აღაზნის პირს მუ-
ღამდე მომდგარ წულში ეტოპადით...

1978 წლის 28 სექტემბერს პირველი მანქანა
ავიდა ომალოში. გზა კეთილი კვალივით ატვია
თუშეთის ქედებს, რომელზეც ფართოდ გულრი-
კარი ადამიანებს: ხანგრძლივა ზომრის ტყეო-
ბიდან გამოიუვანა თუშეთი, რომელიც საქართვე-
ლოს ბართან მზოდოდ სამაგრო ტრასებით და
საცადლებო ბილიკებით იყო დაკავშირებული.
მთავარი სიძნელე უკან დარჩა, მალე თუშეთის
აღაზანზე ღლითის ბიდი გაიდებო: გზის მშენ-
ებლობა კვლავ მიმდინარეობს — სხვაგანაც ხე-
დებია გადახაყვანი, განსაკუთრებით წულადო-
ბის დროს კირს გადასვლა. მწვერუტსაწინააღმდე-
გო ქეზირებსაც დამენ. გზის ვიწრო ადგილებს
აფაროებენ.

იმ შაკერი წინააღმდეგობის გადასაღებად.
რაც მთას გაჩნია, მშენებლებმა წინასწარვე
გაითვალისწინეს და გზის პროექტში შეატანეს
კახეთის ქედში გვირახის გაყვანა. აა უხვ გაკეთ-
დება საშვილიშვილო საქმე — სამანქანო გზა
მთელი წლის განმავლობაში გახსნილი იქნება.

ახალი გზის გაყვანამ ტყარობს გადატარ-გა-
მოტანის ხარჯები უკვე ომბოცო პროცენტით
შეამცირა. ომალოში ორასი ბავშვისათვის აწევა
სკოლა-ინტერნატის მშენებლობა, წულსადენის

გაუვანა, როცა ნასუქ ცხვარს შემოდგომაზე ბარში მიერკეციან და თელავის ან თბილისის ხორცკომბინატში ახარებენ, მთელ ამ მოქმედებაზე გზულ თაით ცხვარი 3-5 კილოგრამს კარგავს... ახლო მომავალში განზრახულია თუშეთში აშენდეს მცირე სასაქლო-მაცივარი და ცხვარი ადგილზევე დაიკლას, რაც დიდ მატერიალურ რესურსებსა და დროს დაზოგავს. ამასთანავე განზრახულია შეიქმნას მეცხოველეობის მძლავრა საკვები ბაზა, თუშეთის მდიდარი ბუნებრივი რესურსება ამის საშუალებას აძლევს.

— ასრულდა თუში კაცის ოცნება. ვერტმურჩნით ამოვი ჩვებოდა ტვირთის ამოტანა და ხშირად, საუბრენი ამინდის მოლოდინში კვიარობით გვიხდებოდა ადგილზე ცდა. — გვიბზრა ქვემო აღვანის მურწინების დირექტორმა ვახტანგ თორღვაიძემ.

დიკლო და შინატი

მა ერთმანეთისაგან ძნელად განასხვავებთ. ორივე ღამაში სოფელია, ორივეს თავისი საზოგადოება აქვს.

ესენი ქვემო აღვანელ თუშთა სოფლებია, უკლებლად შეიძროდ დასახლებულნი თუშეთში, ხალხი უკლებლად მტრ ამ სოფლებშია ტრიალებს. ქვემო აღვანელთა მეორე ფერმის მეთაბე ბრადიდის შენობა დიკლოს ქალსავით ადგას თავზე. მწეუმბთა ბინასთან ღობეზე ცხვრის ტყავება ჩამოფენილია.

ზაფხულია, მავკამ ქობის შუაგულში ციცილი ანთია და ქერადან საკიდებელზე მიხმულა ქვაბი ეშვება. ბინაში დაგვხვდა ბრადიარი — გიგო თათარიძე, აფხაზად თორმეტი მწეუმბი გვაყავს — გვიბზრა: დაანოზ ბეწუნაძე, ოსებ და ზურაბ მოწინაძეები, თემო შაძე, შოი ხაიძე, ტრიფონ ვარდიძე, ნოე ქაგოღანიძე, შამილა ქორთოშიძე, გურამ ბეჭურაძე, ლოდა შაძე, ლადო გოგოთაძე, ზაზბულია ღამაზაწოვი. ბრადიადში ოთხი ფარა მუყათ, ოთხი თახის სული ცხვარი.

ოცბას გაავლი და დაიწახე ქეროს, — თუშეთ-დაღესტნის საზღვარზე მდებარე სოფელს, რომელშიც ახლა დეკეხი ცხოვრობენ.

ძველ დროს აქედან მტრულად იმჩირებოდნენ დეკეხი და ქისტები. ბევრ მთფანს სხვისი საქონლის მოტაცება მჭირდით ხელობად, ბევარი ცხენი და ცხვრის ფარა გაურტავებ. ბევარი თუშთა ვაჟაკი გულგანგმირული გადურჩევათ ქიუნებში. ბევრჯერ კი ძლეულნი გაბრუნებულან უკან. თუშები მკაცრად უსწორდებოდნენ აკო ზაზბუვით მოსულეებს, თორემ მათ კეთილი სტუმრის კეთილად დახვედრასაც ვერავან ასწავლიდა.

მტრობა, შუღლი, ომი, ძალადობა, დიდი ხანია თუშეთის აღვანში თავის შმაგ ტაღლებს გაატანა. ჩვენმა დრომ ძმობის დიდი სიკეთით აავსო

უკელა ხალხის გული. მიუხედავად აღვანის მთებისა, ები ახლა წარსულის უტყვე მოწმედ დგას. უამინდობისა ზოგჯერ მგზავრს თუ გამოადგება თუშესსაგარად.

ამ წინაპართა სისხლით მოარწყულ მიწაზე, წუაღაქარა მდინარეთა ბეობებში ახლა ცხვარი ზალახობს.

უკელა ბეობის კალთებს ცხვარი შეფენია ისეთ ციციბო ფერდობებსა და უფსკრულის პირებზე, რომ მარტო ცქერიფი კაცს თავბრუ დაეხვევა.

მთაში ბიფათა შეიძლება უოველ ნაბიჭზე დაგვდეს. მუცხვარე ხშირად გვერდს ვერ აუღლის მას. ფერდობებზე ზალახობისა თუ ძლიერა ქარმა დაპტრა, შეხაძლოა ათეულობით ცხვარი კლდეებზე გადაჩნდეს. მთა მარტო ცხვარს კარა, ქაზხავა ამარცხებს ზოლმე. გაზაფხულობით რომ ფერდობებიდან ზვავა ჩამოწვება, თოვლი რომ დნობას დაიწყებს, აი, მათინ ნაბეთ ვახაჭირი. კლდის ბილიკებს რომ შემევეებით, თვალზე უდგამი კლდიდან მოგლეჩილ ვეება სიბებსა და ლოდებს დინახავთ. არავინ იცის, როდის მოსწყდენ მთებს ეს ქვები და ლოდები. მდინარე აღვანის კი თითქმის გულამდვრეული, გაჭარხებულია ლოკავს ტინებს.

ბევრ ღოდზე წარწერილია იმ მწეუმბთა სახელები, რომლებიც ოდენდაც აქ ცხვარს აძოვებდნენ. გაივლიდა მუცხვარე და სიამე ამოტოფტრავდა თავის გვარ-საბუღს, თარაღს დახატავდა, რაც სულს უფორიაქებდა, ფანტაზიით შექმნილ სახებს გამოაჩუქურთმებდა. ვაიხულოვით ქვაზე წარწერებს და ჩვენს თვალწინ ცოცხლებიან ლეგენდად ქვეულ მუცხვარეთა სახეებს წარწერები ქვეშე ტრაგიკულად დადუქულთათვისაც გაუკეთებით, რომლებიც მრავლადა გზის-პირებზე, და ასე, ამგვარად იწერებოდა მუცხვარეთა ისტორია, რომელთა სახელოვან საქმეებს, მამა-პაპისეულ ტრადიციას ვაგაკურად ავრძებლებენ აღვანელები.

სომხალი მშპუნანი და სომხალი მარტალი

სოფელ ჩივლაურთასთან დაბინავებულია ქვემო აღვანის მეორე ფერმის მეთაბე ბრადი. აქ უკელა მწეუმბი პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას. აი ისინი: კოსტა და ნოდარ შახილაძეები, ნუჯარ გომილაძე, კამბულ გრიგოლაძე, ხენია ანთაძე, სოსო ზაშინფრძე, კარლო გორილაძე, ვალაკო ვაგოძე, ხანურ და ზურაბ გიგოძეები, ჭუმბერ წაყლაძე, ვახტანგ წომიკურიძე, სარქალი—გარმა სუხნიაძე, მამა-შვილი ფილო და ოთარ ჩეთაიძეები, ზასაკ რაინაული, ადექსი მამულაშვილი, პლატონ თელავრაძე, კომიუნიკატორები: თამაზ აწწუხელიძე, შოთა არ-შაულაძე, ნოდარ რაინაული, პაატა ახუდიძე, ხენაკ აწწუხელიძე, დიკტე აფთარაული... რომელი ერთი დავახაზებო, ვინ მოკვლის იმ თუშ



მოთხიარეთა სახელებს, რომლებიც ვაქცაურს საქმეს უდგანან გვერდით და მოუღლებლა მარტვენიტ სხახლში დოვლათს ქმნიან მათ, უველებ ერთი საფეიქრალი და ერთი საწუხარო გასჩენათ, უმარტვენდა კი ტრახაზე საძოვართა სიმცირე.

გამორჩინდა საჩქალე კონტა მანწერაიქე რჩ-მოცდათქმსმეტი წლისა. იცა წელი მანწადე-ზლობდა უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგის ფაქულტეტი დამთავრა და რადგან ხავე-უპობიდანე ცხვარის სუფარული არ ასვენებდა, ცხვარს მათუთრა, — შორაქში ცხვარი უმეტრო-ნოდ დარჩა და რა მემანწადელებდობოდარ—თქვა.

— ექ, ხადაც ცხვარი მიგვიდის, — ჰვევბიან მწვემსები, — წითელწუროდან და წწორადან მოუღლებულე, გზაზე ათისი რამე ურია: კონსერ-ვას ქაღები, საჭმლად ნარჩენები, მიწაც ხში-რად მიწერალებით არის შეწამლული და ამ მი-წეზეთ ათსობით ცხვარი გვიკედება.

— ტრახებზე უველა ჩვენ გვეჩხვებება, — მე-ზობსტეც, შევეღვაც და შევეწახვაც თუ ცხვარმა ტრახის სიხალღვეს მოძოვა — საქმე ანა მანწინა წახე, ჩხუბა და ვა-ვაგვალა. ანადა, მშვირი ცხვარის დაკავება ძნელია. გზას უდალ მხარეს არ-ბა ვასდევს, მეორე მხარეს ვენახი და ათ-ქმას მთელი კვარის მანწილზე ცხვარი მშვიერი რჩება. თავის მხარე, მართალია მევეწახე, მაგრამ ვანა შეცხვარე სტყუის? შიდი და ან ერთს გა-უწყარი ან შიორებს. ბიბლიის სლოგომონ უნდა მათ შერიგებნას.

— შეზოდგომობით ცოტა არა უწავს, კარმა-ხული აღებულა, ღობებში ვახსნილია. ცხვარს იქ ვაწოდებთ, ამით შამწილობას ვარიღებთ, — გვითხრა საჩქალმა და ამოიხრა.

უნებურად მახსენდება ერთი ეპიკოდი პუშ-კინის „კაპიტანის ქალიშვილიდან“, როცა ბელ-გოროდის ციხე-სიმაგრეში კომენდანტის ცოლი კახალ პროზოროვისა და უმა გლეხის გოგოს უსტინიას ჩხუბის გამო მოსამართლეს უბრა-ნებს:

— გარჩიე პროზოროვისა და უსტინიას საქ-მე. ერთ თუნგ მდუღარე წვალზე წახუბებულან, გაგე რომელია მართალი და რომელი დამნაშა-ვე. შერე ორივე დასაჯე.

ცოტა უსწურა სამართალია და მას ჩვენ ვერ გავუვებთ, მაგრამ ამ საქმეზე რომ ღირს დაფა-ქრება და ისი კი აკამარტო ერთი რაიონის მან-სტაბით, ეს კი უღაოა.

ქვემოაღვანელმა აღეკანბრე ბექურაიქემ გვიამბო: კავკასიონის უღელტბილის გადმოსას-ვლელადან ერთ-ერთი გზა ენახელ-სახიუს ხეო-ბით მოდის, რომელსაც ადორიას უღელტბილი ჰქვია, თუმცა იგი მამა-პაქეულ გზად ითვლება, მაგრამ ჯერ კიდევ ოფიციალურად არ არის გან-საზღვრულა, თუ ვის ეკუთვნის ის — ე. ი. მეც-ხვარეებს თუ ადორიადან მომოდინ ბოდმე, რად-გან კვლამ სხვა უღელტბილებთან შედარებით, უველაზე ზეღბაერტი გზა თავისი ფართო ხა-

მორტებით, თუმცა ძალიან გრძელია, მანწილში ვად ამისა, მეცხვარეები არ უწინდებობენ დაუ-დაც მათ ცხვარსათვის სახალხო ჰქონდეთ. თო-რემ ისე მეცხვარემ აქეთ ზუთი ქელი მაინც უნ-და გადაიაროს: უადორის უღელტბილი, მეტრო-სა და ველ-კეთლის მთები, ხარის წყაროს უღელტბილი და ვადუთის ცერა.

მეცხვარე ამ ტანჯვა-წამებას არაფრად ადგებს, რადგან იცის, რომ ცხვარს არ მოწივდება.

ეს გზა ამითაც ვანსხვადება დანარჩენი უღე-ღტბილებსაგან, რომ უწინაა და თოვან-სტენი და სხვა პირუტყვი სხვანგან ფებს ველ-ს იკიდებს, თუშეთში დარჩენილი მოსახლეოვა იძულებულია ამ გზით იაროს. საქმის მოგვარება აუყოლებლად მიმანია, რომ ჩვენსა და დღეს-ტრელებს შორის ვაუგებობა ადარ მობდეს, ზნორად აქვს ადგილი გამოაღვას. თუ ცხვარს, ან ფულს შეაძლევ, გაგატარებენ, არადა, არ მო-გცემენ საძოვარზე გადახვლის უფლებას.

თუშეთში მიმავალ ერთ გზას, აღმანთან რომ ჩამოდის, ხოწარე ჰქვია. მოდიღებულა წვალმა ხელე წილო, ამიტომ მწვემსობა ათ-თორმეტე კოლომეტრის შემოვლით მეორე ხილზე გადადას, მაგრამ იმ მცირე მანწილზე ვახსკველი გზა იელის მხამინი ზუჩქით არის დაფარული და როცა ცხვარი მას შეხვამს, იბრცება, ახლან-ხილის მწენებლობის ნებასთვა მიიღებს. ითაქოს მდგომარება შეიცვალა, მაგრამ ზე-ტვის უქო-ლობის გამო, მუშები მომცდარს არიან, ვინა-დან ახლად შექმნილი თუშეთის ნაკრძალი კრ-ძაღვს ბის მოჭრას; საქირთა სხვა საშუალების გამომხატვა, რომ დაწეებული საქმე დაგვიჩვენ-დეს.

მწვემსმა ნოდარ მახალაიქემ გვითხრა:

— თხუთმეტი წელია ცხვარში ვარ, ჯერ ჩე-თვის ერთი წვეალი ჩექმის გარდა არაფერი ურ-გუნებთათო, სეცტანასაცმელზე ხომ უდამეტაა დაპარეკი, ნეტავ იუადებოდეს მაინც. — ჩვენვე შევერდებო, ის მხოლოდ მეურნეობების საწერბე-ზში მოდის, დიდი მოთხოვნაღება და აქი აშო-ვნება, ნახდებიც უზარისხო ვაქვს. ნეტავ ვაჩუ-ნათ წეაზის დროს ხადეაივისაგან სხებზე და ტანსაქმელზე წავი დატემა როგორ ჩამოგვდის.

წავის, გული გავმშვება, როცა მეცხვარეთა ასეთ საწუხარს უსმენ. მათ სულე ჩაბუდა და გაფრთხილება სჭირდებათ. არ არსებობს მეც-ხვარეობაზე რთული საქმიანობა, ცუდ ამინდში მკვლავებმოუღლები შევეწახე არ მუშაობს, ხადმე შეეფარება, მაგრამ ცხვარის პატრონი მწე-მისა ცხვარს გვერდიდან ვერ მოსცილდება. მას მარტო გამწებდობა და ვაქცაობა ვერ შეედის. დოლის დროს ჩვილა მავშვავით დასტრიალებენ ცხვარ-პატარს აქ უვეე საზრანობა და ნების-უფთა საქირთ, რომ მძიმე მდგომარეობიდან გა-მოიყვანო დედა და ბატონი, უწამლო, ტყვერო-ნი და მოდლინიერო. მოდა, ამიტომ მეცხვარეს მეტა მიბუდა უნდა, მხარში ამოგვობა, ნეტემა, თბილი ზელი.

მედიკალინური ლექსის რევიზია

ზემოაღვანელოთ მოლოდინში დავადებით პარ-
იქითა თუ შეითხავენ მისხვალ გზას. ჩვენი მეტე-
რები არაან ეკონომისტი ზოთა ცისკარისვილი,
მეურნეობის მუშაკი იარაღი უშარბული და თუ-
შეთის სატყეო უბნის უფროსი ტექნიკოსი თენ-
გიზ თორღვაიძე.

მე თავა ყოველთვის ხალხისად ვთვლიდა,
მის სიუყვარულმა მთებში მატარა,
ღმერთო, რად მომეც ოცნება დიდი,
თვით სიკოცლზე ეს ასე პატარა.

თუწის ტაროდ მეორეშვალის ამ ლექსს
გვაციხებენ ზოთა, თან მის ხანმოკლე და სევდიან
სიკოცლზე ვთვებო...

ძველ ომალოს რომ გავცდეთ, თავვე დავუ-
ყვით, გზამ გაივსო, მტრე ისევ აიწია და სვე-
ნებ-სვენებით წავედით. ძალიანაც რომ ვინდო-
დეთ, ჩქარა ვერ წახვალთ. კლდოვანი აღმართი
არ იძლევა ამის საშუალებას.

უნაპირი სიჩუმე... ვადახვევი, ვიწრო ხედი.
ჩამდენიმე წუთში მოლზე კარვები შეენიშნეთ,
დიდი ხევი და სწრაფი მდინარე, აქ დართლთა
არწივთა სახეღარა.

...ძველად, ლეკებს შემოსევასას, ხალხი დარ-
თლოს ერთ-ერთ ციხეს შეხაზნებია, წყალი რომ
შემოდევიათ, თენგზე მიუხამთ თოკი და ხევის-
წყალში ჩაუშვით. თურმე, ღამე თუნგი ბრჭკუა-
ალებდა, მტრია მიხვედრიალა დართლოვლია
ზრანვას, უნარლიათ თოკისათვის, თოკი და თუ-
ნგი სახელსახათის მოუწყებიათ; წყალი რომ
ვერ აიტანეს თურმემა, მტრის ხანაკიად ერთმა
მოკეთე ლეკმა გააფრთხილა; თუნგს შავა ნახადა
დაახვიეთ და ისე ჩამოუშვითო. ასეც მოიქცნენ
და გაიძლეს მტრის ალყას.

...ერთხელ თურმე ლეკს ქარა ჩრდილოეთის
მხრიდან შეიოქნა დართლოს, ღამთა გაღმა
ღუთა რაზმის მეთაურა ელიონისა სწევდა, თუ
შემა ესროლეს, ტყვია ელიონს მოხვდა მეთა-
ურს უთქვამს ცუდად შენაშნა ეს, — დავმარც-
ხდებითო, — და უკან გაბრუნებულაყვენ.

სოფელში რეზო ცაძიკიძე ვკითხეთ. ეჭვით
თავებრძობის ბრძოლა და ქ დამოს მთაზეო — გვი-
თხრეს, ეს ეველაზე გამოჩნდულა ბრძოლაა ზე-
ნი ალყანში, თუმცა სხვა ბრძოლებიც ბევრად
არ ჩამორჩებიან.

მედიკალინური პბიტაციის

რეზო ცაძიკიძის სახელში რომ მიგვიწვიეს,
მასხანდელი ცხვარ-მეცხვარის სადღეგრძელოს
ამბობდა, ზღუდრისას, ვინც ზღეს უშარბთვს თუ-
შეთის მწყემსებს... იგი თავის საქმეზე, მწყემს-
თა ცხოვრებაზე ხალხით ღაპარაკობს.

გვიან ღამე, ბინად რეზო ცაძიკიძის სახელში
ვართ. იგი ტანმორჩილი კაცია, ხამოცდახუთი-
ოდე წლიაა, ტუბილმოუზარა.

— ახალგაზრდებიდან ცოტანდა მწყემსნი მწყე-
მხად, აღარ გვყავს ისეთი თაობა, ზემს უფლები
მის დროს რომ იყო. მეცხვარეობა ვუყავსო
წილზედრია, მომთაბარეობა ძნელია, ბევრი ახა-
ლგაზრდა ეს საძნელეს ერადება. ამას იმიტომ
მოგახსენებთ, რომ გაჭირდა მწყემსის ზოგნა და
აძულებული ვართ ვიჭირათ ისეთი ადამიანები,
ვინც ვეღარც იმ სწორუპოვარ გულის ეველს
აუთებენ და ვერც რაიგანად უფლიან განთქმუ-
ლი თურხი ქიშის ცხვარს. რომელიც ერთ
დროს კინაღამ გადააშენეს.

— ხაელთარ კახინეშვი ავტაცია ვის გაუგო-
ნია? — აი, აქ ფერბებში უნდა აშართებოდეს
ხალხები საკირბორტო საკითხებზე. ჩვენი
ყოფილი ისე თავისებურია, რომ ადამიანმა თავისი
თვალთა თუ არ ნახა, ის კარგად ვერ შეუფასებს
ჩვენი ცხოვრების პირობებს; ამ მხრივ ახლა,
ბოლო წლების მანძილზე, საგრძნობლად გამო-
წირდა მდგომარეობა. ზემდგომი ორგანოები
ეველაფერს აკეთებენ თუში კაცის დასამარტრ-
ებლად მთაში, ამიტომ მეცხვარეს გული აღარ
უღერდებდა, როცა დაინახავს, როგორ აფასე-
ბენ მას საქმიანობას.

რეზო ცაძიკიძის ავტაცია მართლაც რომ
ქმედითია, იგი სოფელ დართლოში ატარებს წე-
ლიწადის ოთხ დროს, სხვებსაც აქეთიერ მოუ-
წოდებს — მთაშორის თავთვის ფუძებებს, აღა-
დგინრო დაქცეული ბინები.

პირიქითა თუ შეთში, ზემო ალყანის ცხვრის
ფარება ვაშლილი. ზამთრობით ეს, ჭარბათადად,
ზიარქში იწამთრებენ, აქ თბილა, დოლიც უწყეს
და იქვე წყდება ზარალიც და ზვიარო მეცხვა-
რისა.

აქ მეცხვარეობის ორი ფერმაა. მეურნეობაში
სულ ოცდახუთი ბრიგადაა, რომელიც ახლა მს
თაქამდე ცხვარს იოვლობს. აქვეა მეძროხეობა-
ერთი ბრიგადა, ხამსიოდე სულით. ბევრა მო-
ჩინავე მწყემსია ამ ბრიგადაში, მათ ზიარს
პირველს ასახელებენ ვერა ქოქორიშვალს, მტრე
დასძენენ — სინდნეების გამო შავ მთაში ახა-
ვის უნდოდა წასვლა, გოგის ეს უარი არ უთქ-
ვამს, დავა იყო, რომელი წავიდოდა. წილა უე-
რითა. ამ დროს გოგის მშის კორწალი მჭონდა
და თურმე ვერავის შეხებდა, გამოიშვითო. ნიშნის
დაუდებლად ცხვარს არ ცხვრის და ეველა დე-
და-შვალს ცნობს.

მტრე ჩამოთვლიან სხვებს: ანდრო პაროშვილი,
ნუგზარ თათრულიაძე, თენგიზ ელილაშვილი,
ვაჟა ხასხაგურია, გაბრიელ ილიაძე, ვაჟა ლაგა-
შიძე, უსუფ ცუხურკიაძე, ალიოშა იმამიძე, ბრი-
გადირი გოდერძი თათარიაძე, არსენა თავებრი-
ძე, შიო ლეკიძე, ფორთ თლიძე, დამიანე და
კაყო შაიდუბი, აი არასრული ხის მონინავე
მწყემსებისა; გამოცდილი თავრობანის ექთო
თავებრძობის ბრიგადაში ეს დედაცხვარზე ასი
ბატანი მიიღებს, გოდერძი თათარიაძის ბრიგა-
დაში 20-ის ნაცულად 22 ბატანი.

მარტო ზემოაღნიშნულ სტატისტიკის მხარეში სამაგისტრო მდგომარეობა გაქცეული მუშაკების მხარეში წარუდგინა ისინი? მართალია უმჯობესებას ვაწვალა თუში მუშაკები, ათასობა წერილობრივად გაწვავდა გული, მაგრამ თუკი ამ კარგმა აღნიშვნებმა არ მიიტოვებთ თავიანთი ფუძე, გადახვეწილებს რაღა დამართი გაუწერათ, — უნარადლო, უფრო იოლ ცხოვრებას, ბლომად ფულს დაუბარებენ, შეგობრებს და მოვალეობას კი უღალბებენ...

ადრიაან დღეა, ცხენებით მივდივართ. ბილიკი კლდის პირს მიჰყვება. აღაზანი კვეთით ვაწვალავთ. ანაბლობს, პიტალო კვებს ღოკავს. ცხენები ფლოკვენიდან ცეცხლს აკვებენ. ფიქარი წინ გვიწერებს...

ამ ძნელი გზიდან მივალდებულა სულ შეცვარის ხედზე ვფიქრობო, მის რთულ პროფესიაზე, ხაზილებზე.

უველა სოფელში იგრძნობა შენებლობის რიტმი. ისინი ცულ-ჩაქურის კაენი, უველა თავის ხაზს დატრიალებს, ხაზით ნაგები კედლებს ხაზურაგად ადგამენ, თავებებს ალაგებენ... მძინებულა ნახაბარები თავის ახელენ...

ღრუბლიანი ამინდია. მზე ხანდახან იჭურტება თავისი საბრძანებლოდან. უკან რჩება კლდოვანი აღაზნის პირი, შევდივართ კეოში, ფარსმანში...

— ძველად თურმე ფარსმანში მურთაზის ღაშქარი შემოიჭრა, — გვიამბობს ამ სოფლის მკვიდრი, — სოფლის ომბრება უნდოდა. ხალხი წვეტიან ცხენში შეიხიზნა. ქისტებმა აქ ფეხი რომ ვერ მოიკადეს, ვერ შეტყუეს ცხენს გაღაფანა. მათმა ხარადღმა ბრძანება გასცა, იმდენი თოფისქაშილი შეეგროვებინათ, რამდენის საშუალებაა ქაშიდათ. რომ ცხენ გარედან იფეხოქმბინათ. შეაგრძოვენ და კვასში ჩაუარებ, აქედან ცხენსკენ უნდა წაედლო, მაგრამ თუშის ქალმა კახოს თინამ ქაბის გავლება არ აცდია. ერბოში ამოავლი თავისი მანდილი, ჩააგდო ცეცხლში და ქვასში მოიხრალა. აფეხოქმა ტყუარ-წამალი, მერე გომწერელი თუშები მოეხმარნენ, და მტრის რაზმი ისე გაწევიტეს. ამბავს წამლებიც აღარ დაჩა.

ფარსმანიდან ცენტრალურ გზას გადავუხვიეთ და კლდეზე შემდგარ ბილიკს გავუყვართ გზა ვიწრო და კლდოვანი.

ნახევარი საათის სავალას შემდეგ გავდელი გორეში, სადაც სიძით ნაგები სახლებია ერთმანეთს მიჭრალი, მაგრამ უმეტესად დაზარალებული, სახურავამოწოლილი, მიტოვებული და იავარქმნილი. გორაკზე მწვეთსა ხანა შეენიშნებოდა ვიკი აქაც დროშეხივით ეკიდა. აქ ცხვარი აღაგნელთა მტორსთმეტ ბრავადს ჰყავსო — გვიამბობენ. ჩვენც იქითვე გავწეით.

შესვლისთანავე ვიკინათ რამაზ სულაყურა, ფილიპ „თუშ მუშაკთა“ ერთ-ერთი მეთავარი გმობი, გაგვიღობა. ახლა უკვე დაფუძნებულია

ფარს მწვეთსა და თან შეათე კლდეზე მუშაკები. აღადგინებზე ამოსულა და მუშაკებს ცხე-მარება, მალე ბევრმა ხაზვამა მოიყარა თავი დაცნობის წიდილით გვაკეთიან, გავსაუბრებო. — მწვეთები არ ჩანან, სად არიან, ბევრი არიან?

